

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა  
საზოგადოებრივი აკადემია

GEORGIAN SOCIAL ACADEMY OF  
YOUNG SCIENTISTS

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

• ინტელექტუალ •

international scientific journal

**i n t e l l e c t u a l**

**№10**

თბილისი

TBILISI

2009

# ინტელექტუალი

წამბეჭდვით საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტუალის“ მეთუ ნომერს.

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“ საცაბთულოს ასალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემიის მექედით ბზგანბს წამბეჭდვებს.

ჟურნალი „ინტელექტუალი“ **2005** წელს დაბეჭდეს. ჟურნალს მინიჭებული აქვს სპირტულ გამეცემბათა საერთაშორისო ნომერი, საერთაშორისო გბითი.

ჟურნალი „ინტელექტუალი“ ბეთებბრებულია ბბგბბც ცაბბბბ (ცეცბბბბბბ), ასევე ბბბბბ ( ) და საერთაშორისო ელექტრობბბბ გამეცემბებსა და მბბბბბბბბ მბბბბბ, ბბბ სელმბსაწეებბბ სდბს მბს საერთაშორისო საზოგადოებბბბბბბბბ.

ჟურნალი „ინტელექტუალი“ მბზბბბ ისასავე ცაბბბბბ ასალგაზრდა ბუ ცნბბბბბბ მეცნიებბბბს სამეცნიებბბბ ვულუებბბბსა და ნამბბბბბბბ გაცნბბბბბ ბვბბბბ საზოგადოებბბბბბბბბ. ჟურნალი გამეცემბა პებბბბბბბბბბბბბ სამ ბუებბ ბბბბბ (წელიწადბბბ ბბბბ გამეცემბა).

ჟურნალ „ინტელექტუალბს“ ვბბბუ ებბბბ ბუბბბბბბბბბ იბბბბ მბგბბბბბბბბ, ბბბ იგი აებბბბბბბბ ბბგბბც ცაბბბბბ ასალგაზრდა, ბსე ცნბბბბბბ მეცნიებბბბს სამეცნიებბბბ ნამბბბბბბბ მეცნიებბბბს ყველას სებბბბბ მბბბბბბბბბბბ (სამბბბბბბბბბბბბ, ცეცბბბბბბ, ბბბბბბბბბბბბ, სბბბბბბბბბ და ა.მ.ბ.)

*ჟურნალ „ინტელექტუალბს“ ბბბბბბბ*

---

ქ. ბბბბბბბ, მ. ვბბბბბბბ ქ.№**77**, საცაბბბბბბბ ცეცბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ

ვბბბბბბ, III სკბბბბბ, ბბ.№**323**. ცელ.: **36-53-51, 8-99-79-10-12**

ელ-ბბბბბბ [giorgi\\_maduashvili@yahoo.com](mailto:giorgi_maduashvili@yahoo.com)

**[www.inteleqtuali.ge](http://www.inteleqtuali.ge)**

მთავარი რედაქტორი

EDITOR-IN-CHIEF

გიორგი მადუაშვილი

Giorgi Maduashvili

**სარედაქციო კოლეგია**

**EDITORIAL BOARD**

თამაზ გამყრელიძე

Tamaz Gamkrelidze

რალფ ილნერი

Ralph Illner

ვაჟა პაპასკირი

Vaja Papaskiri

თემურ ჯაგოდნიშვილი

Temur Jagodnishvili

მარინა ხარატიშვილი

Marina Kharatishvili

ზიგფრიდ კრაინერი

Siegfried Kreiner

ვანო ჭიაურელი

Vano Chiaureli

ჰარალდ სუმა

Harald Summa

ქეთი ქოქრაშვილი

Keti Kokrashvili

კარლო ღურწყაია

Karlo Gurtskaia

ნიკოლას თეოდორისი

Nikolas Theodoris

ნუგზარ სიხარულიძე

Nugzar Sikharulidze

რეზო კლდიაშვილი

Rezo Kldiashvili

თენგიზ წიგწივაძე

Tengiz Tsivtsivadze

სერგო თოფურია

Sergo Topuria

გოგი ფანცულაია

Gogi Pantsulaia

რუდი ვან მეიერი

Rudi van Meier

არჩილ მოწონელიძე

Archil Motsonelidze

ლევან კლიმაშვილი

Levan klimiashvili

ლალი გოგელიანი

Lali Gogeliani

არჩილ ფრანგიშვილი

Archil Prangishvili

ზურაბ წვერაიძე

Zurab Tsveraidze

გელა კიპიანი

Gela Kipiani

ერვინ შვინგი

Erwin Schwing

დავით თავხელიძე

David Tavkhelidze

გიორგი სალუკვაძე

Giorgi Salukvadze

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

|     |  |    |
|-----|--|----|
| 1.  | <b>ლელა ხაჩიძე.</b><br>„ანტონ სტუდიელის საბალეტოების<br>ქართული თარგმანების შესახებ“ .....   | 15 |
| 2.  | <b>ლელა ხაჩიძე.</b><br>„სტეფანე საბაწმიდელის საბალეტოები<br>ქართულ „მარხვანებში“ .....   | 20 |
| 3.  | <b>თათია ბიბანი.</b><br>„უოლტ უიტმენის ესთეტიკური სამყარო<br>კონსტანტინე გამსახურდიას ესეისტიკაში“ .....   | 25 |
| 4.  | <b>მზისა ბუსკივაძე.</b><br>„ქალის ექსპლუატაციის საკითხი თანამედროვე<br>თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე თურქი<br>მწერალი ქალის, პინარ ქურის ნაწარმოების<br>„ქალი, რომელიც უნდა ჩამოახრჩონ“ მიხედვით“ ..... | 32 |
| 5.  | <b>ქეთევან ბარბაქაძე.</b><br>„ზეპირიტყვიერების სწავლების სათავეებთან<br>(ლ. ბოცვაძის 1919 წლის „ღრობითი პროგრამა“)“ .....  | 36 |
| 6.  | <b>ვიოლეტა ავეთისიანი.</b><br>„გლადიმორ ნაბოკოვის შემოქმედების ბანსილვის<br>წამყვანი ტენდენციები და თანამედროვე ასპექტი“ .....   | 40 |
| 7.  | <b>მარიკა მშვილდაძე.</b><br>„აღრეპრესტიანული წყაროების შესწავლის საკითხისათვის“ .....  | 47 |
| 8.  | <b>ნინო ჯანჯღავა.</b><br>„მხატვრული ტექსტის მოღალური სტრუქტურა და მისი<br>კვლევა როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა“ .....   | 52 |
| 9.  | <b>ნინო ჯანჯღავა.</b><br>„თანამედროვე ნარატოლოგია და ნარატიული<br>მხატვრული ტექსტის მოღალური სტრუქტურის პრობლემა“ .....  | 58 |
| 10. | <b>თეა ქარჩავა.</b><br>„ქართველთა მეფეების საერთაშორისო კონტაქტებისა<br>და მათი დესკანების ვინაობის შესახებ XV საუკუნის<br>ბოლოსა და XVI საუკუნეში“ .....  | 64 |
| 11. | <b>ზიქრია ვარდოსანიძე.</b><br>„ჰუმანარიტიზმის კრიტიკიზმი აღმოსავლური და დასავლური<br>რელიგიური ცნობიერების მიხედვით“ .....   | 78 |
| 12. | <b>ანა ჭელიძე.</b><br>„ეროვნული იდენტობის კონსტრუირება<br>რელიგიურ-ნაციონალისტურ დისკურსებში“ .....  | 88 |
| 13. | <b>ვალერი მოღეზაძე.</b><br>„სახალხო წინააღმდეგობა – რეპატრიაციის<br>მთავარი შემავარსებელი ფაქტორი“ .....   |    |

|     |   |     |
|-----|---|-----|
| 14. | <b>ვალერი მოღვაძე.</b><br>„სამცხე-ჯავახეთის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა და მრავალეროვნულ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა“ ..... | 99  |
| 15. | <b>ბიორბი ზირაქაშვილი.</b><br>„კონფლიქტი – საზოგადოების ფსიქოლოგიური ფენომენი“ .....  | 107 |
| 16. | <b>ბიორბი მაღუაშვილი.</b><br>„რუსეთის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ“ .....   | 111 |
| 17. | <b>თამარ ჩარკვიანი.</b><br>„ნავიცი მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციონალიზაციის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში“ .....                                 | 117 |
| 18. | <b>ბივი აბაშიძე.</b><br>„მოწმის იმუნითეტის ცნება, მნიშვნელობა და სამართლებრივი გუნება“ .....  | 124 |
| 19. | <b>ბივი აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე.</b><br>„სახელმწიფო ბრალდებლის კამათში გამოსვლის მომზადების ტაქტიკური ასპექტები“ .....                            | 131 |
| 20. | <b>ქეთევან ბერეკაშვილი.</b><br>„ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო რისკისგან დაცული ურთიერთობა“ .....                                | 137 |
| 21. | <b>ბიორბი ყაზიშვილი.</b><br>„სატელევიზიო რეკლამა და თანამედროვეობა“ .....   | 145 |
| 22. | <b>მაია შაოშვილი.</b><br>„კრიზისული PR“ .....   | 152 |
| 23. | <b>ბენიკ ბოლქვაძე.</b><br>„ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების რეიტროსპექტივა და პერსპექტივა“ .....   | 158 |
| 24. | <b>მაია თეთრუაშვილი.</b><br>„ბიზნესის წარმატების ინსტრუმენტები“ .....   | 162 |
| 25. | <b>ციური დურული.</b><br>„წინანსური ანალიზის მეთოდებისა და მიზნების მიხედვით კლასიფიკაციის არსი და მნიშვნელობა მართვის სისტემაში“ .....            | 170 |
| 26. | <b>ბურამ კელვატრიშვილი.</b><br>„კადრების მართვის თანამედროვე ტენდენციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ .....                                      | 176 |
| 27. | <b>დავით ბიძინაშვილი.</b><br>„აუდიტორის რწმუნება პერსპექტიულ წინანსურ ინფორმაციაზე“ .....   | 181 |
| 28. | <b>ელგუჯა ბუაჩიძე, ლალი ხუნწარია.</b><br>„კლიენტზე ორიენტირებული მენეჯმენტის კირითადი ელემენტები“ .....   | 187 |
| 29. | <b>ბორის ბითოლენდია.</b><br>„საერთაშორისო ანგარიშსწორება და ბარანტიები“ .....   | 192 |
| 30. | <b>ბესო ელვაძიძე.</b><br>„ISO 9001 – ჩარჩო კონვენცია ბიზნეს-სამყაროში კომერციული მიზნების ეფექტურად მიღწევისათვის“ .....                          | 199 |

**ტიქნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

|     |   |     |
|-----|---|-----|
| 1.  | <b>ზურაბ ოქროსცვარიძე, ლევან ჩხიკვაძე, ივოლდა კახენიაშვილი, ნოდარ ვაჩივიშვილი.</b><br>„ქართული ოქროს ისტორიიდან“ .....  | 200 |
| 2.  | <b>ჯუმბერ მაღალურაძე.</b><br>„მეპალოთური ხუროთმოძღვრებით ველურთა კულტურა“ .....   | 205 |
| 3.  | <b>ნინა კოტიაკოვა.</b><br>„კრიცკვირი“-ს პრემია და თანამედროვე არქიტექტურა“ .....  | 213 |
| 4.  | <b>ქეთევან აბაშიძე.</b><br>„ეკოლოგიური პრობლემები და მსოფლიო ეკონომიკა“ .....   | 218 |
| 5.  | <b>პავლე ასათიანი.</b><br>„თანამედროვე განათლებისა და მეცნიერების ინფორმაციოლოგიური საფუძვლების შესავალი“ .....   | 225 |
| 6.  | <b>ნინო ორჯონიძიძე, თამარ მაკასარაშვილი, ლია ნადირაძე.</b><br>„ქველური კომპიუტერული ტექნოლოგიები ბიზნესში“ .....  | 231 |
| 7.  | <b>თინათინ ტატულაშვილი, ნინო ორჯონიძიძე, თეა ხორბუაშვილი.</b><br>„ექსპერიმენტის ტექნოლოგიური ციკლის კვლევის სპეციფიკის ანალიზი, როგორც ავტომატიზაციის ობიექტი“ .....                      | 235 |
| 8.  | <b>თენგიზ მუსელიანი, ალექს კოტიაკოვი, გიორგი ჭყონია.</b><br>„წ. დისტინქტის თეორია და ერთვანა ტრანსფორმატორი“ .....  | 240 |
| 9.  | <b>მიტროფანე მაღლაკელიძე, დავით ბაქრაძე, ლევან გუბუტიშვილი.</b><br>„უნივერსალური ბუღღოზერის მუშა მოწყობილობის ექსპლუატაციური გამოცდა ვერდობის განივად მუშაობის დროს“ .....                | 246 |
| 10. | <b>მანუჩარ შიშინაშვილი.</b><br>„კვლევი ასვალტბეიტონის ცხელი მეთოდით რეგენერირების სტაციონალური დანადგარი“ .....   | 253 |
| 11. | <b>ბორის ბითოლენდია.</b><br>„საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის ზრდის შესაძლებლობები საქართველოში“ .....  | 257 |
| 12. | <b>მამუკა ვახაბაშვილი, ტრისტან ანჯაფარიძე.</b><br>„აქუსტიკური ნაწიბური ტალღები იზოტროპულ მყარ სხეულებში“ .....  | 262 |
| 13. | <b>ტრისტან ანჯაფარიძე, ზაალ მიქაძე.</b><br>„ტიქნიკური სისტემების საიმედოობა დროის შევსებადი მარაბით და მუშაობისუნარიანობის კომბინირებული კონტროლით“ .....                                 | 266 |
| 14. | <b>მურმან კვეკვესიძი.</b><br>„სიმრავლეთა $a$ -ცენტრირებული სისტემები და მათი ზობიერთი გამოყენება ტოპოლოგიასა და ელემენტარული გეომეტრიის სწავლების პროცესში“ .....                         | 274 |
| 15. | <b>მურმან კვეკვესიძი.</b><br>„სიმრავლეთა $\sigma$ -ცენტრირებული სისტემები და მათი ზობიერთი გამოყენება სიმრავლურ-თეორიულ ტოპოლოგიასა და ელემენტარული გეომეტრიის სწავლების პროცესში “ ..... | 278 |
| 16. | <b>მარინა ჯკეკელაძე, მარია კერესელიძე, ნინო ვეფხვაძე.</b><br>„ხაჭოს შრატის გამოყენება მოუხდელი რძის შემცვლელში ხბობის გამოზრდის დროს“ .....   |     |

# C O N T E N T S

## THE HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

|     |  |    |
|-----|--|----|
| 1.  | <b>LELA KHACHIDZE.</b><br>«TOWARDS THE GEORGIAN TRANSLATIONS<br>OF THE HYMNS BY ANTON STUDITES» .....  | 15 |
| 2.  | <b>LELA KHACHIDZE.</b><br>«HYMNS BY STEPHANUS SABBAITES IN GEORGIAN «TRIODIONS» .....  | 20 |
| 3.  | <b>TATIA GIGANI.</b><br>«ESTHETIC WORLD OF WALT WHITMAN IN<br>KONSTANTINE GAMSAKHURDIA'S ASSAYS» .....   | 25 |
| 4.  | <b>MZISA BUSKIVADZE.</b><br>«THE PROBLEM OF WOMAN EXPLOITATION IN CONTEMPORARY<br>TURKISH SOCIETY, BY MODERN TURKISH WOMAN-WRITER<br>PINAR KUR'S CREATION «THE WOMAN WHO MUST BE HUNG» ..... | 32 |
| 5.  | <b>KETEVEN BARBAKADZE.</b><br>«THE BEGINNINGS OF THE TEACHING FOLK-LORE<br>(,TEMPORAL PROGRAMM' OF L. BOTCVADZE 1919)» .....   | 36 |
| 6.  | <b>VIOLETA AVETISIAN.</b><br>«HE LEADING TENDENCIES OF STUDYING VLADIMIR NABOKOV'S<br>WORKS OF LITERATURE AND A MODERN ASPECT» .....   | 40 |
| 7.  | <b>MARIKA MSHVILDADZE.</b><br>«FOR QUESTION OF STUDYING EARLIER-CHRISTIAN SOURCES» .....   | 47 |
| 8.  | <b>NINO JANJGAVA.</b><br>«MODAL STRUCTURE OF THE AESTHETIC TEXT<br>AND ITS RESEARCH AS LINGUOCULTUROLOGICAL PROBLEM» .....   | 52 |
| 9.  | <b>NINO JANJGAVA.</b><br>«MODERN NARRATOLOGY AND THE PROBLEM OF THE<br>MODAL STRUCTURE OF THE NARRATIVE AESTHETIC TEXT» .....  | 58 |
| 10. | <b>TEA KARCHAVA.</b><br>«ABOUT GEORGIAN KINGS' INTERNATIONAL CONTACTS AND<br>IDENTIFICATION OF THEIR ENVOYS IN XV-XVI CENTURIES» .....   | 64 |
| 11. | <b>PIKRIA VARDOSANIDZE.</b><br>«TRUTH'S CRITERIAS ABOUT EASTERN AND WESTERN<br>RELIGION KNOWLEDGE» .....   | 78 |
| 12. | <b>ANA CHELIDZE.</b><br>«CONSTRUCTION OF NATIONAL IDENTITY IN THE<br>RELIGIOUS-NATIONALISTIC DISCOURSES» .....   | 88 |
| 13. | <b>VALERI MODEBADZE.</b><br>«POPULAR OPPOSITION – MAIN OBSTACLE TO THE<br>REPATRIATION PROCESS» .....  | 93 |
| 14. | <b>VALERI MODEBADZE.</b><br>«ETHNO-CONFESSIONAL COMPOSITION OF SAMTSKHE-JAVAKHETI<br>AND THE PROBLEM OF PEACEFUL COEXISTENCE IN THE<br>MULTI-ETHNIC SOCIETY» .....                           | 99 |

|     |   |     |
|-----|---|-----|
| 15. | <b>GIORGI ZIRAKASHVILI.</b><br>«CONFLICT – PSYCHOLOGICAL PHENOMENON OF THE SOCIETY» .....   | 107 |
| 16. | <b>GIORGI MADUASHVILI.</b><br>«RUSSIAN’S FIGHT AGAINST STATEMENT OF GEORGIA».....   | 111 |
| 17. | <b>TAMAR CHARKVIANI.</b><br>«SEVERAL ASPECTS OF INSTITUTIONALIZATION<br>OF THE JURY IN GEORGIA» .....   | 117 |
| 18. | <b>GIVI ABASHIDZE.</b><br>«IMMUNITY OF THE WITNESS CONCEPT,<br>SIGNIFICANCE AND JUDICIARY DISPOSITION» .....  | 124 |
| 19. | <b>GIVI ABASHIDZE, IRAKLI ABASHIDZE.</b><br>«THE TACTIC OF PREPARATION OF<br>PROCURATOR DECLARATION IN DEBATE» .....                                | 131 |
| 20. | <b>KETEVAN BEREKASHVILI.</b><br>«ADMINISTRATIVE CONTRACT AS A PROTECTED<br>RELATION FROM CIVIL RISK» .....  | 137 |
| 21. | <b>GIORGI KAZISHVILI.</b><br>«TELEVISION ADVERTISEMENT AND CONTEMPORANEITY» .....   | 145 |
| 22. | <b>MAIA SHAOSHVILI.</b><br>«CRISICAL PR» .....  | 152 |
| 23. | <b>BESIK BOLKVADZE.</b><br>«RETROSPECTIVE AND PERSPEQTIVE OF THE<br>STATE REGULATION OF ECONOMY» .....  | 158 |
| 24. | <b>MAIA TETRUASHVILI.</b><br>«TOOLS OF SUCCESS OF BUSINESS» .....   | 162 |
| 25. | <b>TSIURI DURULI.</b><br>«ESSENCE AND MEANING OF THE FINANCIAL ANALYSIS<br>CLASSIFICATION ACCORDING TO METHODS AND PURPOSES<br>IN MANAGEMENT» ..... | 170 |
| 26. | <b>GURAM KELEPTRISHVILI.</b><br>«MODERN TENDENCIES IN THE FIELD OF HUMAN<br>RESOURCE MANAGEMENT IN THE CONDITIONS<br>OF MARKET ECONOMY» .....       | 176 |
| 27. | <b>DAVID BIDZINASHVILI.</b><br>«AUDIT’S CERTIFICATION ON THE PERSPECTIVE<br>FINANCIAL INFORMACION» .....  | 181 |
| 28. | <b>ELGUJA BUACHIDZE, LALI KHUNTSARIA.</b><br>«MANAGEMENT BASIC ELEMENTS WITH ORIENTATIONS<br>TO THE CLIENT» .....                                   | 187 |
| 29. | <b>BORIS GITOLENDIA.</b><br>«INTERNATIONAL CALCULATION AND GUARANTEES» .....  | 192 |
| 30. | <b>BESO ELBAKIDZE.</b><br>«ISO 9001 – THE FRAMEWORK CONVENTION FOR THE<br>EFFECTIVE ACHIEVEMENT OF COMMERCIAL GOALS<br>IN THE BUSINESS-WORLD» ..... | 196 |



## **SCIENCES OF TECHNICAL AND NATURAL STUDIES**

1. **ZURAB OKROSCVARIDZE, LEVAN CHIKVADZE,  
IZOLDA KAKHNIASHVILI, NODAR VACHEISHVILI.**  
«FROM THE HYSTORY OF GEORGIAN GOLD» .....200
2. **JUMBER MALAGURADZE.**  
«CULTURE OF SAVAGES BY MECASLITHOS ARCHITECTURE» .....205
3. **NINA POTAPOVA.**  
«THE PRITZKER PRIZE» AND MODERN ARCHITECTURE» .....213
4. **KETEVAN ABASHIDZE.**  
«ECOLOGICAL PROBLEMS AND WORLD ECONOMICS» .....218
5. **PAVLE ASATIANI.**  
«INTRODUCTION TO THE INFORMATIOLOGY FUNDAMENTALS  
OF MODERN SCIENCE AND EDUCATION» .....225
6. **NINO ORJONIKIDZE, TAMAR MAKASARASHVILI,  
LIA NADIRADZE.**  
«THE NET COMPUTER TECHNOLOGIES IN BUSINESS» .....231
7. **TINATIN TATULASHVILI, NINO ORJONIKIDZE,  
TEA KHORGUASHVILI.**  
«THE ANALYSIS OF RESEARCH OF TECHNOLOGICAL CYCLE  
IN EXPERIMENT AS THE OBJECTS OF AUTOMATIZATION» .....235
8. **TENGIZ MUSELIANI, ALEX POTAPOV, GIORGI CHKONIA.**  
«J.DISTINTI TEORY AND ONE-PHASE TRANSFORMER».....240
9. **MITROFANE MAGLAKELIDZE, DAVID BAKRADZE,  
LEVAN BUBUTEISHVILI.**  
«SERVICE TEST OF WORKING EQUIPMENT OF  
UNIVERSAL BULLDOZER AT CROSS WORKING OF SLOPE» .....246
10. **MANUCHAR SHISHINASHVILI.**  
«STATIONARY DEVICE FOR REGENERATION OF OLD  
ASPHALTIC CONCRETE BY MEANS OF HOT METHOD» .....253
11. **BORIS GITOLENDIA.**  
«POSSIBILITIES FOR INCREASING MOTOR-TRANSIT  
TRANSPORTATION SIZE IN GEORGIA» .....257
12. **MAMUKA VAZAGASHVILI, TRISTAN ANJAPARIDZE.**  
«ACOUSTIC EDGE WAVES IN ISOTROPIC SOLIDS» .....262
13. **TRISTAN ANJAPARIDZE, ZAAL MIKADZE.**  
«RELIABILITY OF TECHNICAL SYSTEMS WITH REFRESHED  
FLOAT TIME AND COMBINED EFFICIENCY MONITORING» .....266
14. **MURMAN KVEKVESKIRI.**

|     |  |     |
|-----|--|-----|
|     | « $\alpha$ -CENTERED SYSTEMS OF SETS AND THEIR APPLICATIONS<br>IN SET-THEORETICAL TOPOLOGY AND IN THE PROCESS THE<br>STUDY OF ELEMENTARY GEOMETRY» .....       | 274 |
| 15. | .<br>« $\sigma$ -<br>-<br>» .....  | 278 |
| 16. | <b>MARINA MATSKEPLADZE, MAIA KERESLIZE,<br/>NINO VEPKHVADZE.</b><br>«THE USE OF THE CURD WHEY IN THE COMPOSITION OF<br>SWM DURING THE REARING OF CALVES» ..... | 282 |

---

|     |        |             |
|-----|--------|-------------|
| 1.  | .      | » .....15   |
| 2.  | « .    | « » .....20 |
| 3.  | « .    | » .....25   |
| 4.  | « .    | « » .....32 |
| 5.  | « .    | » .....36   |
| 6.  | « .    | » .....40   |
| 7.  | « .    | » .....47   |
| 8.  | « .    | » .....52   |
| 9.  | « .    | » .....58   |
| 10. | « .    | » .....64   |
|     | XV-XVI | » .....64   |
| 11. | « .    | » .....78   |
| 12. | « .    | » .....88   |
| 13. | « .    | » .....93   |
| 14. | « - .  | -           |

|     |                     |     |
|-----|---------------------|-----|
|     | » .....             | 99  |
| 15. | « - » .....         | 107 |
| 16. | « ».....            | 111 |
| 17. | « » .....           | 117 |
| 18. | « , » .....         | 124 |
| 19. | « , » .....         | 131 |
| 20. | « , » .....         | 137 |
| 21. | « » .....           | 145 |
| 22. | « PR» .....         | 152 |
| 23. | « » .....           | 158 |
| 24. | « » .....           | 162 |
| 25. | « » .....           | 170 |
| 25. | « » .....           | 176 |
| 26. | « » .....           | 181 |
| 27. | « , » .....         | 187 |
| 28. | « » .....           | 192 |
| 29. | «ISO 9001 - » ..... | 196 |

---

|     |   |   |       |     |
|-----|---|---|-------|-----|
| 1.  | , | , | .     |     |
|     | « | » | ..... | 200 |
| 2.  | . |   |       |     |
|     | « | » | ..... | 205 |
| 3.  | . |   |       |     |
|     | « | » | ..... | 213 |
| 4.  | . |   |       |     |
|     | « | » | ..... | 218 |
| 5.  | . |   |       |     |
|     | « | » | ..... | 225 |
| 6.  | , | , |       |     |
|     | « | » | ..... | 231 |
| 7.  | , | , |       |     |
|     | « | » | ..... | 235 |
| 8.  | , | , | .     |     |
|     | « | » | ..... | 240 |
| 9.  | , | , |       |     |
|     | « | » | ..... | 246 |
| 10. | . |   |       |     |
|     | « | » | ..... | 253 |
| 11. | . | - |       |     |
|     | « | » | ..... | 257 |
| 12. | , | . |       |     |
|     | « | » | ..... | 262 |
| 13. | , | . |       |     |
|     | « | » | ..... | 266 |

|     |  |         |     |
|-----|--|---------|-----|
| 14. | « -  | » ..... | 274 |
| 15. | <b>MURMAN KVEKVESKIRI.</b><br>« $\sigma$ -CENTERED SYSTEMS OF SETS AND THEIR APPLICATIONS<br>IN SET-THEORITICAL TOPOLOGY AND IN THE PROCESS<br>THE STUDY OF ELEMENTARY GEOMETRY» ..... |         | 278 |
| 16. | «  | » ..... | 282 |

# ანტონ სტუდიელის საგალობლების ძარბაზის შესახებ

## ლევა ხაჩიძე

### ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

#### ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

IX საუკუნის დასაწყისიდან სტუდიის მონასტერი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ცენტრად იქცა. მონასტრის ძმობას „უძინართ“ უწოდებდნენ ღვთისმსახურების უწყვეტი წესის გამო, რომელიც დააწესა ჯერ კიდევ პირველმა წინამძღვარმა - ალექსანდრემ (Wellesz 1980, 229).

სტუდიის მონასტერი 462 წელს დაარსდა რომანოზ სტუდიელის მიერ და მართლმადიდებლობის მტკიცე ბურჯად იქცა, განსაკუთრებით ხატმბრძოლობის ეპოქაში. მისი ყველაზე ცნობილი წინამძღვარი იყო ბიზანტიური ეკლესიისა და ქრისტიანული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი - თეოდორე სტუდიელი (759 – 826წწ). წმ. თეოდორე მთელი ცხოვრების მანძილზე თავგამოდებით იღწვოდა მართლმადიდებლობისა და ხატოყვანისცემის განმტკიცებისათვის. დიდია მისი დამსახურება ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის სფეროშიც (ხაჩიძე 2000, 23 -26).

თეოდორე სტუდიელის მრავალრიცხოვან მიმდევრებს შორის მოიხსენიება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში თითქოს უცნობი ავტორის – ანტონ სტუდიელის სახელი. ერთ-ერთ სინურ ხელნაწერში იგი მოიხსენიება, როგორც სტუდიის მონასტერში მოღვაწე ბერი, რომელიც წარმოშობით სიცილიიდან იყო (კარაბინოვი 1910, 168).

ბერძნული და სლავური „მარხვანების“ ცნობილი მკვლევარის – ი. კარაბინოვის მიხედვით ამ ავტორს საგალობლები შეუქმნია დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდის - ყველიერის შვიდეულისათვის, კერძოდ, ამ შვიდეულის თითოეული დღისათვის მას ეკუთვნის თითო სამსაგალობელი და 2 მცირე ფორმის საგალობელი (კარაბინოვი 1910, 168).

როგორც ცნობილია, ყველიერის შვიდეულის ჩამოყალიბება საკმაოდ საინტერესო პროცესს წარმოადგენს. სირიულ ტრადიციაში ის უძველესი დროიდან არსებობდა. ბიზანტიურ ტრადიციაში კი მის დაკანონებას ჰერაკლე კეისრის სახელს უკავშირებენ.

იერუსალიმურ ტრადიციაში დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდი მხოლოდ ამ შვიდეულით იყო წარმოდგენილი.

სწორედ ამ შვიდეულს უკავშირდება პოლემიკა დიდმარხვის 7 და 8 – კვირიან პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც IX საუკუნემდე გაგრძელდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ამ შვიდეულის ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი, როგორც ჩანს, შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული.

ყველიერის შვიდეულისათვის განკუთვნილი საგალობლების ერთ – ერთ-უძველესი ფენა ანონიმურადაა დაცული რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში. ეს საგალობლები თეოდორე სტუდიელის გავლენითაა შექმნილი.

დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელმაც შექმნა ყველიერის შვიდეულის რეპერტუარი – სამსაგალობლები და მცირე ფორმის საგალობლები, იყო ანტონ სტუდიელი

ბერძნული „მარხვანების“ არსებულ პუბლიკაციებში ანტონის საგალობელთაგან შემორჩენილია მხოლოდ ყველიერის ორშაბათის საგალობლების I ოდა, ყველიერის ოთხშაბათის საგალობელი სრულად და სტიქარონები – ამ შვიდეულის სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათისა და პარასკევისათვის.

სლაგური „მარხვანების“ გამოცემებში ანტონის სამსაგალობლების თითოეული ოდა სახელწაუწერლადაა დართული იოსების საგალობელთა შესაბამის ოდებზე მითითებით – „B“.

ამრიგად, ბერძნულ-სლაგური „მარხვანების“ არსებული პუბლიკაციების მიხედვით ამ ავტორის შემოქმედებაზე მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ.

ანტონ სტუდიელის ყველიერის შვიდეულისთვის განკუთვნილი სამსაგალობლები სრული შემადგენლობით მხოლოდ ერთ ბერძნულ „მარხვანში“ – ვატიკანი №771 -შია დაცული. ამ ხელწერაზე დაყრდნობით მოაქვს ი. კარაბინოვს ანტონ სტუდიელის ყველიერის შვიდეულისთვის განკუთვნილი საგალობლების დასაწყისები (კარაბინოვი 1910, 169).

ანტონ სტუდიელის შემოქმედების კვლევა იმითაცაა გართულებული, რომ ბერძნულ-სლაგურ ხელნაწერებში ხშირად მისი საგალობლები აღრეულია ამავე შვიდეულისთვის განკუთვნილი საგალობლების იმ კომპლექტთან, რომლის ავტორი ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, ეს აღრევა აღრევე დაიწყო. ამის გამო დღეს ძნელდება არა მარტო ანტონ სტუდიელისადმი მიკუთვნებული საგალობლების, არამედ მათი ტექსტების დადგენაც. ამას ემატება კიდევ ერთი გარემოება – ზოგიერთი ბერძნული ხელნაწერის გადამწერს სახელი – “ანტონი” ამოუკითხავს, როგორც “ანატოლი”. ამაზე დაყრდნობით ზოგიერთი მეცნიერი ასახელებს, ფაქტიურად, არარსებულ ავტორს – ანატოლი სტუდიელს.

ამ პირობებში, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ხელნაწერებს, კერძოდ, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ “მარხვანს”, რომელშიც შესული აღმოჩნდა ყველიერის ორშაბათის, სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათის და პარასკევისთვის განკუთვნილი ანტონ სტუდიელის 5-ვე სამსაგალობელი ავტორზე მითითებებითურთ. მოვიგანთ მათ ნუსხას გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული „მარხვანის“ (Georgica 5 -ის) მიხედვით:

1. ყველიერისა ორშაბათსა. ციკსრად. სხუანი ხუედრნი. ჳმაჲ ა. უგალობდეთ ყოველნი, რომელმან მწარი. - უბიწოთა მარხვათა...”
2. ყველიერისა სამშაბათსა. სხუანი ხუედრნი. მოიხილესა. ჳმაჲ დ. გ. ი. სასწაულად იხილ. - ვცანთ და გულისჳმა-გვაგო...”
3. ყველიერისა ოთხშაბათსა. ხუედრნი. მოიხილესა. ჳმაჲ ბ. განძლიერდასა. აღყუავილნა. - ჯუარსა ზედა ამაღლდღი რაჲ...”
4. ყველიერისა ხუთშაბათსა. სხუანი ხუედრნი. ჳმაჲ ა. გ. ი. ესმა მოსლვაი შენი. - მჳართა ზედა იტვრთეთ...”
5. ყველიერისა პარასკევსა. ხუედრნი. რაჲ თანა. - უბიწოდა მარხვისა...”

ვატიკანში დაცული ბერძნული „ტრიოდონი“ №771 ჩვენთვის არაა ხელმისაწვდომი, ამიტომ მისი შედარება ანტონის სამსაგალობლების ქართულ თარგმანებთან ვერ შევძელით. ქართული ხელნაწერების შესწავლამ კი ნათელყო, რომ ანტონ სტუდიელის სამსაგალობლები უფრო ადრე ყოფილა თარგმნილი ქართულად; კერძოდ, სინ. 5 (1052 წ.) და სინ. 75 (XI ს.) ხელნაწერებში, რომლებიც შეიცავს ექვთიმე ათონელის რედაქციის „მარხვანს“, სახელწაუწერლადაა შესული ანტონ სტუდიელის ოს



სამსაგალობლები. „მარხვანის“ ამ რედაქციაში ყველიერის შვიდეულის ჰიმნოგრაფიული მასალა, დიდმარხვის სხვა შვიდეულთან შედარებით, მარტივია და ფაქტიურად, მხოლოდ ანტონ სტუდიელის სამსაგალობლებითაა წარმოდგენილი.

სინ. 5 – სინ. 75 და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის (Georgica 5–ის) შედარებამ ცხადყო, რომ გიორგის ანტონ სტუდიელის სამსაგალობლები ხელახლა უთარგმნია ბერძნულიდან. მოვიტანთ ყველიერის ოთხშაბათის სამსაგალობლის I ოდის დასაწყის ტროპარებს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელის „მარხვანების“ მიხედვით:

| სინ. 5   | გეორგ. 5  |
|--|---|
| <p>გალობითა ძლევისაჲთა<br/>უგალობდეთ ყოველნი ღმერთსა,<br/>რომელმან ქმნა სასწაულები და<br/>ნიშები მკლავითა მით მადლითა<br/>და იკსნა ისრაელი,<br/>რამეთუ დიდებულ არს.</p>      | <p>„უგალობდეთ ყოველნი,<br/>რომელმან მწარი....“</p>  |
| <p>მოგუეახლების ჩვენ არე<br/>წინაგანწმედისაჲ და მოვიდეს<br/>მიზეზნი ცხორებისანი – დღენი ესე<br/>სასოდ სულთა ჩუენთათჳს<br/>და ქრისტესა უგალობდეთ,<br/>რამეთუ დიდებულ არს.</p> | <p>უბიწოთა მარხვათა<br/>არისა მოწვენასა<br/>გუაუწყებს შუდეული წინაგანწმენდისაჲ,<br/>ესე აწ მოწუელ არს, რომელნი იგი<br/>განანათლებენ<br/>სულთა და კორცთა ყოველთა<br/>მორწმუნეთასა.</p> |
| <p>ესერა განდებულ არს კარი<br/>მადლისაჲ ჩუენთჳს,<br/>ღმრთისმოყუარენი,<br/>მოვედით, ამას შინა ვისწრაფოთ<br/>შესვლად,</p>  | <p>ესერა განდებულ არს<br/>კარი სინანულისაჲ,<br/>ღმრთისმოყუარენო, ერნო, მოვედით,<br/>ვისწრაფოთ<br/>შესვლად მას შინა, ვიდრე დაკშვადმდე<br/>მისსა წინაშე ჩუენსა</p>                      |
| <p>ვიდრე წინაშე ჩუენსა<br/>კარისა მის დაკშვადმდე<br/>და ქრისტესა უგალობდეთ,<br/>რამეთუ დიდებულ არს.</p>  | <p>და ქრისტეს უგალობდეთ, რამეთუ<br/>დიდებულ არს.</p>  |

ყველიერის შვიდეული, შემდგომში, როგორც ჩანს, საგანგებო ყურადღების საგნად იქცა. ამ შვიდეულისათვის საგალობელთა კომპლექტები შეუქმნიათ ისეთ ცნობილ ჰიმნოგრაფებს, როგორებიცაა თეოდორე სტუდიელი და იოსებ მგალობელი. ისინი აგრძელებენ ანტონ სტუდიელის მიერ ჩატარებულ სამუშაოს და ითვალისწინებენ მის მიერ შექმნილ საგალობლებს. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ “მარხვანში”, რომელიც დიდი სისრულით გამოირჩევა, ანტონ სტუდიელთან ერთად, შესულია მათი საგალობლების ქართული თარგმანებიც, რომლებიც თავად გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს.

ლიტერატურა  
Literature

1. . . . . – 1910
2. ხაჩიძე ლ. იოანე მინჩხის პოეზია. თბილისი 1987
3. Wellesz E. A History of Byzantine Music and Hymnography. Oxford 1980

რ ე ზ ი უ მ ე

ანტონ სტუდიელის საგალობლების ქართული თარგმანების შესახებ

ლელა ხაჩიძე

ბიზანტიური ეკლესიისა და ჰიმნოგრაფიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს სტუდიის მონასტერს. მისი ცნობილი წინამძღვრის - თეოდორეს მიმდევართა შორისაა ანტონ სტუდიელი – ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის “დავიწყე - ბული” ავტორი.

ანტონ სტუდიელს საგალობელთა კომპლექტი შეუქმნია ყველიერის შვიდე-ულისათვის. მისი საგალობლებიდან ბიზანტიურ და სლავურ “მარხვანებში” შემორჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი.

ამ ავტორის შემოქმედების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა ქართული ხელნაწერები. ექვთიმე და გიორგი ათონელების მიერ შედგენილ “მარხვანებში” სრულადაა დაცული ანტონ სტუდიელის სამსაგალობელთა ქართული თარგმანები.

SUMMARY

TOWARDS THE GEORGIAN TRANSLATIONS OF THE HYMNS  
BY ANTON STUDITES

LELA KHACHIDZE

Studios monastery at Constantinople is significant in the history of Byzantine Church and hymnography. Among the successors of its famous Hegumen – Theodore is mentioned Anton Studites - almost “forgotten” author of Byzantine hymnography.

Anton Studites has created the cycle of the hymns for the “Triodion”. A part of these hymns have been preserved in Byzantine and Slavonic “Triodions”. Georgian manuscripts make possible to reconstruct the hymnographical legacy of this author. “Three – Odes” by Anton Studites are completely preserved in the redactions of “Triodion” by Eutimius and George Athonites.

“ - - - - - ”

# სტეფანე საბაწმიდელის საბალობები ქართულ „მარხვანებში“

ლელა ხაჩიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ქართული „მარხვანის“ რედაქციებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული „მარხვანი“ – Georgica 5, რომელიც ამჟამად პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. ეს ხელნაწერი უნიკალურია ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის, რადგან თვით ბერძნულ ხელნაწერებს შორისაც არ მოიპოვება მსგავსი სისრულის „მარხვანი“. ხელნაწერის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ მასში ავტორებია მითითებული სხვა ხელნაწერებში ანონიმურად შესულ უამრავ საგალობელთან. მსგავსი სიზუსტე საგალობელთა ავტორების დადგენაში დამახასიათებელია გიორგი მთაწმიდელისათვის (ხაჩიძე 1987, 69-72). გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის მრავალი ნიმუშის ავტორთა გამოვლენის ან დადგენის საშუალებას იძლევა. მათ შორისაა VIII საუკუნის ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი – სტეფანე საბაწმიდელი.

ამ ავტორის შესახებ ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მწირი ცნობებია შემონახული. მისი სახელით ბერძნულ და სლავურ „მარხვანებში“ წარწერილია ორიოდე მცირე ფორმის საგალობელი – მეზვერისა და ფარისეველის, აგრეთვე უძლები შვილისადმი მიძღვნილი სტიქარონები (კარაბინოვი 1910, 119). მასვე მიაწერენ დიდმარხვის მეხუთე შვიდეულისათვის განკუთვნილ 4 „თუძლისპირ“ სტიქარონსაც (კარაბინოვი 1910, 120). რაც შეეხება ვრცელი ფორმის საგალობლებს – სამსაგალობლებსა და კანონებს ბერძნულ-სლავურ ხელნაწერებში მათი კვალიც კი არაა შემონახული. სტეფანეს სახელი ჩანს მხოლოდ ძლისპირთა კრებულებში – „ირმოლოგიონებში“ „მარხვანისათვის“ განკუთვნილ ერთ კანონთან დაკავშირებით (კარაბინოვი 1910, 121).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ VIII საუკუნის ეს ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი დღეისათვის ცნობილ ბერძნულ და სლავურ ხელნაწერებში, ფაქტიურად, მხოლოდ სახელითაა ცნობილი.

ქართული ხელნაწერები უნიკალურ მასალას შეიცავს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ამ, როგორც ჩანს, მეტად საყურადღებო წარმომადგენლის შემოქმედების შესწავლისათვის. ეს გარემოება ნათელი გახდა 1980 წელს ჩვენ მიერ I ქართული „მარხვანის“ რეკონსტრუქციისა და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული „მარხვანის“ გამოვლენის შემდეგ.

ქართული „მარხვანის“ ამ ორ რედაქციაში ისევე, როგორც ექვთიმე მთაწმიდელის რედაქციის „მარხვანში“ შესული აღმოჩნდა მთელი ციკლი სტეფანე მთაწმიდელის „მარხვანისათვის“ განკუთვნილი საგალობლებისა. ესაა 26 სამსაგალობელი, რომლებიც მოიცავს დიდმარხვის ვრცელ პერიოდს - I ორშაბათიდან VI პარასკევის ჩათვლით.

სტეფანეს საგალობელთა ეს ციკლი, როგორც ირკვევა, საგანგებოდ ითარგმნა I ქართული „მარხვანისათვის“, რომლის შემდგენლობა და რედაქცია

რი იყო X ს-ის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი – იოანე მინჩხი (ხაჩიძე 2000, 23). ქართული „მარხვანის“ ამ უძველეს რედაქციაში დიდმარხვის კვირადღეებისთვის განკუთვნილი კანონები ეკუთვნის VIII ს-ში მოღვაწე იერუსალიმის პატრიარქს – ელიას; საგალობელთა ორი ციკლი – სტეფანე საბაწმიდელსა და თეოდორე სტუდიელს, მცირე ფორმის საგალობლები კი – თვით ამ კრებულის შემდგენელს – იოანე მინჩხს (ხაჩიძე 1987, 22-26).

ქართული „მარხვანის“ შემდგომ – ექვთიმე ათონელის რედაქციაში (სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერები) სტეფანეს სამსაგალობლების ეს ციკლი სახელწაუწერლად შესული (ხევსურიანი 1979). მათი გამოვლენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ გიორგი მთაწმიდელის „მარხვანით“, რომელშიც სტეფანეს ყველა ეს საგალობელი ავტორზე მითითებებითაა შესული.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სტეფანე საბაწმიდელის სამსაგალობლების მთელი ციკლი გიორგი მთაწმიდელის “მარხვანში” წინადროინდელ თარგმანთან შედარებით ნასწორებია, ატარებს რედაქციული მუშაობის კვალს. როგორც ჩანს, გიორგის მთლიანად არ აკმაყოფილებს სტეფანეს სამსაგალობელთა წინადროინდელი თარგმანი და, თავისი თანამედროვე ბერძნული “მარხვანების” შესაბამისად, ასწორებს მას.

მოვიტანთ დიდმარხვის I ორშაბათისთვის განკუთვნილ სტეფანე საბაწმიდელის სამსაგალობლის I ოდას სინ. 5 და გეორგ. 5 ხელნაწერების მიხედვით:

სინ. 5. 54რ

გეორგ. 5. 45რ

უბიწოდსა მარხვისა გზასა  
საღმრთოდსა რომელთაცა გვწყვიტ  
სლვად თავი ყოველისა კეთილისა  
მკურვალედ,  
მოვიგოთ ჩუენ სარწმუნოებად  
მტკიცე ქრისტეს ღმრთისა  
ჩუენისად.

უბიწოდსა მის მარხვისა გზასა  
და სტადიონსა სრბად განმზადებულთა  
თავი იგი ყოველთა სათნოებათად –  
მართლმადიდებლობად ღმრთივბრწყინვალე  
მსხუერპლად წმიდად შევწიროთ  
ქრისტესა.

დედოფალნი სათნოებათანი,  
ქრისტეს მოყუარენო, სარწმუნოება,  
სასოებად და წმიდად სიყუარული  
არს

დედოფალნი სათნოებათანი,  
ღმრთისმოყუარენო ერნო, სარწმუნოებად,  
სასოებად და სიყუარულ არს

და სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა  
ჭეშმარიტად მოასწავებენ.

და სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა  
ჭეშმარიტად მოასწავებენ.

დეღვაგუემულნი ვნებათა მათგან  
სოფლისა უმეტესთა დღეთა  
აწ ვითარცა ნავთსაყუდელსა  
მყუდროსა

დეღვაგუემულნი ვნებათა მათგან  
სოფლისა უმეტესთა დღეთა  
წელიწადსათა აწ ვითარცა ნავთსადგურსა  
მყუდროსა

მარხვისა ჟამსა შევიდეთ სულით  
და ჳორციით ღმრთისა შეწირულნი.

მარხვისა ჟამსა შევევდრნეთ  
სულით და ჳორციით ღმრთისა შეწირულნი.

სძალო უბიწო, ღმერთსა  
ევადრე განჳორციელებულსა შენგან,  
რადთა მოგუმადლოს ჟამი მარხვისა  
სიწმიდით

სძალო ყოლად წმიდაო,  
შენგან განკაცებულსა ევედრე,  
რადთა მოგუმადლოს ჟამი მარხვისად



## ლიტერატურა Literature

1. . . . . 1910;
2. ხაჩიძე ლ. იოანე მინჩხის პოეზია. თბილისი, 1987;
3. ხაჩიძე ლ. ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან. თბილისი 2000;
4. ხევსურიანი ლ. ექვთიმე მთაწმიდელის წვლილი მარხვანის შედგენაში, ხელნაწერის სახით;
5. Wellesz E. A History of Byzantine Music and Hymnography. Oxford, 1980.

## რ ე ზ ი უ მ ე

სტეფანე საბაწმიდელის საბალობლები ქართულ „მარხვანებში“

ლელა ხაჩიძე

ლიტურგიკულ – ჰიმნოგრაფიული კრებულების ისტორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული „მარხვანი“ (XI ს), რომელიც ჰიმნოგრაფიის მრავალი ნიმუშის ავტორთა გამოვლენის უნიკალურ საშუალებას იძლევა. მათ შორისაა VIII საუკუნის ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი - სტეფანე საბაწმიდელი. ბერძნულ და სლავურ ხელნაწერებში ეს ავტორი, ფაქტიურად, მხოლოდ სახელითაა ცნობილი.

ქართული ხელნაწერები უნიკალურ მასალას შეიცავს მისი შემოქმედების შესწავლისათვის. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული „მარხვანის“ შესწავლამ ნათელყო, რომ სტეფანე საბაწმიდელს „მარხვანისათვის“ შეუქმნია მთელი ციკლი საგალობლებისა – 26 სამსაგალობელი, 3 ჰიმნოგრაფიული კანონი და რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი. სტეფანე საბაწმიდელის ეს საგალობლები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს.

## SUMMARY

**HYMNS BY STEPHANUS SABBAITES IN GEORGIAN «TRIODIONS»**

**LELA KHACHIDZE**

Georgian “Triodion” – George Athonit’s autograph (XI century) is significant among the liturgical and hymnographical collections. This manuscript makes possible to identify numerous hymns of Byzantine and Georgian hymnography. Among them we can mention Stephanus Sabbaites – the “forgotten” author of Byzantine hymnography (VIII century). According to the Greek and Slavonic manuscripts this author is known, actually, only by name.

Georgian manuscripts consist of unique material about this hymn-writer. According to the “Triodion” by George Athonit Snt. Stephanus has created the cycle of the hymns for the Lent - 26 “Three - Odes”, 3 hymnographical Kanons and some stichera. These hymns represent the best examples of Byzantine hymnography.

« »

“ ”

(XI .)

—

VIII

“

”

— 26

, 3



## უოლტ უიტმენის ესთეტიკური სამყარო კონსტანტინე გამსახურდიას ესეისტიკაში

თათია ბიბანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრი

მანკეტენის შვილის, უოლტ უიტმენის სახელი უცხო იყო XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული ლიტერატურული წრეებისათვის. 1914-1918 წლების შემდეგ მსოფლიო გლოვით დაღლილ კაცობრიობას „ჯანსაღი სული და ჰანგი სჭირდებოდა“. სისხლისაგან დაცლილი ევროპის პესიმიზმი, რადიკალურად განსხვავებული ოპტიმისტური სულით უნდა დაძლეულიყო.

კონსტანტინე გამსახურდია, 1926 წელს, თარგმნის უოლტ უიტმენის ლექსებს და სწორედ ამ პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე ხსნის იმ ინტერესს, რომელიც დასავლეთ ევროპაში, ამ სკანდალური პოეტის მიმართ გამოიჩინა.

ბ-ნ კონსტანტინემ თავისი ნიჭის წყალობით ღვთაებრივად ააუღერა „ამერიკული ლექსი“ ქართულ ენაზე. უიტმენის პოეზიიდან თარგმნა ის ლექსები, რომელნიც მონათესავე აღმოჩნდა მისი პოეტური სულისა და მხატვრული სამყაროსთვის.

უიტმენის გამსახურდიასეული თარგმანი, ჩვენს თანამედროვეობაშიც კი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ქართველი მკითხველი ამერიკელ მწერალს 1921 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის თარგმანით ეცნობა. მწერალი უოლტ უიტმენს „მომავლის პოეტს“ და „სიყვარულის მოციქულს“ უწოდებს. ეს პირველი დუელი იყო – განმარტავს მწერალი – „ქვეყანასა და პიროვნებას შორის, რომელიც სიკვდილით კი არა, სიყვარულით უნდა დამთავრებულიყო“

ვ. კოტეტიშვილის აზრით, უიტმენის პოეზია უფრო მომავალს ეკუთვნოდა. „იქ, სადაც შორს ანათებდა მისი ბიბლიური შუბლი“. თარგმანს დართული ჰქონდა წინასიტყვაობა, სადაც განხილული იყო ამერიკელი პოეტის რამდენიმე ლექსი:

„მას, როგორც სიყვარულის მოციქულს, სილამაზე ყველგან ეჩვენება, უიტმენი უფრო მეტად მომავალს ეკუთვნის, ვიდრე აწმყოს. უიტმენის სიყვარული ძნელია, უფრო ძნელია მისი სიძულვილი“ [1,120].

უიტმენის პოეზიის პირველი თარგმანებით ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა პირველი მცდელობა შეეფასებინათ უიტმენის „მომავლის პოეზია“. კოტეტიშვილმა ქართულ ლიტერატურულ წრეებს წარუდგინა საინტერესო, განსხვავებულად მოაზროვნე, ამბიციური, თავდაჯერებული, თავზეხელადებული ამერიკელი პოეტი. მან სწორად განსჭვრიტა უიტმენის მომავალი. იგი თანამედროვე სამყარომ მიიღო და აღიქვა.

„მე ვარ ღვთაება! – წერდა უიტმენი – როგორც შიგნით, ისე გარეთაც, ყველა წმინდაა რასაც კი მე მივეკარები“ – ასეთი სკანდალური სტრიქონებით დაიპყრო უოლტ უიტმენმა ევროპა და შემდეგ მთელი მსოფლიო.

„Blade of grass” (ბალახის ფოთლები) უიტმენის, ლექსების კრებული – 1855 წელს მოველინა ამერიკას და სწორედ აქედან დაიწყო წიგნის სკანდალური ისტორია.

1926 წელს, კონსტანტინე გამსახურდია, თარგმნის უოლტ უიტმენის ლექსებს. ამერიკის შვილს „ახალი რასის მქადაგებელსა და მოულოდნელობის პოეტს” უწოდებს.

და მაინც, ვინ იყო უოლტ უიტმენი და რატომ დაინტერესდა კონსტანტინე გამსახურდია ამ „თავზე ხელაღებული ამერიკელით”?

უოლტ უიტმენის პოეზიის ესთეტიკით შთაგონებულმა ქართველმა მწერალმა დაწერა ესე „უოლტ უიტმან,” რომლითაც „დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ შობილი „თავისუფალი ადამიანის” სულიერება გაგვაცნო. 35 წლის ბრუკლინელი ასოთამწყობის უიტმენის სახით დაგვანახა XX საუკუნის ამერიკული ნოვატორული პოეზიის ესთეტიკა. უიტმენი ქმნიდა ნაციონალურ პოეზიას, რომელიც ევროპული მიმბაძველობისაგან იყო თავისუფალი.

ამერიკელი ნოვატორის ესთეტიკა და მისი იდეალი – ძლიერი რასის ადამიანი – გამსახურდიას მსოფლმხედვეობას ეხმიანებოდა. XX საუკუნის 20-30 წლების საქართველოში, დემოკრატიის, „თავზეხელაღებული შვილის” იდეებმა აქტუალობა შეიძინა.

უოლტ უიტმენი – რიგითი ბრუკლინელი ამერიკელი – ანტიალკოჰოლურ რომანს, სასტუმროს ბინძურ ნომრებში წერდა. პირველი ლიტერატურული ცდა –კრახით დამთავრდა. იგი არც ელოდა იმ დიდებას, რომელიც XX საუკუნემ მოუტანა. უიტმენი უეცრად მოექცა მსოფლიოს ინტელექტუალური სამყაროს ყურადღების ცენტრში.

უიტმენი, პირველად ვალდო რაჰ ემერსონმა - XIX საუკუნის ცნობილმა ფილოსოფოსმა აღიარა. ეს მოხდა მაშინ, როცა უიტმენის „ბალახის ფოთლებს” უცენზურო სიტყვებით ლანძღავდნენ. წიგნებს უკან უბრუნებდნენ და მოითხოვდნენ, რომ მისი ლექსები კოცონზე დაეწვათ.

XX საუკუნის დასაწყისში უიტმენი რუსულად პირველად კონსტანტინ ბალმონტმა თარგმნა. იმპერიის ცენზურამ ტირაჟი გაანადგურა. კორნეი ჩუკოვსკის „ჩემ უიტმანსაც” იგივე ბედი ეწია. მაიაკოვსკიმ უმაღლესი მიაპყრო ყურადღება მანჰეტენის იდუმალი შვილის სრულიად ახლებურ პოეზიას, რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც „ადიდებულ მდინარეს წააგავდა.”

ყველაფერი კი, როგორც თავად უიტმენი წერდა, უეცრად 1853 წელს დაიწყო. მასში მოხდა უეცარი გარდასახვა და როგორც წინასწარმეტყველი, ისე მოველინა ამერიკას, რომელსაც ამერიკის ყველაზე ნაციონალური წიგნი უნდა დაეწერა. უიტმენის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მან განიცადა სულიერი კრიზისი, რომლის გამოძახილიც იყო მისი პოეზია, ეს მოსაზრება საბოლოოდ მაინც არ არის დადასტურებული. ფაქტია, რომ 1844-1855 წლებში უიტმენის შემოქმედებით ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო.

უოლტ უიტმენმა მიზნად დაისახა, შეექმნა წიგნი, რომელშიც აისახებოდა ამერიკის სინამდვილეც და ილუზიაც. მას სწამდა, რომ ამერიკა თავად იყო პოემა, ჯერ კიდევ დაუწერელი, რომელიც უიტმენს უნდა დაეწერა.

„მე ვარ ახალი, ძლიერი რასის მახარობელი.

ნეტავ თუ არის ამ ქვეყანაზე, სამარდაჟამო...

„იყავ მშვიდობით”?

ჰე, ამხანაგო ჩემი წიგნი,

არ არის წიგნი,

ვინც კი ოდესმე მას შეეხება -  
კაცს შეეხება იგი ყოველთვის” – ვკითხულობთ კ. გამსახურდიას თარგმანში. [2,88]

„ბალახის ფოთლების” პირველი გამოცემა მეტად ორიგინალური დიზაინით გამოირჩეოდა. იგი სულ 800 ეგზემპლარი იყო. არ ჰყავდა რედაქტორი, გამომცემელი, ამიტომ მწერალმა იგი საკუთარი ხელით აკრიფა. ორიგინალურად გაფორმებულ გარეკანზე ეწერა:

„მე ვარ უოლტ უიტმენი, თავზეხელაღებული ამერიკელი და ჩემშია მოქცეული მთელი სამყარო.”

ნიუ-იორკმა არ მიიღო წიგნი – კრიტიკოსებმა, პუბლიცისტებმა, „ბალახის ფოთლები” ვულგარულ, ქედმაღლურ და ბინძურ ნაწარმოებად შეაფასეს. ზოგიერთმა წიგნის აკრძალვაც კი მოსთხოვა ხელისუფლებას. ერთადერთი, ვისაც წიგნის წარმატების სჯეროდა, უოლტ უიტმენი იყო. მისი აზრით, ედგარ პოს, ლონგ ფელოს, ფილოსოფოს - მორალისტის ემერსონის, ფენიმონ კუპერის შემოქმედება ევროპული კულტურისა და ლიტერატურის ზეგავლენას განიცდიდა და მხოლოდ მას შეეძლო შეექმნა ნამდვილი ნაციონალური პოეზია, რომელშიც ამერიკული სული აისახებოდა.

უიტმენის სიცოცხლეში წიგნი ექვსჯერ გამოიცა. იგი მას მთელი ცხოვრება ქმნიდა. „ქება-დიდებას ვასხამ საკუთარ თავს და ვუმღერი საკუთარ თავს” – წერდა პოეტი. მორიგი წარუმატებელი გამოცემის შემდეგ, უოლტ უიტმენმა გადაწყვიტა, თვითრეკლამისათვის მიემართა. ყოველდღიურ ბრუკლინურ „თაიმსში” „Democratic Review”-ში დაიბეჭდა სკანდალური რეცენზიები:

„როგორც იქნა მოვიდა ამერიკის ნამდვილი მომღერალი, გვეყო საცოდავი მიმბაძველობა. დღეიდან ჩვენ ჩვენად ვიქცევით, დღეიდან ვიწყებთ ამაყ და ძლიერ სიტყვიერებას. შენ დროზე მოხვედ პოეტო”. [2,9]

თვითრეკლამამ უარყოფითი შედეგები გამოიღო. ამერიკული ლიტერატურული წრეები უიტმენის სითამამემ განარისხა. სწორედ ასეთ დროს უიტმენი იღებს ფილოსოფოს ემერსონის წერილს.

ვალდო რაჰ ემერსონის ყოველი სტატია, რეცენზია დიდი მოვლენა იყო ამერიკის საზოგადოებისათვის. ემერსონი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ბრმას არ შეეძლო, დაენახა, თუ როგორი უნიკალური შედეგები იყო „ბალახის ფოთლები.” „ბედნიერი ვარ, რომ ვკითხულობ ამ წიგნს, რადგან ჭეშმარიტი პოეზია სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს” – წერდა ემერსონი. [3,20]

უოლტ უიტმენმა, 1856 წელს გამოცემულ „ბალახის ფოთლების” შევსებულ გამოცემას ემერსონის წერილიც დაურთო. ლექსების კრებული ისევ უარყოფითად შეფასდა. 1857 წელს „The London Critic”-მა უიტმენის პოეზია, გესლიანი სიტყვებით შეაფასა.

კნუტ ჰამსუნმა, დიდმა ნორვეგიელმა მწერალმა, უოლტ უიტმენის პოეზიას „ველური სიტყვების სახეიმო თამაში უწოდა”. მისი შეფასებით, უიტმენის თხზულებები ისე ჰგვანან პოეზიას, რამდენადაც გამრავლების ტაბულას და ამ ლექსების წასაკითხად სულ ცოტა ორჯერ მეტი შთაგონება მაინცაა საჭირო, ვიდრე იმისთვის რომ ისინი დაწერილიყო.”

ჰამსუნი მიიხნევა, რომ ემერსონის წერილმა განაპირობა უიტმენის პოეზიის პოპულარობა და მისი პოეზიის წარმატება, თორემ იგი შეუმჩნეველი დარჩებოდა, რადგან „პოეტის ენა მძიმე და ბუნდოვანია.”

ჰამსუნი, უოლტ უიტმენს „ველურს” უწოდებს და უჭირს, უიტმენის პოეზია ლიტერატურის რომელიმე ჟანრს მიაკუთვნოს:

„მანც რა უნდა უოლტ უიტმენს? – კითხულობს იგი, – არავინ იცის, მე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს კაცი, რომელსაც ამდენი ეთქვას ისე, რომ არაფერი იყოს თქმული.” [4, 22-23]

უიტმენის კრიტიკოსები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ „ბალახის ფოთლების” ავტორის სახელი ამერიკის საზღვრებს გასცდებოდა და ამ ქედმაღლური ტონით შექმნილ კრებულს სხვადასხვა ენაზე თარგმნიდნენ.

უიტმენის პოეზია პირველად ინგლისში, კლასიკოს მწერალთა წრეში აღიარეს. უოლტ უიტმენმა შექმნა ახალი ლექსთწყობა და მისი პოეზია დაუკავშირდა ვერლიბრის წარმოშობის ისტორიას.

კონსტანტინე გამსახურდიასთვის, განსაკუთრებული ინტერესის საგანი აღმოჩნდა უიტმენის გამოჩენა პოეზიის სამყაროში. ქართველი მწერალი ამერიკელი შემოქმედის ნოვატორულ პოეტურ ფილოსოფიას ღრმად სწვდება. მისთვის უცხო არ იყო უიტმენის შემოქმედებითი ამბიციურობა, თუ ლექსთწყობის ორიგინალური ფორმები. იგი მწერლობაში ხომ მუდმივი განვითარების, განახლების მომხრე იყო.

კ. გამსახურდია უოლტ უიტმენს „მოულოდნელობის პოეტს” უწოდებს. რომელმაც უარყო კანონიკური პოეტური ფორმები და არასტანდარული მხატვრული სახეებით თავისუფალი ლექსი შექმნა. უოლტ უიტმენი მიიჩნევდა, რომ მისი ლექსი ეს იყო ბუნებრივი, როგორც ამოსუნთქვა. „იგი წერდა ისე, როგორც მის ნიაღვარივით ბუნებას მოეპრიანებოდა.” – აღნიშნავს გამსახურდია.

უიტმენი სიცოცხლის ბოლომდე თავს მანჰეტენის შვილად თვლიდა, რომელმაც ვადაგასული დოგმები უარყო და ამერიკა „ახალი ძლიერი ადამიანის, მზისა და მიწის ყველა სიკეთეს აზიარა.”

გამსახურდიას, უიტმენის ახლებური, ესთეტიკური, ფილოსოფიური პოეტური სტილი მწერლის უმთავრეს ღირებულებად მიაჩნია. უიტმენის პოეზია შინაგანი სტრუქტურით, მსფლომხედველობით, მხატვრული სახეებით, მკვეთრად განსხვავდებოდა XIX საუკუნის პოეზიის სხვა ქმნილებებისაგან. პოეტი ქმნიდა ორიგინალურ მხატვრულ სახეებს, ცდილობდა ეხვეწებინა რაც შეიძლება მრავალფეროვანი ცხოვრებისეული სურათი.

გამსახურდიას აზრით, უიტმენის სასიყვარულო ლირიკაში, ფილოსოფიურ გააზრებასა და ყოველდღიურ ჩანახატებში იგრძნობა „მსოფლიო სივრცე”, რომლის ცენტრში დამოუკიდებელი, ძლიერი და თავისუფალი ადამიანი დგას. შეუძლებელია, აქ არ დავინახოთ კ. გამსახურდიას შემოქმედების ქვაკუთხედიც.

კ. გამსახურდია უოლტ უიტმენს, ახალი, ძლიერი თაობის მახარობლად მიჩნევს. თუ ოსვალდ შპენგლერმა მთელი ქვეყანა ორ ბანაკად დაყო: დიდი ქალაქი და მსოფლიო პროვინცია, უიტმენისათვის უდიდესი ქალაქი არის იქ სადაც დიდი ადამიანი დაიბადება. – მწერალი, უიტმენის პოეზიაში „ადამიტური ძლიერების აპოლოგიას” ხედავს. უიტმენმა ათეული წლებით ნიცშეზე ადრე ამერიკული ჰიმნებით უმღერა ფოლადის თაობას. უიტმენის, მსოფლიო სულითა და ხორციით ძლიერების სამკვიდრებელი იყო. გამსახურდია სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე ხსნის უიტმენის პოეზიის მარადიულობას.

გამსახურდია სიღრმისეულად სწვდება უიტმენის მხატვრულ სამყაროს, პოეტიკას და განმარტავს, რომ უიტმენის პოეზიისთვის უცხო იყო ნოვალისის პესიმიზმი, ბოდლერის ან ვერლენის ნერვული ჰიპოხონდრია. უიტმენი განყენებულად დგას მსოფლიო პოეზიის გენიოსთა შორის. გამსახურდია მას – როგორც ახლი „თაობის მეკვლეს” – საგანგებოდ გამოარჩევს „რჩეულთა პოეზიაში”.

უიტმანი წერდა „მე ღვთაება ვარ, როგორც შიგნით ისე გარეთაც“ და ლექსში „ვით ადამი“ თავს, კაცობრიობის პირველ საწყისს ადამს – ადარებს. კონსტანტინე გამსახურდია, ლექსში ვნებიანი, მსმელი, მჭამელი, ბუნების სასწაულით აღტყინებული ადამიანის მხატვრულ სახეებზე საუბრობს:

„უიტმენი აღტაცებულია ადამიანის სხეულით განმარტავს მწერალი – ასეთი ადამიანებისათვის ქმედობის ქურაში იტანჯებოდა დედამიწა. მათთვის მღერიან ცის მნათობები. ეთერის უსაზღვრო თვალუწვდენელ რეგიონებში. ამნაირი ადამიანის თავი მრავალი სასწაულის შემცველი მანქანაა, იდეებით, აღტაცებით, სიყვარულით, გმირობით სავსე“. [5,385]

ახალი პოეტური აზროვნებითა და განსხვავებული იდეებით აღსავსე პოეტის იღუმალი სული გამსახურდიას მძაფრ ინტერესს იწვევს და მასში სამყაროს სუნთქვას გრძნობს. უიტმენის ლექსს „სამ სამყაროს“ მწერალი შედეგად აღიარებს, ხოლო ხორციელის აპოლოგიას ხედავს შემდეგ პოემებში: „ოცდარვა ახალგაზრდა ბანაობს“, „იცნობდი ერთ კაცს“, „ვხედავ დედაკაცი შიშველი ცურავს“.

კონსტანტინე გამსახურდია, უიტმენის პოეზიაში, მარადიულობის თემას აანალიზებს: სწორედ ამ მარადიულ წრებრუნვაში, სადაც ერთი ათასად იქცევა, და პირიქით, სიკვდილ-სიცოცხლის დრმა მისტერიას ხედავს. ამ კუთხით განიხილავს ლექსებს: „მკითხავდა ბავშვი“, „რაა ბალახი“, „ქალაქი მიცვალებულთა სახლში“, სადაც მარადიულობის იღუმალი მისტერია მაღალმხატვრული პოეტური ენით არის გაცხადებული

კონსტანტინე გამსახურდია უიტმენის მხატვრულ ენას „ძლიერის გრძნობის ვულკანს უწოდებს“, რომელიც ხანდახან მაღალტონიან დითირამბებს უახლოვდება. ესეში განხილულია პოემა „მომეცი ელვარე, ბრწყინვალე მზე“, სადაც პოეტი ისეთივე სიყვარულით უმღერის ქალწულებრივი სილამაზით აღსავსე ბუნებას, როგორც მოუსვენარ ჭუჭყიან მანჰეტენს:

„მომეცით მეტი სანახაობა  
და მანჰატანის ვრცელი ქუჩები,  
ო, ეგ ცხოვრება მრავალგვარი მოუსვენარი  
ეგ არის ჩემთვის.“ [2,85]

უიტმენის პოეზიაში ბუნება და ადამიანი ჰარმონიაში თანაარსობენ, სადაც სამყარო სრულქმნილი და იდეალურია. უიტმენი უმღეროდა სულსა და ხორცს, ომსა და ზავს, მაგრამ უმთავრესი უიტმენის პოეზიაში თავისუფალი, ძლიერი ადამიანის კულტია:

„მე ვარ მირიად ჭაბუკების მახარობელი,  
მათ უნდა ექნათ ტკბილი სისხლი, ძლიერი ნება და სილამაზე;  
მე ვარ ახალი ძლიერი რასის მახარობელი.“ [იქვე, 86]

უიტმენის ლექსი „მშვიდობით,“ კ. გამსახურდიას ერთგვარ რექვიემად აქვს წარმოდგენილი, სადაც პოეტი, არამარტო ერთ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ სრულიად კაცობრიობას მიმართავს. ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარი ადამიანის აღსარება, სადაც სიკვდილი მატერიისგან გაყრად, ერთგვარ გარდასახვად არის აღქმული. ეს ლექსი ავტობიოგრაფიული ხასიათის ელემენტებს ატარებს:

უიტმენის ფენომენალური ხედვები, უცხო და არატრადიციული ლექსთწყობის ფორმებით არის გადმოცემული. გამს

ინტერესს იწვევს, უიტმენის, პოეტური სახეები, ხატოვანი ფორმებით გადმოცემის სტილი. უიტმენის სიტყვის წიაღში იგრძნობოდა დღემდე უხილავი და გაუგონარი ტონალობა, სწრაფვა, რაღაც ახლისკენ, მუდმივი ძიება, რომელსაც შეეძლო დაეპყრო მარადიულობა, არყოფნაში სრული ტრიუმფით გადასვლისას პოეტი ხმამაღლა აცხადებს, რომ „იგი არის ახალი, ძლიერი რასის მახარობელი“.

უიტმენი თანაბარი სიწრფელით უმდეროდა, როგორც სიყვარულს, ისე სიკვდილსაც, სწორედ ამ ჰარმონიულობამ განაპირობა გამსახურდიას აზრით, უიტმენის პოეზიის მარადიულობა. მწერლისთვის, სიკვდილი წინასწარი დათქმული გარსის დასრულებაა, „სულის სხვად ქცევა ყოველი არსის უსაზღვროების მარადუამობის წიაღში დაბრუნება“. [5,388]

ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში უიტმენის პოეზია ჯერაც აუხსნელი უნიკალური მოვლენაა. ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეები მის ლექსებს უთარგმნელს უწოდებენ. პოეტი, რომელიც აცხადებდა: „მე ვარ ღვთაება“! საბოლოოდ მსოფლიომ აღიარა. მისი ლექსი თანამედროვე პოეზიის სამყაროში თვითდამკვიდრების ამბიციით მოვიდა და დარჩა.

მისი მრავალპლანიანი პოეზია თავს უყრის ბიბლიური, ხალხური, ჟარგონული მეტყველების ელემენტებს. ყოველივე მთლიანობაში ერთ ჰარმონიულ, მისტიურ სიმფონიას ქმნის. მის ავტორს აქვს გაუნელებელი მოთხოვნა მოისმინონ მისი პოეზია, ჩასწვდნენ და გაიგონ მისი იდუმალება.

კონსტანტინე გამსახურდიამ შეიგრძნო უიტმენის პოეტური სამყარო, სწორად განჭვრიტა უიტმენის იდეალი – თავისუფალი ადამიანი. უდიდესი სიფრთხილით მოეკიდა ამერიკელი პოეტის შემოქმედების თარგმნას და „თავზეხელაღებული“ ამერიკელის ჰუმანურ და სპეტაკ პოეზიას ღირსეული ადგილი დაუშკვიდრა ჩვენს თანამედროვეობაში.

## ლიტერატურა Literature

1. ვ. კოტეტიშვილი, „უოლტ უიტმანი,“ ტფილისი, სახელმწიო გამომცემლობა, 1921წ.
2. კ. გამსახურდია, „უოლტ უიტმანი,“ ტფილისი, სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1926
3. “ ”, , 1969
4. „არილი“, №6, 2001წ.
5. კ. გამსახურდია, თხზულებათა ანტომეული, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1986წ. ტ. IX

## რ ე ზ ი შ მ ე

### უოლტ უიტმენის ესთეტიკური სამყარო კონსტანტინე გამსახურდიას ესეისტიკაში

#### თათია გიგანი

ნაშრომში განხილულია ამერიკელი პოეტის – უოლტ უიტმენის პოეზია და მისი ესთეტიკური სამყარო. უოლტ უიტმენის სახელი უცხო იყო XX საუკუნის ოციანი წლების ქართველი მკითხველისთვის.

1921 წელს მისი პოეზია პირველად თარგმნა ვახტანგ კოტეტიშვილმა. მოგვიანებით, ამერიკელი პოეტის შემოქმედებით დაინტერესდა კონსტანტინე გამსახურდია. მწერალმა მაღალმხატვრული ოსტატობით თარგმნა უიტმენის პოეზია და 1926 წელს გამოსცა მისი ლექსების კრებული. ასევე მან შესანიშნავი ესე მიუძღვნა ამერიკელ პოეტს, რომელიც შესულია გამსახურდიას თხზულებათა ანტოლოგიაში.

## S U M M A R Y

### ESTHETIC WORLD OF WALT WHITMAN IN KONSTANTINE GAMSAKHURDIA'S ASSAYS

#### TATIA GIGANI

In work the poetry of Walt Whitman and his esthetic world is analyzed. The name of Walt Whitman was not familiar for Georgian reader in twenties of XX century.

The First translation of his poetry made Vaxtang Kotetishvili in 1921. Later in poet's oeuvres has interested Konstantine Gamsakhurdia. In 1926 he published Whitman's poems. He translated in high mastery and dedicated him the wonderful Assay, which is published in ten volumes of writer.

XX

1921

1926-

20-

**ქალის ექსპლუატაციის საკითხი თანამედროვე თურქულ  
საზოგადოებაში თანამედროვე თურქი მწერალი ქალის, პინარ  
ქურის ნაწამოების “ქალი სახრჩობელაზე” მიხედვით**

**მზისა ბუსკივაძე**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
თურქული ფილოლოგიის დოქტორანტი**

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე უძველესი დროიდან დღემდე გრძელდება შეუწელებელი ბრძოლა ქალისა და მამაკაცის ოჯახური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური თანასწორობის დადგენისა და განმტკიცებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებაში ქალს განსხვავებული უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა ჰქონდა. ყოველივე ეს დამოკიდებული იყო კონკრეტული ხალხის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონეზე, რელიგიურ შეხედულებებზე, რწმენა -წარმოდგენასა და სხვა ფაქტორებზე.

თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთ მთვარ პრობლემას ე.წ გენდერის პრობლემა წარმოადგეს, რომლის შესახებ დიად საუბარი მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. მით უფრო საინტერესოა საკითხის კვლევა აღმოსავლურ სამყაროში, სადაც ქალი ისლამის კანონებმა საზოგადოებრივი ასპარეზიდან განდევნა და ბინა ჰარემში დაუდო. თანამედროვე თურქეთში საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია რომ “ქალი გრძელთმიანი და მოკლე ჭკუის არსებაა”, მეორე ნაწილის აზრით, თანამედროვე თურქი ქალი ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები ქალები. თუმცა, სანამ საზოგადოება ამ დასკვნამდე მივიდოდა, ქალისადმი დამოკიდებულების საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. სანამ თურქები ისლამს მიიღებდნენ, ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლებრივი მდგომარეობა ჰქონდათ. არ არსებობდა პოლიგამია, მემკვიდრეობა და მატერიალური ქონება თანაბრად ნაწილდებოდა. ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ვაჭრობაში, მეურნეობაში, ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალი ძლიერი და გავლენიანია. ისლამის მიღებამ თურქულ საზოგადოებაში არაბული და სპარსული ტრადიციების დამკვიდრება გამოიწვია. აქედან ერთ-ერთს კი ქალისა და მამაკაცის უთანასწორობა წარმოადგენდა. სწორედ ამ შეხედულებამ დააკარგინა თურქ ქალს ყველა უფლება რაც კი მანამდე ჰქონდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი თურქი პუბლიცისტის აზრით, ისლამის კანონების არასწორმა გაგებამ გამოიწვია ქალის მეორეხარისხოვან ადამიანად ქცევა. იმპერიალისტურ თურქეთში ქალის სოციალური სტატუსი სრულიად შეიცავალა. მათ ჩადრის გარეშე გარეთ გასვლა აკრძალა, თეატრებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქალებისათვის ცალკე ადგილი იქნა გამოყოფილი. ზოგიერთი მწერლისა და მოაზროვნის აზრით, ოსმალეთის იმპერიის ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მთვარ მიზეზს ქალის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნა წარმოადგენდა. მე-18 საუკუნეში თურქეთში განხორციელებული რეფორმების წყალობით ქალებს საშუალება მიეცათ მიეღოთ განათლება.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვნად აისახებოდა ლიტერატურის ჩამოყალიბებაზე. კონკრეტულად ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ არსებული ლიტერატურული ნაწარმოებები ძალიან



ძირითადად ამ პრობლემის გადაჭრას ისევე ქალი მწერლები ცდილობენ, რომელთა რიცხოვრივი რაოდენობა ძალიან მცირეა. საზოგადოების მიერ მათი მიღება და აღიარება არცთუ ისე მარტივი პროცესია. არსებობენ მწერალი ქალები, რომელთა რეაბილიტაცია ჯერაც არ მომხდარა. მწერალი პინარ ქური პირველია, რომელიც საზოგადოებაში ქალის ექსპლუატაციის საკითხს შეეხო და მის შედეგებზეც გაამახვილა ყურადღება. საკვირველი არ არის, რომ საზოგადოებას არ მოსწონს, როცა მას აშკარა ნაკლზე მიუთითებენ, რადგან მისი გამოსწორების ნაცვლად დავიწყებას უფრო ცდილობს, თუმცა დავიწყებაც დროებითი პროცესია და საკითხმა თავისი აქტუალობით ნებისმიერ დროს შეიძლება იჩინოს თავი. პინარ ქური აღნიშნავს, რომ ნაწარმოები რეალურ ფაქტებს ემყარება და მან კიდევ ერთხელ დააბიჯა ფეხი საზოგადოების ძველ, მაგრამ ჯერაც მოუშუშებელ იარაღს.

ნაწარმოების მთავარი გმირები სიმბოლურად წარმოადგენენ საზოგადოების სახეს. ერთი მხრივ, მთვარი გმირის, მელექის ტრაგედია არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ერთი ადამიანის ტრაგედია, მეორე მხრივ, ნაწარმების მეორე გმირის, იაღინის სახით წარმოდგენილია საზოგადოების ის უმცირესი ნაწილი, რომელმაც კარგად იცის, რომ ერის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება საზოგადოებაში ქალის ადგილის განსაზღვრაა. თუმცა ამ დასკვნამდე მისვლას აუცილებლად ადამიანის სიცოცხლე უნდა შეწირვოდეს.

ნაწარმოების სიუჟეტს სასამართლო პროცესი წარმოადგენს, რომლის წინაშე მელექია წარმდგარი სრულიად უსაფუძვლო ბრალდებით. მას საკუთრი მამობილის, შემდგომში უკვე ქმრის მკვლელობაში სდებენ ბრალს. ჩამოხრჩობასაც ისე მიუსჯიან, რომ მის უნაღმაშაულობაში ყველა დარწმუნებულია.

მწერალი მკვეთრი ფერებით ხატავს დაუცველი, უპატრონი გასაცოდავებული ადამიანის ისტორიას, რომელიც გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი მისი მამობილის ავადმყოფურ და საშინელ სამყაროში ცხოვრობს. მელექი ხშირად გამხდარა მამობილის ექსპლუატაციის მსხვერპლი, ფიზიკური შეურაცხყოფა და სექსუალური ძალადობა მის ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, საბოლოო ჯამში, მამობილმა, რომელიც ძალიან მოხუცია ესეც არ აკმარა და მისი სხეულით ვაჭრობაც დაიწყო.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მოხუცის ამ ამაზრზენ საქციელს საზოგადოება დუმილით ხვდება, დანაშაულის გრძნობას იმით ამართლებენ, რომ არსებობს შეგნება, რომლის მიხედვითაც ოფიციალური ქორწინების დროს მამაკაცი ქალს ისე უნად მოექცეს, როგორც მას სურს. ქალი, თითქოსდა ბუნებით მოკლებული ინტელექტუალურ და რაციონალურ უნარებს, მიჯაჭვულია მგრძნობიარობის სურვილისა და სხეულის არასრულფასოვან სფეროებზე. მოხუც მამობილს მართლაცდა საშინელი საქციელის ჩადენის საშუალებას კი ის საუკუნეების მანძილზე არსებული ტრადიცია აძლევს, რომელიც გარეშე პირთა მორჩილებასა და შინაურების დაჩაგვრაში მდგომარეობდა.

ცნობილია, რომ მუდმივი ექსპლუატაციის ქვეშ მყოფი ადამიანი სულიერ და ფსიქიკურ დეგრადაციას განიცდის. ნაწარმოებში ხაზგასმულია ერთი ფაქტი, მთავარი გმირი მელექი ყოველთვის დუმს, სასამართლოს წინაშეც კი არ ცდილობდა თავის გამართლებას, ხედავს რა მისადმი მთელი საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას. ისმის კითხვა, რატომ არ აღუდგა იგი წინ ამ ამაზრზენ ძალადობას, პასუხი მარტივია. იმიტომ, რომ ისეთ საზოგადოებაში აღიზრდა, სადაც ძალადობა ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია. ასეთ გარემოში საეჭვოა ადამიანს თავისუფალი აზროვნების უნარი

განუვითარდეს. ერის განვითარება კი სრულფასოვან და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებზეა დამოკიდებული.

მწერლის აღნიშვნით, თურქულ ლიტერატურაში და ზოგადად ხელოვნების სხვადასხვა დარგებში სწორედ ამ საკითხს უნდა დაეთმოს სათანადო ყურადღება. ქალისა და მამაკაცის თანსწორობაზე ზედმეტია ლაპარაკი იქამდე, სანამ ქალი, როგორც ადამინი არ იქნება მიღებული საზოგადოებაში.

## ლიტერატურა Literature

1. ნანა გელოვანი, „ქალი ისლამში (XII-XI სს)“, თბილისი 2005;
2. გენდერი კულტურა და თანამედროვეობა, თბილისი 2003;
3. ასმათ ჯაფარიძე, „ქალი და მისი როლი „თანზიმათის“ ხანის თურქეთში“, პერიოდული ჟურნალი „ინტელექტი“, თბილისი. 2006;
4. Pinar Qür „ Asilacak kadın“ evertes yayinlari, Istanbul, 2008;
5. Engın Akkaya, Türk kadının geçirdi i evrimin tarihçesi ve bugünkü durumu, Istanbul. 2008;
6. Gülay Pinar.ss Toplumdaki kadının istismari, stanbul. 2008.

## რეზიუმე

**ქალის ექსპლუატაციის საკითხი თანამედროვე თურქულ საზოგადოებაში  
თანამედროვე თურქი მწერალი ქალის, პინარ ქურის ნაწარმოების  
„ქალი სახლობელაზე“ მიხედვით**

## მზისა ბუსკივამე

სტატიაში - „ქალის ექსპლუატაციის საკითხი თანამედროვე თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე თურქი მწერალი ქალის, პინარ ქურის ნაწარმოების „ქალი სახლობელაზე“ მიხედვით - განხილულია თურქულ სამყაროში ქალისადმი დამოკიდებულების საკითხი და მისი შედეგები. ლიტერატურაში ამ საკითხისადმი დამოკიდებულება არაეთვაროვანია, ძირითადად, პრობლემის გადაჭრას ისევ ქალი მწერლები ცდილობენ, პინარ ქურის ნაწარმოები „ქალი სახლობელაზე“ სწორედ ამ საკითხს ეძღვნება. ნაწარმოების მთავარი გმირები საზოგადოების სიმბოლური სახეებია. ხალხის ის ნაწილი, რომელიც მელექის სიკვდილს ეგუება, მიიჩვენს, რომ ქალი ბუნებით მოკლებულია რაციონალურ და ინტელექტუალურ უნარებს, მიჯაჭვულია მგრძნობიარობის სურვილსა და არასრულფასოვან სფეროს. იაღჩინის სახით წარმოდგენილია საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც კარგად იცის, რომ ერის კულტურის განმსაზღვრელი საზოგადოებაში ქალისთვის ადგილის მიჩნევაა.

მწერალი მიიჩნევს, რომ თურქულ ლიტერატურაში სწორედ ამ საკითხს უნდა დაეთმოს მნიშვნელოვანი ყურადღება. საუბარი ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, უსაგნოა, ვიდრე ქალი არ იქნება მიღებული საზოგადოებაში, როგორც მისი ერთ-ერთ სრულფასოვანი წევრი.

## S U M M A R Y

### **THE PROBLEM OF WOMAN EXPLOITATION IN CONTEMPORARY TURKISH SOCIETY, BY MODERN TURKISH WOMAN-WRITER PINAR KUR'S CREATION «THE WOMAN WHO MUST BE HUNG»**

**MZISA BUSKIVADZE**

In the following article “The problem of woman exploitation in contemporary Turkish society, by modern Turkish woman-writer Pinar Kur’s creation “The woman who must be hung” is represented the problem of attitude towards a woman in Turkish society and its results.

There are quit different points of view about this question. Basically the women-writers are trying to deliberate this matter. Pinar Kur’s working “The woman who must be hung” is dedicated exactly to this problem. The leading heroes symbolically express society. The part of society which accommodates itself to Melek`s death, considers woman to be irrational and unintellectual, who is concentrated only on feelings and imperfect spheres. The author by Ialchin represents those who know that it is very important for nation’s culture to determine the woman’s role and participation in society.

The problem of woman and man equality is very timely and important. As the writer reckons this is the question in Turkish literature which must be taken under consideration and devoted attention.

It is useless to talk about equality, unless the woman is received as a human in society.

«

»

- . A

**ზეპირსიტყვიერების სწავლების სათავეებთან  
(ლ. ბოცვაძის 1919 წლის „ღრობითი პროგრამა“)**

**ქეთევან ბარბაქაძე**

**პედაგოგიკურ მენეჯერებათა დოქტორი, ბორის უნივერსიტეტი**

ხალხური ნაწარმოებების ქართველ მოწაფეთათვის მიწოდების პირველი ცდა ან. წიწვიანიძეს სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც 1842 წ. რუსულიდან გადმოიღო „სასიამოვნო წალკოტი ყრმათათვის, ანუ კრება სასიამოვნო და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და ადვილისა ზნეობითისა სწავლითა“. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კრებული ქართული ფოლკლორის მასალებს არ შეიცავდა.

დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ პირველ ქრესტომათიაში (1846 წ.), დამწერლობით ნიმუშებთან ერთად შესულია მხოლოდ ანდაზები და სიტყვის მასალა. პირველი კრებული რომელშიც ხალხური შემოქმედების ნიმუშები გადაუმუშავებული სახით შეუტანიათ, იყო ივ. კერესელიძის „ანბანი ახალ მოსწავლე ყრმათათვის“ (1856), სადაც ავტორს ცნობილი იგავების გვერდით თქმულებებიც მოუთავსებია. სწორედ აქ უნდა ჩაყრდნა საფუძველი ზეპირსიტყვიერ ნიმუშთა შეტანას ლიტერატურის სახელმძღვანელოებში.

ზემოხსენებული სახელმძღვანელოები, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მიზნად ისახავდნენ მოზარდებში სასწავლო ინტერესების გაღვივებასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც კარგად ჩანს მოზარდთათვის გათვალისწინებულ დავალებებშიც: სახაფხულო არდადეგებზე მშობლიური კუთხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზი გაესვას ერთ გარემოებასაც: ძველ სახელმძღვანელოებში სიტყვიერების ცნების ქვეშ მოიაზრებოდა როგორც ზეპირსიტყვიერება, ასევე მხატვრული ლიტერატურა (ანუ ხელოვნური სიტყვა).

XIX საუკუნის II ნახევრის სასწავლო პროგრამების განხილვით დადგინდა, რომ, სამწუხაროდ, თავდაპირველად ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა სწავლება მათში არ ყოფილა გათვალისწინებული (მხედველობაში გვაქვს პროგრამა „ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის მოსამზადებელ კლასებისა“, 1896წ. და სანიმუშო პროგრამები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლებისა“ 1910 წ.), თუმცა, 1919 წლიდან კი ხალხური შემოქმედების შესწავლა უკვე პროგრამითაა სავალდებულოდ მიჩნეული.

არსებული პროგრამებიდან პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური სიახლეების თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, საინტერესოა პირველდაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, რომლებსაც ლ. ბოცვაძის ზოგადი ახსნა-განმარტება დაერთვის. ავტორის აზრით, დასაწყისი სკოლის მიზანს წარმოადგენს თვითგანვითარება. „მოწაფეს (უნდა-ქ.ბ.) შეეძლოს შემდეგში თვითგანვითარებით, თავისთავად უფრო მეტი საჭირო ცოდნა შეიძინოს“ [1: 3].

იაკობ გოგებაშვილის იდეების გამგრძელებელი სწავლებაში მოწაფეთა ინიციატივას აუცილებლად თვლის: „ყოველ ცოდნას მხოლოდ მაშინ ექნება სიმკვიდრე და ღირებულება, როცა იგი მოწაფის საკუთარი დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფია... ამიტომაც, - განაგრძობს ავტორი, - ახლანდელი სწავლების მეთოდებიც ისეთი უნდა იყოს, რომლის დროსაც მოწაფე შეძობილია

დაგვარად, ხშირად შესასწავლ მოვლენათა მკვლევარი და მაძიებელია, ამასთან შექმნებაც უნდა ჰქონდეს, რომ მოწაფემ ხშირად გამოიჩინოს საკუთარი შემოქმედებითი მუშაობა, თავისი ინიციატივა” [1: 4].

უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ბოცვაძის შეხედულებები განათლების თანამედროვე რეფორმასთან საოცარ ახლოს დგას. „დღევანდელი ჩვენებური სკოლა საერთოდ და სახალხო კერძოდ, თანახმად საპედაგოგიკო მეცნიერებისა, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მაგალითების მიხედვით, რაკი განათლებულ ქვეყნებთან დაახლოვებას ვცდილობთ, ძირითადად რეფორმებს თხოულობს (ხაზი ჩვენია – ქ.ბ.). და ამ მოსაზრებით ვცდილობდით, შექმნებისა დაგვარად, საღი პედაგოგიური პრინციპები გაგვეტარებინა წარმოდგენილს პროგრამებში”[1:5]. როგორც ჩანს, განათლების რეფორმათა ცვლილება არც ჩვენი წინაპრებისათვის ყოფილა უცხო.

პროგრამაში საზგასმულია მოწაფეთა დამოუკიდებელი მუშაობის აუცილებლობაც. „სკოლამ მოწაფეს სწავლის ხალისი უნდა აღუძრას, შეაჩვიოს, რომ დამოუკიდებლად თავისთავად მოიკლას სწავლის წყურვილი და არ მიიღოს მხოლოდ მზამზარეულად შემუშავებული ცოდნა, რაც დღემდის სწარმოებდა სკოლაში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მხოლოდ დახმარებას უწევს მოწაფეს მის მიერ სწავლის შექენაში. მთავარი მოქმედი პირი მოწაფეა და არა მასწავლებელი (ხაზი ჩვენია-ქ.ბ) ყოველთვის და მუდამ ბავშვები კი არ უსმენენ მასწავლებელს, არამედ ხშირად მოწაფეებიც თავიანთ აზრს იმის შესახებ, რაც თავისთავად გაუგიათ და შეუნიშნავთ, უზიარებენ მასწავლებელს, რომელიც ბავშვების გულისყურს სასურველს მიმართულებას აძლევს და ხელს უწყობს, რომ მოწაფეები უკანასკნელ დასკვნამდე თავისთავად მივიდნენ. თუ ძველი პედაგოგიკა...თხოულობდა მოწაფეს მხოლოდ ყური ეგდო მასწავლებლისათვის...დღევანდელი პედაგოგიკა თხოულობს მოწაფეთაგან ყურის გდებას, დაკვირვებას და მოქმედებას, დამოუკიდებელ მუშაობას” [1: 7-8]. (ხაზი ჩვენია-ქ.ბ).

ქართული ენის სწავლების გაკვეთილის სქემა ცნობილ პედაგოგს შემდეგნაირად წარმოუდგენია: „მასწავლებელი, ცოცხალი საუბრის საშუალებით, გაიცნობს მოსწავლეებს, მათ განვითარებას, ნიჭს და სიტყვის მასალას, რაც ოჯახიდან სკოლაში მოუტანიათ”[1:17-18]. ამრიგად, ლ. ბოცვაძის აზრით, პირველი წინასწარი საუბარი უნდა შეიცავდეს ბავშვებისათვის მახლობელ და საყვარელ ამბებს. ცხადია აქ მოიაზრება ზეპირსიტყვიერი მასალებიც: ზღაპრებიც, ენის გასატეხი, გამოცანები, საბავშვო ლექსები და სხვ რომლებიც პატარას სკოლაში მისვლამდე ექნება გაგონილი, ან გაცნობილი.

„პირველი წინასწარი საუბარი, - დასძენს ავტორი, - უნდა შეიცავდეს უფრო მახლობელსა და ბავშვებისათვის სახალისო, საყვარელ საგნებს: მაგ, სურათებს ბავშვების ცხოვრებიდან, ...პატარ-პატარა ამბებს, ზღაპრებს, მასწავლებლის მიერ კლასში წაკითხულს და ან მოწაფის მიერ მოთხრობილს ამბებს” [1:17-18].

პროგრამაში გათვალისწინებულია „შეგნებით კითხვა შესაფერი მოთხრობებისა, ზღაპრებისა, ლექსებისა და იგავ-არაკებისა”[1:17-18]. ბუნებრივია, აქ უნდა ვიგულისხმოთ, ტექსტის გააზრებულ, საფუძვლიანი კითხვა. პროგრამა ითვალისწინებს იმასაც, რომ ბავშვს უნდა შეეძლოს წაკითხული შინაარსის თავისი სიტყვებით გადმოცემა. „საჭირო ახსნა-განმარტების შემდეგ ზეპირად შესწავლა საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკებისა სახელმძღვანელო წიგნიდან. ცოდნა შესაფერ მოთხრობებისა და ხალხური ზღაპრების შინაარსისა”[1:19-20].

სწავლების მესამე წელს ავტორი ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეებში განავითაროს შესასწავლი მასალის მოკლე შინაარსის დამოუკიდებლად დამუშავების უნარ-ჩვევები. „წაკითხულ მასალის მოკლე შინაარსის დამოუკიდებლად და კითხვების საშუალებით წერა. საგნებისა და სურათების უფრო ვრცლად აღწერა. საუბრების და ზოგიერთი შესწავლილი იგავ-არაკების მოკლე შინაარსის წერა“. აი, ის მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, რომლებითაც ლ. ბოცვაძე მოსწავლეთა დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების განვითარებას გარაუდობდა.

ავტორს პროგრამის დახვეწა სამომავლოდ გადაუდია: „დრო და გამოცდილება ბევრ რასმე დაგვანახებს და მომავალში ამ პროგრამაშიც სასურველი შესწორება მოხდება“[1:17]. ეს გამართლებულიც იყო.

1) ამრიგად, ლუარსაბ ბოცვაძე 90 წლის წინ გამოსხაურებია ევროპისა და ამერიკის სკოლებში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უპირველეს მონაწილეობის იდეას და მოითხოვს, რომ მოწაფეები სასწავლო პროცესში აქტიურ როლს თამაშობდნენ.

2) ეს მოთხოვნა გასული საუკუნის ათიანი წლების ბოლოსათვის უადრესად ნოვატორული იყო. მართალია, იგი იმ დროისათვის სისტემად არ გადაქცეულა, მაგრამ ნოვატორმა პედაგოგებმა ეს იდეები გარკვეულად გაიზიარეს. სწორედ ამ თვალსაზრისითაა იგი ჩვენთვის საყურადღებო.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში „სკოლებს უნდა ემუშავათ რუსეთის განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით“[2: 256].

შემდგომ წლებში ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებთა სწავლებას უკვე ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. „ქართული ენა, როგორც სასწავლო საგანი, - შენიშნულია 1921 წლის სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამაში, - ეროვნულ სკოლაში გულისხმობს ერთი მხრით თვით მშობლიური ენის შესწავლას და მეორე მხრით იმ ხალხურ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცნობას, რომლებშიაც მხატვრულად გადმოცემულია ხალხის მასისა და განათლებული საზოგადოების სულიერი ცხოვრება“[3: 6].

## ლიტერატურა Literature

1. ლ. ბოცვაძე, პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები”, ტფ., 1919.
2. ნ. ვასაძე, პედაგოგიკის ისტორია, თბ., 2004.
3. სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმის პროგრამა, თბ., 1921,

რ ე ზ ი უ მ ე

ზეპირსიტყვიერების სწავლების სათავეებთან  
(ლ. ბოცვაძის 1919 წლის „დროებითი პროგრამა“)

ქეთევან ბარბაქაძე

ხალხური ნაწარმოების ქართველ მოწაფეთათვის მიწოდების პირველი ცდა ან. წიწვიანიძის სახელს უკავშირდება.

1919 წლიდან ხალხური შემოქმედების შესწავლა უკვე პროგრამით სავალდებულოდ იქნა მიხნეული.

ცნობილი პედაგოგი ლ. ბოცვაძე პირველ დაწყებით სახალხო სკოლის დროებით პროგრამებში შენიშნავს ზეპირსიტყვიერების სწავლების აუცილებლობას და იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს მისი შესწავლისათვის.

მისი ნოვატორული იდეები დღესაც საოცარ სიახლოვეს იწენს განათლების რეფორმასთან.

S U M M A R Y

THE BEGINNINGS OF THE TEACHING FOLK-LORE.  
(„TEMPORAL PROGRAMM” OF L. BOTCVADZE 1919)

KETEVAN BARBAKADZE

The first steps of the teaching of folk at schools belonged to A. Tsitsvianidze.

From 1919 this teaching was already considered as a compulsory.

The famous teacher of the first school L. Botcvadze reproves the inevitability of folklore in his temporal programm of teaching and gives some recomandations about it. Even nowadays his ideas are very close to the educational system of reforms.

(„ ” . 1919 .)

1919

**ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედების ბანხილვის წამყვანი  
ტენდენციები და თანამედროვე ასპექტი**

**ვიოლეტა ავეტისიანი**

**ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ფილოლოგიის  
ფაკულტეტის დოქტორანტი**

XX საუკუნეში, მიმდინარე პირველი და მეორე მსოფლიო ომების შუალედურ პერიოდში, ჩამოყალიბდა უნიკალური ფენომენი – რუსული ემიგრაცია. იძულებით ემიგრირებული ადამიანებისათვის საზღვარგარეთი გახდა საკუთარი სახლი. მაგრამ სულიერი სიმდიდრე რუსული კულტურის სახით, რაც მათ თან წაიღეს სამშობლოდან ღრმა ფესვებით იყო ჩამოჯდარი მათში და ცდილობდნენ მის შენარჩუნებას ისტორიული რეალობის მიუხედავად. თუმცა იმ ქვეყნის კულტურა უნდა გაეზიარათ, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. ამგვარად აღმოჩნდა რუსული კულტურა უშუალო შეხებაში ევროპის და ამერიკის კულტურულ პროცესებთან. სხვადასხვა კულტურის შეხებამ სათანადო ადგილი ჰპოვა ლიტერატურაში. ამის მაგალითია ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედება.

ვლადიმირ ნაბოკოვი დაიბადა 1899 წლის 22 აპრილს სანქტ-პეტერბურგში რუსეთის ცნობილი პოლიტიკოსის ვლადიმირ დიმიტრის ძე ნაბოკოვის არისტოკრატიულ ოჯახში.

რევოლუციის შემდეგ ნაბოკოვები ყირიმში აღმოჩნდნენ, შემდეგ, 1919 წლიდან მომავალი მწერლისათვის დაიწყო ემიგრაციის ხანა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

20-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა ნაბოკოვი ბერლინში რუსეთის დიასპორის ნაწილი ხდება. ბერლინში რუსი ემიგრანტების ჩამოყალიბებულ გაზეთებსა და გამომცემლობებში იბეჭდება ნაბოკოვის მოთხრობები. სირინის ფსევდონიმით ვ. ნაბოკოვი ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს თავის ლექსებს, კეროლის წიგნის “ალისა საოცრებათა ქვეყანაში” თარგმანს, ხოლო შემდეგ რომანებსაც, რომლებიც იწვევს რუსული კრიტიკისა და თანამოკალმეთა გააფთრებულ კამათს.

ნაბოკოვმა თავისი რომანების ციკლი გახსნა წიგნით “მაშენკა” (“...”, 1926). იგი წლიდან წლამდე სრულყოფს თავის პროზას (მისდევს გოგოლის, პრუსტისა და ჯოისის ტრადიციებს) და სრულ ოსტატობას აღწევს ნაწარმოებებში “გმირობა” (“...”, 1932), “მიპატიჟება სიკვდილით დასჯაზე” (“...”, 1938), და სხვა რომანებში. ნაბოკოვის რომანები, რომლებიც საბჭოთა რუსეთში არ იბეჭდებოდა, წარმატებით სარგებლობდა დასავლეთის ემიგრაციაში.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანიაში ცხოვრება საშიში ხდება ნაბოკოვისა და მისი ოჯახისათვის, და მწერალი მიემგზავრება ჯერ საფრანგეთში (1937 წელს), ხოლო შემდეგ, 1940 წელს, აშშ-ში.

ამერიკაში ცხოვრების პირველ წლებში მწერალი ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიდის და თავს ირჩენს შემთხვევითი სამუშაოთი, მაგრამ მოთმინებით და მიზანმიმართულად აშენებს თავის “ამერიკულ



სახლს”, იქნეს სასარგებლო ნაცნობობას “ნიუ-იორკერში” და სხვა პრესტიჟულ ჟურნალებში.

მოგვიანებით ნაბოკოვი ასწავლის უნივერსიტეტში და ბევრს წერს; მისი წიგნი “სხვა ნაპირები” (“ ”) შეუმჩნეველი არ რჩება, მაგრამ მხოლოდ ცენზურის გამო რომან “ლოლიტას” (“ ”, 1955) გარშემო ატეხილი სკანდალი საკვირველად აქცევს ვ. ნაბოკოვს მსოფლიო სახელის მქონე მწერლად. 1964 წელს ნაბოკოვი გამოსცემს “ევგენი ონეგინის” მისეულ თარგმანს ინგლისურ ენაზე და დაურთავს ვრცელ კომენტარებს, 1969 წელს კი ბეჭდავს რომანს “ადა” (“ ”), რომელსაც უდიდესი წარმატება ერგო.

ნაბოკოვი გადაწყვეტს რევოლუციის შემდგომ რუსეთის ფარგლებს გარეთ ჩამოყალიბებული ნიჭიერი რუსი მწერლიდან გარდაიქმნას ამერიკელ მწერლად. თავის პირველ რომანს ინგლისურ ენაზე (“სებასტიან ნაიტის ნამდვილი ცხოვრება”) ნაბოკოვი წერს ჯერ კიდევ ევროპაში, აშშ-ში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე. 1937 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ნაბოკოვს რუსულ ენაზე არ დაუწერია არცერთი რომანი (თუ არ ჩავთვლით ავტობიოგრაფიას “სხვა ნაპირები” და “ლოლიტას” ავტორისეულ თარგმანს რუსულ ენაზე). ეს მარტო ენის გადაგვარება კი არა, არამედ მწერლური შეგნების გადაგვარებაც იყო. აი რას ამბობდა ვ. ნაბოკოვი საკუთარ თავზე: *“მე ვარ რუსეთში დაბადებული ამერიკელი მწერალი, განათლება მივიღე ინგლისში, სადაც ვსწავლობდი ინგლისურ ლიტერატურას მანამ, სანამ თხუთმეტი წლით გადავსახლდებოდი გერმანიაში... ჩემი თავი ლაპარაკობს ინგლისურად, ჩემი გული - რუსულად, და ჩემი ყური - ფრანგულად”* [1].\*

თავისი შემოქმედებით ნაბოკოვმა შექმნა საკუთარი სამყარო. ვლადიმერ ნაბოკოვის სამყაროს სურათი მისი შემადგენელი სახეებისა და სქემების თვალსაზრისით უნიკალურია, რადგან აერთიანებს რუსეთის, ევროპისა და აშშ-ს ენისა და კულტურის სფეროებს, და ეს განსაკუთრებულ გამოხატულებას ჰპოვებს მისი ნაწარმოებების მხატვრულ სამყაროში და კომპოზიციის აგებაში. სამი კულტურის შეერთება სამყაროს სურათში ავტორს საშუალებას აძლევს გარედან კრიტიკულად შეხედოს ყოველ ცალკეულ კულტურას. მაგალითად, რუსული და ამერიკული კულტურა შეიძლება განიხილებოდეს ევროპული კულტურის პოზიციებიდან და პირიქით. ცალკეული კულტურის მოვლენების გარეგნული შეფასება ხდება ავტორისეული ფასეულობების ინდივიდუალური სისტემის შესაბამისად. ამ მიზეზით ნაბოკოვი კულტურების ურთიერთქმედების პროცესს თავისი მხატვრული ნაწარმოებების ძირითად თემად აქცევს. თანაც აქ კულტურებსა და ენებს შორის ურთიერთქმედების ხერხები, ელემენტები და კავშირები მსგავსებით გადადის ნაწარმოებთა მხატვრულ სამყაროში და განაპირობებს ავტორის სტილს. მწერალი ქმნის ნაწარმოებებს, რომლებიც აგებულებით იმეორებენ ინდივიდის სამყაროს კულტურული სურათის მოდელს მისი მუდმივი ელემენტებითა და კავშირებით.

ნაბოკოვის ნაწარმოებებში ხდება შეხება სხვადასხვა ასპექტებთან, რაც უდიდეს ინტერესს იწვევს. მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში ვ. ნაბოკოვს არ აკლდა კრიტიკოსების ყურადღება. ამ ყურადღების ყველაზე ადრეულ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ნაბოკოვის ლექსების პირველი კრებულის განქიქება, რაც მოაწყო ვლადიმერ

\* თარგმანი ავტორისაა

გიპიუსმა ლიტერატურის გაკვეთილზე ტენიშევსკის სასწავლებელში 1916 წელს. ეს ამბავი გახდა ნაბოკოვისა და მისი კრიტიკოსების ურთიერთობის ათეულის წერტილი. ისინი არასდროს არ აკლდა, და მათი აზრი ნაბოკოვის შემოქმედებაზე იცვლებოდა მწერლის ნიჭის მომწიფებასთან ერთად. თუ როგორ ხდებოდა ეს, ნათლად ჩანს გამოცემაში:

(... , 2000), სადაც თავმოყრილია ნაბოკოვის ნაწარმოებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხმაურებები მისი სიცოცხლის განმავლობაში. აქ არის რუსულ პერიოდის შესახებ ემიგრანტი კრიტიკოსების გამოხმაურებებიც და უცხოელებისაც – ძირითადად ინგლისურენოვან ნაწარმოებებზე. აღქმის ევოლუცია ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია, რაზეც მიუთითებს წინასიტყვაობაში შემდგენი ბ. მელნიკოვი: “... ვ. ნაბოკოვის ლიტერატურული რეპუტაციის ევოლუცია შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი პარალელურად განშლადი სპირალის სახით... სპირალის პირველი ხვია (1922-1929 წწ. სირინისათვის და 1940-1955 წწ. ნაბოკოვისათვის) ხასიათდება არც ისე ხშირი, მაგრამ უმეტესად კეთილგანწყობილი გამოხმაურებებით; მწერალი დიდი ჯაფის ფასად ეძიებს საკუთარ თავს და მუდამ აღწევს ავტორიტეტული კრიტიკოსების აღიარებას, ოღონდ მას იცნობენ ლიტერატურული გურმანების შედარებით ვიწრო წრეში. მეორე ხვია (1929-37 წწ. და, შესაბამისად, 1955-1960 წწ.) იშლება რომანის დიდი წარმატებით, რაც ხდება წლის მთავარი მოვლენა, ავტორი იქცევა ლიტერატურული ელიტისა და მკითხველის ფართო აუდიტორიის ყურადღებას...; “ლუკინის დაცვა” “რუსულ” პერიოდში, “ლოლიტა” “ამერიკულ” პერიოდში სახელს უთქვამს ნაბოკოვს და “პირველი რივის” მწერლად აქცევს მას. აქედან დაწყებული მისი ყოველი ნაწარმოები ექცევა კრიტიკოსებისა და მკითხველის მძაფრი ყურადღების ცენტრში. იგი ხდება ავტორი, რომელსაც ბევრს ბეჭდავენ და კითხულობენ, ლიტერატურული მტრებიც კი იძულებულნი არიან გაუწიონ მას ანგარიში, მისი შემოქმედება საქვეყნოდ აღიარებული ხდება. სპირალის მესამე ხვია (1937-1940; 1969-1977) თავისებური “პატრიარქის შემოდგომაა”. მწერლის რეპუტაცია წინანდებურადვე მაღალია – იგი პრესტიჟული ჟურნალებისა და გამომცემლობების სასურველი სტუმარია, მაგრამ მიზეზთა გამო შეიმჩნევა ინტერესის განელება კრიტიკოსებისა და მკითხველების მხრიდან. მწერლის “მთავარი” ნაწარმოებები აღარ იწვევს ძველებურ აღტაცებულ გამოძახილს, ლიტერატურულ მოკავშირეებსა და თაყვანისმცემლებს შორის სუფევს დაბნეულობა და გაურკვეველობა, ხოლო ზოგიერთი უერთდება მტრული მხარის წარმომადგენლებს და მწერალს უძღვნის გამანადგურებელ რეცენზიებს” [2].\*

ამ სირთულეების მიუხედავად კრიტიკოსებშიც მოინახა ყურადღებიანი და დაფიქრებული მკითხველი, რომელთა სტატიები გახდა ნაბოკოვის შემოქმედების შემდგომი შესწავლის ორიენტირი. ეს კრიტიკოსებია ვ. ხოდასევიჩი, ვ. ვეიდლე, პ. ბიცილი, უცხოელთაგან - მერი მაკარტნი. მისი სტატია “მეხი მოწმენდილ ცაზე” გახდა ნაბოკოვის რომანის “მკრთალი ცეცხლის” უცვლელი თანამგზავრი.

ნაბოკოვის შემოქმედებამ ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში, და შემდგომ ეს ყურადღება სულ უფრო

\* თარგმანი ავტორისაა

იზრდებოდა. ამას მოწმობს, მაგალითად, ნაბოკოვისადმი მიძღვნილი ორი სპეციალიზებული პერიოდული გამოცემა – “The Nabokovian” და “Nabokov Studies”, რომლებიც გამოდიოდა აშშ-ში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. უცხოური ნაბოკოვიანა ვეება ოკეანეა, რომელთა კონტურები მოხაზულია ბიბლიოგრაფიებში – Schuman Samuel. *Vladimir Nabokov: A Reference Guide*. (Boston: G.K. Hall, 1979); Juliar M. *Vladimir Nabokov: A Descriptive Bibliography*. (N.Y.: Garland, 1986), *Bibliography // The Garland Companion to Vladimir Nabokov* / Ed. E. Alexandrov. (N.Y. and Lnd.: Garland, 1995). ნაბოკოვის უცხოეთში კვლევის თემები, პრობლემები, მიმართულებები უსაზღვროდ მრავალფეროვანია. იმ ათწლეულების განმავლობაში, როცა ნაბოკოვის სახელი რუსეთში აკრძალული იყო, დასავლეთის ნაბოკოვმცოდნეობა ძალზე წინ წავიდა.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ნაბოკოვმცოდნეობამ განვლო რამდენიმე საფეხური: აღორძინება თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შესვენების შემდეგ – 80-იანი წლების ბოლოს – 90-იანი წლების დასაწყისში (ნ. ანასტასიევის, ლ. ანინსკის, ა. ბიტოვის, ო. დარკის, ა. დოლინინის, ვ. ეროფეევის, ვ. კურიცინის, ო. მიხაილოვის, ა. მულიარჩიკის, დ. ურნოვის სტატიები), თავისებური ბუმი, დაკავშირებული მწერლის ასი წლის იუბილის ზეიმთან 1998-2001 წლებში (ვ. ალექსანდროვის, ჟ. ბლოს, ნ. ბუქსის, ა. ლუქსემბურგის, გ. რახიმეულოვას, ლ. რიაგუზოვას, გ. ხასინის, დ. შრაერის, მ. შულმანის მონოგრაფიები) და შედარებითი დაცემა ბოლო ორი წლის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს სიტყვა “შედარებითი”, რადგან ნაადრევი იმის თქმა, რომ ნაბოკოვის შემოქმედება საკმარისადაა შესწავლილი და ამიტომ არც ისე საინტერესოა ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

ვ. ნაბოკოვი დღეს აქტუალური და საინტერესოა არა მარტო მკვლევართათვის, არამედ მწერლებისთვისაც. ეს უფრო იმასთანაა დაკავშირებული, რომ თანამედროვე ლიტერატურაში იმაზე წარმოიშვა მოთხოვნა, რაც XX საუკუნის დასაწყისში ზედმეტად ნოვატორული ჩანდა.

ვ. ნაბოკოვის ყველაზე პირველი ბიოგრაფია – Field, Andrew: *Nabokov: His Life in Art*. (Boston, MA: Little, Brown and Co., 1967). რუსეთში გამოქვეყნებულია ბიოგრაფიული გამოკვლევა (ყველაზე ავტორიტეტული მსოფლიოში), რომლის ავტორია ახალზელანდიელი ბრაიან ბოიდი:

... ( ... ”, “ ... ”, 2001), და მეორე ნაწილი – ... ( ... ”, “ ... ”, 2004). ბოიდის ფუნდამენტური გამოკვლევების გარდა რუსეთში ბელეტრისტული სახით გამოიცა ნაბოკოვის ბიოგრაფია: ... (2000), აგრეთვე მწერლის მეუღლის ვ. ე. ნაბოკოვას ბიოგრაფია: ... ( ... ): ( ... .., 2002). მისი მონაწილეობა ნაბოკოვის ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ ზოგი მას მწერლის ნაწარმოებთა თანაავტორად თვლის.

არა ბიოგრაფიულ, არამედ უკვე წმინდა ლიტერატურისმცოდნეობით ნამუშევრებს შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს გამომცემლობა “ ... ” დამაარსებლის კარლ პროფერის წიგნი – ... ”. (2000). ჯერ კიდევ 1968 წელს (ე. ი. ნაბოკოვის სიცოცხლეში) შექმნილი ეს ნამუშევარი იწვებს საინტერესო ნადირობას ნაბოკოვის ყველაზე სახელგანთქმული რომანის ალუზიებზე და გამოცანებზე.

ალექსანდროვის მონოგრაფია – ... (“ ... ”, 1999) არის

მეტაფიზიკის თვალსაზრისით ნაბოკოვის შემოქმედების ღრმად გაანალიზების მაგალითი. იგი მწერლის რომანებში იკვლევს მიღმიერების თემას. ამ გამოკვლევამ დამაჯერებლად უარყო გაგრძელებული სტერეოტიპი, რომ ნაბოკოვისათვის უცხოა სერიოზული ფილოსოფიური საკითხები და რომ მისი შემოქმედება მხოლოდ მეტალიტერატურული თამაშია.

ნაბოკოვის რუსული რომანების მეტად თავისებურ წაკითხვას წარმოადგენს ნაშრომი:

... ( ... , 1998).  
ნაბოკოვის შემოქმედების სრულიად სხვადასხვა ასპექტები და პრობლემებია განხილული წიგნში: ... (2000): დაწყებული ნაშრომით “ ... ” და დამთავრებული ნაშრომით “ ... ”.

წიგნი: ... (2001) ეძღვნება ნაბოკოვის “ეროტიკული დიალოგის” ძველი აღქმის ქვეტექსტებს.

საბჭოთა კავშირში გამოსული და ნაბოკოვისადმი მიძღვნილი ყველაზე პირველი წიგნია: ... ; ... ( ... , 1991). მასში შერწყმულია ნაბოკოვის პირადად მცოდნე ავტორის მემუარები, და ნაბოკოვის შემოქმედების ზოგიერთი პრობლემის ანალიზური მიმოხილვები.

პირველი წმინდა ლიტერატურისმცოდნეობითი გამოკვლევა არის წიგნი: ... ( ... , 1992). გამოვიდა მისი ახალი გადამუშავებული გამოცემა – ... ( ... : - , 2002). წიგნში არის მცდელობა გააზრებულ იქნას მწერლის მთელი შემოქმედებითი გზა, გამოიყოს მის შემოქმედებაში რაღაც აზრობრივი დომინანტები.

ქრონოლოგიით შემდეგი წიგნია: ... “ - ” – (1994), რომელშიც ნაბოკოვის შემოქმედება არის “პოლიგონი”, სადაც ავტორი სცდის რუსეთისათვის მაშინ ჯერ კიდევ ნოვატორულ მეთოდებს ტექსტის დეკონსტრუქციისტული კვლევისათვის.

ნაბოკოვის პირველი და, ალბათ, საუკეთესო რუსული ბიოგრაფიაა წიგნი: ... “ - ” “ - ”, 1995). ამის შემდეგ მწერლის ცხოვრების აღწერა შეადგინა ა. ზვერევა ( ... , 2001 ( ... ; ... : 812).

ნაბოკოვის რუსული აღქმის პროცესის ბიბლიოგრაფიული გააზრების პირველი ცდა არის წიგნი: ... ( ... , 1995).

ლინგვისტიკის მხრივ ნაბოკოვისეული ტექსტების მჩქეფარე პოეტიკის შესწავლას ეძღვნება წიგნი: ... ( ... / , 1996).

ნაბოკოვმცოდნეობისათვის განსაკუთრებული “სიუხვით” გამოირჩეოდა 1997 წელი, როცა გამოვიდა პირველი ტომი კრებულის: ... Pro et contra. (1997), პირველი ნომერი ჟურნალის “ ... ” ( ... 1, 1997), აგრეთვე წიგნი: ... ( ... - , 1997), რომელშიც ნაბოკოვის “რუსული” შემოქმედება გააზრებულია ტრადიციული შედარებით-ისტორიული ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით.

ბოლო ნაბოკოვისეული “სიახლეებიდან” არ შეიძლება არ ვახსენოთ წიგნი: . . . ( „ ” , 2001), სადაც ნაბოკოვის რუსული რომანები განხილულია ფართო ფილოსოფიურ კონტექსტში; აგრეთვე წიგნი: . . . - ( . . . , 2002), რომელშიც ნაბოკოვის ავტობიოგრაფიული წერილი გაანალიზებულია რუსული ავტობიოგრაფიული ტრადიციის ფონზე.

ასევე ინტერესს იწვევს წიგნი: . . . - . . . : ( „ ” , 2004), რომელშიც იკვლევა გადაადგილების ტექნიკური საშუალებების ფუნქციონირება ლიტერატურაში.

თანამედროვე ნაბოკოვისმცოდნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წიგნს: . . . ( . . . , 2004), რომელშიც ავტორმა გააერთიანა თავის ნაშრომთა უდიდესი რაოდენობა. ის შეაჯამებს მეცნიერის კვლევის 15 წელს და საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ მის ევოლუციას.

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედებისათვის მიძღვნილია ნაშრომთა დიდი რაოდენობა, მისი ლიტერატურა კრიტიკოსთა ინტერესს დღესაც იწვევს. წინა თაობების მკვლევარებისაგან განსხვავებით, შემდგომი თაობის მეცნიერები ცდილობენ იპოვონ ნაბოკოვის კითხვის საკვებით ახალი მეთოდები – „მისი შემოქმედების გამოყენება, როგორც სუპრანინდივიდუალური ლიტერატურული მოტივების „რეფრაქტორი“ და კომპლექსი, <...>, ნაბოკოვ-მოდერნისტის ვიზუალური პოეტიკის ანალიზით, მისი უპრეცედენტოდ წარმატებული სამწერლო პოზიციის სოციოლოგიის გამოკვლევით – არა ისე, რომ მწერალი წარმოვიდგინოთ რუსული ლიტერატურული ტრადიციის უწყვეტობის უნიკალურ გამოხატულებად და „გამართლებად“, რომელმაც რევოლუციით, ემიგრაციით, რკინის ფარდით გამოწვეული რღვევა დაძლია, არამედ ვუყუროთ მას, როგორც მნიშვნელოვან საჩვენებელ ობიექტს, რომელშიც გაერთიანდა სხვადასხვა ლიტერატურული მოვლენების, ეპოქების, პოზიციების ნიშნები, როგორც შეგნებულ და ცივ ლიტერატურულ პოლიტიკოსს“ [3, 355].\*

ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედება უნდა წარმოვიდგინოთ: ”არა ტოტალურ ლიტერატურულ საძოვრად, არამედ ორიგინალურ მხატვრულ სამყაროდ, რომელიც სპეციფიკურად ითვისებს ჰეტეროგენულ ლიტერატურულ ტრადიციას“\* [3, 350], იმიტომ, რომ, მხოლოდ ასე შეიძლება იქნას გაგებული ის ჩანაფიქრი, რომელიც ამ მწერალმა თავის ლიტერატურაში შეიტანა.

---

\* თარგმანი ავტორისაა

ლიტერატურა  
Literature

1. <http://ru.wikipedia.org/wiki/>
2. <http://nabokovandko.narod.ru/criticism.html>
3. 2004. - 70. - 350-356.

რეზიუმე

ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედების განხილვის წამყვანი ტენდენციები და თანამედროვე ასპექტი

ვიოლეტა ავეთისიანი

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედების მოკლე მიმოხილვას. მასში წარმოდგენილია მწერლის მხატვრული პროზისა და პოეზიისადმი მიძღვნილი ძირითადი კვლევითი ნაშრომები.

სტატიაში განიხილება ვ. ნაბოკოვის შემოქმედების კვლევის წამყვანი ტენდენციები და თანამედროვე ასპექტი.

SUMMARY

THE LEADING TENDENCIES OF STUDYING VLADIMIR NABOKOV'S WORKS OF LITERATURE AND A MODERN ASPECT

VIOLETA AVETISIAN

The present article is a short review of Vladimir Nabokov's literature. It deals with the basic scientific works, the main subject of which is Nabokov's prose and poetry. The article also represents the leading tendencies of studying V. Nabokov's works of literature and a modern aspect.

# ადრექრისტიანული წყაროების შესწავლის საკითხისათვის

## მარიკა გუვილაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

### ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი

ქრისტიანობას საფუძველი ელინიზებულ აღმოსავლეთში, იუდაიზმის წიაღში ეყრება. თუ არსებობის პირველ წლებში ეს მონოთეისტური რელიგია თავის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავდა, სულ მალე იგი ერთ-ერთი იმ ძალთაგანი ხდება, რომელთანაც იუდაიზმს ანგარიშის გაწევა უხდება.

ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობა, რომელიც იწყებოდა რა როგორც უმცირესობის რელიგია, სამასი წლის მანძილზე ჯერ რომის ძირითად სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა, რომელსაც პოპულარობით ძლევამოსილი მითრას კულტი თუ შეედრებოდა, შემდეგ კი იმ ქვეყნების წარმართველ მოძღვრებად, რომლებიც რომის იმპერიის ნანგრევებზე იქნენ შექმნილი.

ქრისტიანობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ადრე-ქრისტიანული წყაროების შესწავლასა და ანალიზს ენიჭება. ანტიკური პერიოდის წყაროები, რომლებშიც ქრისტიანობის შესახებ მოგვეპოვება ცნობები, ძირითადად ორ ნაწილად იყოფა - ქრისტიანულად და არაქრისტიანულად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება: ა) ქმნილებები, რომლებიც ეკლესიის მიერ აღიარებულია წმიდათაწმიდათ და შეტანილია საეკლესიო კანონში (ახალი აღთქმა); ბ) ქრისტიანობის აპოლოგეტებისა (სარწმუნოების დამცველები) და ეკლესიის მამების ქმნილებები; გ) ე.წ. აპოკრიფები (სიტყვასიტყვით „საიდუმლო“, „იდუმალი“, „ფარული“) – ქმნილებები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ შევიდა საეკლესიო ნაშრომებში, მაგრამ ეკლესიის მიერ მაინც მოწონებულია. აქვე ცალკე ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ ქრისტიანული საეკლესიო დოკუმების მოწინააღმდეგე ერეტიკოსების მიერ შექმნილი ქმნილებები ან ქმნილებების ნაწილები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, დ) სხვადასხვა ეპიგრაფიკული ძეგლები, არქეოლოგიური მონაპოვარი. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მასში ერთიანდება ახ.წ. პირველი საუკუნეების ბერძნულ-რომაული და იუდაური წყაროები.

ქრისტიანული წყაროებიდან უძველეს ქმნილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ „ახალი აღთქმა“ – მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარება, „მოციქულთა საქმეები“, მოციქულთა წერილები სულ 21 (ეპისტოლე კორინთელთა, კოლაელთა, ეფესელთა...) და იოანეს გამოცხადება (აპოკალიფსისი). თორმეტი მოციქულის სწავლება (Didache – აღმოჩენილი 1875წ.), ერმას „მწყემსი“, რომლებსაც უფრო გვიანი ქმნილებები მოჰყვა. კერძოდ, მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები, საეკლესიო წერილები და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს უპირველესი ქრისტიანული წყარო „ახალ აღთქმა“, რომელიც, შეიძლება ითქვას ფასაუღებელ ცნობებს გვაწვდის პირველ საუკუნეში რომის იმპერიაში არსებული რელიგიური და არა მხოლოდ რელიგიური სიტუაციის შესახებ.

პირველი ავტორი, რომელიც სახარების შესახებ მოგვითხრობს, ისე რომ ამ ტერმინს არ მოიხსენიებს, არის იუსტინე (Iustinus 100-165 წწ.)

ქრისტიანობის აპოლოგეტი და ფილოსოფოსი, რომლის შემოქმედების დიდმა ნაწილმაც მოაღწია ჩვენამდე. რაც შეეხება ოთხი კანონიკური სახარების („ახალი აღთქმა“) მოხსენიების ფაქტს, იგი პირველად დაფიქსირებულია მეორე საუკუნის უდიდეს მოაზროვნე – ირინეოსთან (Irenaeus). იგივე ავტორი თავის ცნობილ თხზულებაში „ერესების წინააღმდეგ“ (Adversus Haeretas, III, 11) გვაწვდის მეტად ღირებულ ცნობებს ქრისტიანული მწერლობის შესახებ, რომელშიც აღნიშნავს, რომ ოთხი კანონიკური სახარების გარდა კიდევ სხვა სახარებებიც არსებობდა, რომლებიც „ახალ აღთქმაში“ არ იყო შეტანილი.

როგორც ცნობილია, „ახალი აღთქმის“ კანონიზირება I-IV სს. მიმდინარეობდა. მაგრამ ისტორიის მანძილზე იყო პერიოდები, როდესაც „ახალ აღთქმაში“ შესული რიგი თხზულებები, კანონიკურობის თვალსაზრისით, ეჭვს იწვევდა. მაგალითად, შუა საუკუნეებში კათოლიკურ ეკლესიაში ასეთ ნაშრომებად მიაჩნდათ ორი თხზულება „ახალი აღთქმიდან“ – იოანეს აპოკალიფსისი და წმინდა პავლეს ერთი ეპისტოლე. აპოკალიფსისის კანონიკურობა რამოდენიმე საეკლესიო კრებაზეც კი იყო განხილული. კერძოდ, ლაოდიკიის 364 წ., რომელმაც უარყო აპოკალიფსისი, ჰიპონიის 393 წ., კართაგენის 397-419 წწ., ტულის 692 წ. ხდებოდა პირიქითაც, როდესაც ადრეულ ხელნაწერებში დაფიქსირებული თხზულებები მოგვიანებით აპოკრიფებად განუხილიათ. მაგალითად, მნიშვნელოვან აღმოჩენას ჰქონდა ადგილი XVIII ს., როდესაც მილანის ბიბლიოთეკარმა იპოვა ე.წ. მურატორიის კანონი (სახელი მილანის ბიბლიოთეკარის სახელიდან მიიღო), ახ.წ. 200 წლით დათარიღებული პაპირუსის ფრაგმენტები, რომელშიც მოცემული იყო „ახალი აღთქმის“ კანონიკური წიგნები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ე.წ. მურატორიის კანონში არ იყო შესული რიგი წიგნებისა, რომლებიც შემდგომში კანონიკურ სახარებაში იქნა შეტანილი – წმინდა პავლეს ეპისტოლე ებრაელებისადმი, წმინდა პეტრეს ორივე ეპისტოლე, იოანეს მესამე ეპისტოლე, იაკობის წერილი. მაგრამ ე.წ. მურატორიის კანონის ორივე ფრაგმენტში ფიგურირებდა პეტრეს აპოკალიფსისი, რომელიც შემდგომში აპოკრიფებს მიაკუთვნეს. ამ მოვლენამ სრულიად შეცვალა კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

„ახალი აღთქმის“, როგორც ისტორიული წყაროს შესახებ საუბარი არახალია. უკვე საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, რაც მკვლევართა უმეტესობამ აღიარა ამ თხზულების, განსაკუთრებით „მოციქულთა საქმეების“ ისტორიული მნიშვნელობა, რომლებიც აღნიშნავენ რომ ლუკა, როგორც ისტორიკოსი სერიოზულ მიდგომას იმსახურებს, ვინაიდან მწერალი, რომელიც ისწრაფვის ისტორიული ფონის სიზუსტით აღწერისაკენ, მისგან მოვლენათა ზუსტ აღწერილობას უნდა ველოდოთ (1, 69).

ჩვენი აზრით, ყველა ისტორიკოსი, ისტორიული წყარო იქნება ეს, თუ თანამედროვე ავტორი ამა თუ იმ მოვლენებთან დაკავშირებით მეტნაკლებად სუბიექტურია, განიცდის ამა თუ იმ იდეოლოგიის გავლენას. შესაბამისად, ლუკასაც გააჩნდა საკუთარი აზრი ახლადწარმოქმნილი სარწმუნეობის, მისი ფუძემდებლისა და მიმდევრების შესახებ და არა უმეტეს ამისა. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ ლუკა მოციქულის დამსახურებაა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში არსებული რიგი ტოპონიმების გაჩენა ებრაულ დიასპორასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა იკონია და ფილიპე, განსახილველ საკითხს შემდგენაირად შევხედავთ – ლუკამ კარგად იცოდა პალესტინის მასალა.



მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაწილი, ეჭვქვეშ აყენებს „ახალი ალთქმის“, როგორც ისტორიული წყაროს დანიშნულებას. მათ შორის აღსანიშნავია ტიუბინგენის სკოლის მიმდევრები, რომლებიც საერთოდ უარყოფდნენ „მოციქულთა საქმეების“ ისტორიულ წყაროდ არსებობის ფაქტს და მთელ რიგ მოვლენებს აღნიშნული ნაშრომიდან (2). აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ტიუბინგენის სკოლის მიმდევრებს „მოციქულთა საქმეების“ შექმნის თარიღიც გვიან პერიოდში გადაჰქონდათ. კერძოდ, I ს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული II ს. 20-იანი წლების ჩათვლით (3).

არიან მკვლევარები, რომლებიც „მოციქულთა საქმეებს“ განიხილავენ არა როგორც ისტორიულ, არამედ როგორც თეოლოგიურ თხზულებას. მაგალითად მ. გუდმენი (4, 10). დღესდღეობით მხოლოდ უკიდურეს სკეპტიკოსებს თუ შეუძლიათ იმის მტკიცება, რომ „ახალი ალთქმა“ მთელი დატვირთვით შესაძლებელი იქნებოდა შექმნილიყო მასში აღწერილ ისტორიულ ამბებთან პირდაპირი კავშირის გარეშე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ „მოციქულთა საქმეები“, რომლის ავტორიც ლუკა მოციქულია და რომლის ისტორიული ღირებულება მკვლევართა უმეტესობაში დიდი ხანია მეტნაკლებად ეჭვს არ იწვევს, არამედ, „სახარება ოთხთავი“, „მოციქულთა ეპისტოლეები“ და „იოანეს აპოკალიფსისი“, რისი მტკიცების საფუძველსაც გვაძლევს მათში მთელი რიგი ისტორიული ფაქტების თხრობა. უბრალოდ, წყარო ყოველთვის სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი და კრიტიკულად განხილული, რაც მისი უტყუარობის გამოვლინებაში დაგვეხმარება. მაგალითად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენთვის ღირებულია „გამოცხადების“ ავტორის ცნობები მცირე აზიაში პირველი ქრისტიანული თემების არსებობის შესახებ. კერძოდ, ეფესოს, სმირნის, პერგამოს, თიატირას, სარდის, ფილადელფიის, ლაოდის შესახებ, რომლებიც არქეოლოგიურადაც დასტურდება.

ოთხ კანონიკურ სახარებაში, როგორც ცნობილია, მოცემულია მაცხოვრის გენიალოგია და ძირითადად ღვთის საქმეების აღწერილობა. მაცხოვრის გენიალოგია ლუკასთან მოცემული მაცხოვრის გენიალოგიის ანალოგიურია, მაგრამ იმავდროულად არის განსხვავებებიც, რომლებიც წლების მანძილზე ისტორიკოსებისა და ბიბლიესტების კვლევის საგანი გახდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც დიდი კამათი მიმდინარეობს მეცნიერთა შორის, რომელთა ნაწილი ამ შემთხვევაშიც სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენს საკითხისადმი და სახარებას ნაკლებად სანდო წყაროდ მიიჩნევს. მაგალითად, ცნობილია, რომ მარკოზის სახარების ისტორიულობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ რ. ბულტმანი და მისი მიმდევრები გერმანიაში (5), რ. ლაიტფუტი და მისი მიმდევრები ბრიტანეთში (6), დჟ. მ. რობინსონი და მისი მიმდევრები ამერიკაში (7).

ჩვენ, ჩვენი მხრივ, სავსებით ვეთანხმებით იმ მკვლევართ, რომლებიც აღნიშნავენ იმის თაობაზე, რომ პირველქრისტიანულ ქადაგებას ჰქონდა რაღაც ერთიანი ისტორიული სქემა. გამომდინარე იქიდან, რომ თვით უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი აღიარებენ იმ ფაქტს, რომ ღვთის საქმეების აღწერისასაც კი სახარების ავტორები ინარჩუნებდნენ ისტორიულ თანმიმდევრობას, რომელსაც, ჩვენი აზრით, თვით ისტორია წარმოდგენს. ე. ი. გამოდის, რომ ისტორიზმი გარკვეულ დონეზე ადრეულ ეკლესიასაც აინტერესებდა.

„ახალ ალთქმაში“ სახარებები შეტანილია მათი დაწერის თარიღების მიხედვით. მოგვაქვს ყველაზე მეტად გაზიარებული თარიღები. კერძოდ: მათე (I ს. 41-55 წწ.), მარკოზი (I ს. 60-70-იანი წლები), ლუკა (I ს. 70-80-იანი წლები).

იოანე (I ს. 90-იანი წლები). ე.ი გამოდის, რომ პირველ ქრისტიან ავტორად, პირველ ქრისტიან წყაროდ გვევლინება მათე, შემდეგ მარკოზი, ლუკა და იოანე.

„მოციქულთა საქმეები“, რომელიც ოთხ კანონიკურ სახარებას მოჰყვება „ახალი აღთქმის“ ერთადერთი წიგნია, რომელიც სახარების შემდეგ მოვლენებზე მოგვითხრობს. მას ისტორიული ქრონიკის სახე და ფართო გეოგრაფიული დიაპაზონი აქვს. „მოციქულთა საქმეებში“ გადმოცემულია იუდეველებსა და წარმართებს შორის ქრისტეს მოწაფეთა პეტრესა და ძირითადად პავლეს მიერ ქრისტიანობის გავრცელება. თხზულებიდან ჩვენ ვიგებთ ბევრ ისეთ ცნობას, რომელიც არაერთი ისტორიული წყაროთი და არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამას ემატება ის ფაქტი, რომ აღნიშნულ თხზულებაში მოტანილი მონაცემები ემთხვევა სხვა ისტორიული წყაროების მონაცემებს. მაგალითად, ებრაულ დიასპორაზე არსებული მასალა. დიონ კასიუსის ცნობებს და რაც, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანია „მოციქულთა საქმეებში“ სახელით არის მოხსენიებული მთელი რიგი ტოპონიმებისა. კერძოდ, 32 ადგილი, 54 ქალაქი და 95 პერსონაჟი (8, 50-51), რომელიც ისტორიულულობის თვალსაზრისით, უადრესად ღირებულია. ამრიგად, „მოციქულთა საქმეებისადმი“ მიდგომა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ა. შერვინ უაიტის მსგავსად, რომელიც თვლიდა, რომ „მოციქულთა საქმეები“ ყოველისმომცველია წვრილმან დეტალებშიც კი (9).

„ახალი აღთქმის“ როგორც ისტორიული წყაროს შესახებ შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ფაქტიდან გამომდინარეც, რომ მასში დაცული ცნობების უტყუარობა მტკიცდება არტეფაქტების შესწავლის თვალსაზრისითაც.

ჩვენ არ შევუდგებით „ახალ აღთქმაში“ არსებული ისტორიული ხასიათის ცნობების გაანალიზებას, რასაც არაერთხელ შევხებივართ მონოგრაფიასა და სხვადასხვა სტატიებში. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ „ახალ აღთქმაში“, გარდა ზემოთგანხილული საკითხებისა, ფასდაუდებელი ცნობებია მოცემული იუდეველებისა და ადრეული ქრისტიანობის ისტორიის, ადრეულ ქრისტიანობაში არსებული საეკლესიო იერარქიის, რომაულ ლეგიონერებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ და სხვ.

## ლიტერატურა Literature

1. Marshall h., Luke: Historian and Theologian. Exeter, 1970.
2. Gasque W., Hystory of the Criticism of the Acts of the Apostles. Tübingen. 1975.
3. Harris H., Theological invesrigation of the Shool of F.C.Baur.
4. Goodman M., Who was a Jew? Oxford, 1989.
5. Bultmann R., The History of the Synoptic Tradicion, rusuli Targmani, 1963.
6. Lightfool R. H., History and Interpretation in the Gropsels. 1934.
7. Robinsonn J., The Problem of History in Mark. 1938.
8. „ : - . „ , 1999.
9. Sherwin-White, A.N., Roman Society and RomanLewin the New Testament. Oxford,1963.

რ ე ზ ი უ მ ე

ადრექრისტიანული წყაროების შესწავლის საკითხისათვის

მარიკა მშვილდაძე

ნაშრომში გაანალიზებულია ანტიკური პერიოდის ქრისტიანული და არაქრისტიანული წყაროები. კერძოდ, შესწავლილია პირველი ქრისტიანული წყარო „ახალი აღთქმა“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ფასაუდებელ ცნობებს გვაწვდის პირველ საუკუნეში რომის იმპერიაში არსებული რელიგიური და არა მხოლოდ რელიგიური სიტუაციის შესახებ.

„ახალი აღთქმის“ როგორც ისტორიული წყაროს შესახებ შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მასში დაცული ცნობების უტყუარობა არაერთი ისტორიული წყაროთი და არტეფაქტით დასტურდება. დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად თეოლოგიური ხასიათისა, ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ადრექრისტიანული წყაროები განვიხილოთ, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული მასალა ეპოქის შესასწავლად.

SUMMARY

FOR QUESTION OF STUDYING EARLIER-CHRISTIAN SOURCES

MARIKA MSHVILDADZE

In work analyzed both Christian and not Christian sources in antique period. First Christian source «new promise» which, it's possible to tell is considered, transfers invaluable data, existing religious, and not only a religious situation in Roman empire in first century.

Author transfers historically protected data, a considerable material which specifies in role and value of Christian sources which proves to be true also artefacts. According to the author, despite theological character, we have a just cause, to examine earlier-Christian sources as historical on standpoint studying of modern history.

... « » , ,  
...  
« »  
...

**მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურა და მისი კვლევა  
როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა**

**ნინო ჯანჯღავა**

**ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი**

კომპლექსური ტერმინით „მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურა“ აღინიშნება მხატვრული ტექსტის სტრუქტურის ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება კილოს როგორც გრამატიკული კატეგორიის ფუნქციონირებას ნარატიულ მხატვრულ ტექსტში. როგორც ლ. ნოზდრინა აღნიშნავს, „ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ბევრი ისეთი ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება ტექსტის ინტერპრეტაციის პრობლემებს. უმეტეს მათგანში მოცემულია იმ ლექსიკურ და სტილისტურ საშუალებათა ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი, რომლებსაც ავტორები იყენებენ მხატვრულ ტექსტებში. მაგრამ, რაც შეეხება გრამატიკულ ასპექტს, რომელიც ასევე ასრულებს მნიშვნელოვან როლს ტექსტის შექმნაში, იგი გაანალიზებულია ხოლმე ფრაგმენტულად, ან მთლიანად უგულვებელყოფილია ამ შრომათა ავტორების მიერ“. (1,5). აქედან გამომდინარე, ლ. ნოზდრინას აზრით აუცილებელია იმის ჩვენება, თუ რა როლს ასრულებენ გრამატიკული კატეგორიები მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში. იმისდა მიხედვით, თუ რომელია ის გრამატიკული კატეგორია, რომლის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის კვლევასთან გვაქვს საქმე, ავტორი გამოყოფს მხატვრული ტექსტის ტემპორალურ, ლოკალურ, პერსონალურ, რეფერენტულ და მოდალურ ასპექტებს. იქიდან გამომდინარე, რომ მთელი ჩვენი მომავალი მსჯელობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება გრამატიკულ კატეგორიებსა და მხატვრულ ტექსტებს შორის კავშირის იმ კონცეფციას, რომელსაც ანვითარებს ზემოთაღნიშნული ავტორი საჭიროდ მიგვაჩნია მოვახდინოთ მისი უფრო გაშლილი სახით ციტირება და ამ ციტირებისას შევეხოთ ორ შინაარსობრივ მომენტს, რომლებსაც დაეფუძნება ტექსტის მოდალობის და კერძოდ თვით მოდალობის სტრუქტურული ცენტრის კილოს კატეგორიის ჩვენეული გაგება. პირველი მომენტი ეხება გრამატიკულ კატეგორიათა როლს ტექსტის სტრუქტურაში, მეორე კი – გრამატიკულ კატეგორიათა ურთიერთზემოქმედებას ლიტერატურათმოდნეობით კატეგორიებთან.

ა) რაც შეეხება გრამატიკულ კატეგორიათა როლს ტექსტის სტრუქტურაში: თავისი მონოგრაფიის დასაწყისშივე ავტორი ამბობს, რომ მისი მიზანია „გვიჩვენოს გრამატიკულ კატეგორიათა როლი ტექსტის სტრუქტურაში, ანუ გვიჩვენოს, თუ როგორ ასრულებენ ეს კატეგორიები თავის ძირითად, ანუ მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას, ხოლო ამ მიზნის მიღწევისას აუცილებელი იქნება იმის ჩვენებაც, თუ როგორ ურთიერთმოქმედებს გრამატიკული ასპექტი ლექსიკურ, სიტყვათწარმოებით და ფონეტიკურ ასპექტებთან.“ (1,6). ციტირებული მონოგრაფიის ფარგლებში ავტორის ყურადღების ცენტრში იმყოფება „ოთხი გრამატიკული კატეგორია: დროის, კილოს, პირის და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის

კატეგორიები.“(იქვე) ავტორი ხაზს უსვამს თავისი კვლევითი მიზნის იმ ასპექტს, რომელიც ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია: „ყოველი გრამატიკული კატეგორია განიხილება როგორც ტექსტის შესაბამისი სტრუქტურის შექმნის საშუალება: გრამატიკული დრო როგორც ტემპორალური სტრუქტურა, კილო-როგორც მოდალური სტრუქტურის, პირი-როგორც პერსონალური სტრუქტურისა და კილოს განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა-როგორც ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის შექმნის (აგების) საშუალება“ (იქვე). ავტორის აზრით, სწორედ ეს კატეგორიები შეესაბამებიან ტექსტის ძირითად პარამეტრებს და „ქმნიან კიდევ მის სემანტიკურ-აზრობრივ სტრუქტურას. (იქვე).

მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ავტორი ეფუძნება მხატვრული ტექსტის ანალიზის ინტერდისციპლინალურ მეთოდოლოგიას და, შესაბამისად გამოყოფს და ასახელებს იმ ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიებს, რომლებსაც, მისი აზრით, „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ტექსტის ლინგვისტური ანალიზისთვის, უფრო კონკრეტულად კი-ამ ანალიზის კოგნიტიური ასპექტისთვის. ეს კატეგორიებია მხატვრული დრო, მხატვრული სივრცე, აღწერისა და თხრობის გმირი, ავტორისეული შეფასება, ანუ ტექსტის მოდალობა.“ (1, 50). მაგრამ, რა თქმა უნდა, ზემოთხსენებულ გრამატიკულ კატეგორიებს და ამ ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიებს ავტორი განიხილავს არა ერთმანეთისგან განცალკევებულად, არამედ (და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინალური ხასიათი) მათ ორგანულ ურთიერთკავშირში: ლიტერატურათმცოდნეობითი კატეგორიები წარმოადგენენ გრამატიკულ კატეგორიათა ტექსტობრივი აქტუალიზაციის შედეგს.

ვფიქრობთ, ციტირებული ავტორის კვლევითი პოზიციის ამგვარმა, ანუ მეტად თუ ნაკლებად გაშლილი სახით ჩვენებამ ნათლად დაგვანახა ჩვენი საკუთარი კვლევითი მეთოდოლოგიის ის ასპექტიც, რომელსაც ჩვენ „ინტერდისციპლინარულობას“ ვუწოდებთ და რომელიც მოცემულ შემთხვევაში ვლინდება როგორც ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ორგანული ურთიერთკავშირი. მაგრამ ჩვენ გვსურს გავუსვათ ხაზი არა მხოლოდ ავტორისეული მეთოდოლოგიის უკვე ხსენებულ ზოგად ასპექტს; ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ავტორი ლაპარაკობს ტექსტის ფუნქციონირების ისეთ ასპექტებზეც, როგორცაა მისი აქტუალიზაცია: აქტუალიზაციის ავტორისეული გაგება ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი კვლევის უშუალო საგანი, ანუ ტექსტის მოდალობა (მისი მოდალური სტრუქტურა) არ არის თავისი მნიშვნელობით უბრალოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ზემოთ დასახელებულ კატეგორიათაგან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ანგარიშში, ანუ ტექსტის აქტუალიზაციის თვალსაზრისით, სწორედ მოდალობა ახდენს ყველა დანარჩენი კატეგორიის ერთ მთლიანობაში მოქცევას. სწორედ ამასთან დაკავშირებით ავტორი ამბობს: „ყოველი ტექსტი წარმოადგენს გამონათქვამს სინამდვილის შესახებ. ტექსტის სინამდვილესთან დაკავშირებას, ანუ კონკრეტულ საგანთა დასახელებას, კონკრეტულ ფაქტთა და სიტუაციათა მოქმედებას გარკვეული დროისა და ადგილის დასახელებას უწოდებენ ტექსტის აქტუალიზაციას. აქტუალიზაცია უნდა მივიჩნიოთ ნებისმიერი ტექსტის ფუნქციონირების აუცილებელ მომენტად.“ (იქვე). მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ტექსტის დაკავშირება სინამდვილესთან ხდება სწორედ მოდალობის კატეგორიის, პირველ რიგში კი კილოს საშუალებით.

ჩვენთვის, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მხატვრული ტექსტის ის სტრუქტურული ასპექტი, რომელსაც ავტორი უწოდებს „მხატვრული ტექსტის მოდალურ სტრუქტურას“. ავტორისვე აზრით, „მოდალურობის გამოხატვის ძირითად გრამატიკულ საშუალებას წარმოადგენს კილო“. (1, 135).

იმისთვის, რომ ბოლომდე გასაგები იყოს, თუ რა იგულისხმება მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის ცნებით და რატომ „ეკისრება“ კილოს კატეგორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა მოცემული სტრუქტურის შექმნაში, აუცილებლად მიგვაჩნია გავცეთ პასუხი შემდეგ ორ კითხვაზე: ა) როგორ ესმის ავტორს ზოგადად გრამატიკულ კატეგორიათა როლი მხატვრული ტექსტის სტრუქტურის შექმნაში და ბ) როგორ განიხილება მოდალობა როგორც გრამატიკული კატეგორია თანამედროვე ლინგვისტიკაში, კერძოდ კი როგორია კილოს კატეგორიის მიმართება მოდალობასთან როგორც ზოგადკატეგორიულ კონცეპტთან.

აქედან გამომდინარე, შევეცდებით პასუხი გავცეთ პირველ კითხვაზე, ე.ი. განვსაზღვროთ, თუ როგორ ხდება ციტირებული ავტორის მიხედვით გრამატიკულ კატეგორიათა აქტუალიზირება მხატვრულ ტექსტში და როგორია ამ აქტუალიზირების ზოგადი „მექანიზმი“. როგორც ავტორი მიიჩნევს, მხატვრული ტექსტის ყოველი სტრუქტურული ასპექტი წარმოადგენს ამა თუ იმ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სივრცეში ისეთ აქტუალიზაციას, რომლის შედეგად იქმნება ისეთი ტექსტობრივი სტრუქტურა, როგორცაა – „ტექსტობრივი ბადე“. მაგრამ როგორ ხდება თვით ეს აქტუალიზაცია და როგორია ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და „ტექსტობრივი ბადის“ ურთიერთმიმართება? ამ კითხვაზე პასუხს ავტორი იძლევა დროის კატეგორიაზე დაყრდნობით, გულისხმობს რა, რომ მხატვრული ტექსტის სტრუქტურირებისას ტემპორალურობის ფუნქციურ-სემანტიკური ენობრივი ველი ტრანსფორმირდება ტემპორალურობის ტექსტობრივ ბადედ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს მხატვრული ტექსტის სტრუქტურირების შემდეგ მოდელთან: „ველი ბადე“. მოცემული მოდელის ბოლომდე გასაგებად კი აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ველი (უფრო ზუსტად კი ფუნქციურ-სემანტიკური ველი ან, რაც იგივეა, ლექსიკურ-გრამატიკული ველი) და ბადე (უფრო ზუსტად კი ტექსტობრივი ბადე) განეკუთვნებიან ენობრივი რეალობის განსხვავებულ (საპირისპირო) განზომილებებს: ფუნქციურ-სემანტიკური ველი, ისე როგორც ის კატეგორია, რომლის გამოხატვას იგი ემსახურება, ეკუთვნის ენის პარადიგმატულ, ხოლო ტექსტობრივი ბადე კი – სინტაგმატურ განზომილებას. შესაბამისად, ყოველი ტექსტობრივი ბადე წარმოადგენს გარკვეული ფუნქციურ-სემანტიკური ველის აქტუალიზაციის შედეგს და შესაბამისად, ამ ორ ენობრივ ფენომენს შორის გვაქვს ის ურთიერთმიმართება, რომელიც არსებობს ზოგადად პარადიგმატიკასა და სინტაგმატიკას შორის. კვლევის ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიაშიც მოდალობა გაგებულია ძირითადად როგორც კილოც ზმნური კატეგორია. ამ ფაქტის დასადასტურებლად საკმარისია მოვიტანოთ შემდეგი ციტატა ლ. ნოზდრინას ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ნაშრომიდან: „მოდალობის კატეგორია იძლევა იმის საშუალებას, რომ შევაფასოთ გამონათქვამის შინაარსი როგორც რეალური ან არარეალური, შესაძლებელი ან აუცილებელი“ (1, 132). აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იგივე ავტორის მიხედვით დიდ სირთულეს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებოლი მხატვრული

გამონათქვამის მიმართება სინამდვილესთან: „მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ მხატვრული ტექსტის მოდალურობის ანალიზი რთულდება შემდეგი გარემოების გამო: ამგვარი ტექსტი იმდენად რთული მოვლენაა, რომ შეუძლებელია ცალსახად განვსაზღვროთ, თუ როგორია მისი ფუნქციონალური სამყაროს რეალურ სამყაროსთან მიმართება. ავტორის წარმოდგენა სინამდვილეზე ისე მჭიდროდაა გადახლართული მოგონილ მხატვრულ სინამდვილესთან, რომ შეუძლებელია მკაფიოდ გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ნამდვილი და არანამდვილი“. (იქვე). საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რეალურისა და არარეალურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მხატვრული ტექსტები, ავტორის აზრით, შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: „პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ტექსტები, რომელშიც რეალური დომინირებს არარეალურზე. ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ განმანათლებლობის ეპოქის რომანი, რეალისტური რომანი, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური პროზა, ვიქტორიანული ეპოქის რომანი, სამოციანი წლების „მუშური რომანი“ და მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების სოციალური რომანი. მეორე კატეგორიას კი მიეკუთვნება ტექსტები, რომლებშიც არარეალური დომინირებს რეალურზე. ეს არის ჰეროიკული რომანები, გოთიკის სტილის რომანები, რაინდული რომანები, სათავგადასავლო ლიტერატურა, ფანტასტიკა, მითები, ფარსი, ბურლესკი, გროტესკი“. (იქვე).

როგორც ვხედავთ, მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის იმ კონცეფციაში, რომელიც დღეისათვის დამახასიათებელია ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიისთვის და რომელსაც წარმოადგენს ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ ციტირებული ავტორი, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ორი შემდეგი მომენტი: ა) ის ფაქტი, რომ მოდალობის როგორც ზოგადლინგვისტური კატეგორიის „ძირითად წარმომადგენლად“ ამ თეორიის ფარგლებში მიჩნეულია კილოს ზმნური კატეგორია (თუმცა, მოდალობის შინაარსი არ ამოიწურება კილოს კატეგორიით) და ბ) შესაძლებელია და აუცილებელიცაა მხატვრულ ტექსტთა ტიპოლოგიზაცია იმის მიხედვით, თუ როგორაა მათში გააზრებული მხატვრული სამყაროს მიმართება რეალურ სამყაროსთან. ჩვენ უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ მოდალური თვალსაზრისით ესა თუ ის ტექსტი შეიძლება მივაკუთვნოთ მხატვრული კულტურის გარკვეულ ტიპს. მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ ტექსტთა ის ტიპოლოგიზაცია მოდალობის მიხედვით, რომლის ნიმუში ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, ჯერ კიდევ ატარებს უაღრესად ზოგად, სქემატურ ხასიათს, რაც იმის შედეგია, რომ ეს ტიპოლოგიზაცია ჯერ კიდევ არ ეფუძნება კვლევის ზუსტად განსაზღვრულ ლინგვოკულტუროლოგიურ კრიტერიუმს. ამდენად, ჩვენი კვლევის მიზანია სწორედ ამგვარ კრიტერიუმთა შემუშავება და შესაბამისად, მათ საფუძველზე მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის ახლებურად გააზრება.

ლიტერატურა  
Literature

1. . . . , , „ „ , 2004.

რეზიუმე

მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურა და მისი კვლევა როგორც  
ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა

ნინო ჯანჯავა

მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის კვლევისას „ამოსავალ წერტილად“ უნდა მივიჩნიოთ ტექსტობრივი მოდალობის ის კონცეფცია, რომელიც შემუშავებულია ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიაში და რომლის მიხედვით მხატვრული ტექსტის ყოველი სტრუქტურული ასპექტი განხილულ უნდა იქნას როგორც შესაბამისი ენობრივი ფუნქციურ-სემანტიკური ველის აქტუალიზაციის შედეგი. ამოსავალ დებულებად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე თეზისი, რომლის მიხედვით აქტუალიზირებული ფუნქციურ-სემანტიკური ველი განეკუთვნება ენის პარადიგმატულ, ხოლო მისი აქტუალიზაციის შედეგად მიღებული ტექსტობრივი ბაღე – ენის სინტაგმატურ პლანს. შესაბამისად მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის, ანუ მისი მოდალური ბადის კვლევა უნდა ხორციელდებოდეს მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და მისი შესაბამისი ველის გათვალისწინების ფონზე.

SUMMARY

MODAL STRUCTURE OF THE AESTHETIC TEXT AND ITS RESEARCH  
AS LINGUOCULTUROLOGICAL PROBLEM

NINO JANJAVA

In the process of analyzing the modal structure of an aesthetic text we should proceed from the conception of modality which is worked up in the modern theory of text interpretation according to which every structural aspect of the aesthetic text should be considered as a result of actualization of corresponding functional-semantic field.

We should proceed from the assumption according to which actualized functional-semantic field belongs to paradigmatic and textual net received with a result of its actualization to the syntagmatic plan.





# თანამედროვე ნარატოლოგია და ნარატიული მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის პრობლემა

ნინო ჯანჯღავა

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი

ჩვენი კვლევის უშუალო საგანი, ანუ მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურა, მიეკუთვნება ისეთ ფენომენტს რიცხვს, რომელთა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიათა ურთიერთდაკავშირების საფუძველზე. მიგვაჩნია, რომ კულტუროცენტრიზმიც როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ამოსავალი პრინციპი, შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ამგვარ ინტერდისციპლინარულ საფუძველზე. მაგრამ იმისათვის, რომ მართლაც იქნას რეალიზებული კვლევის ინტერდისციპლინარული პრინციპი ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის „თანამშრომლობის“ სახით, აუცილებლად მიგვაჩნია იმის განსაზღვრა, თუ რაში მდგომარეობს მხატვრული ტექსტის სპეციფიკა, ანუ რომელია ის დიფერენციალური ნიშნები, რომლებიც მას განასხვავებენ არამხატვრული ტექსტისაგან.

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიაში, რომელიც შეიქმნა და ვითარდება სწორედ ინტერდისციპლინარულ მონაცემთა სინთეზის საფუძველზე, გამოიყოფა მხატვრული ტექსტისათვის დამახასიათებელი სამი ასეთი დიფერენციალური ნიშანი – სემანტიკური ინფორმაციის გარდა მხატვრული, ანუ ესთეტიკური ინფორმაციის არსებობა, ანთროპოცენტრისტულობა და პოლისემანტიკურობა. დავახასიათოთ განცალკევებით სამივე მათგანი:

ა) როგორც ითქვა „მხატვრული ტექსტის განმასხვავებელ ნიშანთვისებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი შეიცავს არა მხოლოდ სემანტიკურ, არამედ, აგრეთვე მხატვრულ ანუ ესთეტიკურ ინფორმაციას“ (1,22).

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვიკვლევთ მხატვრული ტექსტის მოდალურ სტრუქტურას, ხოლო მოდალობა კი ნებისმიერ შემთხვევაში ნიშნავს ტექსტში გამოხატული შინაარსის სინამდვილესთან მიმართებას, ჩვენთვის მნიშვნელოვანის ისიც, თუ როგორ აკონკრეტებენ უკვე ციტირებული ავტორები მხატვრული ინფორმაციის ცნებას. მათი აზრით, „ეს მხატვრული ინფორმაცია რეალიზებულია მხოლოდ ინდივიდუალური მხატვრული სტრუქტურის, ანუ კონკრეტული მხატვრული ტექსტის ფარგლებში“ (იქვე). რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ასე მნიშვნელოვანია ჩვენთვის მხატვრული ინფორმაციის ინდივიდუალური ბუნების ხაზგასმა? საბოლოო და გადამწყვეტ პასუხს დასმულ კითხვაზე მივიღებთ მაშინ, როცა უკვე ღიად და თანმიმდევრულად დავეფუძნებთ თანამედროვე ნარატოლოგიის პრინციპებს; კვლევის მოცემულ ეტაპზე კი გვსურს ხაზი გაუვსვათ იმ შინაგან კავშირს, რომელიც იგულისხმება მხატვრული ინფორმაციის ინდივიდუალურ ბუნებასა და ვერბალური კომუნიკაციის სუბიექტურ (უფრო ზუსტად კი – ინტერსუბიექტურ) სტრუქტურას შორის. ციტირებული ავტორები შემდეგნაირად განსაზღვრავენ ისეთი ორი თანმიმდევრული

ურთიერთმიმართებას, როგორცაა მხატვრული ინფორმაცია და ტექსტი: „ტექსტში მხატვრული ინფორმაციის მატარებლის როლში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი მისი ელემენტი“ (იქვე). ამ ბოლო ციტატასთან მიმართებაში შეგვიძლია ვთქვათ ის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის: მხატვრული ტექსტის ამგვარი „დატვირთულობა“ მხატვრულ-ესთეტიკური ინფორმაციით იძლევა, რა თქმა უნდა, მის საშუალებას, რომ მისი კვლევისათვის გამოყენებულ იქნას ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კატეგორიათა მთელი სინთეზური ერთობლიობა; ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის კვლევისას ყურადღების ცენტრში აუცილებლად უნდა მოექცეს ისეთი ზმნური კატეგორია, როგორცაა კილი – რა თქმა უნდა, სხვა ზმნურ კატეგორიებთან, პირველ რიგში კი დროის კატეგორიასთან ორგანულ კავშირში;

ბ) როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მხატვრული ტექსტის „დატვირთულობას“ ესთეტიკური ინფორმაციით, რა თქმა უნდა, აქვს კავშირი მის მოდალობასთან; მაგრამ აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ეს დიფერენციალური ნიშანი ტექსტის მოდალობასთან (ანუ ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტთან) დაკავშირებულია არა პირდაპირ და უშუალოდ, არამედ ირიბად შემდეგი გარემოების გამო: იმ მხატვრულ-ესთეტიკურ ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს მხატვრული ტექსტი, მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოდალობისთვის, არამედ ტექსტის ნებისმიერი კატეგორიისთვის; მაგრამ რაც შეეხება მხატვრული ტექსტის მეორე დიფერენციალურ ნიშანს, ანუ მის ანთროპოცენტრისტულობას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება ჩვენი კვლევის საგანს – ტექსტის მოდალურ სტრუქტურას; და სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ანთროპოცენტრისტულობა შინაგანად უკავშირდება სუბიექტურობას, ანუ იმ კატეგორიას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ტიპის მხატვრული ტექსტი. ამიტომ აუცილებელია იმის ხაზგასმა, თუ როგორ არის გაგებული მხატვრული ტექსტის ეს მეორე დიფერენციალური ნიშანი ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიაში. უკვე ციტირებული ავტორების მიხედვით „მხატვრული ტექსტის როგორც ესთეტიკური კომუნიკაციის ერთეულის სპეციფიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს მისი აბსოლუტური ანთროპოცენტრისტულობა, რაც ნიშნავს შემდეგს: „მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებში სამყაროს შემეცნება და ასახვა მიმართულია პირველ რიგში ადამიანის შემეცნებაზე. ნაწარმოებში ასახული ყველა სხვა ფაქტი კი წარმოადგენს სწორედ ადამიანის ყოველმხრივი ჩვენების საშუალებას“ (1,23). ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მხატვრული ტექსტის ანთროპოცენტრისტულობაზე საუბრისას ციტატის ავტორები ეყრდნობიან არა მხოლოდ ტექსტში ასახული და, როგორც უკვე ვიცით ადამიანზე კონცენტრირებული შინაარსის ცნებას (ანუ ტექსტის შინაარსობრივ რეფერენტს), არამედ ახდენენ ამ ცნების (ანუ ანთროპოცენტრიზმის) ფართო ინტერპრეტაციას; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორთა გაგებით მხატვრული ტექსტის ანთროპოცენტრისტულობა გაგებულია მხატვრული კომუნიკაციის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, ე.ი. გულისხმობს ავტორის, პერსონაჟის და მკითხველის შინაგან ერთიანობას: „ისეთი კატეგორიები, როგორცაა ავტორი, პერსონაჟი და მკითხველი

წარმოადგენენ ლიტერატურული ნაწარმოების, ანთროპოცენტრისტული სტრუქტურის საზრისობრივ ელემენტებს; (იქვე).

ვ) მხატვრული ტექსტის მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებად ავტორებს მიაჩნიათ მისი პოლი-სემანტიკურობა და ამასთან დაკავშირებით ისინი წერენ: „მხატვრული ლიტერატურის კითხვა წარმოადგენს ისეთ შემოქმედებით პროცესს, რომელიც იწყება პერსონაჟთა კონკრეტული აღქმით და მიემართება მათი განზოგადოებულად აღქმისაკენ, ანუ იმის გააზრებისკენ, რაც წარმოადგენს ადამიანის არსს (იქვე). ამიტომაც ხდება, ავტორთა აზრით, რომ ერთი და იგივე მხატვრული ტექსტი განსხვავებულ ეპოქაში და განსხვავებული მკითხველების მიერ გაიგება მრავალნაირად. ავტორებს მიაჩნიათ, რომ „მხატვრული ტექსტის პოლისემანტიკურობა განსაკუთრებულად ნათლად მუდგანდება ლირიკულ ლექსთა ინტერპრეტაციისას. მაგრამ ამავე დროს იგი უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი მხატვრული ტექსტის არსებით ნიშნად“. (1,24).

რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ მხატვრული ტექსტის ზემოთაღნიშნული სამი ნიშანთვისება (ესთეტიკურად გაგებელი ინფორმაციულობა, ანთროპოცენტრისტულობა და პოლისემანტიკურობა) მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის, ანუ იმისთვის, რომ განვახორციელოთ მხატვრული ნარატიული ტექსტის მოდალური სტრუქტურის გამოვლენა და განსაზღვრა? ნარატიული ტექსტის მოდალურ სტრუქტურას ჩვენ გავიაზრებთ კვლის პრინციპზე დაყრდნობით, რაც აუცილებლად გულისხმობს ამ სტრუქტურის ფარგლებში მისი ცენტრის არსებობას, ხოლო ამგვარ ცენტრად კი ჩვენ მივიჩნიეთ კილოს კატეგორია. როგორც არ უნდა იყოს მოდალურობის

კვლევის პროცესი, უცვლელად უნდა დარჩეს კილოს კატეგორიის უკვე კლასიკურად ქცეული გაგება, სახელდობრ ის, რომ კილო გამოხატავს გამონათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილესთან. როგორც თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნება ამტკიცებს და როგორც ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევაც გვიჩვენებს, მხატვრული ტექსტიც გაგებულ უნდა იქნას როგორც გამონათქვამი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისეთი გამონათქვამი, რომელიც წარმოადგენს მხატვრული კომუნიკაციის აუცილებელ შემადგენელ კომპონენტს. სწორედ მხატვრული ტექსტის ამგვარი გაგება წარმოადგენს თანამედროვე ნარატოლოგიის ფუძემდებელ პრინციპს და სწორედ ამ პრინციპს დავეყრდნობით ჩვენც მხატვრული ნარატიული ტექსტის მოდალური სტრუქტურის დადგენისას; მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ითქვას შემდეგ: აუცილებელია არა მხოლოდ დავასახელოთ და დავახასიათოთ მხატვრული ტექსტის არსებითი ნიშნები ისე, როგორც ამას აკეთებენ ზემოთციტირებული მონოგრაფიის ავტორები – აუცილებელია ამ ნიშან-თვისებათა შორის არსებული შინაგანი კავშირის გამოვლენაც.

მაგრამ ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ვიკვლევთ მოდალურობის ფენომენს არა ზოგადად მხატვრულ ტექსტში, არამედ ნარატიულ მხატვრულ ტექსტში და, შესაბამისად, ტერმინ „ნარატივის“ ვხმარობდით შემდგომი დაკონკრეტების გარეშე, უბრალოდ როგორც „თხრობითი ტექსტის“ სინონიმს. მაგრამ კვლევის ამ ეტაპზე უკვე აუცილებელი ხდება ამ ტერმინის შინაარსობრივი დაკონკრეტება, რადგან ამგვარი დაკონკრეტების გარეშე ვერ შევძლებთ ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კატეგორიების ისეთ ურთიერთდაკავშირებას, როგორსაც მოითხოვს თანამედროვე კულტუროცენტრისტულად ორიენტირებული აზროვნება. ამისათვის .ი

აუცილებლად მიგვაჩნია მივმართოთ თანამედროვე ნარატოლოგიას და განვმარტოთ ნარატივის ცნება მასზე დაყრდნობით.

როცა ვლაპარაკობთ მხატვრული ტექსტის მოდალურ სტრუქტურაზე იმ გაგებით, როგორც იგი წარმოდგენილია ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე კონცეფციაში, ჩვენ ვგულისხმობთ მხატვრულ მოდალობას არა ზოგადად, არამედ ტექსტის იმ სახეობაში, რომელიც – თუ გამოვიყენებთ ტრადიციულ ლიტერატურათმცოდნეობის თეორიას – მიეკუთვნება ჰიპოკრიტიკის ნაწარმოებს. ეპიკური ნაწარმოები (სხვანაირად „ეპოსი“ ამ ტერმინის ფართო მნიშვნელობით) კი განისაზღვრება შემდეგნაირად: „ლიტერატურული გვარი, რომელიც გამოიყოფა ისეთ გვარებთან ერთად, როგორიცაა ლირიკა და დრამა და რომელიც წარმოდგენილია ისეთი ჟანრებით, როგორიცაა ზღაპარი, ეპოპეა, ეპიკური პოემა, მოთხრობა, ნოველა, რომანი...“ (2, 1238-1239). ციტირებული სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ „ეპოსში ძირითად მორგანიზებელ როლს ასრულებს თხრობა: ის, ვინც ყვება, გვამცნობს მომხდარზე და მის დეტალებზე როგორც რაღაც ისეთზე, რაც ეკუთვნის წარსულს და რისი გახსენებაც ხდება“. (იქვე). ეპიკური თხრობის ავტორია „ე.წ. მთხრობელი, რომელიც წარმოადგენს თითქოსდა შუამავალს მოთხრობილ ამბავსა და მსმენელს, მკითხველს და მოთხრობილ ამბავს შორის“ (იქვე).

როგორ აღიქვამს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა იმ ლიტერატურულ ფაქტს, რომელსაც ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობა „ეპოსს“ უწოდებდა? ასეთ ფაქტს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა აღიქვამს როგორც „ნარატივს“. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ტერმინოლოგიურ ცვლილებასთან: საქმე ისაა, რომ შეიცვალა თვით ეპიკურ ნაწარმოებად ცნობილი ფაქტის თეორიული ხედვა და სწორედ ამ თეორიული ხედვის ცვლილებაზე მიუთითებს ტერმინი „ნარატივი“. რაში მდგომარეობს ამ თეორიული ცვლილების არსი? იგი მდგომარეობს ძირითადად იმაში, რომ შეიცვალა თვით ლიტერატურის როგორც ფენომენის ბუნების გაგება. ლიტერატურის ამ ახალი გაგების ძირითადი მომენტები კი დაიყვანება შემდეგზე: 1. “ლიტერატურა გაიგება როგორც კომუნიკაციური ფენომენი; 2. მხატვრული კომუნიკაცია გაიგება როგორც პროცესი, რომელიც რეალიზებულია ერთდროულად რამდენიმე თხრობით დონეზე; 3. გადაძვევები მნიშვნელობა ენიჭება დისკურსს...” (3, 609).

ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამედროვე ნარატოლოგიის შემდეგი ნიშან-თვისებაც: „ნარატოლოგიური ანალიზი აკეთებს აქცენტს ტექსტის ფუნქციონირების განსხვავებულ დონეთა არსებობაზე, რადგან ეს სწორედ ის მომენტია, რომელიც ყველაზე უფრო მკაფიოდ ავლენს მის დისკურსულ ხასიათს“. (3, 610). ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ მხატვრული ტექსტისთვის დამახასიათებელია „თხრობით ინსტანციათა და დონეთა იერარქია“. (იქვე).

რატომ იყო აუცილებელი ყოველივე იმის გათვალისწინება, რაც მინეულ უნდა იქნას თანამედროვე ნარატოლოგიის ძირითად ნიშნებად? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება გაიცეს ორ ურთიერთდაკავშირებულ დონეზე: ა) ზოგადმეთოდოლოგიურ დონეზე. ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიას აქვს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური განზომილებები და ეს განზომილებები ერთმანეთს გულისხმობენ: როგორც ითქვა, კვლევის ჰორიზონტალურ განზომილებაში უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს ინტერსუბიექტურად გაგებულ მოდალობის აპარატს

გამჭვირვალობა/გაუმჭვირვალობის კატეგორიას, მაგრამ ამგვარი დაკავშირება აუცილებლად მოითხოვს მეთოდოლოგიის იმ ვერტიკალურ განზომილებაზე დაყრდნობას, რომელიც გულისხმობს ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკის გათვალისწინებას, სახელდობრ კი იმას, რომ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა კი არ უნდა აუქმებდეს „წინა“ პარადიგმებს, არამედ უნდა ითვალისწინებდეს მათ მიერ დაფუძნებულ ცნებით სისტემებს და ეყრდნობოდეს მათ.

აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ვერ შევძლებთ ტექსტის მოდალური სტრუქტურის ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას, თუ თეორიულ კლანში არ მივყვებით თანამედროვე ნარატოლოგიას და, შესაბამისად, მხატვრულ ტექსტს არ გავიაზრებთ როგორც ნიშნობრივ ერთეულს, ხოლო თვით ტექსტის ფუნქციონირებას კი არ განვიხილავთ როგორც მხატვრულ კომუნიკაციას.

საბოლოო დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ჩვენი მიზანია არა უბრალოდ თხრობითი ხასიათის მხატვრული ტექსტის, არამედ მხატვრული ნარატიული ტექსტის მოდალური სტრუქტურის დისკურსული ანალიზი და ამ მიზანდასახულობით მთლიანად ვეფუძნებით თანამედროვე ნარატოლოგიის პრინციპებს.

## ლიტერატურა Literature

1. . . . . ,  
« . . . . . », 4.
2. . . . . , . . . . . ,  
« . . . . . », 2001.
3. . . . . , . . . . . ,  
. . . . . , « . . . . . », 2001

## რ ე ზ ი უ მ ე

**თანამედროვე ნარატოლოგია და ნარატიული მხატვრული ტექსტის  
მოდალური სტრუქტურის პრობლემა**

**ნინო ჯანჯღავა**

მოდალურობის ფენომენს ვიკვლევთ არა ზოგადად მხატვრულ ტექსტში, არამედ ნარატიულ მხატვრულ ტექსტში, აქედან გამომდინარე, კვლევის ამ ეტაპზე აუცილებელი ხდება ამ ტერმინის შინაარსობრივი დაკონკრეტება, რადგან ამგვარი დაკონკრეტების გარეშე ვერ შევძლებთ ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კატეგორიების ისეთ ურთიერთდაკავშირებას, როგორსაც მოითხოვს თანამედროვე კულტუროცენტრისტულად ორიენტირებული აზროვნება. ამისათვის კი აუცილებელია:

მიემართოთ თანამედროვე ნარატოლოგიას და განემართოთ ნარატივის ცნება მასზე დაყრდნობით. ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის თანახმად, მხატვრული ტექსტის სტრუქტურა (კერძოდ კი მისი მოდალური სტრუქტურა - ბადე) ინტერპრეტირებულ უნდა იქნას ინტერსუბიექტურობის პრინციპის საფუძველზე, ხოლო თვით მხატვრული ტექსტი, რომლის მოდალურ სტრუქტურასაც ვიკვლევთ, უნდა გაგებულ იქნას როგორც ნარატივი და, შესაბამისად, მისი ანალიზი უნდა ხდებოდეს თანამედროვე ნარატოლოგიაზე დაყრდნობით.

## SUMMARY

### MODERN NARRATOLOGY AND THE PROBLEM OF THE MODAL STRUCTURE OF THE NARRATIVE AESTHETIC TEXT

NINO JANJGAVA

According to the anthropocentric-communicative Paradigm, the structure of the Aesthetic Text (namely, its modal structure) should be interpreted on the basis of the principles of intersubjectivity, and the Aesthetic text the modal structure of which is researched must be understood as a narrative, and accordingly, its analyses should be based on the principles of modern narratology.

**ქართველთა მეფეების სამართაშორისო კონტაქტებისა  
და მათი ღმრთაობის ვინაობის შესახებ  
XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში**

**თეა ქარჩავა**

**ისტორიის მცნებება აკადემიური დოქტორი**

ევროპისა და აღმოსავლეთის ურთიერთობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად იყო გამოვლენილი. ზოგჯერ ეს ურთიერთობა სუსტდებოდა, ზოგჯერ ძალზე საგრძნობი იყო. ისეც ხდებოდა, რომ სრულიად განსხვავებული კულტურის ერები ერთიანი იმპერიების ფარგლებში ექცეოდნენ, ისტორიას რელიგიური ომებიც ახსოვს (ჯვაროსნული ომები). თუმცა, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, რომელიც აღმოსავლურსა და დასავლურ კულტურებს ითავსებდა და საკმაოდ ბუნებრივ ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის, ვითარება რამდენადმე შეიცვალა. ისლამური ოტომანთა იმპერია აქტიური სამხედრო კამპანიის შემდეგ XV საუკუნის ბოლოსთვის საბოლოოდ გაფორმდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ორგანული ნაწილად და ხმელეთზედაც აქტიურად იფართოებდა დასავლეთის მიმართულებით საზღვრებს. ქრისტიანულ ევროპას ადრეც ელოდა საფრთხე მუსლიმთაგან, თუმცა ასე მასშტაბურად – არასოდეს. ამიტომაც, ჯვაროსნული ბრძოლის იდეაც გაცოცხლდა და არაერთი ანტიოსმალური კოალიციაც შეიქმნა (ზოგი შედეგიანი და ზოგიც უღელეური და არაფრის მომტანი), თუმცა, კავშირი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არასდროს გაწყვეტილა და მეტიც, რიგი ფაქტორებით ნაკარნახევი რეალობიდან, ისეთ მასშტაბებსაც კი მიაღწია, რასაც მანამდე ადგილი არც ჰქონია. დასავლეთის მხრიდან ანტიოსმალური კოალიციის აქტიური მოთავენი ჰაბსბურგები და ვენეცია იყვნენ, ხოლო აღმოსავლეთიდან კი –ჯერ აღ-ყონღუს ირანული სახელმწიფო, შემდეგ კი სეფიანური ირანი. საგულისხმოდ მიგვაჩნია, იმის წარმოჩენა, რომ ქართველი მეფეებიც იყვნენ ჩართულნი არაერთ ანტიოსმალურ კოალიციაში, თუმცადა, ასევე საგულისხმოდ გვეჩვენება წარმოჩინდეს იმდროინდელ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხში ჩართულობა რამდენად იყო მხოლოდ მათი დამოუკიდებელი ნება-სურვილით ნაკარნახევი პოზიცია.

ორიენტსა და ოქიდენტს შორის კავშირების დამყარებისა და შენარჩუნების საქმეში გადამწყვეტი როლის შემსრულებლად, ასევე დიპლომატიური დესპანების როლში ხშირად იმპერიათა ის ქვეშევრდომები გვევლინებიან, რომლებიც მმართველ ელიტას არ მიეკუთვნებოდნენ (ოტომანთა იმპერიასა და ირანის სახელმწიფოშიც ელიტას ძირითადად სამხედრო არისტოკრატია შეადგენდა). ისტორიკოს გოფმანის სიტყვებით, მაგალითად, ოტომანთა იმპერიაში საზღვაო საქმე, გემთმშენებლობა იქნებოდა თუ ზღვაოსნობა, კვლავ ბერძნებს ებარათ, მაშინ როცა სომხები დომინანტურ პოზიციას იკავებდნენ საერთაშორისო ვაჭრობასა და ბროკერობაში, ასევე აბრეშუმით ვაჭრობაში, ხოლო ებრაელები ტექსტილის



წარმოებას აკონტროლებდნენ<sup>1</sup>. ჩვენ ამჯერად სომეხი ვაჭრების როლს გამოვყოფთ, ვინაიდან ეს საკითხი საქართველოსთან კავშირშიც არაერთხელ გამოიკვეთა.

სომეხი ვაჭრები, რომლებიც ირანსა და ოსმალთა იმპერიაშიც მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენდნენ, თავიანთი რელიგიური კუთვნილებისა და ასევე ეკონომიკური ბერკეტების წყალობით მნიშვნელოვან საშუაშედეგობრივ ურთიერთობებში, რაც ესოდენ დამახასიათებელია XV-XVI საუკუნეებისათვის. ძალზე საინტერესოა მათი როლის გამოკვეთა ქართველი მეფე-მთავრების დიპლომატიური კავშირ-ურთიერთობების დამყარების საქმეშიც. ეს როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა ანტიოსმალური კოალიციების ჩამოყალიბების პროცესში, როდესაც ირანი და აღმოსავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც აქტიურად ეძიებდნენ მოკავშირეებს დასავლეთ ევროპაში, ვინაიდან XV-XVI საუკუნეებში ოსმალთა იმპერიის სამხედრო ძლიერება და აქედან გამომდინარე მიღწეული შედეგები ძალზე თვალშისაცემი იყო.

განსაკუთრებით აქტიურად ამ მიმართულებით ირანის ხელისუფალნი გამოდიოდნენ. ირანის სომხური ქალაქი ჯულფა აბრეშუმით ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ბურჯად იქცა. ჯულფელი ვაჭრები შემახასთან, გილანთან, თავრიზთან, ვენეციასთან, მარსელსა და ანტვერპენთანაც კი აწარმოებდნენ ვაჭრობას და ხშირად ერთადერთ შუამავალს წარმოადგენდნენ დასახელებულ ქალაქებს შორის<sup>2</sup>. ზუსტად იგივეს წერს ვ. ალენი თავის თხზულებაში „რუსეთის საელჩოები საქართველოში“<sup>3</sup>. მას შემდეგ, რაც შაჰ აბასმა დედაქალაქი თავრიზიდან ისპაჰანში გადაიტანა, მის გარეუბან ახალ ჯულფაში შექმნა\* სომხური კოლონია. ისევე როგორც ძველი ჯულფა, ახალი ჯულფაც „რომელიც დაარსებული იყო სპარსეთის აბრეშუმის მწარმოებელი რეგიონის შუაგულში, იქცა ცენტრად ფართო კომერციული ქსელისა. სომეხი ვაჭრები იყენებდნენ თავიანთ ვირტუალურ მონოპოლიას სპარსეთის აბრეშუმის ვაჭრობაზე, რათა სატელიტი სათვისტომოები დაეარსებინათ ბევრ ოსმალურ ქალაქში, მათ შორის ალექოში, იზმირში, ბუსრაში, სტამბულსა და ედირნეში. როგორც ოსმალურ, ასევე სპარსულ მიწებზე ბევრი აიგივებდა სომხურ სათვისტომოს ამ ძვირფას საქონელთან“<sup>4</sup>.

როგორც ისტორიკოსი პეტრუშევესკი აღნიშნავს, ჯულფელი მსხვილი ვაჭრები, რომლებიც შაჰის კონტრაგენტები იყვნენ საგარეო ვაჭრობაში, „ამავე დროს არაერთხელ ასრულებდნენ მისივე დიპლომატიური აგენტების როლს ევროპულ სახელმწიფოებში. საერთოდ, სეფიანები, რომლების ევროპული სახელმწიფოების დახმარებას საჭიროებდნენ ოსმალთა

<sup>1</sup> D. Goffman, *The Ottoman Empire and Early Modern Europe*, (Cambridge: Cambridge University Press, 2002), p. 85-87

\* ახალ ჯულფაში შაჰ აბასმა ის სომეხი დაასახლა, რომლებიც თავის სამშობლოში დაკარგეს ყველაფერი, მას შემდეგ, რაც 1605 წელს ირან-ოსმალეთის გამაჩანაგებელი ბრძოლებს ჰქონდა ადგილი

<sup>3</sup> W.E.D. Allen, *Russian Embassies to the Georgian Kings*, (Cambridge: Cambridge univ. Press, 1970), p. 357

<sup>4</sup> D. Goffman, *The Ottoman Empire and Early Modern Europe*, (Cambridge: Cambridge university Press, 2002), p. 87

იმპერიასთან ბრძოლაში, ამ მიზნისთვის დიპლომატიურ აგენტებად სიამოვნებით იყენებდნენ სომეხ ვაჭრებსა და სასულიერო პირებს.”<sup>5</sup>

იგივე შეიძლება ქართველ მეფეებზეც ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნიდან ირანი საქართველოსთვის ოსმალეთზე არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა, ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებისა და ირანელების დაახლოებისა და მოკავშირეობის არაერთი ფაქტი არსებობს და ქართველი მეფეებიც ხშირად იმავე სომეხ ვაჭრებსა და სასულიერო პირებს მიმართავდნენ, რომლებსაც სეფიანი მმართველები. დიპლომატიურ კურიერებად სომეხი ვაჭრების შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. „სომეხი ვაჭრები საკმაოდ კარგად იტანდნენ ხანგძლივ მოგზაურობას, იყვნენ ზომიერნი საგზაო ხარჯებში, საკვებისა თუ სასმელის მხრივ. თანაც, იმის გამო, რომ ქრისტიანები იყვნენ, დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებში უფრო იოლად შეეძლოთ ეწარმოებინათ სავაჭრო ოპერაციები”.<sup>6</sup> ისტორიულ წყაროთა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ბევრი ევროპელი ვაჭარი თუ მოგზაური, ვინც ამ დროს ლევანტს, კავკასიასა და ირანს სწევია, სომეხ ვაჭრებზე საუბრისას ხაზს უსვამს მათ როლს, როგორც მეგზურებისას და შუამავლებისას. ამასთანავე, „სომხური სავაჭრო კაპიტალი, რომელიც სეფიანებისა და ოსმალთა სულთნების მიერ დასავლეთის ქვეყნებთან მათი დიპლომატიური მიზნებისა და სავაჭრო ურთიერთობებისათვის გამოიყენებოდა, ამ სახელმწიფოების მმართველთა მფარველობით სარგებლობდა. დასავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ოპერაციებს სომეხები ძირითადად ვენეციის მეშვეობით აწარმოებდნენ. თავის მხრივ, ვენეციელ ვაჭრებსა და დიპლომატებსაც წინა აზიაში დახმარებას სომეხი და ირანელი ვაჭრები უწევდნენ”.<sup>7</sup>

უდავოა, რომ სომეხი ვაჭრების, როგორც დიპლომატიური აგენტების, როლი შაჰ აბას I-ის დროიდან უფრო გამოიკვეთა [ჩვენ XVII საუკუნეზე აქ ვეღარ გავაგრძობთ თხრობას-თ.ქ.], თუმცა პირველივე სეფიანთა და ასევე მათი მოკავშირეების (მათ შორის საქართველოს მეფის) კარზეც სომეხებს არაერთხელ შეუსრულებიათ დიპლომატიური აგენტების მისია. ამ მხრივ განსაკუთრებით ძველი ჯულფას ვაჭრები უნდა გამოვყოთ, როგორც ირანის ვენეციასთან და, საერთოდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთკავშირის ძირითადი შუამავლები. თავის მხრივ, როგორც ჩანს, ვენეციის რესპუბლიკაც მათ იმავე მიზნებისთვის იყენებდა.<sup>8</sup>

ოსმალთა იმპერიის აგრესიის ზრდასთან ერთად XV საუკუნის შუა ხანებიდან აშკარად ჩანს ევროპულ სახელმწიფოთა მცდელობები შექმნან ანტიოსმალური კოალიციები. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა ოსმალებისადმი მტრულად განწყობილ აღმოსავლეთის ქვეყნებთან კონტაქტების დამყარების საჭიროება, რომლებიც პოტენციურ მოკავშირეებად ითვლებოდნენ. სხვადასხვა ევროპელი მონარქები და პაპები არაერთხელ იყვნენ ინიციატორები მსგავსი წამოწყებებისა, და ამ მოკავშირეების ძიებისას ისინი პირველ რიგში ირანს, ასევე რუსეთსა და ამიერკავკასიის ქრისტიანულ

<sup>5</sup> XIX .., 1949, . 182

XVI -

<sup>6</sup> XV-XVII .., 1937, . 86

<sup>7</sup> .., 1955, 9, . 124

XVII .., 19

ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც მიმართავდნენ. გავისხენოთ თუნდაც ლოდოვიკო ბოლონიელის ელჩობა საქართველოში, ასევე საგულისხმოა სიენელი ეპისკოპოსის წერილი, სადაც იგი ამბობს, რომ უნგრეთთან, რუსეთთან და გერმანიასთან ერთად ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს პაპის, ვენეციის, გენუის, ტრაპიზონის იმპერიის და ქართველი მეფისა. . . ).<sup>9</sup>

ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე ადრე ვენეციის რესპუბლიკამ დაიწყო და ყველაზე ხშირად სწორედ ის აწარმოებდა, ვინაიდან ოსმალთა მიერ ყველაზე მეტად ვენეციელთა ინტერესები ზიანდებოდა ლევანტსა და შავი ზღვისპირეთში. 1463 წელს ოტომანთა იმპერიასთან დაწყებულ ომს ვენეცია დიპლომატიურად მოუმზადებელი არ შეხვედრია – გადაწყვიტა გავლენიანი მოკავშირეები შეეძინა, რისთვისაც ურთიერთობა გააბა აღ-ყონღუს მმართველ უზუნ-ჰასანთანა და დიდი მთავრის, მოსკოვის სახელმწიფოს მმართველ ივან ვასილის-ძესთან. თავის მხრივ, უზუნ ჰასანი შეეცადა შემახიის ხანიც მიემხრო და მას რუსეთთან დაკავშირება დაავალა. „1465 წელს შირვანელთა ელჩობა ეწვია მოსკოვს ჰასან ბეკის მეთაურობით“.<sup>10</sup> მოსკოვის სახელმწიფოსაც, რომელსაც დიდი ხანი არ იყო გასული, რაც მონღოლური უღელი თავიდან მოეშორებინა და ის-ის იყო დიდი პოლიტიკის ასპარეზზე გამოდიოდა, აწყობდა უზუნ ჰასანთან ურთიერთობის გაბმა, ამიტომაც საპასუხო ელჩობა გამოგზავნა აღ-ყონღუს მმართველთან პაპინის მეთაურობით. ისტორიკოს თ. ტივაძის მიხედვით, „უზუნ ჰასანი იყო ანტიურქულ კოალიციაში საქართველოს ჩაბმის ინიციატორი. მოსკოვის მეფის ელჩი სამშობლოში საქართველოს გავლით დაბრუნდა, სადაც დიდი პატივით იქნა მიღებული მეფე ბაგრატის მიერ“<sup>11</sup> [საუბარია ბაგრატ VI –ზე 1466-1478- თ.ქ].

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში მიხნეული იყო, რომ XV საუკუნის მიწურულს კახეთის სამეფოს მიერ რუსეთთან გაბმული კავშირები ქართველ პოლიტიკოსთა დამოუკიდებელი ნაბიჯები იყო. თუმცა ზემოთ მოყვანილი ვითარება საფუძველს გვაძლევს, რამდენადმე ეჭვი შევიტანოთ ამ დადგენილი აზრის სიმყარეში. ევროპელთათვის უზუნ ჰასანი ყველაზე რეალური მოკავშირე იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნისას. უზუნ ჰასანის კარზე ვენეციელთა ელჩობები ამითიც იყო განპირობებული<sup>12</sup>. ეს დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა და ბუნებრივია, შორეულ ევროპაში მოკავშირეების მაძიებელი უზუნ ჰასანი მეზობელ ქვეყნებთანაც გამოსულიყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მოთავედ, რომელშიც რუსეთის მომხრობაც მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამიტომაც მან ამ ეტაპზე თავად მოინდომა მოსკოვის სახელმწიფოსა და საქართველოს დაკავშირება. საქართველო-რუსეთის დაკავშირების მომხრედ ის მხოლოდ ანტიოსმალური კოალიციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მოგვიანებით, როგორც კი იზრდება რუსეთის ამბიცია ამიერკავკასიის მიმართ, იმის პარალელურად, რომ მძიმდება საქართველოს მდგომარეობა მუსლიმური ქვეყნების გარემოცვაში, სუსტდება ევროპასთან კავშირი, და იწყება რუსეთის, როგორც მფარველი მოკავშირის ფაქტორის ზრდა, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოსგან რუსეთის

<sup>9</sup> ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVI საუკუნეში, თბილისი, 1980, გვ. 20

<sup>10</sup> . . . , (იხ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ.: მეცნიერება, 1991), გვ. 240

<sup>11</sup> ibid., გვ. 240

<sup>12</sup> Pernose B. Travel and Discovery in the Renaissance 1420-1620, (Cambridge: Harvard University Press, 1955), გვ. 23-26

მიმართულებით დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა უკიდურესად მძაფრ რეაქციას იწვევს როგორც ოსმალეთის, ისე ირანის მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ აღ-ყონღუს სახელმწიფო აშკარად დამპყრობლურ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს მიმართ, როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, ირანისა და საქართველოს მიმართველები თურქული საფრთხის წინაშე მოკავშირეობას არ ერიდებოდნენ. ქართველი მეფეები, თავის მხრივ, არ უშვებდნენ შანსს, რომ იმავე პიროვნებების სამსახურით ესარგებლათ, ვისაც უზუნ ჰასანი გზავნიდა ევროპაში. 1471 წელს უნგრეთის ელჩი ვენეციიდან აცხობინებდა თავის მეფეს, რომ ვენეციაში ჩავიდნენ საქართველოს მეფის ელჩები, რომელთაც გამოუხატავთ მათი ხელმწიფის მზადყოფნის სურვილი ოსმალთა წინააღმდეგ საერთოევროპულ საქმეში მონაწილეობის შესახებ.<sup>13</sup> იმავე წლის იმავე თვეში თავად ვენეციური სენიორიაც თავის ელჩებს ამცნობდა სიცილიაში, რომ პოლონელთა, ქართველთა და უზუნ ჰასანის ელჩები სტუმრობდნენ ვენეციას.<sup>14</sup> იტალიური წყაროდან ვიგებთ, რომ „ოთხნი ელჩი იყვნენ აზიმამეტი, მორატი, ნიკოლო და კეფარსა, სერიოზული და ავტორიტეტული ადამიანები. მათ დავალებული ჰქონიათ უზუნ ჰასანისგან ვენეციელებთან მოლაპარაკება თურქეთისა და ეგვიპტის სულთნების წინააღმდეგ, რათა ვენეციას თავისი ფლოტით არც ერთისთვის არ მიეცა მოსვენება. ვენეციელებსაც გახარებიათ, რომ მოკავშირე და მეგობარი შეიძინეს აღმოსავლეთის უძლიერესი მეფის სახით და მასთან მეგობრობა გამოაცხადეს“<sup>15</sup>. იტალიური წყაროს მიერ უზუნ ჰასანის „აღმოსავლეთის უძლიერეს მეფედ“ მოხსენიების ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმ ვარაუდის სისწორეში, რომ ირანის მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას უზუნ ჰასანის როლი არცთუ უკანასკნელი ფაქტორია. სხვა წყაროებიდან ვიგებთ რომ, ერთ-ერთი ელჩი ოთხთაგან – მორატი, იგივე ცნობილი ჯულფელი ვაჭარო ხოჯა მირაკია, რომელიც გასულა ირანიდან 1469 წელს, ვენეციაში შესულა 1470 წელს<sup>16</sup>.

საპასუხო ელჩობებმა უზუნ ჰასანთან არც ვენეციიდან დააყოვნა[1471 წ.]. ვენეციელთა ელჩმა კატერინო ძენომ, რომელსაც ნათესაობაც კი აკავშირებდა აღ-ყონღუს მმართველთან<sup>17</sup>, ცოლის დეიდის\*, უზუნ-ჰასანის დედოფლის, დესპინას ხელშეწყობით იოლად შეძლო დაერწმუნებინა ირანის მმართველი, რათა თეთრბატკნიანებს იარაღი აეღოთ ოტომანთა წინააღმდეგ. საბრძოლო კამპანიას სასიხარულო არაფერი მოუტანია მოკავშირეებისათვის, ვინაიდან სპარსელებს მოუწიათ ეფფრატზე თურქთა დიდი არმიის შემოჭრის მოგერიება. ოსმალებთან ურთიერთობის გამწვავებამ გამოიწვია ის, რომ „ძენო გაგზავნილ იქნა უკან ევროპაში, ამჯერად უკვე როგორც სპარსეთის

<sup>13</sup> ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVI საუკუნეში, თბილისი, 1980, გვ. 22

<sup>14</sup> *ibid.*, გვ. 22

<sup>15</sup> იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ XV საუკუნეში. იტალიურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ე. მამისთვალაშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 21

<sup>16</sup> XV-XVII .., 1937, . 20

<sup>17</sup> Penrose Boies, Travel and Discovery in the Renaissance, (Cambridge: Harvard University Press, 1955), გვ. 23-24

\* უზუნ ჰასანს ცოლად ჰყავდა ტრაპიზონის იმპერატორის კალი იოანე კომნენოსის ქალიშვილი დესპინა, ამ უკანასკნელის და კი არქიპელაგის(ეგეოსის ზღვის კუნძულები-თ.კ.) პურცოგის ნიკოლო კრესპოს ცოლი გახლდათ, რომლის ოთხი ქალიშვილი ვენეციელი ვაჭრების ცოლები იყვნენ, ერთ-ერთი ვიოლანტე სწორედ კატერინო ძენ

მონარქის ელჩი, უნგრეთისგან და პოლონეთისგან დახმარების მიღების იმედით. უკანა გზაზე იგი გამოემართა სომხეთის გავლით შავი ზღვისკენ, შემდეგ გემით იმგზავრა გენუელთა ქალაქ კაფამდე, სადაც ის ძლივს გადაურჩა მათგან კონსტანტინოპოლში ტყვედ გაგზავნას. ამის შემდგომ მან უკრაინის გავლით მიაშურა დასავლეთს.”<sup>18</sup> მართალია, აღმოსავლეთ ევროპაში [როგორც მერე ვნახავთ, არც დასავლეთში] ძენოს ელჩობამ დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო, ვინაიდან არც პოლონეთი და არც უნგრეთი [მიუხედავად იმისა, რომ მატიაშ კორვინმა იგი გულთადად მიიღო-თ.ქ.] ამ ეტაპზე მზად არ აღმოჩნდნენ თურქეთთან საომრად, მაგრამ ზემონახსენები ციტატიდან დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ უზუნ ჰასანის მხარდამხარ მებრძოლი ქართველები სპარსეთის მონარქის დიპლომატიურ კავშირებს თავადაც იყენებენ. ძნელი სათქმელია, უშუალოდ კატერინო ძენოც, რომელიც ევროპაში საქართველოზე გავლით მიემშურებოდა, შეგვიძლია თუ არა მოვიახსროთ რომელიმე ქართველი მეფის დესპანის როლშიც [ამ პერიოდში საქართველო უკვე დაშლილია-თ.ქ], თუმცა ე. მამისთვალაშვილს, იტალიურ წყაროზე დაყრდნობით, ნახსენები აქვს, რომ „1474 წლის აგვისტოში ძენო ჩავიდა ვენეციაში, საიდანაც იგი უზუნ ჰასანისა და საქართველოს ელჩებთან ერთად გაემშურა პაპთან და ნეაპოლის მეფესთან, რათა ისინი დაეყოლიებინა ოსმალთა წინააღმდეგ ომის დაწყებაზე”.<sup>19</sup> სამწუხაროდ, ე. მამისთვალაშვილი არ ასახელებს, ან წყარო არ ამბობს არაფერს „საქართველოს ელჩების” ვინაობის შესახებ.

ის ფაქტი, რომ ოსმალთა წინააღმდეგ მოკავშირეების მოპოვების საპასუხისმგებლო საქმეს ვენეციელები ვაჭრებს ანდობდნენ [კატერინო ძენო ვაჭარია], ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ამგვარ კავშირებს ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური მიზნები. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო ვაჭრებისთვის დიპლომატიური დესპანების მისიის დაკისრება და იმ გზებისა და ქსელების გამოყენება, რაც ოდითგანვე სავაჭრო კონტაქტების წყალობით არსებობდა. მსგავსი კავშირების გაბმა სავსებით პასუხობდა სომეხი ვაჭრების ინტერესებსაც, როგორც ირანსა და ამიერკავკასიაში, ასევე ოსმალთა იმპერიაშიც. მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნის 60-იან წლებზე ადრეული პირდაპირი მტკიცებულებები იმ ფაქტისა, რომ ქართველი მეფეები სომეხ ვაჭრებს ანდობდნენ დიპლომატიურ დავალებებს არ მოგვეპოვება, სავარაუდებელია, რომ ამგვარ სამსახურს თურქული საფრთხის გაჩენისთანავე ჰქონოდა ადგილი. რუსულ ქრონიკაში ( ) საუბარია, 1492 წელს მოსკოვში ჩასულ ქართველთა მეფის ალექსანდრეს ელჩზე, სახელად მურატზე.<sup>20</sup> ეჭვგარეშეა, რომ სახელი მურატი ქართული წარმოშობის არაა; მართალია, უზუნ ჰასანის მიერ ევროპაში მივლინებულ ვაჭართან მას ვერ გავაიგივებთ, რადგან ის პიროვნება 1477 წელს მოკლულ იქნა, თუმცა მკვლევარი თ. ტივაძე არ გამორიცხავს, რომ ამჟამად კიდევ ერთი მსგავსი სახელის მქონე სომეხი ხოჯა ყოფილიყო ქართველთა მეფის ელჩი ამჟამად რუსეთში<sup>21</sup>.

<sup>18</sup> ibid., 24

<sup>19</sup> ე. მამისთვალაშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, *იხ. ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები*, (თბილისი: „მეცნიერება”, 1975), გვ. 148.

<sup>20</sup> . . . . .  
გვ. 241

<sup>21</sup> Ibid., გვ. 244

ის ფაქტი, რომ XVI საუკუნიდან უკვე აშკარად ჩანს ქართველი მეფეების მიერ სომეხი ვაჭრების გამოყენება დიპლომატურ სამსახურში, კარგად იკვეთება მოსკოვის კომპანიის წარმომადგენლის, ინგლისელი ვაჭრისა და მოგზაურის ენტონი ჯენკინსონის კომპანიისადმი მიწერილი რეპორტიდან: „ჩემს ყოფნის დროს შემახაში[1563 წლის აპრილი - თ.ქ.] მე მომინახულა ერთმა სომეხმა, ქართველთა მეფის წარგზავნილმა, რომელიც ორი სახელმწიფოს [ოსმალეთი და სპარსეთი] მიერ იყო შევიწროებული, და მათთან აწარმოებდა დაუსრულებელ ბრძოლებს; ის მე მთხოვდა ამ სომეხის პირით როგორმე მესწავლებინა გზები, როგორ მიეგლინა ელჩი რუსეთის მეფესთან, აინტერესებდა ჩემი აზრი, რუსეთის მეფე დაეხმარებოდა თუ არა...“ [იქვე ჯენკინსონი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ქართველ მეფეს უსაფრთხოების მიზნით თავისი ელჩისთვის სიტყვიერად დაუბარებია მასთან სათქმელი, ასე რომ ჯენკინსონმაც, როგორც თავად აღნიშნავს, სიტყვიერადვე უპასუხა დესპანის პირით], რომ “არა მარტო უნდა გაეგზავნა ელჩი რუსეთში, რადგან ის[რუსეთის მეფე] იყო პატივსაცემი და განწყობილი მის დასახმარებლად, ამასთანავე, მე მივასწავლე მას [დესპანს] გზა, რომლითაც დასახელებულ მეფეს [ქართველ მეფეზეა საუბარი] შეეძლო გაეგზავნა იგი ჩერქეზეთის გავლით”<sup>22</sup>. ნაწილი ქართველი ისტორიკოსებისა [ი. ცინცაძე<sup>23</sup>, ბ. გაბაშვილი<sup>24</sup>] ემხრობიან ვერსიას, რომ ეს ქართველი მეფე უნდა ყოფილიყო ლევან კახთა მეფე, ხოლო ნაწილი კი [ე. მამისთვალაშვილი]<sup>25</sup> მიიჩნევს, რომ ის უნდა ყოფილიყო ქართლის მეფე სიმონი. „პირველი ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1563 წელს მოსკოვში გაემართა ლევან მეფის მიერ გაგზავნილი ელჩობა, იაკობის, დიონისესა და ვინმე სომეხის შემადგენლობით და ეს ელჩობა დაბრუნდა უკნა 1564 წელს”<sup>26</sup>. ინგლისელ ვაჭარსა და მოგზაურს, როგორც ჩანს, გადაუწყვეტია ესარგებლა ვითარებით და გაწეული სამსახურიდან რაიმე სარგებელი მიეღო. მან თავისი თანამგზავრი ედვარდ კლარკი ქ. არეშში [ეს ქალაქი, ცნობილი აბრეშუმის ვაჭრობით, ჯენკინსონს წარმოჩენილი ჰყავს კახეთ-შირვანის საზღვარზე] მიაგლინა, რათა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო ვაჭრობის ნება მიეღო. კლარკს უსაუბრია „ზოგიერთ ვაჭრებთან”, თუმცა არაფერი გამოსვლია.<sup>27</sup> ბუნდოვანია, რა იყო ამის მიზეზი, სავარაუდოდ ის, რომ როგორც ჯენკინსონისვე წერილიდან ვგებულობთ, შაჰ თამაზი მაინცდამაინც არ მოიხიბლა ინგლისელი ვაჭრების წინადადებებით და მათთან სავაჭრო-დიპლომატიური კონტაქტების გაბმაზე თავი შეიკავა<sup>28</sup>. იმ პირობებში, როცა შაჰ თამაზის ხელისუფლება გავრცელებული იყო აღმოსავლეთ

<sup>22</sup> Anthony Jenkinson, in Hakluyt's Voyages selected and edited by Irvin R. Blacker, (NY: Viking Press, 1965), p.107-108

<sup>23</sup> . . . . . (X\_XVI .) . . . . . , 1956, . . . . . 283

<sup>24</sup> ე. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, საქართველოს და კავკასიის ისტორიის მასალები, თბილისი, 1954, გვ. 71-72

<sup>25</sup> ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის 50-60-იან წლებში, მაცნე, 1982, № 2, გვ. 23

<sup>26</sup> . . . . . , იხ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები (თბილისი: მეცნიერება, 1991) გვ. 243

<sup>27</sup> W.E.D. Allen, Russian Embassies to the Georgian Kings, vol. I, (Cambridge: Cambridge univ. Press, 1970), p. 357

<sup>28</sup> Richard Hakluyt, The principal Navigation, voyages, Traffiques and Discoveries of English Nation, N\_Y, 1965

საქართველოზე, სურვილი რომც ჰქონოდათ, ქართველი მეფეები ამ კავშირის გაბმას აშკარად მაინც ვერ გაბედავდნენ. თუმცა, თავად ჯენკინსონის დაკვირვებებიდან აშკარად ჩანს საქართველოს სამეფოების კარზე სომეხი ვაჭრებისა და დიპლომატების როლის მნიშვნელობა.

ანტიოსმალური საფრთხის წინააღმდეგ ერთიანი ევროპული კათოლიკური ფრონტით გამოსვლის მოთავე კარლ V ჯერ კიდევ XVI საუკუნის 20-იან წლებში ცდილობდა, რომ აღმოსავლეთიდან ოსმალეთს მეორე ფრონტი ჰქონოდა გახსნილი. ეს ოსმალთა ძალებს დაქსაქსავდა და ევროპელებს საქმეს გაუადვილებდა. ამიტომაც „1518 და 1525 წლებში იგი[კარლ V] აწარმოებდა მოლაპარაკებებს სპარსეთის მმართველებთან შაჰ ისმაილთან და შაჰ თამაზთან, ოსმალთა თურქთა წინააღმდეგ ერთიანი საომარი კამპანიის გასაჩაღებლად”.<sup>29</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველივე სეფიანი შაჰის აქტიურმა დაპყრობითმა პოლიტიკამ გამოწვია ის, რომ მისი სამფლობელო ევფრატისა და შუა აზიამდე გადაიჭიმა, რასაც დიდი გამოსმაურება მოჰყვა საერთაშორისო ასპარეზზე; სელიმ I-ის სვლა ევროპაში კი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მის საპირწონე ფიგურად აღმოსავლეთში მხოლოდ ისმაილი მიიჩნეოდა. „შაჰ ისმაილის პიროვნების, როგორც საქრისტიანოს მტრის წინააღმდეგ მებრძოლის სახელის განდიდება ისევე ხდებოდა, როგორც ერთ დროს თემურ-ლენგისა და უზუნ ჰასანისა.”<sup>30</sup>

ისევე როგორც ოტომანები იყენებდნენ რეფორმაციის შედეგად წარმოქმნილ რელიგიურ განხეთქილებას ევროპაში და იფართოებდნენ საზღვრებს, ასევე კარლ V-ც ცდილობდა სუნიტური ოსმალეთისა და შიიტური ირანის რელიგიური დაპირისპირების გამოყენებას. ცნობას ზემონახსენებ ორი მოლაპარაკების შედეგებზე და ამჯერად ამ ანტიოსმალურ კამპანიასთან საქართველოს რაიმე ფორმით კავშირზე, ჩვენ ჯერ ვერ მივაკვლიეთ, თუმცა თავდაპირველ სეფიანთა გამარჯვებაში ქართველების როლის<sup>31</sup>, ასევე იმის გათვალისწინება, რომ ირანთან ერთად კოალიციაში გამოსვლა თავის თავად გულისხმობდა ევროპელებთან ურთიერთობის პერსპექტივასაც, გვაზარაულებინებს, რომ რაიმე სახით ქართული სახელმწიფოების ჩართულობა ანტიოსმალური კოალიციების მცდელობაში XVI საუკუნის 20-იან წლებშიც საძიებელია. აკი შაჰ ისმაილის მიერ ოტომანთა წინააღმდეგ შექმნილი ლიგის [1514 წლის ოქტომბერი-თ.ქ.] მონაწილენი ქართველებიც ყოფილან – ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ნიკოლო ძენოს მიერ შედგენილი კატერინო ძენოს „მოგზაურობის კომენტარები” და ასევე ვენეციელის, ჯოვანი მარია ანჯოლელოს ცნობები.<sup>32</sup> სამაგიეროდ, ჩვენს მიერ იქნა მოძიებული იტალიელი მიქელე მემბრეს რელაციონი ირანში მოგზაურობის შესახებ 1538-1540 წწ.-ში, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი ამ პერიოდში ვენეციის მიერ კვლავ მოკავშირეობის ძიების მიზნით [1538 წელს ვენეციამ, პაპმა და ჰაბსბურგებმა ლიგა ანტიოსმალური ლიგა

<sup>29</sup> . . . , ( : , 1984), . 86

<sup>30</sup> ე. მამისტვალაშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, *იხ. ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები*, (თბილისი: „მეცნიერება”, 1975), გვ. 153

<sup>31</sup> *Ibid.*, გვ. 145

<sup>32</sup> ე. მამისტვალაშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, *იხ. ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები*, (თბილისი: მეცნიერება, 1975), გვ. 148-159

შეკრეს] იყო კურიერად მივლინებული ირანში, სადაც საქართველოს გავლით შეაღწია და უკან დაბრუნებულმა ვალიადლოლიდში კარლ V მოინახულა, რომელიც ძალზე იყო დაინტერესებული იტალიელის ირანული შთაბეჭდილებებითა და სავარაუდო პოლიტიკური ალიანსის შესაძლებლობებით. მემბრეს ინგლისურად მთარგმნელსა და დართული კომენტარების ავტორს ა. ჰ. მორტონს ნახსენები აქვს რომ, ურთიერთობებს ჰაბსბურგებსა და ირანს შორის ადრეც ჰქონია ადგილი. სამწუხაროდ ის არ ახდენს დაკონკრეტებას<sup>33</sup>, თუმცა გვაგვარაუდებინებს, რომ სწორედ 1518-1525 წლის მცდელობებზეა საუბარი. საქართველოს სავარაუდო კონტაქტების კვლევას განსაკუთრებით ის ფაქტორი ართულებს, რომ თავისთავად, ეს ნაბიჯი მხოლოდ დამოუკიდებელი ნაბიჯი ვერ იქნებოდა, და მეორეც, ევროპისთვის, გარდა ოტომანთაგან მომდინარე საფრთხისა, ეს ხანა არის იტალიური ომებისა და რეფორმაციის ხანა, როცა საერთოევროპულ კონფლიქტშიც თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფო იყო ჩართული და რელიგიური დაპირისპირებაც განსაკუთრებით მწვავედ იდგა. ოტომანებთან ურთიერთობაში არც მისი ყველაზე „დაუძინებელი“ მტრები [ვენეცია, პაპობა, საღვთო რომის იმპერია, მოგვიანებით ჰაბსბურგული ესპანეთი] იყვნენ თანამიმდევრულნი, ამიტომაც აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთანა და ირანთანაც, როგორც სავარაუდო მოკავშირეებთან, ურთიერთობაც ხან გააქტიურდებოდა, ხანაც სუსტდებოდა. (მაგალითები ამ მიმართულებით შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ზემონახსენები ლივისა და მემბრეს ირანში გაგზავნის პარალელურად თავად ვენეციამ სეპარატულად მოაწერა ხელი ოსმალებთან დაზავებას ხელი 1540 წლისთვის, რამაც გამოიწვია კიდევ მემბრეს ვიზიტის უშედეგობა, შაჰ თამაზის ოსმალთა მიმართ ზოგადად თავდაცვითი პოლიტიკური კურსის არჩევასთან ერთად).<sup>34</sup>

თუმცა, ანტიოსმალური მიმართულებით ევროპის ქვეყნების გააქტიურება კვლავ შეინიშნება XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან. ამ პერიოდში მისი მოთავე უკვე ესპანეთის მონარქი ფილიპე II იყო. მაშინ როცა ინგლისური დიპლომატიის ძალისხმევა ოსმალთა კარზე მიმართული იყო იქითკენ, რომ ოსმალეთის სამხედრო ძალა ესპანეთის დასამარცხებლად და მისი საზღვაო იმპერიის დასამხობად გამოეყენებინა, საპირისპიროდ, ესპანეთის ხელისუფლებაც ეძიებდა სავარაუდო საპირწონე ძალას, რის გამოც ოსმალთა ყურადღება ვერ იქნებოდა კონცენტრირებული მარტო ხმელთაშუაზღვისპირეთში და ზოგადად, დასავლეთის მიმართულებით. ამ მხრივ კი ყველაზე კარგი ვარიანტი ისევე ირანთან მოკავშირეობა იყო. ამიტომაც, ფილიპე II-ს შაჰ მუჰამედ ხოდაბენდესთან მიუგვლენია ელჩი, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა იგი ოსმალთა წინააღმდეგ ევროპელებთან თანადროულად ერთიანი ფრონტით გამოსვლაზე.<sup>35</sup> ირან-ოსმალეთის ახალი ომის დროს ოსმალეთის წარმატებებმა სპარსეთის შაჰი კიდევ უფრო დაარწმუნა ამ წამოწყებაში ქართველ მეფეების ჩაბმის საჭიროებაში. შესაბამისად, მუჰამედ ხოდაბენდემ, დაიწყო თუ არა ომი ოსმალეთთან, წლების განმავლობაში მის მიერ ციხეში გამომწყვდეული სიმონ მეფე ტყვეობიდან გაათავისუფლა, მეფობა დაუბრუნა და სამშობლოში გამოუშვა,

<sup>33</sup> Michele Membré, Mission to the Lord Sophy of Persia [ translated with introduction and notes by A.H. Morton], (School of oriental and african studies, Univ. of London), 1993, p. 12-17

<sup>34</sup> Ibid., 12-17

<sup>35</sup> . . . E. . . . . “ . . . . . ” A . . . . . , 1955, #9, . 124-125



რათა სიმონს ქართველთა ძალები ოსმალების წინააღმდეგ დაერაზმა. შაჰის გათვლა სწორი გამოდგა. ქართლის მეფე სიმონ I კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს შეურიგდა, ასევე დაუმოყვრდა სამცხის მთავარს და, ამგვარად, ოსმალთა წინააღმდეგ ირანის მხარეს უკვე სოლიდური ძალა აღმოჩნდა. როგორც XV საუკუნის მიწურულში, ახლაც იგეგმებოდა კავშირის დადება რუსეთთანაც. კარამზინის გადმოცემით, XVI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში რუსეთს ირანის ელჩობა სწვევია.<sup>36</sup> ზოგიერთი ვარაუდით, ეს ელჩობა კოალიციური უნდა ყოფილიყო და მასში ქართველთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.<sup>37</sup> სწორედ ირან-თურქეთის ამ ახალი ომის პერიოდიდან კიდევ ერთხელ აშკარად ჩანს, რომ სომეხი ვაჭრები და რელიგიური პირები დიპლომატიურ სამსახურს ქართველ მეფეებსაც უწევდნენ. ისტორიკოს ტერ-ავეტისიანის ცნობით, XVI საუკუნის 90-იან წლებში „ვენეციური არქივები ასახელებენ სასულიერო პირს ტერ-აკოპ მარგარიანს, რომელიც ოცი წელია ამიერკავკასიასა და ვენეციას შორის მოგზაურობდა. მას მიჰქონდა კორესპონდენცია ვენეციელებთან, რომის პაპთან, ასევე წაუღია კორესპონდენცია ქართველი მეფისგან, სიმონისგან“<sup>38</sup>. ი. ტაბაღუას მიერ ევროპულ არქივებსა და წიგნსაცავებში მოძიებულ მასალებს შორის არის სიმონ I-ის მიერ ფილიპე II-სადმი გაგზავნილი წერილი<sup>39</sup>, რომელიც სწორედ ამ ტერ-აკოპის (იაკობის, როგორც ი. ტაბაღუასთან არის მითითებული) მეშვეობითაა გადაცემული. წერილში სიმონი სთხოვს ფილიპე II-ს, ზემოქმედება მოახდინოს გერმანიის იმპერატორსა და ტრანსილვანიის მთავრებზე, რათა მათ საომარი ოპერაციები წამოიწყონ ოსმალო თურქთა წინააღმდეგ. მაშინ როცა ქართლის მეფე ევროპასთან ურთიერთობის გაბმას ცდილობს, კახეთის მეფეს რუსეთთან ურთიერთობა უფრო პერსპექტიულად მიაჩნია მოცემულ მომენტში. კახთა მეფის ალექსანდრე II-ის მიერ 1590 წელს რუსეთის კარზე გაგზავნილ ელჩები, რომლებიც რუს ელჩს ზვენიგოროდსკის მიჰყვებოდნენ რუსეთის მეფისაგან საშამხლოს წინააღმდეგ სამხედრო მხარდაჭერა მოსაპოვებლად, გახლდნენ ჩერქეზი ყურშიტა და პრინცი სულეიმან ბაინდირის-ძე, რომელიც ისტორიკოს ალენს კახეთის კარზე ჩამოსახლებულ თურქმან აღ-ყონღუს წარჩინებულთა შთამომავლად მიაჩნია.<sup>40</sup> თუმცა ბორის გოდუნოვის კარზე მივლინებულ კახეთის ელჩების, არქიმანდრიტ კირილესა და არამ ძეღამბეკს შორის, ამ უკანასკნელს იგივე ავტორი თურქთა მიერ მოღვრებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ქართლიდან ხიზნად წამოსული ქართულ-სომხური წარმოშობის პიროვნებად მიიჩნევს.<sup>41</sup> რუსეთ-კახეთის ურთიერთობები ამ პერიოდში ინტენსიურია, ვინაიდან მოჰამედ ხოდაბენდე ოსმალთა წინააღმდეგ რუსეთის მომხრობის მიზნით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მას დიდ დათმობებს ჰპირდებოდა<sup>42</sup> და კახეთის დამოუკიდებელ ინიციატივებზეც თვალს ხუჭავდა. თუმცა შაჰ აბას I-ის მიერ

<sup>36</sup> . . . , . III, . IX, , ., 1845, . 246

<sup>37</sup> . . . , - 80- XVI . - , 3. 1983, . 53

<sup>38</sup> . . . - XV-XVII . . , 1937, . 26

<sup>39</sup> ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპულ არქივებსა და წიგნსაცავებში, (თბილისი: „მეცნიერება“ 1984), გვ. 222-223

<sup>40</sup> Allen W.E.D., Russian Embassies to the Georgia Kings, Vol. I, (Cambridge: Cambridge Univ. Press, 1970), . . 356

<sup>41</sup> Ibid., Vol. II, p. 538

<sup>42</sup> ibid., vol I, p. 539

ოსმალთა წინააღმდეგ წარმატებით განახლებული ომის შემდეგ, საქართველოსთვის ვითარება ამ მიმართულებითაც გართულდა.

სამწუხაროდ, ჩვენ მიერ ჯერ ვერ იქნა მოძიებული XVI საუკუნის I ნახევარში ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა კარზე ქართველ მეფეთა კონტაქტების დამადასტურებელი წყაროები, ის ფაქტი კი, რომ XVI საუკუნის მიწურულს არსებობს კონტაქტის მცდელობა ესპანეთის მეფესთან, რომელიც ცალსახად აღიქმებოდა ოსმალთა მტრად და, შესაბამისად, აღმოსავლეთის ქრისტიანების პოტენციურ ქომაგად, ერთის მხრივ, გვაფიქრებინებს, რომ რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირების დამყარების მიუხედავად, საქართველო არასოდეს წყვეტდა ევროპასთან კონტაქტის დამყარების მცდელობას და მეორე, რომ XVI საუკუნის I ნახევარში, იმპერატორ კარლ V მმართველობის ხანაშიც უნდა ყოფილიყო მასთან რაიმე კავშირის მცდელობა. კარლ V-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი გაცხადებული დევიზი იყო სწორედ ერთიანი კათოლიკური ევროპის დაპირისპირება ოსმალეთთან, თუმცა ეს მისი მხრიდან მარტო დევიზი არ ყოფილა. რომ არა რელიგიური განხეთქილება ევროპაში, რაც კარლს არ აძლევდა ძალების ერთი მიმართულებით კონცენტრაციის საშუალებას, ოსმალთა წინსვლა ევროპის კონტინენტზე შეიძლება ასეთი შთამბეჭდავი არც ყოფილიყო. კარლ V-ის ძე ფილიპე II მამის ამბიციებისა და სამფლობელოების მხოლოდ ნაწილის მემკვიდრე იყო (კარლ V-მ გადადგომის შემდგომ სამფლობელოების ნაწილი ძმას დაუტოვა იმპერატორის ტიტულთან ერთად) – ამიტომაც, ვვარაუდობთ, რომ საფუძვლიანი კვლევა ამ მიმართულებით ბევრ სიახლეს გამოავლენს. (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ძალთა დაქსაქსულობა იყო ოსმალთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ვერშექმნის ერთადერთი მიზეზი, არამედ ის ფაქტორებიც, რომ მიმდინარეობდა ევროპის სახელმწიფოების მიერ ახალი გზების აქტიური ათვისება, ახალი ინტერესები მეკავშირეთა ცვლას განაპირობებდა, ფილიპე II-ის ინტერესები ამ დროს დიდწილად გადართული იყო ამერიკის კონტინენტზე, საიდანაც შემოდოდა ძირითადი ქონება ესპანეთისთვის და ა. შ. ამ მიზეზების გაშლა ჩვენი სტატია ფარგლებში ამჯერად შეუძლებელია-თ.ქ.) მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კავშირი ევროპასთანაც და რუსეთთანაც XV საუკუნიდან მოყოლებული, ირანის ნებართვის გათვალისწინებით და ერთიანი ანტიოსმალური საბრძოლო კამპანიის პროგრამის ფარგლებშია განსახილველი და ნაკლებად ადევს დამოუკიდებელი მოღვაწეობის ელფერი. თუმცა, ისიც აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ იმ მოცემულ ვითარებაში, თავად საქართველოს მესვეურები საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვის ყველა შესაძლო საშუალებას იყენებდნენ. როცა საქართველო ირან-ოსმალეთის ომების ერთ-ერთ ასპარეზად იქცა, და როცა სეფიანთა ირანის დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებაში ნელ-ნელა დამძიმდა, საქართველოს უჭირდა აქტიური საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოება. ამიტომაც ატარებს კორესპონდენციები სპორადულ ხასიათს, განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოებში და დესპანთა ვინაობის დადგენაც რთულდება [რუსეთთან ურთიერთობები, მიუხედავად ოსმალეთ-ირანის წინააღმდეგობისა, მაინც უფრო ინტენსიურია და ინფორმაციის მოპოვებაც მეტადაა შესაძლებელი, ეს ვითარება კი, თავის მხრივ, რუსეთის მეზობლობითა და ამიერკავკასიის რეგიონში მისი სწრაფად მზარდი ეკონომიკურ-პოლიტიკური დაინტერესებით აიხსნება და არა მარტო საქართველოს მცდელობებით]. მაგრამ უდავოა, რომ ჩართვილ მიჯნა

დესპანების უმეტესობა საქართველოს მხრიდან (იშვიათი გამონაკლისების გარდა) სომხური წარმოშობის ვაჭრები იყვნენ, რომლებიც უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ ბერკეტებს ფლობდნენ არა მარტო ამიერკავკასიასა და ირანში, (ვისი დესპანების მოვალეობაც ასრულებდნენ როგორც დასავლეთში, ასევე ჩრდილოეთის მიმართულებით), არამედ ოსმალთა იმპერიაშიც და, ამასთან ერთად, დასავლეთისკენ მიმავალი გზებიც კარგად ჰქონდათ გაკვალული.

## ლიტერატურა Literature

1. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ XV საუკუნეში. იტალიურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ე. მამისთვალაშვილმა, თბილისი, 1981
2. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპულ არქივებსა და წიგნსაცავებში, „მეცნიერება“ თბილისი, 1984
3. ე. მამისთვალაშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, *იხ. ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები*, თბილისი, 1975
4. ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, საქართველოს და კავკასიის ისტორიის მასალები, თბილისი, 1954
5. ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის 50-60-იან წლებში, მაცნე, თბილისი, 1982
6. ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVI საუკუნეში, თბილისი, 1980
7. W.E.D. Allen, *Russian Embassies to the Georgian Kings*, (Cambridge: Cambridge univ. Press, 1970)
8. D. Goffman, *The Ottoman Empire and Early Modern Europe*, (Cambridge: Cambridge University Press, 2002)
9. Michele Membré, *Mission to the Lord Sophy of Persia* [ translated with introduction and notes by A.H. Morton], (School of oriental and african studies, Univ. of London), 1993
10. Richard Hakluyt, *The principal Navigation, voyages, Traffiques and Discoveries of English Nation*, (N-Y: Viking Press, 1965)
11. Penrose Boies, *Travel and Discovery in the Renaissace*, (Cambridge: Harvard University Press, 1955)
12. . . . , XVII , , 1969
13. . . . , , (იხ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი: მეცნიერება, 1991)
14. . . . , - 80- XVI . – , 3. 1983
15. . . . , . III, . IX, , . , 1845

16. . . . - , XV-XVII ,, , 1937
17. . . . , , ( : , 1984)
18. . . . , XVI- XIX ,, , 1949
19. , E. ,, #9, , 1955
20. . . . (X\_XVI .) , 1956

**რ ე ზ ი უ მ ე**

**ქართველთა მეფეების საერთაშორისო კონტაქტებისა და მათი დესპანების ვინაობის შესახებ XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში**

**თეა ქარჩავა**

წინამდებარე სტატია შეეხება XV-XVI საუკუნეებში ქართველ მეფეთა საერთაშორისო კონტაქტებსა და ამ კონტაქტებისათვის დესპანებად მივლინებულ პირთა ვინაობის დადგენის საკითხს. სტატიაში სიახლის სახით გამოვლენილია XVI საუკუნის 30-40-იან წწ-ში ანტი-ოსმალური კავშირის ჭრილში ევროპა-ირანის ურთიერთობის კიდევ ერთი მცდელობის ფაქტი, რომელსაც ქართული სამეცნიერო საზოგადოება არ იცნობდა. ისტორიულ წყაროთა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე არის მცდელობა ობიექტურად შეფასდეს XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის მანძილზე ქართველ მეფეთა დიპლომატიური კავშირები რამდენად ატარებდა დამოუკიდებელ ხასიათს და რაგვარად შეიძლება განისაზღვროს ქართულ სახელმწიფოთა ადგილი და როლი იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში.

**S U M M A R Y**

**ABOUT GEORGIAN KINGS' INTERNATIONAL CONTACTS AND IDENTIFICATION OF THEIR ENVOYS IN XV-XVI CENTURIES**

**TEA KARCHAVA**

The article given below is connected with both the international contacts of Georgian Kings in XV-XVI centuries and the identifying of the persons who were sent for this issue as envoys and couriers. The fact is exposed as the novelty (totally unknown for Georgian scientific society) which once again reveals the relation between Europe and Safavids in the framework of Anti-Ottoman Unity in 30-40-ties of XVI century.

As the result of analyses of the historical sources the article tries to provide an objective evaluation regarding the fact were or not independent actions the diplomatic relations of Georgian kings during XV-XVI centuries, as well as tries to define how the role and place of Georgian States in the international situation should be determined at that period.

**XV-XVI**

XV-XVI . , (

30-40- XVI ) - .

XV . XVI .

**ჰუმანიტარული კრიტიკიზმი აღმოსავლური და დასავლური  
რელიგიური ცნობიერების მიხედვით**

**ფიქრია ვარდოსანიძე**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

დღეს, როდესაც გვეხმის სიტყვები: “ქრისტიანობა”, “ქრისტიანული სწავლება”, “ქრისტიანული ეკლესია” და ა.შ. უპირველესად მოვიზრებთ ზოგადად ქრისტიანულ ეკლესიას—მართლმადიდებლურსაც და კათოლიკურსაც. საზოგადოების უმრავლესობისათვის ეს განსხვავება, შესაძლოა არც იყოს მნიშვნელოვანი და უკავშირდებოდეს მხოლოდ პრაქტიკულ ლიტურგიკულ მხარეს. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რამაც გადამაწყვეტინა, მემუშავა ამ ორი რელიგიური ცნობიერების უკეთ შესწავლისათვის და გამერკვია, რომელმა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა პირობებმა შეუწყვეს ხელი ქრისტიანული ეკლესიის გახლეჩას, რამდენად სერიოზული იყო სადაო საკითხი მაშინ, როდესაც ვერ მოხერხდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების შეთანხმება და რამდენად სერიოზულ წინააღმდეგობას ვაწყდებით ახლა, როდესაც უკვე დროის ხანგრძლივობამ დიდი გავლენა იქონია განსხვავებათა გაღრმავებაზე.

ქრისტიანულ რელიგიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. დღიდან არსებობისა მას გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა წარმართა და სხვადასხვა ერესის წინააღმდეგ. და მიუხედავად მრავალგვარი და გაუსაძლისი გაჭირვებისა, იგი მაინც არსებობს დღემდე. ქრისტიანული მოძღვრება კაცობრიობისათვის განკაცებული უფლის მოძღვრებაა, რომლის დაცვაც და გაფრთხილებაც არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა. ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებში ქრისტიანულ ეკლესიას მართლმადიდებლურიც ეწოდებოდა და კათოლიკეც (მსოფლიო, საყოველთაო), მართლმადიდებლური – რადგან იცავდა თავისი მოძღვრების ჭეშმარიტებას და კათოლიკური – რადგან მოიცავდა რომის იმპერიას და მის ირგვლივ დასახლებულ ტერიტორიას. მოგვიანებით ქრისტიანულ მოძღვრებაში წარმოქმნილმა უთახმოებებმა და კამათებმა განაპირობა ეკლესიათა გაყოფა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ (იგივე ლათინთა) ეკლესიად.

მოკლე განსაზღვრებები ქრისტიანული დოგმატებისა გადმოცემულია სარწმუნოების სიმბოლოში, რომელიც შეიქმნა მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებით. სარწმუნოების შექმნის აუცილებლობა გამოიწვია იმ მრავალმა ერესმა, რომლებიც წარმოიშვნენ ქრისტიანობის გავრცელებისთანავე და შემდგომ საუკუნეებშიც. სულ ჩატარდა შვიდი კრება, რომლებზეც დაგმეს ყველა იმ დროისათვის არსებული ერესი და აღიარეს ჭეშმარიტი მოძღვრება.

მსოფლიო საეკლესიო კრებებში მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა ეკლესია, თუმცა თავიდანვე იმ თავისებურებებით გამოირჩეოდა რომის ეკლესია, რომ კრებებზე ლეგატებს აგზავნიდა. დღესდღეობით მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის მრავალმხრივი სხვაობაა, როგორც დოგმატიკაში, ასევე ლიტურგიკაში. ძირითადი დოგმატური სხვაობანი კი შემდეგში

მდგომარეობს: 1. სწავლება რომის პაპის აბსოლუტური და ერთპიროვნული ხელისუფლების შესახებ ეკლესიაზე; 2. სწავლება სულიწმიდის “და ძისაგან” გამომავლობის შესახებ; 3. სწავლება გამოსხნის შესახებ, რომელიც პირველჩენილი ცოდვის და საერთოდ ცოდვების, ღმრთის წინაშე გამოსყიდვას განსაწმენდელის, დამსახურებათა საუნჯის და ინდულგენციების გზით გულისხმობს; 4. მარიამული დოგმატები: ქალწულ მარიამის უბიწოდ ჩასახვის (1854წ.) და ზეცად მისი ხორციელი ამაღლების (1950წ.) შესახებ.

სქიზმის მიზეზი პირველი ორი დოგმატური სხვაობა იყო, ხოლო პაპის შესახებ სწავლებას მოგვიანებით დაემატა შემდეგი დოგმატი—პაპის უცოდველობის შესახებ, რომელიც დოგმატად მიიღეს ვატიკანის I კრებაზე 1870წ. მსოფლიოს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას ჰყავს ერთპიროვნული უმაღლესი ხელისუფალი რომის პაპი, რომლის რეზიდენციაც მდებარეობს ვატიკანში. გადმოცემის თანახმად, ვატიკანი არის ერთ-ერთი ბორცვი, რომელზეც დაშენებულია ქალაქი რომი. ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ იგი მომდინარეობს სიტყვიდან Vaticinia, რაზეც მიანიშნებს მისი ლათინური ეტიმოლოგია და რაც წინასწარმეტყველებას ნიშნავს. ამბობენ, რომ აქ ბედის შესახებ წინასწარმეტყველებდნენ ეტრუსკები.

დიდმნიშვნელოვანია ვატიკანი, როგორც რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი და მისი ერთპიროვნული მმართველი—რომის პაპი. საკუთრივი გაგება რომის ეპისკოპოსზე, როგორც პაპზე რამოდენიმე თეზისისაგან შედგება: პაპის შესახებ დოგმატის პირველი საფუძველი არის ის, რომ მოციქული პეტრე, ვითარცა *princes apostolorum*, ფლობს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას. მეორე თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ პეტრე მოციქულს ეს უფლება ყოველთვის ჰქონდა. რამდენადაც პეტრე, როგორც ინდივიდი უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ეს წესი არ შეიძლება რომ შეწყვეტილიყო, ამიტომ უნდა ყოფილიყვნენ მისი მემკვიდრეები და ასეთ მემკვიდრეებად გვევლინებიან რომის ეპისკოპოსები. ეს პაპობის მესამე თეზისია.

კათოლიკეთა რწმენით, რომის ეკლესია მოციქულთა თავის, პეტრეს მიერაა დაარსებული და რომის პაპებიც უპირატესნი არიან დანარჩენი ქრისტიანული ეკლესიის მეთაურთა შორის, ვინაიდან ისინი მოციქულის მემკვიდრეებად ითვლებიან. პროტოპრესვიტერმა ს. ბულგაკოვმა გამოყო რამდენიმე ფაქტი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ პეტრე მოციქულის ცხოვრებაში: 1. სახელის შეცვლა— სიმონ-პეტრე [ლკ. 6:14]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელის შეცვლის საჭიროება ძველ აღთქმაშიც იყო და განისაზღვრებოდა რაიმე განსაკუთრებული მოვლენის შემთხვევაში; მაგ. აბრამი-აბრაამი [გამოსვ. 17:5], იაკობი-ისრაელი [გამოსვ. 32:28; 35:10]. ასევე ახალ აღთქმაშიც, უფლის მიერ იაკობი და იოანე, ზებედეს ძენი, მოიხსენიებიან — ბანერგედ (ქუხილის ძე) [მარკ. 3:17]. 2. პეტრე მოციქული სიაში მოხსენიებულია პირველად [მთ. 10:25]. 3. პეტრესათვის “ცათა კლიტენის” გადაცემა [მთ. 16:13-19]. 4. პეტრეს პირველობის ფაქტები მოციქულთა საქმიანობის დროს: მისი ხელმძღვანელი როლი იუდას ნაცვლად სხვა მოციქულის არჩევის საქმეში [საქმე. 1:15-22], პირველი ქადაგებები ორმოცდაათი დღის შემდეგ [საქმე. 14:36], მისი სიტყვა თქმული ანანასა და საფირას მიმართ [საქმე. 5:1-11], მან პირველმა მიიღო წარმართები ტაძარში, სიტყვით გახსნა სამოციქულო კრება [საქმე. 15:3-11]. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტები არ მეტყველებენ იმაზე, რომ სხვა მოციქულები ნაკლებად პატივდებულები იყვნენ. მოციქულები რომ ნამდვილად თანასწორნი იყვნენ, სწორედ ამის შესახებ საუბრობს მოციქული პავლე კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში: “ხოლო ვიტყვი ამაჲს რამითა

კაცად-კაცადი თქუენი იტყუის, ვითარმედ: მე პავლესი ვარ, ხოლო მე აპოლოისი, ხოლო მე-კეფაისი, ხოლო მე-ქრისტესი ... გან-მე-ყოფად არსა ქრისტე? ნუ პავლე ჯუარს ეცუა თქუენტუის? ანუ სახელისა მიმართ პავლესითა ნათელ-ილეთა?” [1კორინ. 1:12-13]. არც იმ ფაქტების უყურადღებოდ დატოვება შეიძლება, როდესაც პეტრეს არა აქვს რაიმე განსაკუთრებული როლი მოციქულთა შორის და თორმეტივე მოციქული გამოდის უშუალოდ, როგორც ცოცხალი ერთობა; მაგ. დიაკონთა ხელდასხმის დროს [საქმე. 6:1-7].

აღმოსავლური (მართლმადიდებლური) ქრისტიანული სწავლების მიხედვით, პეტრეს მიერ ქრისტეს აღიარების ფაქტი, საჭიროებს კარგად განმარტებას, მხედველობაშია, უფლის მიმართ ნათქვამი სიტყვები: “შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი” [მთ. 16:16]. მოწაფეებმა გამოთქვეს აზრი იესოს შესახებ, მაგრამ ეს იყო არა მათი საკუთრივი წარმოდგენა იესოზე, არამედ იმ ადამიანებისა, რომლებიც უფლის სასწაულებს ხედავდნენ და მის ქადაგებებს ისმენდნენ. ხოლო როდესაც იესომ იკითხა: თქვენ ვინ გგონივართო?—უპასუხა მხოლოდ პეტრემ, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ დანარჩენები იმავეს არ ფიქრობდნენ. საჭირო არ იყო ყველას პასუხი, რადგანაც ყველა ერთნაირად უპასუხებდა და ვინც უპასუხებდა, ის იქნებოდა, საერთოდ მოციქულთა დასის წარმომადგენელი; ასეთად გამოჩნდა პეტრე, რომელმაც უპასუხა ყველას მაგივრად. უფალმა ამ შეკითხვით ნეტარყო, საერთოდ მოციქულთა დასი. მოციქულთა შორის არ გაჩენილა არანაირი კითხვა, რადგან მათ შორის თანხმობა სუფევდა. პეტრეს აღთქმა ეკუთვნოდა ყველას; მისთვის უბრალოდ დამახასიათებელი იყო ენერგიულობა და ემოციურობა. რაც შეეხება იესოს მიერ პეტრესთვის წოდებულ “კლდეს”, აქაც იმავეს თქმა შეიძლება, რომ მოციქულები მადლისა და პატივისმიერად არიან თანასწორნი და სიმონისათვის პეტრე-კლდეს წოდება არის, როგორც საერთოდ რწმენა ქრისტესი ყველა მოციქულში, ე.ი. ეს არის აღთქმა ყველა სამოციქულო ეკლესიისა. ბულგაკოვი აღნიშნავს, რომ “ეს არის არა ძალისმიერი პრიმატი, არამედ ავტორიტეტის-მიერი პრიმატი, რომელიც მიეკუთვნება პეტრეს დანარჩენ მოციქულებთან კავშირში, მაგრამ არა მათ გარეშე და არა მათგან განსხვავებით”.

აღმოსავლეთ ქრისტიანული ეკლესია ადასტურებს, რომ იესოს სიტყვები ეკუთვნის ყველა მოციქულს. მეიენდორფის აზრით, ამ წოდებას – “ეკლესიის კლდე” – აქვს ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა. როდესაც ვამბობთ, რომ ვართ შვილი ძე ღმრთისა, ვხდებით პეტრე, ანუ ყველა მორწმუნე ხდება კლდე და სიმტკიცე საერთოდ ქრისტიანული ეკლესიისა. რაც შეეხება რომის ეკლესიაზე პეტრეს უფლებამოსილებას, როგორც დასავლეთის (რომაული კათოლიციზმი) ეკლესია ადასტურებს, უნდა აღინიშნოს, რომ რომის ეკლესია დაარსეს პეტრე და პავლე მოციქულებმა ერთად, “არც ერთ ეპისკოპოსს არ მიუღია თავის თავზე ეპისკოპოსის ჩინი ამა თუ იმ ქალაქში, ან ამა თუ იმ მხარეს, არამედ ისინი თანაბრად ფლობდნენ ძალაუფლებას ყველგან”. სარდიკიის კრებამდე (343წ.) რომის ეპისკოპოსებს არ გააჩნდათ არანაირი განსაკუთრებული უფლებამოსილება დასავლეთის ეკლესიაზე. ამ კრების მიხედვით მინიჭებული უფლებები დროებითი დანიშნულებისა იყო და სულაც არ გულისხმობდა რომის ეპისკოპოსის ერთპიროვნულ განმგებლობას. როდესაც იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ზრუნვა დაიწყო საეკლესიო საქმეებზე, მან გადაწყვეტილებების მიღება დაავალა არა რომის ეპისკოპოსს, არამედ ეპისკოპოსთა კრებას.

პაპის ძალაუფლების საზღვრების შესახებ ძნელია საუბარი. ნიკეის კრების კანონთა ბერძნულ ტექსტში არ არის ნახვენები მსგავსი თიბულობა.



არის მხოლოდ რამდენიმე ლათინურ ტექსტში. პაპებისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭების შესახებ პირველი ნაბიჯები გადაიდგა სარდიკის კრებაზე. იგი მოწვეული იყო კონსტანტინე დიდის მიერ ათანასე ალექსანდრიელის საკითხის გადასაჭრელად. კრებაზე იყვნენ უმეტესად დასავლელი ეპისკოპოსები, ამიტომ აღმოსავლელმა ეპისკოპოსებმა დატოვეს სარდიკია და კრება ჩაატარეს ფილიპიაში. სარდიკის კრების მამებმა ათანასე აღადგინეს ეპისკოპოსის პატივი. რომის პაპისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება განაპირობა არიანელთა საკითხმა. უბრალო ეპისკოპოსებს მიეცათ შესაძლებლობა არიანელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის თავიდან აეცილებინათ მიტროპოლიტის ძალისმიერი თვითნებობანი, ამიტომ სარდიკის კრებამ მესამე, მეოთხე და მეხუთე კანონებით მიანიჭა პაპს გარკვეული უფლებები მთელი დასავლეთის ეკლესიაზე.

სარდიკის კრების კანონთა შედგენილობა სამ მიმართულებად იყოფა:

1. ეპისკოპოსს, რომელიც გადააყენა ოლქის კრებამ, მაგრამ თავს არ თვლის დამნაშავედ, შეუძლია აპელაცია მოთხოვოს რომის ეპისკოპოსს; 2. რომის ეპისკოპოსმა უნდა გადაწყვიტოს მისცეს თუ არა აპელაციას მიმართულება, უკანასკნელ შემთხვევაში ძალაშია პირველი ინსტანციის სასამართლო. პირველ შემთხვევაში პაპი დანიშნავს ახალ სასამართლოს მოსაზღვრე ოლქის ეპისკოპოსებისაგან, ასევე შეუძლია კრებაზე გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი პრესვიტერები; 3. როცა პირველი ინსტანციის მიერ გადაყენებული ეპისკოპოსი მიმართავს პაპს აპელაციისათვის, მისი კათედრა თავისუფალი იქნება, ვიდრე არ გადაწყდება პაპის მიერ აპელაციის საკითხი. ეპისკოპოსის კათედრა რჩება ვაკანტური, ვიდრე არ მოხდება მეორე ინსტანციის მიერ საქმის ახალი გამოკვლევა. ეპისკოპოსთა უფლებამოსილების შესახებ არსებობს კანონები, ნიკეისა და კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ მიღებულნი, სადაც განსაზღვრულია ეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის უფლებები, მათი თანაბარი პატივი და ღირსება და ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილებების პრიორიტეტულობა და არა რომელიმე ერთი ეპისკოპოსისა. კონსტანტინეპოლის კრების მიერ დადგენილ მეორე კანონში ცხდადაა განსაზღვრული, რომ “სამთავროთა ეპისკოპოსები ნუ გაავრცელებენ თავიანთ ხელისუფლებას იმ ეკლესიებზე, რომლებიც მათ სამთავროს გარეთ არიან განლაგებულნი, რათა ამით არ მოახდინონ ეკლესიების ერთმანეთში შერევა ... თუ არ იქნებიან მოწვეულნი ეპისკოპოსები, ნუ გადავლენ თავიანთ სამთავროს საზღვრებს ხელდასახმელად, ან სხვა რაიმე საეკლესიო განკარგულების გასაცემად [ჯაფარიძე, 2000:22].

რომის ეპისკოპოსი რომ არ არის უპირატესი სხვა ეპისკოპოსებს შორის, ამის შესახებ მეტყველებს სხვა კანონი. კონსტანტინეპოლის კრების დადგენილების შესახებ კანონში რომის ეპისკოპოსთან პატივით გათანაბრებულია სხვა ეპისკოპოსები: “კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსებს მიენიჭოთ რომის ეპისკოპოსის თანაბარი პატივის უპირატესობა, რადგან ეს ქალაქი ახალი რომია. ხოლო ნიკეის კრების მეექვსე კანონი გარკვევით მიუთითებს, რომ “დაცული იქნეს უძველესი ჩვეულება, რომელიც მიღებული იყო ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლისში, რათა ალექსანდრიელი ეპისკოპოსი ყველა მათგანის ხელისუფალი იყოს, რამეთუ რომის ეპისკოპოსისათვის ასეა მიღებული”.

არსებობს ამპერატორთა ორი ედიქტი, რომლებშიც განსაზღვრულია პაპის უფლებამოსილებანი. პირველი გამოიცა 367წ. იმპერატორ ვალენტინე I მიერ, ხოლო მეორე—378წ. იმპერატორების—გრაციანესა და ვალენტინე II მიერ. პირველი ედიქტით პაპს ეძლეოდა ძალაუფლება სხვა ეპისკოპოსებზე

საქმეების მართებულად გადაჭრისათვის, მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლებამოსილებას ჰქონდა დროებითი მნიშვნელობა და ეხებოდა მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებულ შემთხვევას. ამის მიზეზი გახდა რომის ეკლესიაში წარმოქმნილი უთანხმოება პრესვიტერ ურსინის შესახებ, რომელიც არჩეული იყო ხალხის ნაწილის მიერ რომის ეპისკოპოსის დამასის ნაცვლად. მაშინ, როცა ესპანეთისა და გალიის ზოგიერთმა ეპისკოპოსმა ურსინის მხარე დაიჭირა, იმპერატორმა მღელვარების აღსაკვეთად ზემოთაღნიშნული ედიქტით პაპ დამასს მისცა ძალაუფლება იმ ეპისკოპოსებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ ურსინის განხეთქილებაში. ანუ პაპი დამასის ეს უფლებამოსილება არ მეტყველებდა, საერთოდ პაპებისათვის მარადიულად მინიჭებული უფლებების შესახებ, არამედ იმ კონკრეტული დავის დროს რომის პაპის უფლებაზე. ანალოგიური დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე ედიქტსაც, რომლის გამოცემა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: რამდენიმე ეპისკოპოსი, რომლებიც რომის კრებაზე გადააყენა დამასმა ურსინთან თანამშრომლობისათვის, არ დაემორჩილა პაპს. გარდა ამისა, რომსა და იტალიაში მოხდა უთანხმოება დონატისტებს შორის, ამიტომ 378წ. რომში შეკრიბნენ ეპისკოპოსები, რომლებმაც თხოვნა გაგზავნეს იმპერატორთან. ისინი ითხოვდნენ იმპერატორ ვალენტინე I ედიქტის აღორძინებას და ამ მოთხოვნას დაუმატეს ახალი მოთხოვნები, შედგენილი ხუთ პუნქტად: 1. ეპისკოპოსი, რომელიც გაბედავს თავისი გადაყენების შემდეგ ახალი კრების მოწვევას, უნდა გაძევებულ იქნეს იმ ქალაქიდან თუ ოლქიდან, სადაც იყო ეპისკოპოსად; 2. ეპისკოპოსი, რომელიც არ გამოცხადდება საეკლესიო სასამართლოს გამოძახებაზე, პრეტორიის პრეფექტი, ან ვიკარი ვალდებულია წარადგინოს ის პაპის სასამართლოზე; 3. ეპისკოპოსები, რომლებიც ცხოვრობენ პროვინციებში, რომისაგან მოშორებით, უნდა დაემორჩილონ თავიანთი მიტროპოლიტის სასამართლოს, თვითონ მიტროპოლიტები პაპის, ან იმ პირების სასამართლოს, რომლებიც დანიშნულნი იქნებიან უკანასკნელის მიერ; 4. ეპისკოპოსს, რომელიც ეჭვს შეიტანს მიტროპოლიტის, ან რომელიმე სხვა სასამართლოს დადგენილებაში, შეუძლია აპელაციით მიმართოს პაპს, ან მოსაზღვრე ეპისკოპოსთა კრებას; 5. პაპი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს საერო სასამართლოსაგან, რამდენადაც, ის, როგორც სამოციქულო ტახტის წარმომადგენელი, ფლობს უპირატესობას სხვა ეპისკოპოსებზე, თუმცა კი მათთან თანასწორია ღირსების მიხედვით. პაპი შესაძლოა გასამართლდეს ეპისკოპოსთა კრების, ან იმპერატორის მიერ, რომელსაც ამ შემთხვევაში შეუძლია საქმის გამოკვლევა დაავალოს საერო მოხელეებს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს თვითონ. 378წ. იმპერატორებმა გრაციანემ და ვალენტინე II გამოსცეს ედიქტი, რომლითაც დაამტკიცეს ეპისკოპოსთა მოთხოვნები. ამრიგად, რომის კრებაზე მინიჭებული უფლებების შედეგადაც კი, პაპი პატივისმთვრად თანასწორად ითვლებოდა ყველა ეპისკოპოსისა და მიტროპოლიტისა.

კათოლიკეთა შორის გავრცელებულია აზრი, რომ ნეტარი ავგუსტინე განსაკუთრებულად აფასებდა რომის ეკლესიას: “რომის ეკლესია ყოველთვის ფლობდა სამოციქულო კათედრის პირველობას” – ეს აზრი, რა თქმა უნდა მართებულია, მაგრამ ასე ცალმხრივად ნეტარი ავგუსტინეს სიტყვების ციტირება არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან იგი არსად არ საუბრობს იმის შესახებ, რომ სხვა ეკლესიები რომის ეკლესიაზე არიან დამოკიდებულნი, ან პატივისა და ავტორიტეტის მიხედვით მასზე დაბლა დგანან. ნეტარი ავგუსტინე კიპრიანე კართაგენელს და რომის ეპისკოპოსს სჯოფანას უწოდებს

“ორი გამოჩენილი ეკლესიის ეპისკოპოსებს”. უფრო მეტიც თავის თხზულებაში “ქრისტიანული სწავლების შესახებ” ამბობს, რომ “მხოლოდ ის თხზულებები ჩაითვლებიან კანონიკურად, რომლებსაც ასეთად აღიარებს ეკლესიათა უმრავლესობა და განსაკუთრებით სამოციქულო ტაძრები”. აქ კარგად ჩანს, რომ რომის ეკლესიას სხვა სამოციქულო ტაძრებისაგან განსხვავებით განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება. იმ აზრს, რომ “ცათა სასუფევლის კლიტენი” მხოლოდ პეტრეს მიეცა უფლის მიერ, ნეტარი ავგუსტინე ასე ხსნის: პეტრე ასახიერებს ეკლესიას და მხოლოდ მისთვის “ცათა სასუფევლის კლიტენის” გადაცემა არის ეკლესიის ერთობის სიმბოლო. ნეტარმა ავგუსტინემ ყველაზე მეტად გაამახვილა ყურადღება მოციქულ პეტრეზე, როგორც ცოდვილ ადამიანზე და წარმოაჩინა პეტრეს ადამიანური სისუსტეები. ასე მაგალითად: შემთხვევა, როდესაც ზღვაზე მიმავალ უფალთან მისვლას მოიწადინებს პეტრე და “მცირედმორწმუნეობის” გამო დაიწყებს ჩაძირვას, თითქმის უკვე იესოსთან მიახლოებული. ამ ფაქტს ნეტარი ავგუსტინე შემდეგნაირად განმარტავს, “ქრისტეს ეკლესია მოიცავს ძლიერებსაც და სუსტებსაც, და პეტრე იყო ორივენაირი ადამიანების სახე” [გერიე/ , 2005:608]. ასევე, პეტრეს მიერ იესოს სამგზის უარყოფა (თუმცა წინათ თვითონვე აღიარა იგი ძე ღმრთისად), რაც უწინასწარმეტყველა იესომ. ერთხელ პეტრე ერდოზე ლოცულობდა და მოშვიდა. მაშინ გაიხსნა ცა და დაინახა იქიდან გარდმომავალი ტილო, რომელიც დედამიწაზე ეშვებოდა და რომელზეც იყო ყველანაირი ოთხფეხი, ქვეწარმავალი და ცის ფრინველი, ხოლო მოციქულმა არ მიიღო ძღვენი, ცხოველთა და ქვეწარმავალთა უწმინდურობის გამო: “არა უფალო, არასოდეს არაფერი მიჭამია ბიწიერი და უწმინდური”. პეტრეს ასეთ თვითდაჯერებულობას უფალი შემდეგნაირად უპასუხებს: “რაც ღმერთმა განწმინდა, ნუ მიიჩნევ ბიწიერად” [საქმე. 10:13-15].

პეტრე რომ აღმატებული არ იყო სხვა მოციქულებზე, ეს ჩანს პეტრესა და იოანეს სამარიაში საქადაგებლად ჩასვლის დროს: “იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა გაიგეს, რომ სამარიაში მიიღო ღვთის სიტყვა და გაგზავნეს მათთან პეტრე და იოანე, რომლებიც ჩავიდნენ იქ და ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმიდა” [საქმე. 8:14-15]. პეტრე სხვა მოციქულებზე აღმატებული რომ ყოფილიყო, მოციქულები კი არ გაგზავნიდნენ მას და იოანეს სამარიაში, არამედ “უპირატესი მოციქული” (ე.ი. პეტრე) გაგზავნიდა იქ სხვებს, ან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით წავიდოდა.

მიუხედავად ასეთი მტკიცებულებებისა, რომის პაპები მიზანმიმართულად ისწრაფვოდნენ, რომის ეკლესიის პირველობის აღიარებისათვის. ამ მიზანს კი განსაზღვრავდა მრავალი მიზეზი. ბევრი რამ უწყობდა ხელს პაპების მისწრაფებას იმ მდგომარეობისაკენ, როდესაც რომის კათედრის მფლობელობაში გადავიდოდა დასავლეთ რომის იმპერიის ყველა პროვინცია და რომის პაპები უშუალოდ განკარგავდნენ მათ საეკლესიო საქმეებს. რომის ეპისკოპოსები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ წინადადებებით, რომლებიც შეეხებოდნენ მათ უფლებებს, არამედ ცდილობდნენ მათთვის მიეცათ ღვთიური საფუძველი. პაპის უფლებამოსილება გერმანელთა შემოსვლამდე გარკვეულწილად შეზღუდული იყო: პაპები არ იყვნენ საეკლესიო მმართველობის ერთპიროვნული განმგებლები, მათ არ ჰქონდათ უფლება საკუთარი სურვილისამებრ განეგოთ სხვა ეპისკოპოსთა საქმეები, ასე რომ მეხუთე საუკუნეში ესპანეთის, გალიის და იტალიის ეპარქიები (სამთავროები) შინაგამგებლობაში სრულიად დამოუკიდებელი რჩებოდნენ. რიგი ცვილილებანი მოხდა მას შემდეგ, რაც რომში გერმანელები გაბატონდნენ: უსასრულო ომებისა და ბრძოლების ოროს მოსახ-

ლეობა ხსნას მხოლოდ ღმრთის რწენაში ხედავდა და სწორედ მაშინ ითამაშეს დიდი როლი ეპარქიის ეპისკოპოსებმა, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ დაეცვათ სიმშვიდე და წესრიგი. გერმანელთა ბატონობის დროს პაპებს ხელში ჰქონდათ საქალაქო და საეკლესიო განმგებლობა. პაპის თანამდებობა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ არისტოკრატიული წარმომავლობის პირებისათვის, ამიტომაც პაპების დანიშვნის გამო ხშირი იყო კამათები, რომლებიც ხშირად სისხლიან შეტაკებებშიც გადადიოდა.

ამრიგად, რომის იმპერატორთა კანონებმა, იმპერიის დედაქალაქში ყოფნამ, მოციქულთა და მოწამეთა ღვაწლმა და საბოლოოდ სიმდიდრემ, განსაზღვრა რომის ეკლესიისათვის და რომის პაპისათვის პირველობის მოპოვების სურვილი. პაპი ლეონ დიდი იმპერატორ თეოდოსის მიმართ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს თავისი უფლებების შესახებ ყველა ეკლესიაზე. დასავლეთში თვით ნიკეის კრების დადგენილებები გადააკეთეს თავიანთ სასარგებლოდ. რომის ეპისკოპოსს არც მოერიდა ისე წაიკითხა ლეგატი პასხაზინისათვის ნიკეის კრების დადგენილებების მექესე კანონი, რომელიც ასევე წაიკითხა ქალკედონის კრებაზე (451წ.), მიუხედავად იმისა, რომ კრების ყველა მამას ჰქონდა კანონთა ტექსტები. ასე თანდათანობით მოახერხეს რომის პაპებმა ეცვალათ კანონები თავიანთ სასარგებლოდ და დასავლეთში ეკლესიის მართვის ძველი ფორმულაც. 1054 წ. 16 ივლისს პაპის ლეგატებმა წმინდა სოფიის ტრაპეზზე დადეს სიგელი, რომლის მიხედვითაც კონსტანტინეპოლის პატრიარქი და ყველა მისი თანამოაზრე ეკლესიისაგან განკვეთილად გამოაცხადეს, ცხრა ერესთან ზიარებაში დადეს ბრალი და ანათემაზე გადასცეს. 20 ივლისს მიქაელ კერულიარის თავმჯდომარეობით შემდგარმა კრებამ პაპის ლეგატთა ანათემის საპასუხოდ, 16 ივლისის ქმედებაში მონაწილენი საუკუნოდ განკვეთა, თუმცა თვით პაპს პირდაპირ არავინ შეხებია. ასე დასრულდა ორი ეკლესიის გაყოფის საბოლოო აქტი.

სწავლება რომის პაპის შეუცდომლობის შესახებ, დოგმატად ჩამოყალიბდა 1870წ. ვატიკანის I კრებაზე. კრება შედგა პაპი პიუს IX და იეზუიტთა ორდენის სურვილით. ახალი დოგმატის მოწინააღმდეგენი იყვნენ კათოლიკური ეკლესიის ცნობილი პირები. ეპისკოპოსმა შტროსმაიერმა ახალი დოგმატის მიღებას “სირცხვილი” უწოდა და განაცხადა, რომ “ამ კრებაზე არც თავისუფლებაა და არც სიმართლე”. როდესაც არქიეპისკოპოსმა ბოლონმა კრების მუშაობის პროცესში პიუს IX უთხრა, რომ ეკლესიის ტრადიციამ არ იცის სწავლება პაპის შეუცდომლობის შესახებ, პიუსმა უპასუხა: „ტრადიცია ეს მე ვარ“ [შეინმანი/, 1966:15]. სასულიერო პირების საიმპერატორო კართან ახლო ურთიერთობამ, სხვადასხვა საერო საქმეებში მონაწილეობამ, საშუალება მისცა რომის პაპს სახელმწიფოში დაეჭირა უმაღლესი ადგილი. იმპერატორს რომ თავის სატახტო ქალაქად აერჩია რომი, პაპი, რასაკვირველია, დარჩებოდა მხოლოდ სასულიერო პირველ პირად და არც არასოდეს ექნებოდა საერო ძალაუფლება. პაპი იმპერატორს უწევდა მატერიალურ დახმარებას, ასრულებდა მის მოთხოვნებს, ემორჩილებოდა მის კანონებს, მიდიოდა მის სასამართლოზე, აღიარებდა მის მონეტას. კარლოს დიდმა მოინდომა ასეთი სამსახურისათვის პაპი დაეჯილდოვებინა და მიანიჭა მას პატრიცის წოდება რომსა და რავენაში; პატრიცი მაშინ თანაბრდებოდა გრაფის წოდებასთან. ეს ჯილდო კი რომის ეპისკოპოსმა მიიღო, როგორც პაპის დამოუკიდებლობა და ძლიერება.

აღმოსავლეთის (აღმოსავლეთ რომი, შემდგომში ბიზანტიის იმპერია) იმპერატორები იყვნენ იმპერიის უმაღლესი პირები; პაპები კონსტანტინოპოლში

აგზავნიდნენ რეფერენდარებსა და აპოკრისარებს იმპერატორთან ან მის მინისტრთან დასავლეთის საეკლესიო საქმეების შესახებ მოსახსენებლად. კონსტანტინეპოლის პატრიარქებს კი რომში ჩასვლა არ სჭირდებოდათ. ეპისკოპოსის არჩევის საკითხები და სხვა ქაოსური სიტუაციები ადგილობრივი მესვეურების მიერ ირჩეოდნენ. ბოლოტოვის აზრით, აღმოსავლეთის ჩაურევლობის მიზეზი იყო სწორედ დასავლეთში ერესების შესახებ წარმოქმნილი მძაფრი კამათები. ამგვარად, დასავლეთმა გამოთქვა სურვილი, ეკონტროლებინა საეკლესიო ცხოვრება. საერთოდაც, ქრისტიანობაში რომმა დაინახა ახალი საშუალება მსოფლიოს ფლობისათვის. ქრისტიანობის ასეთმა გაგებამ შექმნა პაპობის სისტემა, რომელიც თავისი არსით არის რომის დამპყრობლური პოლიტიკის გაგრძელება ქრისტიანიზირებული ფორმით.

ბევრი საეკლესიო ისტორიკოსი თუ ღმრთისმეტყველი პაპის ექსკათედრის საკითხს ეკლესიოლოგიურ პრობლემად მიიჩნევს და თვლის, რომ განხეთქილების ფესვები ვერ შენიშნა აღმოსავლეთმა და უყურადღებოდ დატოვა დასავლეთის ეკლესია, ხოლო შედეგად მიიღო დასავლეთის ეკლესიის გათიშვა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები ოფიციალურ გაყოფამდეც არ მოიაზრებოდნენ ერთიანად, რაც განპირობებული იყო ენობრივი სხვაობით. ქრისტიანობის პირველ სამ საუკუნეში რომის ეკლესია იყო არსებითად ბერძნული, ასევე იყო გალიის ეკლესიის დიდი ნაწილიც და კართაგენის ეკლესიაც, მესამე საუკუნის ბოლოსათვის დასავლეთის ეკლესია ხდებოდა უფრო და უფრო ლათინური. “შესაძლოა არც მომხდარიყო ეკლესიათა გაყოფა, რომ აღმოსავლეთი დაინტერესებულიყო დასავლეთის ცხოვრებით” – აღნიშნავს ბოლოტოვი. ეკლესიათა ოფიციალური გაყოფის შემდეგაც კი (XII ს.) ბევრი აბატი ძველებურად განმარტავდა ერთი ეკლესიის არსებობას, ისე რომ, არც იცოდნენ ეკლესიები თუ გაიყო.

ამრიგად, ჭეშმარიტების კრიტერიუმებს მართლმადიდებლური სწავლებაში მართლმადიდებლური დოგმატიკა და საეკლესიო სინოდალური გადაწყვეტილებები განსაზღვრავს, ხოლო რომაულ კათოლიციზმში ჭეშმარიტების განმსაზღვრელ კრიტერიუმად მიჩნეულია რომის პაპი, რომლის “ოფიციალური ტიტული შემდეგნაირად ჟღერს: რომის ეპისკოპოსი, ქრისტეს მონაცვლე (ვიკარიუსი), მოციქულთა თავადის (იგულისხმება პეტრე მოციქული) მემკვიდრე, მსოფლიო ეკლესიის უმაღლესი მღვდელმთავარი, დასავლეთის პატრიარქი, იტალიის პრიმასი (ეპისკოპოსთაგან უპირატესი), რომანიის პროვინციის არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი, ქალაქ-სახელმწიფოს ვატიკანის სუვერენი (დამოუკიდებელი მმართველი), ღმრთის მონათა მონა. ამ ტიტულით განსაზღვრული სწავლება რომის ეკლესიის უმაღლესი მღვდელმთავრისა და ქრისტეს მონაცვლის შესახებ კათოლიკეთა საქმიანობისა და პოლიტიკის ძირითადი საყრდენია... რომის ეპისკოპოსის პრიმატის აღიარება წარმოადგენს პირობას, რომლის გარეშეც რომაული კათოლიციზმი არ არსებობს” [ოვიციკი...2000:10].

დღესდღეობით ხშირად იმართება დიალოგები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანობის გაერთიანებისათვის, მაგრამ დადებითი შედეგები ჯერჯერობით ვერ იქნა მიღწეული. თანამედროვეობაში პაპსა და პატრიარქს შორის დიდი სხვაობაა, რაც რელიგიის ისტორიკოსმა ბოლოტოვმა შემდეგნაირად გამოხატა: ”პატრიარქი საუბრობს თავის შესახებ, რომ ის არის, პაპობა გვთავაზობს მხოლოდ იმას, რომ ის უნდა იყოს. პატრიარქობა არის ფაქტი, პაპობა – უკვე დოგმატია”.

**ლიტერატურა**  
**Literature**

1. ბიბლია
2. ვატიკანის II კრება, თბ., 2006
3. მილაში ნიკოდომოსი, ნიკეის წმიდა I მსოფლიო კრების კანონები განმარტებებით; თბ. 2004
4. მილაში ნიკოდომოსი, კონსტანტინეპოლის წმიდა II მსოფლიო კრების კანონები განმარტებებით; თბ. 2005
5. ოგიცკი დიმიტრი, კოზლოვი მაქსიმ, რომაული კათოლიციზმი, ლოსკი ვლ., სულიწმიდის გამომავლობა მართლმადიდებლურ სწავლებაში, სამეცნიერო შესახებ, თბ., 2000.
6. ჯაფარიძე ანანია, პოლემიკა კათოლიკებთან (კათოლიკური პროზელიტიზმის შესახებ), თბ., 2000
7. . . . . , 4, 2002
8. . . . . , 1996
9. . . . . , 2005
10. . . . . , 2001
11. . . . . , 1985
12. . . . . , 2005
13. . . . . IX . . . . . XXIII, 100 , . . . . , 1966
14. . . . . , - . . . . . , 1983
15. . . . . , . . . . . , . . . . . , 2002

**რ ე ზ ი უ მ ე**

**ჰუმანარიტმის კრიტიკიზმი აღმოსავლური და დასავლური რელიგიური ცნობიერების მიხედვით**

**შიქრია ვარდოსანიძე**

ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებში ქრისტიანულ ეკლესიას მართლმადიდებლურიც ეწოდებოდა და კათოლიკეც. მოგვიანებით ქრისტიანულ მოძღვრებაში წარმოქმნილმა უთახმოებებმა და კამათებმა განაპირობა ეკლესიათა გაყოფა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიად.

დღესდღეობით მათ შორის დიდი სხვაობაა, როგორც დოგმატიკაში, ასევე ლიტურჯიკაში. ნაშრომში საუბარია ჭეშმარიტების იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლითაც ხელმძღვანელობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანობა.

## **S U M M A R Y**

### **TRUTH'S CRITERIAS ABOUT EASTERN AND WESTERN RELIGION KNOWLEDGE**

**PIKRIA VARDOSANIDZE**

In the first of century of Cristianity church was called orthodox and catholic. Lather creating problems ans discussion in Cristianity decided the partition of orthodox and Roman Catholic Church.

Nowadays there is a great difference between Cristianity and Catholicism either in dogmatik or in liturgic. In thes work there is a consideration about those criteria of truth, which are used by eastern and western Cristianity.

**ეროვნული იდენტობის კონსტრუქცია  
რელიგიურ-ნაციონალისტურ დისკურსებში**

**ანა ჯელიძე**

**ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი**

*“აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი № 026-08-2-210). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს”.*

თანამედროვე დასავლურ სამყაროში ახალმა ეკონომიკურმა მოწყობამ, შრომის დანაწილებამ და საკონტრაქტო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შეასუსტეს რელიგიის, ტრადიციების, ეთნიკური წარმომავლობისა და ზნეჩვეულებების როლი ადამიანის ცხოვრებაში. როგორც ე. გელნერი აღნიშნავს ადამიანი გახდა “მოდულური”. ეს ნიშნავს რომ როგორც ავეჯი ან სათამაშო კონსტრუქტორი, შეიძლება შედგებოდეს შემადგენელი მოდულებისგან, რომლებიც შეიძლება იოლად შეერთდეს სურვილისამებრ სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით, ასევე თანამედროვე ადამიანს გააჩნია უნარი გაერთიანდეს სხვადასხვა ასოციაციებში, მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ ინსტიტუტების ფუნქციონირებაში, ტოვებდეს მათ თუ ჩათვლის საჭიროდ<sup>43</sup>. ადამიანებს შორის ყალიბდება მოქნილი, მობილური, ცვალებადი და მრავალფეროვანი კავშირები. სწორედ მოდულური ადამიანის არსებობა არის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საწინდარი.

ამის საპირისპიროდ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ადამიანის არსებობა მჭიდროდ უკავშირდება ტრადიციულ გარემოს. ადამიანს არ შეუძლია იოლად შეიცვალოს თავისი გარემოცვა, პროფესია, სტატუსი, რელიგია და სხვა, ვინაიდან ეს ცვლილება უკავშირდება იმ ერთობიდან (სოფლიდან, თემიდან, კომუნიდან, კასტიდან, კლანიდან) განდევნას, რომლის წევრიცაა იგი, ხოლო ერთობიდან განდევნა მისთვის დადუპვის ტოლფასია, ვინაიდან სხვა ერთობაში საარსებოდ იგი არ არის მომზადებული. ისტორიულად ჩამოყალიბებული მითების, რიტუალების, ნორმებისა და ცხოვრების წესის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ სახელმწიფო ვერ ცვლის მათ და ამდენად ვერ ახერხებს ადამიანთა სრულ დამორჩილებას. მაგრამ ამგვარ საზოგადოებაში ადამიანი მაინც არ არის თავისუფალი, რომც არ განიცდიდეს პოლიტიკური ძალაუფლების ძლიერ ზეწოლას, ან წარმატებით იცავდეს თავს ამგვარი ზეწოლისგან, რადგან ის საკუთრივ საზოგადოების მიერაა შეზღუდული და ამდენად არ არის თავისუფალია.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ სამოქალაქო ღირებულებებზე პრევალირებს ტრადიციული ღირებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება და აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას. მათი გავლენა კარგად მჟღავნდება ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაში ადამიანის უფლებებისადმი მაგალითად,

43

... « ,



“საქართველო ქართველებისათვის, მართლმადიდებლებისათვის”, სხვა ეთნიკური წარმომავლობის და რელიგიური კუთვნილების ადამიანების მიუღებლობა, ანუ ქსენოფობია.

ეთნოსთაშორისი და კომფესიათაშორისი ურთიერთობების და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები საქართველოში სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებს მიეკუთვნება. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტერიტორიაზე ეთნიკური კონფლიქტები, რომლებსაც ადგილი ქონდათ სახელმწიფოთა წარმოშობის პროცესში, ემყარებოდნენ ერთი ეთნოსის პრიორიტეტის კონცეფციას, სადაც სხვა ნაციონალობის პირები ხშირად გრძნობენ თავს მეორეხარისხოვან ადამიანებად. თანამედროვე საქართველოსთვის ეთნოსთაშორისი და კონფესიათაშორისი ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალიზებულია იმ გარემოებით, რომ ისინი მიმდინარეობენ ნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობის კონტექსტში. თვითონ ნაციონალური სახელმწიფოს არსებობა ეფუძნება ეთნიკურობის პრინციპს.

ლიტერატურაში გამოიყოფა “ნაციონალიზმის” ორი მნიშვნელობა: ერთი დაკავშირებულია ნაციის სამოქალაქო-პოლიტიკურ გაგებასთან, რომელიც გულისხმობს ერის გაიგივებას სახელმწიფოს მოქალაქეებთან და არა ეთნიკურ ერთობასთან. ნაციონალიზმის მეორე გაგება უკავშირდება ნაციას ეთნიკური აზრით. ამ თვალსაზრისით ცნება “ნაციონალიზმი” გაიგება უარყოფითად, როგორც ერის უპირატესობა სხვა ერებზე და წარმოადგენს იარაღს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პოლიტიკური დევნა. XIX საუკუნის ბოლო აღინიშნება ბიოლოგიური მეცნიერებების გავლენის ზრდით. დამახინჯებული ფორმით, დარვინიზმის “გადარჩენისათვის ბრძოლის” პრინციპთან ერთად, მათ ძლიერი გავლენა იქონიეს ნაციონალისტურ თეორიებზე. ნაციის დასავლურ კონცეფციასთან ერთად, რომელიც პოლიტიკურ კონცეფციას წარმოადგენდა და ეფუძნებოდა პიროვნების თავისუფლების პრინციპს, ახალი სახე მიიღო ძველმა “ბუნებრივმა” ტრიბალიზმმა, რომელმაც დააფუძნა ადამიანის ნაციონალური, პოლიტიკური და სულიერი კუთვნილება ბიოლოგიურ მემკვიდრეობითობაზე, “სისხლზე”, როგორც ადამიანური ბუნების ფორმირების გადამწყვეტ და არსებით პრინციპზე.

ეთნიკური ნაციონალიზმის ყველაზე სრული განსაზღვრება ამ პარადიგმის ფარგლებში ეკუთვნის პოლონელ სოციოლოგს იან შჩეპანსკის – “ნაციონალიზმი გულისხმობს საკუთარი ერის უმაღლეს ღირებულებად აღიარებას”, საკუთარი ერის სხვა ერებზე უპირატესობის ირაციონალური ახსნა, ერთა თანასწორობის აუღიარებლობა, მათთან შერვევისადმი უარყოფითი განწყობა, შერეული ქორწინებების დაუშვებლობა – ეს არის იდეოლოგია, პოლიტიკა და პრაქტიკა.<sup>44</sup> ასეთი ტიპის ნაციონალიზმი არის სოციალური ურთიერთობების აღქმა ეთნიკურ ტერმინებში, საზოგადოების სტრუქტურა წარმოდგენილია, როგორც “ერებისაგან” და “ეთნოსებისგან” შემდგარი. ამგვარი ნაციონალიზმი უკავშირდება ეთნოცენტრიზმის ცნებას. ნაციონალიზმის ასეთ გაგებას შეიძლება ეთნიკური ნაციონალიზმი ვუწოდოთ. ის გულისხმობს ეთნიკური ჯგუფის ნაციონალიზმს, რომელიც ძირითად ღირებულებად აღიარებს ერს (მისი ეთნიკური მნიშვნელობით) და მისადმი ერთგულებას, მისი ინტერესებისათვის ბრძოლას მიიჩნევს დომინანტურად სხვა ღირებულებებთან (სახელმწიფო, ერი – პოლიტიკური მნიშვნელობით, კაცობრიობა, პიროვნება) შედარებით. ეთნიკური ნაციონალიზმი ერს

44

განსაზღვრავს, როგორც საერთო წინაპრებისა და საერთო წარმოშობის ადამიანთა ერთობას (“სისხლის ერთობა”)<sup>45</sup>. სტატიაში ნაციონალიზმის სწორედ ასეთი გაგება იქნება გამოყენებული.

შეიძლება გამოიყოს სოციალური რეალობის ეთნოცენტრული ხედვის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი:

პირველ რიგში, ეს არის ინდივიდების ასკრიპტული ნიშნების გადაქცევა ფუნდამენტურ-ანთროპოლოგიურად, ან უფრო მარტივად თუ ვიტყვით რწმენა, რომ ეთნიკური მიკუთვნება ბუნებრივია. ვერავინ მოხვდება ამა თუ იმ ერის შემადგენლობაში მისი ენის, კულტურისა და ტრადიციების შეთვისების გზით, თუ იგი სისხლითა და წარმოშობით სხვა ერს მიეკუთვნება – გერმანელად, უკრაინელად ან ქართველად უნდა დაიბადო.

მეორე რიგში, ეს არის ეთნიკური მიკუთვნებულობის გაიგივება კულტურულ მიკუთვნებულობასთან. იგულისხმება, რომ თუ ინდივიდები გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, თავისთავად გარკვეული ეთნიკური კულტურის ნაწილსაც წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდების მიკუთვნება რომელიმე კულტურისადმი განისაზღვრება მათი სოციალიზაციით, ეთნოცენტრული ლოგიკა a priori განიხილავს მათ, როგორც გარკვეული კულტურის აგენტებს.

დაბოლოს, მესამე რიგში, ეს არის კულტურის განხილვა ფოლკლორულ-რომანტიკული კუთხით. კულტურაზე ფოლკლორულ-რომანტიკული წარმოდგენების ბუნებრივი შედეგია პირდაპირი კავშირის დამყარება ინდივიდების ეთნიკურ და კონფესიურ კუთვნილებას შორის. რუსი და ქართველი ნიშნავს მართლმადიდებელს, სომეხი – გრიგორიანელს.

ეთნონაციონალისტულ ლოგიკას საბოლოო ჯამში სოციალური დეზინტეგრაცია მოყვება. საზოგადოება იყოფა მრავალ სეგმენტად, იშლება ურთიერთიზოლირებულ (ეთნოკულტურულ და ეთნოკონფესიურ) ერთობებად, რომლებმაც დიალოგურ ან კონფლიქტურ მოდელზე აგებული ურთიერთობები უნდა დაამყარონ<sup>46</sup>.

საქართველოში საზოგადოების დიდი ნაწილის იდეალია „მართლმადიდებელი ქართველი“. შესაბამისად სხვა რელიგიური მიმდინარეობები და ეთნიკური ჯგუფები განიხილებიან საფრთხედ საქართველოს სახელმწიფოსათვის და ეროვნული მთლიანობისათვის. რაც იწვევს აგრესიულ დამოკიდებულებას სხვა რელიგიური მიმართულებებისა და ეთნოსების მიმართ. პრობლემა წარმოიშობა, როდესაც საუბარია არაქართველი წარმოშობის მართლმადიდებელზე და ქართველ არამართლმადიდებელზე. არცერთი მათგანი არ არის სრულფასოვნად ინტეგრირებული საზოგადოებაში, რაც იწვევს მათი უფლებებს დარღვევას.

რადგანაც ეთნოსების ფორმირების და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის რელიგია, ამიტომ ეთნოკონფესიური კავშირი **“ქართველი – მართლმადიდებელი”** არის არა მხოლოდ წარსული, არამედ თანამედროვე რეალობა. რელიგიის და ეთნიკური კუთვნილების ამგვარი ისტორიული კავშირი უნდა გავითვალისწინოთ ნაციონალური პრობლემებისადმი ქართველი მორწმუნეების დამოკიდებულების ანალიზისას. განსხვავებული კონფესიის და კულტურის მქონე ეთნოსების კულტურული, ყოფითი და ეკონომიკური თანაცხოვრების საუკუნოვანი ტრადიციები, დიდწილად განსაზ-

<sup>45</sup> . . . ., 1999. . 234.

<sup>46</sup> . . . « . . . » // ?.. ., 2003. . 195.

ღვრავს ერთმანეთის რწმენის მიმართ ტოლერანტობას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ადამიანების ნაციონალური-სამოქალაქო თვითიდენტიფიკაციის შესწავლა მათ მსოფლმხედველობასთან და კონფესიურ ორიენტაციასთან მიმართებაში.

პოლიეთნიკური, მრავალკონფესიური, კულტურულ-პლურალისტური სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემების ლეგიტიმურობა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აღიქვამენ სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები სახელმწიფო მოწყობის არსებულ სისტემას, მათი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის გამომხატველად. იქედან გამომდინარე, რომ რელიგია და ეთნიკური კუთვნილება მჭიდრო კავშირშია იდენტობასთან, ის წარმოდგენას ერთ-ერთ შესაძლო პასუხს კითხვაზე: *“ვინ ვართ ჩვენ”*, მაგრამ მცირე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება ამავე დროს ხაზს უსვამს იმას *“ვინ არ ვართ ჩვენ”*.

სტერეოტიპების მიწერის ძირითადი შედეგი ის არის რომ ინდივიდებს, რაიმე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს მიეწერებათ *“უცხოს”* იარლიყი რაც წარმოშობს ან აღვივებს გაუცხოების გრძნობას. ამ იარლიყის მინიჭება გავლენას ახდენს ინდივიდის შემდეგ ცხოვრებაზე, საკუთარ თავზე წარმოდგენაზე, მის მოღვაწეობაზე. *“უცხოდ”* გამოცხადება ადამიანის ცხოვრებისეული წინსვლის შანსს ამცირებს, ამგვარად საზოგადოება თავისი რეაქციით ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებაზე (რაც გულისხმობს ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წევრისთვის *“უცხოს”* იარლიყის მიწერას და მისგან შესაბამისი ქცევის მოლოდინს) ხელს უწყობს დისკრიმინაციის გაღვივებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური და ეკონომიკური კონტექსტი განაპირობებს ნაციონალისტური და რელიგიური დისკურსის განვითარებას. რამდენად მზად არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფები და მთლიანად საზოგადოება აიტაცონ ნაციონალიზმის და რელიგიური ნაციონალიზმის იდეები, დამოკიდებულია საზოგადოების მდგომარეობაზე: ეკონომიკური განვითარების, სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურის, სოციალურ-კულტურული ფაქტორების, მათ შორის ნორმების და ღირებულებების, რომლებიც დომინანტურია საზოგადოებაში, პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის, მოქალაქეობის გრძნობის და მოქალაქეების ურთიერთნდობის, სახელმწიფოს ერთიანობის განცდის დონეზე და ა.შ.

## ლიტერატურა Literature

1. [«...»](#), 2001, 3(17).
2. Berger P. The Sacred Canopy. Elements of Theory of Religion. N. Y. 1967.
3. Gellner E. “Nations and Nationalism. New Perspectives on the Past” Oxford; Cambridge.: Blackwell, 1994.
4. Kohn H. The Idea of Nationalism. - New York: McMillan, 1967.

**რ ე ზ ი შ მ ე**

**ეროვნული იდენტობის კონსტრუქცია  
რელიგიურ-ნაციონალისტურ დისკურსებში**

**ანა ჯელიძე**

თემა ძირითადად ეხება ნაციონალიზმის და რელიგიური ნაციონალიზმის, პრობლემტიკას, მათ გავრცელებას საქართველოში. გაანალიზებულია “ნაციონალიზმის” ცნების ორი მნიშვნელობა – ერთი დაკავშირებულია ნაციის სამოქალაქო-პოლიტიკურ გაგებასთან, რომელიც გულისხმობს ერის გაიგივებას სახელმწიფოს მოქალაქეებთან ანუ ლიბერალური ნაციონალიზმი, ხოლო მეორე გაგება უკავშირდება ნაციას ეთნიკური აზრით, ნაციონალიზმის ასეთ გაგებას შეიძლება ეთნიკური ნაციონალიზმი ვუწოდოთ. ეს უკანასკნელი ნაციონალიზმის რადიკალური ფორმაა, რომელიც ხშირად ვლინდება რელიგიური ნაციონალიზმის სახით.

**S U M M A R Y**

**CONSTRUCTION OF NATIONAL IDENTITY IN THE  
RELIGIOUS-NATIONALISTIC DISCOURSES**

**ANA CHELIDZE**

მეცნიერების განმარტებით, ასევე მართლმსაჯულების თვალთახედვით იდეალური მოწმეა ის, ვინც დაკითხვის დროს იძლევა სწორ ჩვენებას. თუმცა რეალურად ცხოვრებაში უფრო რთულადაა საქმე. ჩვენს სინამდვილეში ადრე არცთუ იშვიათად მოწმის სახით გამოდიოდნენ ბრალდებულის ახლო ნათესავები და მეგობრები, რომლებიც იდგნენ არჩევანის წინაშე ნათესაურ გრძნობებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და როგორც წესი იმარჯვებდა პირველი.

ასეთი ვითარება იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე ადრე არსებული დაკითხვის საპროცესო წესების თანახმად იძულებული იყო მიეცა თავისი თავის, ან ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება. ასეთ სიტუაციაში დასაკითხი პირი ცდილობს პირველ რიგში უზრუნველყოს საკუთარი ინტერესები, რომელიც წინააღმდეგობაშია სახელმწიფო ინტერესებთან, რომლის წარმომადგენლები არიან გამოძიებელი ან პროკურორი. დასაკითხი პირის მხრიდან ასეთი წინააღმდეგობები სხვადასხვაგვარია: ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, ნაწილობრივ და მთლიანად ცრუ ჩვენების მიცემა. სწორედ ასეთმა რეალობებმა აიძულა კანონმდებელი გამოენახა გაწონასწორებული შეფარდება, გარკვეული ბალანსი საჯარო და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის სისხლის სამართალწარმოებაში. ამიტომ სრულიად ლოგიკური იყო კანონმდებლის მისწრაფება გარკვეულ დონეზე მოეხდინა გადასვლა სახელმწიფო ინტერესებიდან პიროვნების ინტერესების სასარგებლოდ. ეს გამოიხატა პირველ რიგში სისხლის სამართალწარმოებაში მოწმის იმუნიტეტის ოფიციალურ აღიარებაში.

მოწმის იმუნიტეტის შემოღება მნიშვნელოვანი ელემენტია არა მარტო დემოკრატიისა და ჰუმანურობისათვის სისხლის სამართლის პროცესში, არამედ მთლიანად საქართველოს საზოგადოებისათვის

საკონსტიტუციო პრინციპის წესი რეალიზაცია მოწმის იმუნიტეტის შესახებ ჩადებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლში, რომლის თანახმად მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავისი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ

პირის განთავისუფლება ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან, რომელსაც შეუძლია გააუარესოს მისი და მისი ახლო ნათესავის მდგომარეობა, ე.ი. ამ პირზე მოწმის იმუნიტეტის მინიჭება, ეს არის ადამიანის და მოქალაქის უფლებების დაცვის ერთ-ერთი საჭირო და აუცილებელი გარანტია

მიგვაჩნია, რომ იმუნიტეტის მიზანია არა მარტო განთავისუფლება ამა თუ იმ ვალდებულებისაგან, არამედ დამატებითი გარანტიების დადგენა.

მოწმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოწმის სტატუსით დასაკითხი პირის კანონით გათვალისწინებული უფლება მისცეს ჩვენება მოცემულ საქმეზე საკუთარი შეხედულების საფუძველზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია აბსოლუტური, ანუ სრული იმუნიტეტი. ეს ნიშნავს მისი მატარებელი პირის აღჭურვას უფლებით - უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ნებისმიერ და არა მხოლოდ ზოგიერთი ცალკე კატეგორიის დანაშაულზე. იმუნიტეტი აბსოლუტურია თავისი შინაარსითაც, რადგან მოწმე ან იძლევა ჩვენებას სრული მოცულობით, ან საერთოდ არ იძლევა. ჩვენი აზრით, აქ სხვა გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს.

სწორად გვესახება იმუნიტეტის მქონე მოწმეთა დაკითხვის ის წესი, როცა ისინი თვითონ წყვეტენ დამოუკიდებლად ჩვენების მიცემის შესაძლებლობას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენებას იძლევიან ან სრული მოცულობით, ან არ იძლევიან საერთოდ. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე გააუკუღმართებს მოწმის იმუნიტეტის არსს.

არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ეს არის იმუნიტეტის არსი, რომელიც მთლიანად შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს, რომლის მე-14 მუხლი განსაზღვრავს, რომ თითოეული პიროვნება გარანტირებულია არ იყოს იძულებული მისცეს ჩვენება თავისი თავის წინააღმდეგ ან აღიაროს თავი დამნაშავედ.

მოწმის იმუნიტეტის არსის ანალიზიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოწმის იმუნიტეტის შემადგენლობას სისხლის სამართლის პროცესში განსაზღვრავს შემდეგი სტრუქტურული ელემენტები:

1. ჩვენების მიცემაზე საერთო საპროცესო ვალდებულების არ არსებობა;
2. იმ პირების მკაცრი განსაზღვრა, რომლებიც არიან მოწმის იმუნიტეტის სუბიექტები;
3. იმუნიტეტის მქონე პირების მიერ მოცემული ჩვენების გამოყენება მტკიცების წყაროდ შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ საპროცესო ფორმებში;

4. პირის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ იგი იყენებს თავის უფლებას არ მისცეს ჩვენება;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომელიც არ შეიძლება მოწმე იყოს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ:

ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის დამცველი - იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხის ან იმ პირის წარმომადგენელი - იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

გ) ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის ან წარმომადგენლობის მიღებამდე - იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

დ) ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა - იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ან წარმომადგენლობის განხორციელებასთან ან სხვა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

ე) სასულიერო პირი - იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

ვ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავი - თუ იგი არ დათანხმდა მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მოწმე.

ზ) სახალხო დამცველი - იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

თ) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები - იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს ამომრჩევლებმა;

ი) მოსამართლე - იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას;

კ) ჟურნალისტი - პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოწმედ არ შეიძლება დაიკითხოს აგრეთვე პირი, რომელსაც მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი - მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში

მესამე ნაწილის მიხედვით კი გამოძიებელს, სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვთ მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით) მოწმის მოვალეობისაგან გაანთავისუფლონ:

ა) ექიმი, მედიცინის და, მეანი, ფარმაცევტი, სხვა სამედიცინო მუშაკი, თუ მათ პროფესიულად ევალებათ საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოს დაცვა;

ბ) ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

გ) პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას.

დ) კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი, რომლის საქმიანობა გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმის იმუნიტეტის პრაქტიკული გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის იმუნიტეტის პრინციპების დაცვას. ჩვენების მიცემის წინ საჭირო და აუცილებელია ამომძიებლის

პროკურორის მიერ დასაკითხ პირს - ეჭვიმტანილს, ბრალდებულს განემარტოს მისი უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ასევე საჭიროა იმუნიტეტის მქონე ყველა პირის გაფრთხილება და მისთვის კანონის იმ მოთხოვნების განმარტება, რაც ათავისუფლებს მას ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან. აღნიშნული მოთხოვნების დაუცველობა არის მოწმის იმუნიტეტის უფლებების უხეში დარღვევა, რაც შემდგომში მძიმე სამართლებრივ შედეგებს იწვევს. მოწმის იმუნიტეტის პრინციპების დარღვევის სამართლებრივი შედეგები ერთმნიშვნელოვანია. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ასეთ პირობებში პირის მიერ მიცემული ჩვენება ითვლება კანონის დარღვევით მიღებულ, ანუ დაუშვებელ მტკიცებულებად და მას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული ძალა არა აქვს.

საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში მოწმის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ, სხვადასხვანაირი სახელწოდებით მოიხსენიება. მაგ ინგლისის და აშშ-ის სისხლის სამართალში გარკვეული კატეგორიის პირების უფლებას - უარი თქვას ჩვენების მიცემაზე მოწმის პრივილეგია ეწოდება.

როგორც ჩვენი, ასევე აშშ-ის, რუსეთის და დასავლეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობით პირთა წრე, რომლებიც სარგებლობენ მოწმის იმუნიტეტით, ძირითადად იგივეა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

თუ შევადარებთ ჩვენსა და ანგლოსაქსური ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას იმუნიტეტისა და პრივილეგიის თაობაზე, აღმოჩნდება რომ მათ სხვადასხვა შინაარსი აქვთ. თუ ჩვენი კანონმდებლობით მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და ამას ჰქვია იმუნიტეტი, ანგლოსაქსური კანონმდებლობით ეს არის პრივილეგია არ ამხილო საკუთარი თავი დანაშაულის ჩადენაში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანგლოსაქსურ სისტემაში მოწმეს ე.წ. „პრივილეგიის“ იმუნიტეტს ანიჭებს მოსამართლე, ხოლო ჩვენი კანონმდებლობით მოწმეს შეუძლია ისარგებლოს მოწმის იმუნიტეტით და ამგვარი კანონიერი საფუძვლით არ მისცეს ჩვენება.

სტატიის მოცულობიდან გამომდინარე მოწმის იმუნიტეტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ყველა საკანონმდებლო ხარვეზის შესახებ ვერ გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია ერთი მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე მაინც გამოვთქვათ ჩვენი აზრი. კერძოდ, საქართველოს ს.ს.ს. კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტის თანახმად არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ ეჭვიმტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავი, თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მოწმემ. ე.ი. კანონის ამ ნორმის მიხედვით ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია მოწმის დაკითხვა, თუ იგი ამაზე თანახმა იქნება. მაგრამ რატომღაც კანონში აღარ არის განმარტებული იმუნიტეტის მქონე მოწმის დაკითხვის შემთხვევაში შემდგომში ამ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების შესახებ გაფრთხილების თაობაზე. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ რომ მოწმის იმუნიტეტის მქონე პირების თანხმობის შემთხვევაში, რათა მათ მისცენ გამოძიებას ჩვენება, გამომძიებელმა, პროკურორმა და სასამართლომ გააფრთხილონ აღნიშნული პირები იმის შესახებ, რომ მათი ჩვენებები ს.ს. საქმის შემდგომი წარმოების დროს შეიძლება გამოყენებული იქნას მტკიცებულებად.



ლიტერატურა  
Literature

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი. 1995 წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი. 2008 წ.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. ტომი-5, 1980 წ.
4. . . . . 1995
5. ( - , 19  
1966 .).
6. . . . .1978  
,1998

რ ე ზ ი უ მ ე

მოწმის იმუნიტეტის ცნება, მნიშვნელობა  
და სამართლებრივი ბუნება

გივი აბაშიძე

წარმოდგენილ ნაშრომში თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით განხილულია მოწმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში. ნაშრომში ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა სამართლებრივი იმუნიტეტის ზოგადი დახასიათება, მოწმის იმუნიტეტის ცნება, არსი, მნიშვნელობა, სამართლებრივი ბუნება, საზღვრები, სუბიექტები, მოწმის იმუნიტეტის პრინციპის თავისებურებანი, მათი დაუცველობის სამართლებრივი შედეგები

S U M M A R Y

IMMUNITY OF THE WITNESS CONCEPT, SIGNIFICANCE  
AND JUDICIARY DISPOSITION

GIVI ABASHIDZE

In the present work is discussed immunity of the witness in the process of criminal law on the base of modern reality. A great attention is paid to the important questions like general reference of law immunity, idea of witness immunity, main point, object, meaning, law nature, borders, subjects, peculiarities of witness immunity principles, law results of their inobservance.



**სახელმწიფო ბრალდებლის კამათში გამოსვლის  
მომზადების ტექნიკური ასპექტები**

**ბივი აბაშიძე**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დოქტორანტი  
ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის მასწავლებელი**

**ირაკლი აბაშიძე**

**ივ. ჯაგანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი  
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი**

მხარეთა კამათი სასამართლო განხილვის ის სტადიაა, რომელზედაც სასამართლო კამათის მონაწილეები აჯამებენ სასამართლო გამოძიების შედეგებს და მხარეთა შეჯიბრება კულმინაციას აღწევს. იგი შედგება ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სიტყვებისაგან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 490-ე მუხლის თანახმად სასამართლო კამათი მოიცავს გამოსვლებს, რომლებსაც რიგრიგობით წარმოთქვამენ სახელმწიფო ან კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი), სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.

საქართველოს კანონის “პროკურატურის შესახებ” მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში და უფლება აქვს საბრალდებო სიტყვით გამოვიდეს მხარეთა კამათში.

სასამართლო კამათი არის პროკურორის, ანუ სახელმწიფო ბრალმდებლის საბრალდებო მოღვაწეობის შედეგი. სასამართლო კამათში გამოსვლით მთავრდება პროკურორის მონაწილეობა და საქმიანობა სასამართლო განხილვაში. ამ სტადიაზე პროკურორს შეუძლია ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

სასამართლო კამათში პროკურორის გამოსვლას თან ახლავს მთელი რიგი პრობლემები, რაც ხშირად მეცნიერული კვლევის საგანი ხდება. სასამართლო გამოძიების პროცესში სახელმწიფო ბრალმდებელს არა აქვს უფლება საჯაროდ შეაფასოს მტკიცებულებანი და კომენტირება გაუკეთოს მას, რადგან შესაბამის პროცესუალურ ფორმებს კანონი არ ითვალისწინებს. მტკიცებულებათა შეფასება პროკურორს უხდება მხოლოდ სასამართლო კამათის დროს. აქედან გამომდინარე მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ შემუშავებული იქნას სათანადო რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება პროკურორს სასამართლო კამათში გამოსვლის მოსაზრებების

გათვალისწინებული უნდა იქნას პროკურორის დიდი სამსახურეობრივი დატვირთვა და დროის დეფიციტი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა სასამართლო კამათში მონაწილეობისას თავისი ფუნქციის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებლად და ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს მისი მიზანი და ამოცანები, რადგან პროკურორის სასამართლო პროცესზე და განსაკუთრებით კამათში გამოსვლას აქვს დიდი საზოგადოებრივი და საპროცესო მნიშვნელობა. ამ სიტყვაში ყალიბდება კონკრეტულ საქმეზე სახელმწიფო ბრალმდებლის საბოლოო პოზიცია, მისი წინადადებები და მოსაზრებები, რომელთა მოსმენის შემდეგ მოსამართლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ყველაფერი გაარკვიონ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში, უფრო ახლოს მივიდნენ სიმართლესთან, მიიღონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებები, საქმეზე დაადგინონ კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი. ამასთან პროკურორის გამოსვლა სასამართლო კამათის დროს ხელს უწყობს მოსამართლეს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებასა და რეალური, კანონიერი განაჩენის გამოტანაში.

საბრალდებო სიტყვა, როგორც პროკურორის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ფორმა, პროკურორისაგან მოითხოვს დიდ დატვირთვას, მობილიზებას, დეტალურ მომზადებას და მის წარმოთქმას. ამისათვის აუცილებელია ბრალმდებელი იყოს პროფესიონალი პროკურორი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სასამართლო გამოძიების პროცესში და უზრუნველყოფს სახელმწიფო ბრალდების სამართლიან და ობიექტურ მხარდაჭერას. ასევე პროკურორის გამოსვლას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი დანიშნულება.

სასამართლო პროცესზე პროკურორის საბრალდებო გამოსვლას, მის სტრუქტურას, ხასიათს, შინაარსს, ხანგრძლივობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ესენია სასამართლოში განსახილველი საქმის განსაკუთრებული თავისებურებანი, არსებული მტკიცებულების ხასიათი და მისი წყაროები, განსახილველის პიროვნება და პოზიცია მოცემულ ბრალდებასთან დაკავშირებით, აუდიტორიის შემადგენლობა, კონკრეტული განსახილველი დანაშაულის აქტუალურობა, სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია.

სისხლის სამართლის საქმის თავისებურებანი, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საბრალდებო სიტყვის სტრუქტურასა და შინაარსზე - ეს არის დანაშაულის ჩადენის ფორმა, სახე, დანაშაულში მონაწილე პირთა რაოდენობა, ბრალდების მოცულობა და საქმეზე ჩატარებული გამოძიების ხარისხი.

პროკურორის საბრალდებო გამოსვლა უნდა შედგებოდეს დრმა სოციალური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ფაქტების ანალიზისაგან. თავისი არსით და საპროცესო მნიშვნელობით სახელმწიფო ბრალმდებლის გამოსვლა ეს არის სამართლებრივი აქტი, რის საშუალებითაც პროკურორი რეალიზებას უკეთებს თავის უფლებებს სასამართლოში. გამოსვლა იურიდიულად საფუძვლიანი და დასაბუთებული რომ იყოს, პროკურორს სიტყვაში გამოსვლისას მოყავს მტკიცებულებების მკაცრი სისტემა, რომელიც მოპოვებულია სასამართლო განხილვის პროცესში. ამასთან იგი არ უნდა ეყრდნობოდეს ისეთ მტკიცებულებებს, რაც არ ყოფილა სასამართლო განხილვის საგანი. იგი ვალდებულია აგრეთვე ანალიზი გაუკეთოს და მისცეს ობიექტური შეფასება არსებულ მტკიცებულებებს, რომელთაც აფასებს მისი შინაგანი რწმენით, რაც დაფუძნებულია საქმის ყოველმხვრივ და ობიექტურ განხილვაზე.

სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ საბრალდებო სიტყვით გამოსვლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც კონკრეტული განსახილველი დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი პირობებისა და მიზეზების, ასევე მომავალში მსგავსი სახის დანაშაულის აღკვეთა-აცილებისათვის გასატარებელ ღონისძიებებს.

პროკურორის საბრალდებო სიტყვის შედეგიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის იგი აგებული სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეულ და შესწავლილ მტკიცებულებებზე. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია პროკურორის მიერ განსახილველი სისხლის სამართლის საქმის მასალების კარგი ცოდნა, ე.ი. მისი კარგად შესწავლა. აღნიშნულის გარეშე ვერცერთი პროკურორი, რაც არ უნდა ნიჭისა და ტალანტის პატრონი იყოს ვერ გამოვა ისეთი საბრალდებო სიტყვით, რომელიც დაესმარება მოსამართლეს სწორად უპასუხოს კითხვებს, რასაც განაჩენი შეიცავს.

აქედან გამომდინარე პროკურორი საბრალდებო სიტყვის მომზადებას დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს, რადგან მისი სიტყვა უნდა იყოს სარწმუნო, შედეგიანი, სამართლიანი და დასაბუთებული არა მარტო სასამართლოსათვის, არამედ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ყველა მხარისათვის, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი მოქალაქეებისათვის. სახელმწიფო ბრალმდებლის გამოსვლისას დარბაზში მყოფი ყველა პირი უნდა დარწმუნდეს, რომ პროკურორი პატივს სცემს სასამართლოს და არის კანონიერების დამცველი, მისი გამოსვლა სასამართლო სხდომაზე უნდა იყოს დამაჯერებელი.

ზემოთაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება და მომზადება პროკურორის ეხმარება სასამართლო კამათის დროს მრავალი ამოცანის გადაწყვეტაში. პროკურორის მიერ საბრალდებო გამოსვლისათვის საფუძვლიანი მომზადება არის წინაპირობა სახელმწიფო ბრალმდებლის სრულყოფილი და ხარისხიანი მხარდაჭერისათვის. ამისათვის პროკურორს რა თქმა უნდა დიდი და შრომატევადი საქმიანობის ჩატარება უხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე თავისი მოცულობით არის რთული კატეგორიის, ბევრია დამამტკიცებელი მასალები, რომელთა შეფასებასა და გადმოცემას სასამართლო კამათის დროს პროკურორის სიტყვაში დიდი დრო მიაქვს. ასევე დიდ დროს ხარჯავს პროკურორი საბრალდებო გამოსვლისას მტკიცებულებათა ანალიზისათვის, განსაკუთრებით როცა ბრალმდებელი არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, რა დროსაც პროკურორი ვალდებულია სახელმწიფო ბრალმდებლის სრულყოფილი და ეფექტური მხარდაჭერისათვის თავის სიტყვაში მოიყვანოს ყველა საჭირო არგუმენტი დაცვის მხარის პოზიციების და მტკიცებულებების გასაბათილებლად.

პრაქტიკოს მუშაკებს შორის ხშირად ჩნდება კითხვა თუ როდის უნდა მოემზადოს პროკურორი საბრალდებო სიტყვით გამოსვლისათვის. ჩვენი პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროკურორმა თავისი საბრალდებო სიტყვით გამოსვლისათვის მომზადება დაიწყო სასამართლოში განსახილველი სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის მომენტიდან. ამ სტადიაზე კონკრეტულად შეიძლება მომზადდეს პროკურორის საბრალდებო გამოსვლის ის ნაწილი. სადაც შეფასება ეძლევა ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას და მის იურიდიულ კვალიფიკაციას. ამ ეტაპზე კონკრეტული დანაშაულის კვალიფიკაციის სწორად შეფასებისას შეცდომების თავიდან ასაცილებლად პროკურორმა აუზილობა-

ლია კარგად შეისწავლოს შესაბამისი ნორმატიული მასალები, გამოიყენოს არსებული სასამართლო პრაქტიკა, რადგან შეიძლება მას სასამართლოში საქმის განხილვის დროს ასეთი შესაძლებლობა აღარ მიეცეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბრალდებო სიტყვის ტექსტი მზადდება წინასწარ. არცერთი გამოცდილი პროკურორი, რომელმაც იცის სასამართლოში საქმის განხილვის სიტუაცია და დინამიკა, წინასწარ სრულ საბრალდებო სიტყვის ტექსტს არ ამზადებს.

სასამართლო სხდომების დროს სახელმწიფო ბრალმდებლის კამათში სიტყვით გამოსვლის მომზადება დაკავშირებულია ორგანიზაციულ სირთულეებთან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პროკურორი ერთდროულად მონაწილეობს როგორც სასამართლო გამოძიებაში, ასევე თან ფიქრობს და მუშაობს კამათში გამოსასვლელად. პრაქტიკულად მართლაც ძნელია ამ ორი ფუნქციის ისე შერწყმა ერთმანეთთან, რომ საქმეს ზიანი არ მიაღვეს. ამ მომენტში მოცემული ამოცანის გადაწყვეტაში პროკურორს ეხმარება თავისი მოქმედების ზუსტი გეგმა, გარკვეული მასალების ქსეროასლები, თეზისები, სხვა წერილობითი ჩანაწერები და შენიშვნები, რომელსაც პროკურორი ავსებს სასამართლო განხილვის პროცესში და იყენებს საბრალდებო სიტყვით გამოსვლის დროს.

მიგვაჩნია, რომ თუ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორს ზუსტად აქვს შედგენილი თავისი მოქმედების გეგმა, მაშინ მას საბრალდებო სიტყვაში დიდი დრო არ სჭირდება ბრალდების წარსადგენად და დასამტკიცებლად. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი ბრალდების წაყენებისას თავის სიტყვაში ზუსტად და კონკრეტულად უნდა აყალიბებდეს მოცემული კონკრეტული დანაშაულის შინაარსს და მისი მტკიცებისათვის საჭირო ფაქტიურ გარემოებებს.

ამრიგად, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერისა და კამათში სიტყვის გამოსვლისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავისი მოქმედების ზუსტი გეგმის ჩამოყალიბებას და მის ანალიზს. ეს აუცილებელია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე არის რთული კატეგორიის, მრავალეპიზოდური და მასში მონაწილეობს ბევრი განსასჯელი. პრაქტიკულად აღნიშნულის გარეშე სახელმწიფო ბრალმდებელს ძალიან გაუჭირდება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, რადგან ძალიან ჭკვიან და გამოცდილ პროკურორსაც კი არ შეუძლია ზუსტად დაიმახსოვროს და ზეპირად იცოდეს ყველა საჭირო ინფორმაცია.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოში კამათის დროს პროკურორის გამოსვლა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. კერძოდ: საბრალდებო სიტყვის დაწერით, ზეპირი გეგმის ჩამოყალიბებით და ექსპრომტად გამოსვლით, წერილობითი გეგმის, წერილობითი შენიშვნების და გამოსასვლელი თეზისების შედგენით.

კანონით სახელმწიფო ბრალმდებლის კამათში გამოსვლის სქემა განსაზღვრული არ არის. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის პრაქტიკა გვიჩვენებს რომ პროკურორები საბრალდებო სიტყვით გამოსვლისას ზემოთჩამოთვლილ სხვადასხვა ფორმებს იყენებენ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან და ამ ფორმებისადმი მათი ინდივიდუალური მიდგომიდან გამომდინარე. მაგრამ სასურველია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის დროს ხშირად იქნას გამოყენებული საბრალდებო სიტყვით გამოსვლის წერილობითი ფორმა, რაც პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება. ერთის მხრივ

ამის გამართლება იმაში მდგომარეობს, რომ თუ წერილობით სიტყვას პროკურორი გააკეთებს სასამართლოში საქმის განხილვამდე, მაშინ სასამართლო პროცესზე შეტანილი კორექტივები ფაქტიურად მის მიერ ჩამოყალიბებულ წერილობით ფორმას გააბათილებს. ამასთან ხშირად სასამართლოს მსვლელობის პროცესში საბრალდებო სიტყვის წერილობითი ფორმით დაწერა რთულია, მითუმეტეს თუ სახელმწიფო ბრალმდებელი ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს. მაგრამ, მეორეს მხრივ სახელმწიფო ბრალმდებლის მხრიდან თუ იქნება ამის ნება და სურვილი, განსაკუთრებით კი რთული და მრავალეპიზოდური კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც სასამართლო სხდომის დროს შესვენებისას, ასევე სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ არსებული დროის საშუალება და შესაძლებლობა შეუძლია მას გამოიყენოს წერილობითი საბრალდებო სიტყვის შესადგენად.

რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღინიშნა კამათში გამოსვლის სქემა კონკრეტულად არ არის განსაზღვრული და სასამართლოზე სიტყვით გამოსვლის ფორმა მასში მონაწილე პროკურორის უშუალო გადასაწყვეტია, მაგრამ აღინიშნავთ, რომ წერილობითი ფორმით კამათში გამოსვლას აქვს თავისი დადებითი მხარე. ჩვენი აზრით განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმის სასამართლო განხილვის დროს გარკვეული წერილობითი შენიშვნებისა და გეგმის გარეშე გამოსვლა შეუძლებელია, რადგან როცა პროკურორი საბრალდებო სატყვეაში გამოდის ზეპირად, ექსპრომტად, მაშინ შესაძლებელია მას გამორჩეს და ხელიდან გაუშვას რაღაც მთავარი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი და გარემოება.

მნიშვნელოვანია, რომ საბრალდებო სიტყვით გამოსვლის დროს სახელმწიფო ბრალმდებელთა მხრიდან გავრცელებული ხასიათი მიიღოს წერილობითი გეგმის, შენიშვნებისა და თეზისების ჩამოყალიბებამ, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტურად განხორციელებას. ამასთან საჭიროა აღნიშნული წერილობითი გეგმისა და თეზისების სწორად შედგენა.

სასამართლო კამათში გამოსვლის წინ აუცილებელია სახელმწიფო ბრალმდებელმა ზუსტად განიხილოს და გადაწყვიტოს თავისი გამოსვლის ფორმა და შინაარსი, რისთვისაც საჭიროა მის ხელთ არსებული წერილობითი გეგმის, შენიშვნებისა თუ გამოსასვლელი თეზისების ურთიერთშერწყმა და საბრალდებო სიტყვის მათ საფუძველზე წარმოთქმა.

მიგვაჩნია, რომ პროკურორმა საბრალდებო სიტყვით გამოსვლისას უნდა გაითვალისწინოს ეთიკური მოთხოვნები, რომელთა შორის მთავარია არსებითად მართებული პოზიციის მხარდაჭერა, მისი ზუსტი თანაფარდობა კანონთან მოქმედებაში, საქმეთა განხილვისა და დასკვნების გამოტანისას ობიექტურობა და სამართლიანობა.

**ლიტერატურა**  
**Literature**

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ. 2008 წ.
2. საქართველოს კანონი “პროკურატურის შესახებ”, თბ. 2008 წ.
3. . . . . 2006
4. . . . . 2004

**რეზიუმე**

**სახელმწიფო ბრალმდებლის კამათში გამოსვლის  
მომზადების ტაქტიკური ასპექტები**

**გივი აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე**

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სახელმწიფო ბრალმდებლის სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობის მიზნები და ამოცანები, საბრალდებო სიტყვით გამოსასვლელად პროკურორის მომზადების ტაქტიკა და მის დაგეგმვა, სასამართლო კამათის დროს პროკურორის გამოსვლის ფორმები და მეთოდები.

**SUMMARY**

**THE TACTIC OF PREPARATION OF PROCURATOR  
DECLARATION IN DEBATE**

**GIVI ABASHIDZE, IRAKLI ABASHIDZE**

In the given is discussed a state prosecutor S aim and tasks in the law affair S to be debated. A prosecutor S preparatory tact and planning for making an accusatory speech, methods and forms of a prosecutor S speech during a law debate.



ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც  
სამოქალაქო რისკისგან დაცული ურთიერთობა

ქმედვან ბერეკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი

სანამ სტატიის არსებით მხარეს შევეხებოდე, მინდა მოკლედ მოგახსენოთ თავად ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომ-სზაკ) მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, ასევე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებაა. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, (განსხვავებით ადმინისტრაციული აქტისა), აღიქმება როგორც ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგების კლასიკური ფორმა. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით კი, „ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია სწორედ ის, რომ უშუალო სამართლებრივი შედეგი არა ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების, არამედ მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა სურვილის დამთხვევის შედეგად დგება.“ დღესდღეისობით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება აღიარებულია როგორც ერთერთი ყველაზე უფრო მოქნილი ინსტრუმენტი საჯაროსამართლებრივი საქმიანობის განსახორციელებლად.

როგორი დეფინიცია შეიძლება მიეცეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას?! აღნიშნულისთვის ჯერჯერობით სზაკ-ის ისევ ზემოხსენებული ფრაზა გამოდგება: „ადმინისტრაციული ხელშეკრულება იდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.“ ე. ი. მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსიდან, ფაქტობრივი გარემოებებიდან და უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს მისი სამართლებრივი ბუნება და არა მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსით. ხელშეკრულების ზუსტი განსაზღვრება კი არსებითად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მხარეებისთვის. იგი განაპირობებს ხელშეკრულების არამარტო მატერიალურ, არამედ საპროცესო სიცოცხლისუნარიანობასაც და ქმედუნარიანობასაც.

ყველაზე ღირებული ფასეულობა, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის განხორციელებისას იკვეთება, არის ის, რომ არც სახელმწიფო და არც საჯარო სამართლის იურიდიული პირები კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში რაიმე პრივილეგიებით არ სარგებლობენ. სახელმწიფოსთან კერძოსამართლებრივი ურთიერთობა აბსოლუტურად ეფუძნება არა სახელისუფლებო ადმინისტრირების (ქვემდებარების) პრინციპს, არამედ მხარეთა თანასწორუფლებიან და ნებაყოფლობით პარტნიორობას. სზაკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, „**კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც კერძო სამართლის სუბიექტი.**“ ამავე აზრს განამტკიცებს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები: საჯარო სამართლის

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. როგორც პროფესორი ბ. ზოიძე ამბობს, ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა სახელმწიფოს მონოპოლიურ მდგომარეობაზე კერძო სამართალში და იურიდიულ პირებს და ფიზიკურ პირებს გაუთანაბრა.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული საჯარო სამართლებრივი და კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებები, ვფიქრობ, სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი რისკისგან ყველაზე უკეთ დაცული ურთიერთობაა. ამას უპირველესად ის განაპირობებს, რომ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, თავად უნდა იყოს სამართლიანობის პირველი ფუძემდებელი. სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი რისკისგან დაცულობის მაღალი ხარისხი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მონაწილე კერძო პირისთვის. აღნიშნულ სტატიაში ადმინისტრაციასა და კერძო პირს შორის დადებულ ხელშეკრულებათა სწორედ ამ ნიუანსს შევხვები. რითი შეიძლება იყოს საინტერესო ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში მონაწილეობა კერძო პირისთვის, რა უპირატესობა აქვს მას მატერიალური და საპროცესო თვალსაზრისით და რა შედეგებს უნდა ელოდოს იგი, როცა ასეთ ურთიერთობაში შედის სახელმწიფო ორგანოსთან? ჩვენ ამ უფლებათ მხოლოდ ზოგიერთ, არსებით მხარეზე ვისაუბრებთ:

სზაკ-ის 65 მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. აქვს რა სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების თავისუფლება, თუ ეს უფლება არასწორად იქნა გამოყენებული, დაინტერესებულ პირს შეუძლია საჩივრით ან სარჩელით მიმართოს შესაბამის ორგანოს და ურთიერთობების სპეციფიურობის, პერმანენტულობის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით მოითხოვოს ისეთი მოქნილი ფორმა, როგორცაა ხელშეკრულება, მაშინ, როცა ამის მოწესრიგებას ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით აპირებს. თუმცა, სარჩელი ან საჩივარი უკიდურესი ზომაა. მანამდე მას, როგორც უშუალოდ დაინტერესებულ მხარეს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, მოიყვანოს საკუთარი არგუმენტები და ამრიგად ეცადოს სასურველი შედეგის მიღწევას. მისი სამოქალაქო უფლებები არც მაშინ იზღუდება, თუ ხელშეკრულებაში იგი მესამე პირს წარმოადგენს. სზაკ-ის 67 –ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.“ ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს მესამე პირს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა ხელშეკრულების ან მისი შესაბამისი აქტის ბათილობის საკითხიც დადგეს.

თუ სასურველი შედეგი მიღწეული იქნა და ხელშეკრულება შედგა, **სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყინება ამ**

კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.“ სსკ-ის 66-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.“ იგივე აზრს განამტკიცებს სსკ-ის 26-ე მუხლი, სადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობას მხოლოდ კანონი, ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტი განსაზღვრავს. მაშასადამე, მართალია ადმინისტრაციული ორგანო სამოქალაქო ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით სარგებლობს, მაგრამ ამავე დროს მას რეგლამენტირებასაც უკეთებს ადმინისტრაციული სამართლის ნორმები. რეალურად, სახელმწიფო ორგანოს აღარ აქვს თეორიული შანსი დაეყრდნოს კერძო ინიციატივას და იმოქმედოს სახელშეკრულებო თავისუფლებით. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავის მხრივ მაქსიმალურად სამართლებრივად მოწესრიგებულ ურთიერთობაში იმყოფებოდეს მეორე მხარესთან. კანონის ეს დათქმა ცალსახად აიძულებს სახელმწიფოს შეიმუშაოს ისეთი ნორმატიული ბაზა, რაც შემდგომში მას (და არც სხვას) არ ჩაგდება უხერხულ სიტუაციაში და შემდგომში გარიგების ბათილობის, მოშლის თუ ზიანის ანაზღაურების საფუძველს შექმნის. ვფიქრობთ, ზემოხსენებულ ურთიერთობაში მოქალაქე გაცილებით მაღალხარისხოვნად არის დაცული, ვიდრე მაშინ, როცა ურთიერთობის ორივე მხარეს კერძო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენენ და როდესაც ხშირად ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე მისი სამეწარმეო გამოუცდელობის ან სხვა მიზეზების გამო კაბალურ მდგომარეობაში ვარდება.

ადმინისტრაციულ ორგანოსთან შედარებით სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში იმყოფება კერძო პირი. იგი კერძო ავტონომიის პრივილეგიებით მაქსიმალურად სარგებლობს. სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.“ ე. ი. სახელშეკრულებო ურთიერთობათა საგნობრივი მრავალფეროვნებიდან და თავისებურებიდან გამომდინარე, მას შეუძლია მოითხოვოს არასტანდარტული პირობა თუ დანაწესი. მეტადრე, თუ საქმე ეხება ადმინისტრაციასთან კერძოსამართლებრივ ურთიერთობას. სსკ-ის მე-10 მუხლი ამბობს, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს უფლება აქვთ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ქმედება. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხელშეკრულების დადებისას კერძო პირი ქაოტურად თავისუფალია. სახელშეკრულებო თავისუფლება ყველა შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს სამართლიანობისა და ზნეობის თუნდაც ზოგად პრინციპს. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. სხვა საქმეა, როგორ მიიღებს უზვეულო დანაწესს (შემოთავაზებას) ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, საკანონდებლო ნორმათა მკაცრად შემოსაზღვრულ, იმპერატიული დათქმის ფარგლებში მოქმედებს.

რიგ შემთხვევებში შესაძლოა ადმინისტრაციასა და კერძო პირს შორის დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას შერეული ხასიათი ჰქონდეს და

იგი ერთდროულად აღასრულებდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლებრივ მიზანს. ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს პირობითად განსაკუთრებულ, ან შერეულ ხელშეკრულებებს უწოდებენ. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ამბობს: „**სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.**“ მართალია, ასეთი დათქმა სახელშეკრულებო თავისუფლებას ცალსახად ზღუდავს, მაგრამ აქ კერძო პირის სასარგებლოდ სხვა მექანიზმი მუშაობს: რადგან სახელმწიფო სოციალური დაცვის ფუნქციის მატარებელიცაა, იგი ინტერესთა გაწონასწორების გათვალისწინებით ორიენტირებულია როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მოქალაქისთვის მისაღებ შედეგზე. მაგალითად, ნორმატიულ აქტებს, რომლებიც სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ქონების პრივატიზებას ახორციელებენ, პრეამბულაში ცალსახად უწერიათ, რომ ამ კანონთა მიზანია უზრუნველყოს ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარება, მიწის ბაზრის რაციონალურად გამოყენება და განვითარება და ა.შ; მიღებული თანხები კი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა მოხმარდეს. ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო კერძო პირთა სასარგებლოდ სხვადასხვა მექანიზმებზე მსჯელობს.

უფრო განვავრცოთ ეს თემა და მაგალითად მოვიყვან **საქართველოს კანონს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ**. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ ბრძანებები სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თაობაზე წარმოადგენენ სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ კონტრაქტის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით ფორმას ადმინისტრაციული გარიგების დადების თაობაზე. აქცეპტის მიღების შემთხვევაში ურთიერთობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებით სრულდება. (შედეგად სახეზეა კერძო-სამართლებრივი შინაარსის მქონე შერეული ხელშეკრულება, რომელიც ამ შემთხვევაში საჯარო კანონდებლობით რეგულირდება.) გამოყოფ ზემოაღნიშნული კანონის იმ დანაწესებს, რომლებიც გარიგების მონაწილე კერძო პირებზე შემდეგნაირად ვრცელდება: კანონის მე-13 მუხლში ნათქვამია რომ იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება ჯერ სპეციალური, თუ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, შემდეგ ღია აუქციონის წესით. სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ კონკრეტული დასახლების საკომლო წიგნებში აღრიცხულ ან რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. აღნიშნული დანაწესით ადგილობრივ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ხდება. მათ აქვთ მიწის შესყიდვის უპირატესი უფლება და ეს უფლება შეუვალია. მხოლოდ ამ უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში ტარდება ღია აუქციონი, სადაც მონაწილეობის მიღება თავისუფალია. რაც შეეხება შესასყიდი თანხის გადახდის პირობებს: ამავე კანონის მე-12 მუხლში ნათქვამია: „თუ მოიჯარე წერილობითი შეტყობინების (აქ იგულისხმევა აუქციონის გამართვის თაობაზე წერილობითი შეტყობინება. ავტ.) მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურის 50 %-ს, მაშინ საფასური სრულად გადახდილად ითვლება. საფასური სრულად გადაიხდილად

ითვლება ასევე, თუ პირი საფასურის სულ მცირე 20% -ის გადახდის შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის განმავლობაში გადაიხდის საფასურის 50%-ს; ან 1-დან 3 წლამდე – საფასურის 70%-ს. იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ პირი იხდის საფასურის 100%-ს.“ აქ აღარ შევჩერდებით იმ ხელსაყრელ ფორმაზე, რასაც იჯარით გაცემული მიწის მოიჯარისთვის პირდაპირი მიყიდვის წესით მიწის პრივატიზება ჰქვია. საგულისხმოა, რომ ზუსტად იგივე მოთხოვნები და შეღავათები ვრცელდება იჯარით გაუცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შემთხვევაშიც. საინტერესოა, რომ გრძელვადიანი გადახდის პირობების შეთავაზებისას კანონი არაფერს ამბობს საპროცენტო სარგებელზე. ბუნებრივია, ეს სახელმწიფოს შეგნებული ნებაა და არა კანონმდებლის უყურადღებობის შედეგი.

ცხადია, აქ სახელმწიფო ბაზრის დომინანტ მხრეს წარმოადგენს, იგი არის იჯარით გაცემული და გაუცემელი მიწების ერთადერთი მესაკუთრე და ზემოხსენებული ამოცანებიდან გამომდინარე, ცდილობს, მოქალაქეს ხელშეკრულების მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შესთავაზოს. ეს არის ერთი კონკრეტული შემთხვევა იმისა, თუ როგორ კონტრაპირებს სახელმწიფო კერძო პირებთან და როგორ ცდილობს იგი ამ ურთიერთობაში თანაბრად იყოს დაცული ხელისუფლებრიობაც და თანასწორუფლებიანობაც.

მცირედ შევეხოთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულების სასამართლო წარმოების თავისებურებებს, რომლებიც კერძო პირთა (ბუნებრივია, აქ ვგულისხმობთ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს) საპროცესო უფლებებს განამტკიცებენ. სასკ-ის 25 –ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისთვის მიმართვის გზით. იგივე აზრს განავრცობს სზაკ-ის მე-2 მუხლი, სადაც ტერმინთა განმარტებაში საჩივარი მხოლოდ ადმინისტრაციულ აქტთან მიმართებაში განიხილება. ადმინისტრაციული საჩივრის გამოყენების უფლება დაუშვებელია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ისე მოქალაქის მიერ. ვინაიდან ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება სრულიად განსხვავდება ადმინისტრაციული აქტისგან და რეალქატისგან, შესაბამისად, შეუძლებელია მასზე გავრცელდეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების თავისებურებანი. თუკი ადმინისტრაციული ორგანო მისი საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ირჩევს საქმიანობის სახელშეკრულებო ფორმას, იგი ბოლომდე უნდა დარჩეს ამ ფორმის შესაბამისი ვალდებულებების ერთგული. ვფიქრობთ, აღნიშნული დათქმა დროის თვალსაზრისითაც მომგებიანია. პრაქტიკა ადასტურებს, რომ საჩივრის შემთხვევაში წაგებული მხარე შემდგომ მაინც სასამართლოს მიმართავს.

მნიშვნელოვანია სასკ-ის 25-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების მონაწილეებს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ მომართონ კერძო არბიტრაჟსაც. თუკი ადმინისტრაციულ ორგანოსთან იდება კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სამოქალაქო კოდექსით უზრუნველყოფილ თანასწორუფლებიანობას, ისინი არ არიან შეზღუდულნი საპროცესო უფლებებშიც, შეუძლიათ უარი თქვან საქმის სასამართლო წესით განხილვაზე და ისარგებლონ კერძო სამართლის ისეთი ინსტიტუტით, როგორც საარბიტრაჟო სასამართლოა. ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი იმაზე. თუ როდის

უნდა დაიდოს შეთანხმება საარბიტრაჟო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გამოყენების თაობაზე. მაშასადამე, ამ უფლების გამოყენება მხარეებს შეუძლიათ როგორც ხელშეკრულების დადების პროცესში, ისე მის შემდეგაც. ეს კი ამ უფლების კიდევ ერთი კომფორტული მხარეა.

ვფიქრობთ, განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. ამ უფლებაზე გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში. „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრულად ანაზღაურება სახელმწიფოს სახსრებიდან.“ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლებს სამოქალაქო კოდექსი ადგენს. აქ არ შევუდგებით ამ საფუძვლების სრულად ჩამოთვლას. სსკ-ით გათვალისწინებულ ყველა საფუძვლებთან ერთად, სზაკ-ის მე-60-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მაშინაც, თუ სახეზე არაა ხელშეკრულება, მაგრამ პირი კანონიერ ნდობაში იმყოფებოდა სახელმწიფოსთან. კანონიერი ნდობის პირობად უნდა განვიხილოთ ის შემთხვევა, როცა არსებობს ადმინისტრაციული აქტი (აუცილებლად წერილობითი ფორმით) მომავალი ხელშეკრულების დადების თაობაზე, რამაც განაპირობა რა მხარის კანონიერ ნდობაში შესვლა, მან განახორციელა გარკვეული იურიდიული ხასიათის ქმედება. თუ შემდგომში ხელშეკრულება არ დაიდო შესაბამისი აქტის ბათილობის, ქმედებისგან თავის შეკავების ან სხვა ნებისმიერი მიზეზით, რაშიც ადმინისტრაციის ბრალეულობა იკვეთება, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს იმ ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რაც მას შეუსრულებელი ვალდებულებით მიადგა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მექანიზმები თავისი პრაქტიკული შედეგების თვალსაზრისით. სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გახლავთ (ყოველი შემთხვევისთვის არ უნდა აიყოს) არც დროში გაწეილი და არც სამემკვიდრეო პასივზე და აქტივზე დამოკიდებული პროცესი, მაშინ, როცა სამოქალაქო დავებში მხარის ვალაუვალობის ან სრული გაკოტრების გამო ზიანის ანაზღაურება ან პრაქტიკულად შეუძლებელია, ან წლობით განგრძობადი პროცესია. უფლებდაცვითი მექანიზმების რეალიზაციის თვალსაზრისით კერძო პირი აქ ბევრად კარგ მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე ეს წმინდა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობებისთვის არის დამახასიათებელი.

## ლიტერატურა Literature

1. მ. კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო.
2. ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში.
3. ნათია წკეპლაძე, პაატა ტურავა. ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო.
4. მათა კოპალეიშვილი, ადმინისტრაციული გარიგება
5. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=915&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=915&lang=1)
6. [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=185&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=185&lang=1)

## რეზიუმე

### ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო რისკისბან დაცული ურთიერთობა

#### ქეთევან ბერეკაშვილი

აღნიშნული სტატიის მიზანია ზოგადად დაგვეხასიათებინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული საჯარო და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, უფრო დეტალურად კი განვხილავთ მარტა ის რამდენიმე ნიუანსი, რითაც ასეთი ხელშეკრულებები საინტერესოა კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირებისთვის.

როგორც გერმანული სამართალი ამბობს, „გარიგების ადმინისტრაციული სამართლებრივი სტატუსის თავისებურება ისაა რომ ის მოქმედებს საერთოსახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ისე, რომ არ მიიღებს სარგებელს საკუთარი თავისთვის“; ქართული კანონმდებლობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესახებ კი სწორედ გერმანულ მოდელზეა აგებული. უდაოდ, ქვეყნის განვითარებადი ეკონომიკის პირობებში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში კერძო პირის მონაწილეობა კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს. ვფიქრობთ, ადმინისტრაციული გარიგება სახეობათა მრავალფეროვნების თვალსაზრისით მომავალში უფრო ფართო სპექტრით წარმოინდობა ჩვენს კანონმდებლობაში. შესაბამისად, დაიხვეწება კერძო სამართლის სუბიექტთა უფლება-მოვალეობების სამართლებრივი სიბრტყეც. სასამართლო პრაქტიკა უკვე აიძულებს ადმინისტრაციისთვის რომ ამ საკითხზე უფრო ღრმად დაფიქრდნენ.

## S U M M A R Y

### ADMINISTRATIVE CONTRACT AS A PROTECTED RELATION FROM CIVIL RISK

KETEVAN BEREKASHVILI

The purpose of this paper is to provide general outline on legal nature of public and private contract adopted by administrative body, in particular paper strives to analyze those several factors which ensure such contracts to be very interesting for both legal and physical persons of private law.

According to German law “The character of administrative-legal status of the bargain is that it functions within common state interests who therefore can not benefit for its own” Georgia legislation on administrative contract is based exactly on German model. Obviously, under developing economy of state, participation of private persons in adoption of administrative contract is gradually becoming more intensive. I think that in future diversity of the types of administrative bargain will be proposed in Georgian legislation with wider spectrum. Therefore, legal flatness of both rights and obligations of the subjects of private law will be improved. Judicial practice has already compelled administrative bodies to think deeply about this issue.



## სატელევიზიო რეკლამა და თანამედროვეობა

### ბიორბი ყაზიშვილი

#### ბორის უნივერსიტეტის მასწავლებელი

სარეკლამო საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ჰენრი ფორდი აღნიშნავდა: „რეკლამირების შეწყვეტა ფულის დაზოგვის მიზნით იგივეა, რაც საათის შეჩერება დროის დაზოგვის მიზნით“.

რეკლამა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა. რეკლამის სათავეების ძიებამ მკვლევარები ისე შორს წაიყვანა, რომ ერთ-ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა სარკასტულად შენიშნა: „სარეკლამო ხასიათის პირველი სცენა როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სამოთხეში გათამაშდა და მასში სამი პერსონაჟი მონაწილეობდა: ადამი, როგორც მომხმარებელი, ევა – რეალიზატორი და გველი – სარეკლამო აგენტი, რომელმაც ევას უკარნახა ყველაზე საუკეთესო არგუმენტი ადამის შესაცდენად“. რეკლამის უძველესი ნაშთები ნაპოვნია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ეგვიპტე, საბერძნეთი და სხვ.). სარეკლამო განცხადება იწერებოდა ქვაზე, ლითონზე, ძვალზე და ა.შ. რეკლამის ისტორიაში გარდამტეხი იყო 1450 წელი, როდესაც იოჰან გუტენბერგმა საბეჭდო დაზგა გამოიგონა. 1812 წელს ინგლისში პირველი სარეკლამო სააგენტოები გამოჩნდა. თანამედროვე რეკლამის ისტორია კი ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის.

სიტყვა რეკლამა ლათინური წარმოშობისაა (ლათ. რეცლამარე, ფრანგ. რეცლამე, ინგ. ადვერტისინგ) და სიტყვა-სიტყვით წამოძახილს, ყვირილს ნიშნავს. რეკლამა ცნობების, ინფორმაციის გავრცელებაა ვინმეს ან რაიმეს შესახებ პოპულარიზაციისათვის. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით კი „რეკლამა ღამაზად მოყოლილი რეალობაა“. თანამედროვე პირობებში რეკლამის გადაცემისათვის ფართოდ გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ტელევიზია, რადიო, გაზეთი, ჟურნალი და სხვა. დიდ მნიშვნელობას იძენს ინტერნეტ-რეკლამაც. ჩამოთვლილ საშუალებებს შორის ტელევიზია ლიდერს წარმოადგენს. უკანასკნელი წლების განმავლობაში სატელევიზიო რეკლამაში ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული გრაფიკები და ტექნოლოგიური ანიმაციები. პირველი სატელევიზიო რეკლამა 1941 წლის 1 ივლისს აშშ-ში გადაიკა, როდესაც ნიუ-იორკში საათების მწარმოებელმა კომპანიამ “ ულოვა ჭატცჰ ჩომპანყ” 4 დოლარი გადაიხადა ბეისბოლის მატჩის დროს 20 წამიანი სარეკლამო შეტყობინებისათვის.<sup>53</sup>

ტელევიზიის საშუალებით გადაცემულ რეკლამა რიგი უპირატესობებითა და ნაკლოვანებებით ხასიათდება. ტელევიზიის საშუალებით გადაცემული რეკლამის ძირითადი უპირატესობებიდან აღსანიშნავი: 1) ერთდროულად ვიზუალური და სმენითი ზემოქმედება ტელემაყურებელზე; 2) კონკრეტული მიზნობრივი აუდიტორიის არჩევითობა სხვადასხვა თემატური გადაცემის

<sup>53</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Bulova\\_Watch\\_Company](http://en.wikipedia.org/wiki/Bulova_Watch_Company)

მიხედვით; 3) საკმაოდ დიდი აუდიტორია; 4) ზემოქმედების სწრაფი შედეგები; 5) ცვლილებების სწრაფი გათვალისწინება და დაგეგმვა და სხვ.

რეკლამის გადაცემის აღნიშნული საშუალების ნაკლოვანებად კი შეიძლება დავასახელოთ დიდი ფინანსური დანახარჯები, მისი ნაკლები ხანგრძლივობა (გზავნილის მოკლე სასიცოცხლო ციკლი). ის მაყურებელი, რომელმაც ვერ ნახა ამა თუ იმ პროდუქციის რეკლამა ტელევიზიით, დაკარგულია რეკლამის გამცემისათვის (მწარმოებლისათვის) თუ რეკლამა არ განმეორდა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სატელევიზიო რეკლამის დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე მის ტარიფზე მოქმედი ფაქტორები წარმოვადგინოთ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან შედარების კონტექსტში ცხრილის სახით, რომელიც ვფიქრობთ უფრო ნათლად და ეფექტურად წარმოაჩენს თითოეული მათგანის დადებით და უარყოფით მხარეს.

ცხრილი 1 რეკლამა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

|                  | ტარიფზე მოქმედი ფაქტორები   | უპირატესობა   | ნაკლოვანება  |
|------------------|---|---|--|
| <b>გაზეთი</b>    | პუბლიკაციის მოცულობა, ფერთა რაოდენობა, ტირაჟი, განთავსების ადგილი და სხვ.                         | თითქმის ყველა სოციალურ-ეკონომიკური ფენისათვის ხელმისაწვდომობა, ოპერატიული და ხშირი პუბლიკაციების შესაძლებლობა | მოკლე სასიცოცხლო ციკლი, ბეჭდვის შეზღუდულობა  |
| <b>ჟურნალი</b>   | აუდიტორიის ტიპი, განცხადების მოცულობა, განთავსების ადგილი, ფერთა რაოდენობა, ტირაჟი და სხვ.        | დიდი არჩევითობა, კვლავწარმოების კარგი ხარისხი, დიდი სასიცოცხლო ციკლი, პრესტიჟულობა                            | დიდი ფინანსური დანახარჯები, გამოცემის გრძელი პროცესი   |
| <b>რადიო</b>     | საეთერო დრო, აუდიტორიის რაოდენობა, დაფარვის ზონა, განცხადების ხანგრძლივობა და სხვ.                | დიდი მობილურობა, შედარებითი სიახვე, კორექტირების შეტანა ოპერატიულად, დიდი არჩევითობა                          | მთელ ქვეყანაში მოქმედი რადიოსადგურების სიმცირე. მოკლე სასიცოცხლო ციკლი, დაკარგული პრესტიჟი                 |
| <b>ტელევიზია</b> | საეთერო დრო, სარეკლამო რგოლის ხანგრძლივობა, აუდიტორიის მოცულობა, ჩვენების ხანგრძლივობა და სისშირე | დიდ აუდიტორიაზე გასვლა, ერთ მაყურებელზე მცირე დანახარჯი, მაღალი პრესტიჟი                                      | დიდი ფინანსური ხარჯები, მოკლე სასიცოცხლო ციკლი, ყველაზე პოპულარული დროის შექმნის შესაძლებლობის შეზღუდულობა |
| <b>ინტერნეტი</b> | განთავსების ადგილი, განცხადების მოცულობა, ჩვენების ხანგრძლივობა, სისშირე და სხვ.                  | ოპერატიულობა, ზემოქმედების სწრაფი შედეგები, წარმოდგენილი ინფორმაციის მოცულობა პოტენციურად არ არის შეზღუდული   | სპეციფიკურია აუდიტორიებზე, რადგან იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის, არამდგრადი ბაზარი                  |

როგორი უნდა იყოს წარმატებული სატელევიზიო რეკლამა?

უპირველეს ყოვლისა სატელევიზიო რეკლამამ მომხმარებლის ემოციებზე უნდა მოახდინოს ზემოქმედება და აღუძრას მას სურვილი, რომ შეიძინოს მოცემული საქონელი, გამოუმუშაოს ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ნაწარმის მარკისადმი. სატელევიზიო რეკლამის წარმატება დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად გასაგები ენით არის განმარტებული იგი და რამდენად იწვევს ინტერესს, უნდა გამოიყურებოდეს დამარწმუნებლად, ხაზს უსვამდეს პროდუქციის ან მომსახურების გარკვეულ ნიშნებს. სატელევიზიო რეკლამამ მომხმარებელზე სათანადო ეფექტის მოსახდენად აუცილებელია „მიზანში“ ამოიღოს ტელემაყურებლის განსაზღვრული კატეგორია – ბავშვები, დიასახლისები, მოხუცები და ა.შ. სპეციალური პროგრამების აუდიტორიაც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რეკლამის მომზადების დროს აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, ყველაზე მეტად რა აწუხებს ამ ხალხს. რეკლამის სპეციალისტებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ ვისთვის მუშაობენ, ვინ არის ეს ხალხი, სად ცხოვრობს, რას ყიდულობს, რისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეიქმნას დამაჯერებელი რეკლამა. დადგენილია, რომ თანამედროვე ადამიანი წელიწადში 86 500 სარეკლამო რგოლს უყურებს, რაც გადატვირთულია ვიზუალური და აუდიო ინფორმაციით.

სატელევიზიო რეკლამის ეფექტიანობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ ვინ ახდენს უშუალოდ პროდუქციის რეკლამირებას. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცნობილი სპორტსმენები, მსახიობები, საზოგადოებისათვის ცნობადი სახეები და ყოფილი პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც მომგებიან კონტრაქტებს აფორმებენ ფირმებთან და ამით ორივე მხარე მოგებული რჩება. მაგალითად, კლაუდია შიფერი ჩერნიგორიის კურორტებს უწევდა რეკლამას, არნოლდ შვარცენგერი ხილის წვენებს, ფეხბურთის მეფე პელე – თავისივე სახელობის ყავას, ელიზაბედ ტილორი საკუთარ სუნამოს. რამდენიმე წლის წინ საკმაოდ დიდი თანხის ფასად მიიღო მონაწილეობა იაპონელთა რეკლამაში სილვესტერ სტალონემ. იგი აგიტაციას უწევდა სოსისს და მხოლოდ ორ სიტყვას ამბობდა იაპონურად „ოიში დესო“ („გემრიელია“). ამერიკული ფირმის მიერ მილიონ დოლარად ღირებულ პროექტში გადაღებულმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ექს-პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა წარმატებით გააკეთა „პიცა ჰატის“ რეკლამა და ა.შ. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მაგალითად ცნობილი სპორტსმენი კახი კალაძე კომპანია „მაგთიკომის“, ხოლო მსახიობი დუტა სხირტლაძე კომპანია „ჯეოსელის“ სარეკლამო სახეა და სხვ.

სატელევიზიო რეკლამის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კომპიუტერულ სპეციალურებს, ხმას, იმ მელოდიას, რომელიც ფონად გასდევს მოცემულ სარეკლამო კლიპს, რაც საბოლოო ჯამში დადებით ზეგავლენას ახდენს მომხმარებელზე. მაგალითად, თეთრი დათვი, რომელიც მხოლოდ კოკა-კოლას სვამს, პირველი სარეკლამო გმირია, რომელიც 1993 წელს მთლიანად კომპიუტერმა შექმნა და დღესაც წარმატებით იღებს მონაწილეობას აღნიშნული კომპანიის სარეკლამო რგოლებში. ის, რომ კომპიუტერულ ეფექტებთან ერთად გარკვეული დატვირთვა ხმასაც გააჩნია, ცხადად მოწმობს ავეჯის გადაზიდვის სერვისის ცნობილი რეკლამა.

ამა თუ იმ სატელევიზიო სარეკლამო რგოლის დამუშავების დროს გასათვალისწინებელია იმ ქვეყნის ეროვნული თავისებურებები, სადაც რეკლამა უნდა გავიდეს. ზოგიერთ ქვეყანაში იქმნება ენობრივი ბარიერები.

საბჭოთა მანქანას "ჟიგული" საფრანგეთში „ლადა“ უწოდეს, რადგან სიტყვა „ჟიგული“ ძალიან წააგავდა ფრანგულ სიტყვა „ჟიგოლოს“. იგივე განმეორდა, როდესაც ფინეთში გაიტანეს მანქანა „ხაპოროუეცი“. მას იქ „იალტა“ უწოდეს, რადგან ორიგინალური სახელწოდება თითქმის მთლიანად ემთხვეოდა ფინურად „ლორის კუდს“. ამასთან განსხვავებულია რიგი ქვეყნების მომხმარებელთა ვაჭრობის მეთოდებისა და ზემოქმედების მიმართ დამოკიდებულება. ზოგჯერ საერთაშორისო სატელევიზიო რეკლამაში დაშვებული შეცდომები არასრულფასოვანი თარგმანის შედეგია. მაგალითად ფირმამ "Pepsico" შენიშნა, რომ სლოგანი „შესვი პეპსი და გამოცოცხლდი“ სიტყვა-სიტყვით გერმანულად ასე ითარგმნა „აღსდექ ცოცხლად საფლავიდან პეპსის მეშვეობით“. აზიურ ქვეყნებში კი ასეთი თარგმანი იყო „დაიბრუნე შენი წინაპრები იმ ქვეყნიდან“ და ა.შ. ზოგიერთი ფაქტორის გათვლა კი წინასწარ ძალიან ძნელია. მაგალითად, ტაილანდში ცხოველებს ყველაზე დაბალ არსებებად თვლიან, რის გამოც მათი რეკლამაში გამოყენება არახელსაყრელია. პუერტო-რიკოში შევროლე NOVA ძნელად იყიდებოდა, მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სიტყვა NOVA იქ ნიშნავდა „არ დადის“.

ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალვა კანონის დონეზე ხდება. მაგალითად, შვედეთი ეს არის ქვეყანა ბავშვებზე ორიენტირებული რეკლამის გარეშე აღნიშნული აკრძალვა გამოხატავს საზოგადოების საერთო კონსენსუსს იმის შესახებ, რომ ბავშვები განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ, რადგან ისინი უფრო მიმდობნი და გულუბრყვილოები არიან, ვიდრე უფროსები. ნორვეგიამაც შვედეთის მსგავსი აკრძალვა დააწესა. ამერიკის მრავალ შტატში ამოქმედდა კანონი, რომლითაც იმ პირს, რომელიც გახდა რეკლამის მსხვერპლი, შეუძლია იჩივლოს სასამართლოში, რითაც რეკლამაში ტყუილის გაპარვას აკონტროლებენ. ამის გამო სკანდალად იქცა წლების მანძილზე ფირმა „უორნერ ლამბერტის“ მიერ რეკლამირებული პრეპარატი „ლასტერინი“, როგორც გაციების უეზარი საშუალება. მოგვიანებით დადგინდა, რომ ეს განცხადება სინმდვილეს არ შეეფერებოდა, რის გამოც მას სასამართლოში უჩივლეს. ფირმას აკრძალა მსგავსი რეკლამა და დაუდგინდა 10,2 მილიონი დოლარის დახარჯვა მასმედიაში შემდეგი განცხადების განსათავსებლად: „ლასტერინი ვერ დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ გაციება“.

საკმაოდ კოლოსალურია სარეკლამო დანახარჯებიც. დღეისათვის ეს მაჩვენებელი ერთ ტრილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება. სარეკლამო ხარჯების მოცულობის მიხედვით პირველი ადგილს აშშ იკავებს, სადაც უკანასკნელ წლებში მისმა სიდიდემ 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. იაპონიაში სარეკლამო ხარჯები 10 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალბაზე სულ უფრო იზრდება ონლაინ-რეკლამების პოპულარობაც. ბრიტანელმა ექსპერტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ მალე ონლაინ-რეკლამა პოპულარობით სატელევიზიო რეკლამას გაუსწრებს.<sup>54</sup>

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოში სარეკლამო საქმიანობის გამოცოცხლება გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ დაიწყო. მანამდე კი, შეიძლება ვთქვათ, მაგრამ არსებობდა სარეკლამო საქმის სპეციფიკური სახეობა, რომელსაც საბჭოთა რეკლამა ერქვა. ის ცხადია, მაშინდელი კანონებით ვითარდებოდა და უაღტერნატივოც იყო. რეკლამა მოუწოდებდა საბჭოთა მოქალაქეებს შეენახათ ფული შემნახველ

<sup>54</sup> [http://navigator.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=27&info\\_id=3015](http://navigator.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=27&info_id=3015)

საღაროში, დაეცვათ საბჭოთა კავშირის საზღვრები და ჩაწერილიყვნენ მოხალისეებად, ხმა მიეცათ კომპარტიის წევრებისათვის და ა.შ. ბუნებრივია ამ კანონებით „ვითარდებოდა“ ქართული რეკლამაც, თუმცა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კაპიტალიზმის განვითარების ხანმოკლე პერიოდმა ნამდვილი ქართული რეკლამის არაერთი ნიმუში შემოგვინახა (ღვინის, შამპანურის და ა.შ.), რომლებიც სახელგანთქმულ ქართველ მეწარმეებს უკავშირდება.

დღეისათვის ვითარება სარეკლამო საქმიანობის სფეროში რადიკალურად შეიცვალა. ამჟამად საქართველოში რამდენიმე ათეული სარეკლამო სააგენტო არსებობს. შეინიშნება სარეკლამო ბიზნესის განვითარების ტენდენციებიც. თუმცა გასული წლის აგვისტოში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა ქართულ სარეკლამო ბიზნესზეც იქონია.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო 1998 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რეკლამის შესახებ მიღებული კანონის ამოქმედება. აღნიშნული კანონი არეგულირებს საქართველოს სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე რეკლამის წარმოების, განვითარებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს. კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და სხვ. ჩვენის აზრით, სათანადო სამართლებრივი ბაზის მომზადებამ, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა რიგმა უმნიშვნელოვანესმა კანონებმა და მათში შეტანილმა ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს სარეკლამო საქმიანობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ პირველი ქართული სატელევიზიო რეკლამა ეთერში გავიდა ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს. ეს იყო ჯემის რეკლამა, რომელსაც პოპულარიზაციას უწევდა ცნობილი ტელეწამყვანი უანეტა არჩვაძე.

როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოშიც მაღალია გადასახადები სატელევიზიო რეკლამაზე. ამჟამად სხვადასხვა ქართულ ტელეარხებზე რეკლამის განთავსების ტარიფები რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულ დოლარს შორის მერყეობს და დამოკიდებულია იმაზე, თუ დღის რომელ მონაკვეთში და გადაცემაში მიდის რეკლამა. აღსანიშნავია, რომ გამოკვლევების მიხედვით, „რუსთავი 2“ ფლობს საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის 50-60%-ს.<sup>55</sup>

კომპანია ZenithOptimedia-ს კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეკლამო ბაზარი 2007 წელს 2006 წელთან შედარებით 42,9%-ით გაიზარდა და 142 მლნ. ლარს მიაღწია. ამ მონაცემებით, საქართველოში ყველაზე დიდი პოპულარობით სატელევიზიო რეკლამა სარგებლობს და მისი წილი ბაზარზე 79%-ია, მას პრესა 8,9%-ით მოსდევს, შემდეგ მოდის 6,6%-ით გარე რეკლამა, რადიო კი ბოლო ადგილზე 5,7%-იანი წილით მოხვდა.<sup>56</sup>

ამრიგად, მოპოვებული მონაცემების განზოგადების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკითხები, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის. სატელევიზიო სარეკლამო რგოლი ხარისხიანად და წარმატებულად შეიძლება

<sup>55</sup> <http://www.rustavi2.com/news/advertisementg.php>

<sup>56</sup> [http://24saati.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=22&info\\_id=42598](http://24saati.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&info_id=42598)



## რ ე ზ ი შ მ ე

### სატელევიზიო რეკლამა და თანამედროვეობა

#### გიორგი ყაზიშვილი

რეკლამის როლი XX საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა და კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა თანამედროვე პირობებში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე. რეკლამის განთავსების საშუალებებს შორის, როგორცაა: ტელევიზია, რადიო, პრესა, ინტერნეტი და ა.შ. ტელევიზია წარმოადგენს რეკლამის გადაცემის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. ნაშრომში განხილულია სატელევიზიო რეკლამის ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებები, მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, მოცემულია საქართველოში სარეკლამო საქმიანობის განვითარების ძირითადი ტენდენციები. მოპოვებული მონაცემების განზოგადების საფუძველზე წარმოდგენილია ავტორის ხედვა და რეკომენდაციები.

## S U M M A R Y

### TELEVISION ADVERTISEMENT AND CONTEMPORANEITY

#### GIORGI KAZISHVILI

The role of advertising in the conditions of modern information technologies in the XX century has strongly increased. Among means of placing advertisements - such as: TV, radio, the press, the Internet etc. TV is the best one. In this work the basic advantages and disadvantages of TV advertising, its role and value in modern conditions are considered. The basic tendencies of advertising business in Georgia are described. On the basis of the received data are the author's vision and recommendations are presented.

## კრიზისული PR

### მაია შაოშვილი

#### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ – სოციალური ფაკულტეტის მამბისტრანტი

დღეს კომპიუტერი მართავს ყველაფერს - საჰაერო ნავიგაციიდან საბანკო ოპერაციების ჩათვლით.

2000 წელს მოსალოდნელი კრიზისის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ 2001 წლისათვის ყველა კომპიუტერი უნდა ყოფილიყო იდენტიფიცირებული. თუ ასე არ მოხდებოდა, მაშინ ისინი მოგვაწვდიდნენ უზუსტო ცნობებს ან, საერთოდ, ვერ იმუშავებენ და, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მათი რემონტი კაცობრიობას დაახლოებით სამასი მილიარდი დოლარი დაუჯდებოდა.

ასე შეიძლება წარმოიქმნას ინფორმაციული კრიზისი, რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს ეკონომიკაზე და გამოიწვევს მის ვარდნას.

მეორე სერიოზული პრობლემაა – კომპიუტერული ქსელის ინტერაქტიული ხასიათი (როდესაც დაზიანებული ერთი კომპიუტერი იწვევს სხვების დაზიანებას).

მესამე – როდესაც ერთი კრიზისი იწვევს მეორეს. (აფეთქება საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის აფეთქებამ დააზარალა სხვა ქვეყნებიც), თუმცა ასეთი კავშირების გარეშეც ზოგიერთი კრიზისი იღებს მსოფლიო მნიშვნელობას. 1996 წელს ევროკავშირმა აკრძალა ბრიტანული საქონლის ხორცი და მოუწოდებდა ქვეყანას საქონლის განადგურებისაკენ.

შეიქმნა მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა, გაიზარდა მოთხოვნა დახოცილი საქონლის გადაშენებაზე, რადგან კეთდება ძვლის ფქვილი, საქონლის სისხლი გამოიყენება კოსმეტიკაში - მუშავდება ალბუმინი. ძვალი მუშავდება და მიიღება ჟელატინი, რომელიც გამოიყენება კულინარიაში. ღვიძლი – კვების ტექნოლოგიაში, როგორც ბიოლოგიური დანამატი. მუცლის ქონი – კოსმეტიკაში, მზადდება საპონი და კრემი. რა თქმა უნდა, საქონლის დაავადება ქმნიდა სერიოზულ განგაშს.

საზოგადოებრივი აზრი გადამწყვეტ როლს თამაშობს კრიზისის დროს, როდესაც ცნობილმა ტელეწამყვანმა ეთერიდან აღნიშნა, რომ აღარასოდეს შეჭამს ჰამბურგერს კომპანიებმა დაადანაშაულეს ის ანტირეკლამაში და უჩივლეს სასამართლოში, მაგრამ შემდეგ გაამართლეს. საზოგადოებრივმა აზრმა გაიმარჯვა.

კრიზისი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის. მაგრამ PR – სპეციალისტი ყოველთვის დგას საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ის შეიძლება აღწეროს, დაყოს სხვადასხვა კატეგორიად და აუცილებლად უნდა განსაზღვროს.

კრიზისის დროს არსებობს ორი გასათვალისწინებელი ფაქტორი. თუ კრიზისი შეეხება ხალხს, ის იწვევს შეჩვეული ცხოვრების რიტმის შეცვლას და იღებს გაუთვალისწინებელ გადაწყვეტილებებს.

კრიზისის მიზეზები ორგანოა:

დაკავშირებულია ფიზიკურ განადგურებასთან და არ არის დაკავშირებული ფიზიკურ განადგურებასთან.



გამანადგურებელი, დამაქცეველი კრიზისებია – მიწისძვრა, ხანძარი, გრივალა, ავიაკატასტროფა, ტერორისტული აქტები. კრიზისი, რომელსაც არ მოაქვს ფიზიკური განადგურება არის ეკონომიკური ხასიათის.

კრიზისის ეს ორი ფორმა შეიძლება კიდევ დაიყოს ჯგუფებად. კრიზისი, რომელსაც მოაქვს ფიზიკური განადგურება, შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივმა მოვლენებმაც. მაგ. ელვა, საიდანაც ჩნდება ხანძარი, სტიქიური უბედურებები. თუმცა ზოგიერთი კრიზისი არ არის დაკავშირებული ფიზიკურ განადგურებასთან, მაგრამ მაინც შეიძლება ჩაითვალოს ბუნებეს მოვლენად. ესენია ვირუსული ეპიდემიები, გვაღვა, მწერების შემოსევა. ამ შემთხვევებში გამორიცხული არ არის სიკვდილიანობა, მაგრამ მთლიანობაში აქ არ გვაქვს საქმე კატაკლიზმებთან. ამიტომაც სხვადასხვა სახის კრიზისი თხოულობს სხვადასხვანაირ მართვას.

ზოგიერთი კრიზისი წარმოიქმნება ადამიანების შეგნებული ქმედებების გამო:

განსაზღვრული კრიზისი - მოჰყვება ფიზიკური განადგურება. ეს არის ტერორისტული აქტები, ადამიანის სიცოცხლესა და თავისუფლებაზე თავდასხმა.(მაგ. მიქვლების აყვანა.)

განსაზღვრულია კრიზისი, რომელსაც არ მოჰყვება ფიზიკური განადგურება. ესაა აფეთქების საშიშროება, საქონლის გაფუჭება, დაზიანება, კომპიუტერული ვირუსები, შეგნებულად ჭორების გავრცელება, ფირმებს შორის მტრული დამოკიდებულება და სხვა არასამართლებრივი მოქმედებები.

რაც შეეხება – განუსაზღვრელ კრიზისებს, მას არ მიეკუთვნება არც ბუნებრივი მოვლენები და არც ადამიანის წინასწარი ქმედებები. ის შეიცავს გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, დაკავშირებულს ფიზიკურ განადგურებასთან, ესენია: აფეთქებები, ხანძრები, ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა, საწარმოო პრობლემები – გაკოტრება, ფირმის დახურვა და ა.შ.

რომელ ორგანიზაციაშიც არუნდა მუშაობდეს PR – სპეციალისტი, მას უნდა შეეძლოს კრიზისის მოახლოების განჭვრეტა, მის წინააღმდეგ ბრძოლა. უნდა ატარებდეს კვლევებს, გეგმავდეს სამუშაოს.

განჭვრეტა - ეს კრიზისის მართვის გონებრივი გასაღებია. უნდა შეეძლოს გამოყოფა კრიზისის ის ფორმები, რომლებიც შეეხება ჩვენს ორგანიზაციას. როგორც კი გაირკვევა კრიზისის ტიპი, უკვე შედარებით ადვილი ხდება საშიშროების არიდება. PR – სპეციალისტი უკვე ცდილობს გაანალიზოს სიტუაცია და დასახოს გზა კრიზისიდან გამოსასვლელად. ამრიგად, დაგეგმარებამ შეიძლება გამორიცხოს ზოგიერთი რისკის ფაქტორი.

ნებისმიერი კრიზისის შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა სწორად გამოვლენილი კომპანიის სუსტი წერტილები და იმისი გაანალიზება, თუ რა შეიძლება მოხდეს უარეს შემთხვევაში. სერიოზული შემთხვევების დროს მენეჯერები ახდენენ კრიზისის მოდელირებასაც, რათა გამოაშკარონ და შეამოწმონ კომპანიის სუსტი წერტილების გამძლეობა.

როდესაც ვფიქრობთ, თუ რა მოხდებოდა უარეს შემთხვევაში, უნდა განვჭვრეტოთ, თუ როგორ აისახება კრიზისის მოვლენები საზოგადოებაზე. ეს დაგვეხმარება, განვჭვრიტოთ ზოგიერთი ჯაჭვური რეაქციაც. იმასაც გავანალიზებთ, როგორ უნდა მოვიქცეთ კრიზისის დროს და როგორ კვალს დატოვებს კრიზისი ჩვენს მომავალ ცხოვრებაზე.

წინასწარი დაგეგმარების საშუალებით შეიძლება შემსუბუქდეს კრიზისის მსვლელობა. რეაქცია კრიზისის მიმართ, უმეტეს შემთხვევაში, განისაზღვრება ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობით. იმ არასწორი

შორის, რომლებიც შეიძლება მივიღოთ კრიზისის დროს, ყველაზე დაუშვებელია იმ ინფორმაციის დამალვა და დაბლოკვა, რომელიც ადეკვატურად ასახავს სიტუაციას.

როგორც ვიცით, კომინიკაციური სისტემა დახურული და ღიაა. კრიზისის დროს ღია სივრცეში უფრო ადვილია მუშაობა. თუ ინფორმაცია ღია და მისაწვდომია, ნაკლებია ჭორების გაჩენის ალბათობაც. ღია ინფორმაცია ორგანიზაციის შიგნითაც და გარეთაც ბადებს ნდობას.

ანტიკრიზისური დაგეგმარების დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ კომპანიის შიდა კომუნიკაციური ურთიერთობები.

კრიზისის მართვა გაადვილდება, როდესაც მთელი ინფორმაცია გროვდება ერთ ადგილას და მისი მიგნება ადვილია. თორემ რა ფასი აქვს ისეთ ინფორმაციას, თუ ვერ ისარგებლებს ის, ვისაც ეს სჭირდება.

ზოგიერთი ანტიკრიზისური გეგმები კარგადაა შედგენილი, მაგრამ მათ შესახებ არავინ იცის. თანამშრომლებს არ აქვთ ასლები, არ იციან, როგორ გამოიყენონ ისინი.

კარგი გეგმა - რომელიც შეიცავს მარტივ, ადვილად გამოსაყენებელ საინფორმაციო ფურცელს, რომელშიც აღნიშნულია ძირითადი მოსამზადებელი ცნობები. ის წინასწარ უნდა იყოს განხილული, რადგან ხელმძღვანელობას ჰქონდეს საშუალება, იმუშაოს თანამშრომლებთან, მთელ აუდიტორიასთან, ვიდრე დადგება კრიზისი.

პრობლემის გადაჭრა მდგომარეობს ურთიერთობების პრინციპზე. არსებობს სამი ძირითადი ელემენტი კრიზისის დროს წარმატებული ურთიერთობებისა: 1). ურთიერთობის გეგმის არსებობა – ეს არის მთლიანი ანტიკრიზისური გეგმის ნაწილი; 2). ანტიკრიზისური გუნდის შეკრების საშუალება საგანგებო სიტუაციის დროს; 3). კომპანიის ერთიანი წარმომადგენლის არსებობა კრიზისის დროს.

მთლიანი გეგმა უნდა იყოს გათვლილი როგორც საგარეო, ისე საშინაო ცნობებზე. ანტიკრიზისული გუნდის მრჩეველი იქნება PR – სპეციალისტი. კრიზისის დროს ურთიერთობების მართვა ეს არის თვით კრიზისის მართვა.

დაგეგმარება უნდა მიმდინარეობდეს იურისტის მონაწილეობით, რადგან კრიზისის აფეთქების დროს კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს სხვადასხვა რჩევას PR – სპეციალისტისაგან და იურისტისაგან. იურისტები ირჩევენ ტაქტიკას “კომენტარის გარეშე”, PR – სპეციალისტები კი მოგვიწოდებენ ღია ინფორმაციისაკენ. ორივე შემთხვევას აქვს თავისი არგუმენტები. კომპანიის ოპონენტები ცდილობან, დაიჭირონ ნებისმიერი, მათთვის საინტერესო სიტყვა, ამიტომაც იურისტები გვირჩევენ ნაკლებ ლაპარაკს. ღია ინფორმაცია მათ ხელს უშლით, დაიცვან კომპანია თავიანთ ხერხების საშუალებით. PR – სპეციალისტმა კი უნდა გაითვალისწინოს, რომ ღია ინფორმაცია დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე.

პრობლემის გადაჭრის შემდეგი საშუალებაა კომპანიის პერსონალის როლი. კრიზისის დროს კომპანიის პერსონალი მთლიანად იმყოფება PR – სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ. პერსონალი უშუალოდ განიცდის კომპანიის კრიზისს. თანამშრომლები ინფორმაციას უნდა იგებდნენ შიდა წყაროებიდან და არა - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. თანამშრომლების ურთიერთობებმა ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან შეიძლება გაართულოს ან გააადვილოს ორგანიზაციის ცხოვრება კრიზისის შემდეგ.

კრიზისის შეფასება ხდება მიყენებული და მოსალოდნელი ზარალის რისკი საშუალებით. PR – სპეციალისტის ვალია, მოამზადოს და გააფრთხილოს ხელმძღვანელობა კრიზისის შესახებ. ის უნდა ადევნებდეს თვალს მთავარი პრობლემების განვითარებასა და საზოგადოებრივ აზრსაც. ასეთი კომპლექსური მიდგომა დროული რეაგირების საშუალებასმისცემს. თუ ორგანიზაცია ვერ ჩააქრობს კრიზისს ჩანასახშივე, ეი არ შესწევს უნარი, პროგნოზების გამოყენებისა. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1) თვითდაჯერებულობა - დამარცხების უმთავრესი მიზეზია; 2) “სასაზღვრო აუდიტორიის” უგულებელყოფა (თითქოსადა ვალდებული არ ხარ ზოგიერთ ადამიანზე იფიქრო). 3) არასწორი მსჯელობა - როდესაც თანამშრომლების ყურადღება არ არის მიმართული მოსალოდნელი პრობლემებისაკენ.

კრიზისის დროს ყოველთვის ხდება ხელმძღვანელობასთან მოთათბირება. იწერება პრესრელიზები, ტარდება პრესკონფერენციები. ღ – სპეციალისტის ვალია ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ყველა ცნობა უნდა იყოს შეთანხმებული ხელმძღვანელობასთან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობისას PR – სპეციალისტს ელოდება უამრავი სირთულე და მისი როლი მდგომარეობს შემდეგში: 1). ის აწარმოოს დელიკატური მოლაპარაკება, შეარჩიოს რომელი ცნობა უნდა იყოს გაჟღერებული; 2). ჟურნალისტებს შეუქმნას სამუშაო პირობები, გამართოს პრესკონფერენციები; 3). დაეხმაროს საზოგადოებას, გაიაზროს და სწორად აღიქვას ინფორმაცია.

ადრე ორგანიზაციები მოთმინებით იტანდნენ კრიტიკას, რომელიც პრესაში ხმაურდებოდა. ახლა PR – სპეციალისტის დახმარებით ისინი აღარ ერიდებიან შეკამათებას ბრალდების გამო. იმისთვის, რომ PR – სპეციალისტმა გამოუცხადოს ბრძოლა საინფორმაციო საშუალებებს, უნდა იყოს მცოდნე, ფლობდეს თავისი კომპანიის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს.

კრიზისის შემდგომ პერიოდში სწრაფი აღდგენისათვის ბოზ კარელი, პროფესორი რეკლამის სფეროში, გვთავაზობს, ისევე დაუბრუნდეთ კრიზისის საწყის ფაზეს, რათა უფრო იოლი იყოს მისი კონტროლი. ის გვიჩვენებს: 1). განსაზღვრეთ კრიზისის მიზეზი და დროულად გამოუცხადეთ ბრძოლა ჭორებს; 2). გადაწყვიტეთ, რომელი სტრატეგია და ტაქტიკა უნდა შეიმუშაოთ, რათა თავიდან აირიდოთ მსგავსი სიტუაციები მომავალში. კრიზისი - არის თქვენი სტრატეგიისა და ტაქტიკის საუკეთესო შემოწმება; 3). დაუსვით თქვენს თავს კითხვა, რამდენად ეფექტური იყო თქვენი ანტიკრიზისული გეგმა და თუ საჭიროა, შეიტანეთ ცვლილებები; 4). შეაფასეთ თქვენი თანამშრომლების მოქმედება კრიზისის დროს; 5). უნდა მოიძებნოს ხელსაყრელი დრო და საშუალება ბოდიშის მოხდისათვის შექმნილი სიტუაციის გამო.

თუ კრიზისი სერიოზულია და შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს, უნდა შევებრძოლოთ ჭორებს, რომელთა მიზეზი ნერვიული მდგომარეობა, გულგატეხილობა და შიშია. მათ ავრცელებენ ადამიანები, ვისზედაც ეს მოვლენები ნეგატიურად მოქმედებს.

## ლიტერატურა Literature

1. ა. ოლშევსკი – ანტიკრიზისული PR და კონსალტინგი;
2. გ. პონეპცოვი – PR პროფესიონალებისათვის;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო “პროფილი” – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია;
4. [www.prguide.ge](http://www.prguide.ge).

### რეზიუმე

#### კრიზისული PR

#### მაია შაოშვილი

კრიზისმა შეიძლება მიიღოს უამრავი სხვადასხვა ფორმა, მაგრამ დ – სპეციალისტი ყოველთვის დგას საზოგადოებრივი აზრის კრიზისის წინაშე. სხვადასხვა სახის კრიზისი თხოულობს სხვადასხვანაირ მიდგომას და მართვას. დ – სპეციალისტისათვის კრიზისის შედეგები არ უნდა იყოს მოულოდნელი. განჭვრეტა - ეს არის კრიზისის მართვის გონივრული გასაღები. განჭვრეტის საშუალებით დ – სპეციალისტი გამოყოფს კრიზისის ფორმას. მოქმედების შემდეგი ეტაპია დაგეგმარება, ის მისცემს დ – სპეციალისტს საშუალებას, გამორიცხოს ზოგიერთი რისკის ფაქტორი. ნებისმიერი კრიზისის შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის კარგი საშუალებაა სწორად გამოვლენილი კომპანიის სუსტი წერტილები და გაანალიზება, რა შეიძლება მოხდეს უარეს შემთხვევაში.

კრიზისის შემთხვევაში ურთიერთობის პრინციპი აგებულია სამ ელემენტზე: 1) ურთიერთობების გეგმის არსებობა; 2) ანტიკრიზისული გუნდის შეკრება საგანგებო სიტუაციის დროს; 3) კომპანიის ერთიანი წარმომადგენლის აუცილებლობა კრიზისის დროს.

მნიშვნელოვანი როლი უკავია ორგანიზაციის პერსონალს, რადგან ხშირ შემთხვევაში პერსონალის ხელშია “კომპანიის აღდგენის და გადარჩენის გასაღები”. კრიზისის დროს უნდა განჭვრიტოთ, როგორ პოზიციას დაიკავებს კომპანიის ხელმძღვანელობა. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მთავარი ის კი არაა, როდის ჩააქრობ კრიზისს, არამედ ის, თუ როგორი განცდა დატოვა ამ ბრძოლამ – წარმატების თუ დამარცხების.

## S U M M A R Y

### CRISICAL PR

#### MAIA SHAOSHVILI

Crisis can admit various forms, but PR – specialist is always ahead of social opinion during crisis. Various Kinds of crisis demand different approaches and runnings. Results of crisis mustn't be unexpectedly for PR – specialist. Foreseeing is a sensible clue for crisis running. PR – specialist differs crisis forms. The following step of action is planning. This gives PR – specialist an opportunity to exclude some risk factors. In any case in crisis development good means in considering the problem are revealing poor points of a company and analyzing the worst what can take place.

In case of crisis there are three elements of intercourse: 1)having an intercourse plan; 2) assembly of anticrisis team during an extra situation; 3) having the united representative during crisis.

The important role is played by staff of an organization, as it offen happens “ the clue of restoration and safety” is in the staff hands. During crisis it's necessary to consider what position will be taken by the company management, which must remember that main things consists of struggle – success or defeat.

### PR

PR – , PR –  
PR – PR – PR –  
PR –  
PR – : 1)  
; 2) ; 3)  
« »  
- , -

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების  
რეპროსპექტივა და პერსპექტივა

ბუსიკ ბოლქვაძე

ეკონომიკის დოქტორი

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
უფროსი მენეჯერ-თანამშრომელი

სახელმწიფოს ეკონომიკაში „ჩარევის“ და, შესაბამისად, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ შეხედულებები განიცდიდა ევოლუციურ ცვლილებებს და აისახებოდა სხვადასხვა ეკონომიკურ დოქტრინაში. ისტორიულად სახელმწიფო ყოველთვის ასრულებდა განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებს და აწესებდა გარკვეულ რეგლამენტაციებს, ვინაიდან იგი, თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით, ყოველთვის „მაღლა იდგა“ ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტებზე, მაგრამ, ამასთან ერთად, ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, თავის კლასიკურ ფუნქციებთან ერთად, ახდენდა თვისებრივად და ხარისხობრივად ახალი ფუნქციების შექმნას და გამდიდრებას მიმდინარე ეტაპის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების გათვალისწინებისა და მათი რეალიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე.

თანამედროვე გაგებით, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება სათავეს იღებს კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე, როცა ადგილი ჰქონდა საგარეო ვაჭრობის აღმავლობას, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა გვიანდელ მერკანტილიზმში, ანუ სავაჭრო ბალანსის თეორიაში [4. გვ. 674]. ამ კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფო მონაწილეობს ეკონომიკის რეგულირებაში, იყენებს რა აქტიური სავაჭრო ბალანსიდან მიღებულ ფულს, როგორც ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. აღნიშნული თეორიის საპირისპიროდ, კლასიკური თეორია აღიარებს ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციას და ეყრდნობა ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩაურევლობისა და მეწარმეობის შეუზღუდავი თავისუფლების პრინციპებს. ბაზრის თვითრეგულირების აღნიშნულ სისტემას საფუძველი ჩაეყარა XVIII-XIX საუკუნეებში „კლასიკური“ კაპიტალიზმის დროს, რომელიც ძირითადად დაფუძნებული იყო სტიქიურ, თავისუფალ კონკურენციაზე. კლასიკური მიმართულების წარმომადგენლები ეკონომიკას განიხილავდნენ, როგორც თვითრეგულირებად სისტემას, რომელშიც სახელმწიფოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევა კი არ აჩქარებს, პირიქით, ანელებს ეკონომიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, ისინი სახელმწიფოს როლს ეკონომიკურ პროცესებში მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფუნქციებით საზღვრავდნენ, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციებში შეჭრად. ეკონომიკის რეგულირებისადმი ასეთი მიდგომის მთავარ დერძს წარმოადგენდა ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ კონცეფცია, მოგვიანებით კი ჟან ბატისტ სეის მოქმედების თავისუფლების იდეა იმის შესახებ, რომ მიწოდება წარმოშობს თავისსავე მოთხოვნას. კლასიკური თეორიის თეორეტიკოსთა ლოგიკური დასკვნაა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკა.

კლასიკური მოდელის ალტერნატიულ მიმართულებად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა ინსტიტუციონალური თეორია. არსებითად, იგი არ განიხილება, არც სახელმწიფოს აქტიური როლის მომხრე და არც მის მოწინააღმდეგე მიმართულებად, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში კი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა: სამართალი, ოჯახი, პროფესიული კავშირები და სხვა. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ზემოჩამოთვლილი ინსტიტუტები უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ძალთა გაწონასწორებას, ხოლო როდესაც ასეთი ინსტიტუტები არაა ჩამოყალიბებული ან ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, მაშინ სახელმწიფოს ენიჭება განსაკუთრებული როლი მათი ფორმირება-რეგულირების საქმეში.

საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და გადრმაგების საფუძველზე წარმოიქმნა კლასიკური მიდგომის კორექტირების აუცილებლობა, კერძოდ, კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ბაზაზე წარმოიქმნა მსხვილი კორპორაციები, რამაც შეზღუდა კონკურენცია და თავისუფალი ფასწარმოქმნა, შედეგად ეკონომიკურმა სისტემამ დაკარგა მოქნილობა და რეალური გახდა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დამანგრეველი შედეგები. ეკონომიკური პროცესების ასეთი კალაპოტით განვითარება გახდა მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკური რეგულირების კლასიკური თეორია ჩაანაცვლა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ქეინზიანურმა თეორიამ. ქეინზმა უარყო ეკონომიკის თვითრეგულირების შესაძლებლობა და სახელმწიფოს ფუნქციების გაფართოება აღიარა მდგრადი ეკონომიკური ზრდის აუცილებელ პირობად. აღნიშნულის სარეალიზაციოდ, ქეინზის მოსაზრება ეფუძნება ორ ძირითად მომენტს: 1. ეროვნული ეკონომიკის რეგულატორი არის არა ბაზარი, არამედ სახელმწიფო; 2. ამ მიმართულებით სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანაა „ეფექტიანი მოთხოვნის“ პოლიტიკის გატარება. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ქეინზიანური მოდელი წარმატებით გამოიყენებოდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში XX საუკუნის 70-იანი წლების შუახანებამდე. ამ პერიოდიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი „ჩარევის“ უარყოფითმა შედეგებმა, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება. აუცილებელი გახდა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლისა და ადგილის გადასინჯვა, რის შედეგადაც წარმოიშვა ნეოკლასიკური თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ბაზარი ქმნის ეკონომიკური ზრდის საუკეთესო პირობებს, ამიტომ სახელმწიფოს ჩარევამ არ უნდა შეზღუდოს ბაზარი, არამედ უნდა უზრუნველყოს ყველა პირობა საბაზრო ურთიერთობების, განსაკუთრებით კი – კონკურენციის განვითარებისათვის. ეკონომიკის რეგულირებისადმი მსგავსი მიდგომები აისახა მონეტარისტულ თეორიაში, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდის სტიმულად აღიარებულია ფულის მასის სტაბილური ზრდა, ხოლო ფულადი მასის ცვლილებაზე სახელმწიფო კონტროლი განიხილება, როგორც საბაზრო ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფელი პირობა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში წმინდა სახით არ გამოიყენება არც ერთი ზემოთ დახასიათებული თეორია. მიუხედავად ნეოკლასიკური მიმართულების პოპულარობისა, ეკონომიკის რეგულირების ჩინზიანური

მეთოდები მთლიანად არ შეცვლილა, განხორციელდა მხოლოდ მისი ძირითადი პოსტულატების სინთეზი ნეოკლასიკური თეორიის ზოგიერთ დებულებასთან, რის საფუძველზეც აღმოცენდა ე.წ. „ნეოკლასიკური სინთეზი“ [3. გვ. 307], რომელიც ეფუძნება, ერთი მხრივ, ქეინზიანელობას, ხოლო მეორე მხრივ, – მონეტარისტულ მიდგომას.

ამდენად, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ არსებულ თეორიებში პირობითად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები: 1. ეკონომიკური თეორიები, რომლებშიც აღიარებულია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკა; 2. ეკონომიკური თეორიები, რომლებშიც ეკონომიკის რეგულირება მიჩნეულია სახელმწიფოს მთავარ ფუნქციად, ხოლო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა – ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად; 3. ეკონომიკური თეორიები, რომლებიც ორიენტირებულია ეკონომიკაში სახელმწიფოს შეზღუდული, მინიმალური მასშტაბებით ჩარევაზე.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე საკითხი დაისმის არა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის, არამედ მისი მასშტაბებისა და ინტენსიურობის, განხორციელების ფორმებისა და მეთოდების, ინსტრუმენტებისა და ბერკეტების შესახებ [1. გვ. 22]. მრავალწილობიანი ეკონომიკის ფორმირება კი წინა პლანზე აყენებს ეკონომიკის მართვის ახალი პარადიგმის აუცილებლობას და, შესაბამისად, მასში სახელმწიფოს როლს, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს იმ ობიექტური კანონების შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც ვითარდება ეკონომიკა, მისი ცალკეული რგოლები და მათ შორის კავშირ-ურთიერთობები [2. გვ. 36]. ამასთან, სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების ვიწრო ჭრილში განხილვა, მხოლოდ საბაზრო და სახელმწიფო რეგულატორების ურთიერთთანაფარდობიდან გამომდინარე, ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ვინაიდან სახელმწიფო, ფართო გაგებით, საკუთრივ სახელმწიფოსა და ბაზრის გარდა, აერთიანებს ასევე საზოგადოებას. ამ უკანასკნელის წვლილი კი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფორმირებასა და რეგულირებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე, როდესაც იზრდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების როლი და მნიშვნელობა, რომლებიც აქტიურ და ქმედით მონაწილეობას ღებულობენ სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციურ-ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღებაში.

აღსანიშნავია, რომ განვითარებული საბაზრო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება გაცილებით რთულია იმ ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე, ვინაიდან მათ წინაშე დგას რთულად სარეალიზაციო ამოცანების მთელი კომპლექსი, რომელთაგანაც შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: ა) ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ეფექტიანი ორგანიზაცია; ბ) საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტების დანერგვისა და განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა; გ) ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება; დ) მუდმივად მზარდი გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკურ კავშირებში ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ჩართვის უზრუნველყოფა.





# ბიზნესის წარმატების ინსტრუმენტები

## მანია თეთრუაშვილი

### ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

#### ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის ფორმირების განვლილ პერიოდში ბიზნესის თეორიასა და პრაქტიკაში გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა. მიუხედავად ამისა, გვხვდება შემთხვევები, არც თუ ისე იშვიათად, როდესაც ბიზნესის დაგეგმვის (განსაკუთრებით ბიზნეს-გეგმების დამუშავების) დროს არასწორი ინტერპრეტაცია ეძლევა ხოლმე ისეთ საკითხებს, როგორცაა ბიზნესის მისია და ბიზნესის მიზანი.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შიდა ქართლის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შესრულებული ბიზნესის სადამფუძნებლო დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იურიდიული სტატუსის მქონე ობიექტების 75% წესდებაში და დებულებაში ან არ უჩვენებს თავისი ბიზნესის მისიას ან მისია უბრალოდ გაიგივებულია მის მიზანთან - მაქსიმალური მოგების მიღებასთან.

ბიზნესის მისიისა და მიზნების ერთიმეორეში აღრევა, მათი მაქსიმალური მოგების მიღებასთან გაიგივება განვითარებული საბაზრო ურთიერთობებისათვის მიუღებელია. ასეთ შემთხვევაში ფირმასა და მისი საქონლის (მომსახურების) მომხმარებელს შორის ჩნდება დაპირისპირება. თუ მოგების მიღება ფირმის მიზანია და მისთვის ეს სასარგებლოა, იგი ცდილობს (დაინტერესებულია) ყველა შესაძლო ღონისძიება გაატაროს, რათა გაზარდოს მისი სიდიდე. სამაგიეროდ, მომხმარებელს სულაც არ აინტერესებს ფირმის მოგება. მისი მიზანია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება - იყიდოს საჭირო რაოდენობისა და ხარისხის საქონელი (მომსახურება) რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით. ამით იგი უპირისპირდება ფირმის მიზანს.

ნებისმიერი ფირმა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი ღია სისტემას წარმოადგენს და ამ საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის უნდა ზრუნავდეს. საზოგადოებრივ აღიარებას რომ მიადწიოს, ფირმა შიდა ამოცანების გადაწყვეტაზე - მოგების მიღებაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ, საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რომელიც მის ფარგლებს გარეთ არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფირმის დაგეგმვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი არის ბიზნესმენის ქმედებისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობა, ინსტრუმენტი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მთელი სამოქმედო პერიოდის განმავლობაში არსებულ ალტერნატიულ ვარიანტებს შორის აირჩიოს და ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღოს.

ბიზნესის დაგეგმვის ამოსავალ წერტილად, პირველ საწყის პერიოდად ითვლება ბიზნეს-იდეის გაჩენის შემდეგ დაფუძნებული ფირმის მისიისა და მიზნის განსაზღვრა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბიზნესის პრაქტიკის ანალოგიურად არც ბიზნესის თეორიაში არის ერთიანი შეხედულება ჩამოყალიბებული ფირმის მისიისა და მიზნის მიმართ.

ფირმის მთავარი დანიშნულებაა მისი მესაკუთრისათვის შემოსავლის მიღება და მისი არსი მდგომარეობს პროდუქციის წარმოებაში, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას.

მისია ფილოსოფიური შინაარსის მცნებაა და ნიშნავს ბიზნესის, მთლიანად, და მისი ცალკეული სფეროების დანიშნულების ფაქტს, მისი არსებობის ბუნებრივ აზრს.

ყოველ ადამიანს, რომელიც მოღვაწეობს კონკრეტული სახის ბიზნესში აქვს თავისი ფილოსოფია. ფილოსოფია აქვს ბიზნესის მესაკუთრესაც. ფირმის მფლობელი ამუშავებს ბიზნესის ყველაზე ეფექტურ ფილოსოფიას და აქ ბიზნესის წარმატებისათვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბიზნეს-მენის პირადი ფილოსოფია და ბიზნესის ფილოსოფია ერთიმეორესთან იქნეს შეხამებული, ერთიმეორის მიმართ წინააღმდეგობაში არ იყვნენ. რაც უფრო მეტად იქნებიან ისინი შეხამებული მით უკეთესი საერთო წარმატებისათვის.

ფირმის მისია განისაზღვრება ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორცაა<sup>57</sup>: ფირმის აქტიური საქმიანობის სფეროს გამოვლენა და მისი განვითარების გზების განსაზღვრა; კონკურენციული ბრძოლის წამყვანი პრინციპების გამოყოფა; ფირმის მიზნების ჩამოსაყალიბებლად საერთო ბაზის გამომუშავება; ფირმის საქმიანობის კონცეფციის დამუშავება, რომელიც შთააგონებს და აღაფრთოვანებს მის თანამშრომლებს.

მისია - ეს არის ფირმის მესაკუთრის, მისი ხელმძღვანელების ხედვა იმის შესახებ, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ფირმა მომავალში, რისთვის უნდა იარსებოს და იბრძოდეს მან.

ფირმის მისიის ფორმულირება შეიცავს ყველა იმ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესებს, რომლებიც რაღაცა ფორმით მონაწილეობენ მის ფუნქციონირებაში (მესაკუთრეები, თანამშრომლები, ფირმის პროდუქციის მომხმარებლები, ნედლეულის, მასალების და სხვა მომწოდებლები და ბაზრის სხვა სუბიექტები).

აღნიშნულის საფუძველზე, ფირმის მისიის ფორმულირებაში აისახება მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მისი საზოგადოებრივი დანიშნულება. ბიზნესის ისტორიაში მრავალი მაგალითია ცნობილი, როდესაც ბიზნესმენმა თავისი საქმის დაარსებისას ძალიან კარგად იცოდა მოგების მიღებისა და მისი გაზრდის მნიშვნელობა, მაგრამ თავისი საქმიანობის ცენტრში ყოველთვის აყენებდა მომხმარებელს, მის მოთხოვნილებებს და ამით გამოხატავდა თავისი ბიზნესის მისიას:

- ბილ გეითსმა იდეის პოვნის შემდეგ შექმნა საქვეყნოდ ცნობილი კომპანია Mirosoft-ი, რომლის მისია რამოდენიმე სიტყვით გამოხატა - კომპიუტერი ყოველ მაგიდაზე და ყველა სახლში<sup>58</sup>.

- ჰენრი ფორდის კომპანიის მისია ასე არის ჩამოყალიბებული: „ჩვენ ადამიანებს ვთავაზობთ იაფ ტრანსპორტს“.

- ცნობილი ფირმა „სონის“ მისია ასე უდერს: „ანხორციელებს რა პროგრესს, ემსახურები მთელ მსოფლიოს!“

ფირმის მისია განისაზღვრება ბიზნეს-გეგმის დამუშავების პირველ ეტაპზე და მთელი საზოგადოებრივი წარმოების თვალსაზრისით მიიჩნევა, როგორც:

<sup>57</sup> „...“ , 2007. . 380.  
<sup>58</sup> . 2003. . 24.

- ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საქონლის (მომსახურების) მწარმოებელი და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზე ორიენტირებული სოციალური ორგანიზაცია: სადაც ყველა პროფესიის, მოწოდებისა და რანგის თანამშრომელს შეუძლია გამოავლინოს თავისი უნარ-ჩვევები, განავითაროს ისინი;

- ბიზნესის სხვა სფეროში, სხვა დარგში (ან ამავე სფეროსა და დარგში) მოღვაწე ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის მქონე ფირმების კონკურენტი;

- საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაში მონაწილე ეკონომიკური და სოციალური სუბიექტი;

ბიზნესის (ფირმის) მისიის განსაზღვრის, ფუნდამენტურ ამოსავალს, მის საწყის ეტაპს წარმოადგენს მისი პრინციპები და ეთიკა.

პრინციპები თავის თავში შეიცავენ შემდეგ მოთხოვნებს<sup>59</sup>;

- გამოშვებული პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოს) და ბაზრის მიმართ;

- მართვის მიმართ - მოტივაციის, გადაწყვეტილებების მიღების, კონტროლის, მიღწევების შეფასების და ა.შ. სისტემის მიმართ;

- თანამშრომლების მიმართ - შემოქმედებითი აზროვნება, თავის თავზე პასუხისმგებლობის აღება, მოტივები, მწარმოებლურობის შეფასება და ა.შ.

- გარეგანი პირობების მიმართ - კლიენტების, მომწოდებლების, ინვესტირების, კონკურენტების, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ;

ბიზნესის პრინციპების ფორმულირება უნდა იყოს, ერთის მხრივ, რამდენადაც შეიძლება ზოგადი, რათა კონკურენტებმა ვერ შესძლონ გაშიფრონ თქვენი ფირმის ჩანაფიქრი, და მეორეს მხრივ, საკმაოდ მკაფიო, რათა კლიენტებმა და ყველა ადრესატმა მათში მკაფიოდ, ნათლად შესძლონ ორიენტირება.

ბიზნესის ეთიკა, ანუ საქმიანი ურთიერთობების მორალი საშუალებას აძლევს ბიზნესმენს დაიცვას უნივერსალური მოთხოვნები მისი თანამშრომლების ბაზრის სხვა სუბიექტების მიმართ ბიზნესის განხორციელების პროცესში.

ბიზნესის მისიას ბევრად განსაზღვრავს აგრეთვე მისი ფასეული ორიენტაციები. ისინი გავლენას ახდენენ ბიზნესის მფლობელისა და მისი თანამშრომლების სტრატეგიულ მოქმედებაზე.

ბიზნესის თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილია ფასეული ორიენტაციის ექვსი სახეობა<sup>60</sup>: თეორიული (მისი კატეგორიებია: ჭეშმარიტება, ცოდნა, რაციონალური აზროვნება); ეკონომიკური (პრაქტიკულობა, სარგებლიანობა, სიმდიდრის დაგროვება); სოციალური (კარგი ურთიერთობები, შეთვისება, კონფლიქტების არ არსებობა); ესთეტიკური (მხატვრული ჰარმონია, ფორმა და სიმეტრია, შემაღვენლობა; რელიგიური (სამყაროსთან თანხვედრილობა);

ბიზნესის მისია მჭიდროდ არის დაკავშირებული მის კულტურასთან - ფირმის ფასეულობების ნორმებისა და იდეების ერთობლიობა, რომლებიც აყალიბებენ მის რეპუტაციას (ფირმის ქცევა, მისი კომუნიკაციური სტილი, ფირმის წარდგენის თვალსაჩინოების საშუალებები).

თანამედროვე ბიზნესის წარმატებული განვითარების აუცილებელი პირობაა მისიასთან ერთად მისი მიზნების განსაზღვრა. მისია და მიზანი ეკონომიკური საქმიანობის, როგორც ერთიანის, მთლიანის შემაღვენელი

59

- 89. 2006. . 24.

60

" " 1997,

ნაწილები არიან და ერთმანეთის გარეშე სასურველი შედეგი ვერ მიიღება. მაგრამ ისინი მაინც სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიებია. თანაც, როგორც აღვნიშნეთ, ბიზნეს-დაგეგმვის სხვადასხვა ეტაპზე განისაზღვრებიან: მისია - პირველ ეტაპზე, მიზანი - მეორეზე. მისია უფრო ფართო კატეგორიაა, ვიდრე მიზანი.

განსხვავება რამოდენიმე მაჩვენებლით შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

- **დროითი კრიტერიუმი:** მისია ყოველთვის მომავლისკენ არის მიმართული, მაგრამ არა აქვს დროითი განსაზღვრულობა (დროში არ არის მოქცეული) და დამოკიდებული არ არის ფირმის საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობაზე; მიზანი-ყოველთვის დროში არის შემოფარგლული და გულისხმობს მისი მიღწევის ვადებს.

- **ინფორმაციის მიმართულება:** მისია მიმართულია ფირმის გარე სამყაროსკენ, გარე პირობების (მომხმარებელი, რეგიონი, საზოგადოება), მათი ინტერესების, ფასეულობების, მოლოდინებისა და პრიორიტეტებისაკენ; მიზანი უფრო მეტად მიმართულია ფირმის შიდა ორიენტაციებისაკენ და გულისხმობს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების, არსებული რეზერვების საუკეთესო გამოყენებას.

- **ფორმულირების (ჩამოყალიბების) თავისებურება:** მისია – გამოიხატება ზოგადი ფორმულირებებით, ტერმინებით, ზოგადი ფრაზებით, რომლებიც გამოხატავენ ფირმის სახეს, მის მარკას, მუშაობის სტილს და ა. შ. მიზანი – უფრო მეტად ფირმის საქმიანობის კონკრეტულ შედეგებზეა ორიენტირებული.

- **გაზომვადობა:** მისია – ხასიათდება ხარისხობრივი მაჩვენებლების სიჭარბით და გამოხატავს შეფარდებით მასშტაბებს; მიზანი – რაოდენობრივად ძირითადად გაზომვადია შეუძლიათ იყვნენ ერთმნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი.

მიზანი როგორც მისიის შემადგენელი ნაწილი გამოხატავს ბიზნესის მისიის განხორციელების კონკრეტულ გზებს და ხერხებს. იგი არის ფირმის სასურველი მომავლის განსაზღვრა, მისი მთელი კოლექტივის საქმიანობის მოტივაცია და მბრძანებელი.

განსხვავებენ ფირმის მიზნების ოთხ მიმართულებას. ფირმას შეიძლება ჰქონდეს მრავალი მიმართულების მიზანი, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ: საქონლის მომსახურების წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების მინიმიზაცია; ბაზარზე დაკავებული ადგილის (სეგმენტის) გაფართოება; მომხმარებლის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებით უზრუნველყოფა საქონლის (მომსახურების) ხარისხის ამაღლების გზით;

ბიზნესის მიზანი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს<sup>61</sup>: ინიციატივის ფუნქცია – ფირმის არსებული და მომავალში სასურველი მდგომარეობის მოქმედების მოტივაციების შეპირისპირება; გადაწყვეტილებების მიღების კრიტერიუმის ფუნქციას – შეგროვილი ინფორმაციის შეფასება და პრიორიტეტების, ალტერნატივის შერჩევა; მართვის ინსტრუმენტის ფუნქციას – ფირმის საქმიანობის მიმართ სახელმძღვანელო მოთხოვნები, ფირმის მიმართულების განსაზღვრა; კოორდინაციის ფუნქციას – ფირმის საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა შორის ჰარმონიული, უკომპლიქტო ურთიერთობის უზრუნველყოფა, სპეციალიზირებული ქვეგანყოფილებების მუშაობის შეთანხმება; კონტროლის ფუნქციას – ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებ-

<sup>61</sup> ვ.ა. გორემიკინის დასახელებული შრომა გვ.26.

ლების ოპერატიული მდგომარეობის და მათი მიზნობრივი (სასურველი) დონის შეპირისპირება.

ფირმას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ნაწილს მრავალმიზნობრივი ხასიათი აქვს. მისი ფუნქციონირების პროცესში სტრატეგიულ მიზნებთან ერთად წყდება მრავალი ტაქტიკური და ოპერატიული ხასიათის ამოცანა – სოციალური, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, ორგანიზაციული, ესთეტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა.

მათი კლასიფიკაცია ცალკეული ფირმის მიხედვით სხვადასხვა შეიძლება იყოს. დაახლოებით აჯგუფებენ ძირითადად ათი ნიშნის მიხედვით<sup>62</sup>:

- მიზნის შინაარსის მიხედვით ეკონომიკური, ორგანიზაციული, პოლიტიკური, სამეცნიერო, ესთეტიკური, საწარმოო (მომსაურებით), სოციალური, ტექნოლოგიური, ფსიქოლოგიური;
- სიდიდის მიხედვით – მაქსიმუმი და მინიმუმი;
- დაგეგმვის ჰორიზონტის მიხედვით – ხანგრძლივვადიანი (სტრატეგიული), საშუალოვადიანი (ტაქტიკური) და მოკლევადიანი (ოპერატიული);
- მოქმედების სფეროს მიხედვით – გლობალური, რეგიონალური, უმაღლესი, შუაღლედი, ეროვნული, ლოკალური;
- გლობალურობის მიხედვით - რეგიონალური, უმაღლესი, შუაღლედი, ეროვნული, ლოკალური;
- იერარქიული ხასიათის ფორმით – სტრუქტურული ქვეგანყოფილებები;
- ურთიერთთანაფარდობის მიხედვით – კომპლემენტარული, დიფერენტული, კონკურენტული;
- განზომილებადობის მიხედვით – რაოდენობრივი, ხარისხობრივი;
- დანიშნულების მიხედვით – კომერციული, არაკომერციული (საზოგადოებრივი);
- გარემოს მიხედვით – შინაგანი, გარეგანი;
- სუბიექტის (პერსონიფიკაცია) მიხედვით – ინდივიდუალური (პირადი), ჯგუფური (კოლექტიური);

ყველა სახისა და მიმართულების მიზნის მიმართ საერთო მოთხოვნილებაა, რომ ისინი იყვნენ მკაფიონი, ნათელი, ერთმნიშვნელოვნად გასაგები და ტერმინებით ისეთნაირად ჩამოყალიბებული, რომ ფირმის მომავალს კარგად ასახავდნენ.

მიზნის განსაზღვრის დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მისი შინაარსისა და გამოხატვის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. ფირმის მიზანი უნდა იყოს: რეალური და მიღწევადი, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებულ კანონმდებლობას, შემსრულებლებისათვის უნდა იყოს გასაგები, განზომილებადი, სტრუქტურული ქვეგანყოფილებებისა და ფუნქციონალური სამსახურის მიხედვით დეტალიზირებული; უნდა აერთიანებდეს ფირმის ყველა თანამშრომლის, საამქროების, ფუნქციონალური სამსახურების ძალისხმევას.

ფირმის მიზანი უნდა დასახული იყოს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: სამუშაოთა მოცულობა, სამუშაოების შესრულების ვადები, არსებული და მოსალოდნელი შესაძლებლობები, სასურველი შედეგები, პერსონიფიკაცია, მოქნილობა და კორექტირების შესაძლებლობა, მართვის ყველა დონეზე შეტოვებადობა, თანამშრომელთა კომპეტენტურობის ზრდა.

მიზნის ფორმირება ხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

<sup>62</sup> იქვე, გვ. 27-28.

მიზნის მოძიება, მისი რეალიზებადობის ანალიზი, სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტებიდან ყველაზე მისაღები ვარიანტის შერჩევა, გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვა, ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება, მიზნის დაზუსტება და დიფერენციაცია ცალკეული ქვეგანყოფილებების მიხედვით, სამუშაო ადგილის ჩათვლით.

მიზანს განსაზღვრავს ერთი პიროვნება – ფირმის მესაკუთრე ან სპეციალისტთა ჯგუფი (მეპატრონე, მენეჯერი, თანამშრომლები) მათი კერძო ინტერესების გათვალისწინებით.

თუ ფირმის წინაშე დასმულია რამდენიმე მიზანი, მაშინ დიდი ყურადღება ექცევა მათ შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირებისა და მათ შორის ურთიერთქმედების ყოველმხრივ გათვალისწინებას.

მიზნების გადახედვა, დაზუსტება ან შეცვლა დღის წესრიგში დგება, როდესაც რამდენიმე მიზანს შორის წარმოიშობა კონფლიქტი.

მიზნის დაზუსტების მიზეზები შეიძლება იყოს: განვლილ პერიოდში მიზნის განხორციელება გამართლებული იყო თუ არა; ფირმის გარეთ არსებული პირობების (ბაზრის, კანონების, პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა) შეცვლა; ბიზნესის მონაწილე სუბიექტების ინტერესების ცვლილება. მიზნებს შორის კონფლიქტის გადაწყვეტის გზები და ხერხებია: დომინირება (ერთი მიზანი ხდება დომინირებული, მეორე – მეორადი); შერწყმა (სხვადასხვა მიზნების ერთიან სისტემაში ინტეგრაცია); კომპრომისი (მიზნების მოწესრიგება დანიშნულების მიხედვით); დაყოფა (მიზნების დაყოფა დროისა და სფეროების მიხედვით). მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ფირმის ცალკეული ქვეგანყოფილებების და ფუნქციონალური სამსახურების მიზნები უნდა უზრუნველყოფდნენ ფირმის, როგორც ერთიანის, მთელის საერთო მიზნების მიღწევას.

თუ პრაქტიკამ მოითხოვა ფირმის მიზნების მოწესრიგება, მაშინ იგი უნდა იერარქიული სქემის მიხედვით მოხდეს. ყველაზე დაბალ დონეს წარმოადგენს მიზნები სამუშაო ადგილის მიხედვით, უმაღლეს დონეს – სულიერი, მატერიალური და სოციალური მიზნები, საშუალო დონეს – დეტალიზებული მიზნების მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები, აღრიცხვა, კონტროლი და სხვა.

მიზნების სტრუქტურისა და შეიძლება განხორციელებული იქნეს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. მაგალითად: დეკომპოზიციის ან განზოგადებების მიხედვით (კორპორაციის, საშუალო და ოპერატიული დონეები); საქმიანობის სახეებისა და ფუნქციების მიხედვით (მენეჯმენტი, მარკეტინგი და ა.შ.); სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით (განვითარება, გადარჩენა, სტაბილიზაცია და სხვა); შინაგანი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით (სოციალური, ეკონომიკური და სხვა).

ბიზნესის ცალკეული სახეობების თავისებურებების გათვალისწინებით ბიზნეს-გეგმაში მიზნები შეიძლება განსაზღვრული იყოს შემდეგნაირად:

- საზოგადოების საჭიროებისათვის საქონლის (მომსახურების) შეთავაზება;
- მოცემულ დარგში და ბაზარში მოწინავე პოზიციების მიღწევა;
- ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო რესურსების დაგროვება;
- ბაზრის წილის გაზრდა . . .%-ით;
- გამოშვებული პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის ამაღლება;
- მომხმარებლებისათვის მომსახურების ნორმატიული ვადების შემცირება;
- საქონლის (მომსახურების) გასაღების ახალ ბაზარზე გასვლა ... დროისათვის (მითითება, ახალ ბაზარზე გასვლის დაგეგმილი დრო);

- საქონლის (მომსახურების) ერთეულზე დანახარჯების შემცირება . . .%-ით;

- ახალი სახის საქონლის (მომსახურების) ათვისება.

ერთიანი საერთო მიზანი წარმოადგენს ფირმის ფუნქციონალური ქვეგანყოფილების (მარკეტინგი, პერსონალის და ა.შ.) კერძო მიზნების ჩამოყალიბების საფუძველს. მათი მიზანია ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიზნების დაკონკრეტება, დეტალიზაცია. მაგალითად, ფინანსების განყოფილების კონკრეტული მიზანი იქნება:

- საკრედიტო (დებიტორული) დავალიანების შემცირება .... ლარამდე (%);

- შემოსავლების გაზრდა . . .ლარით (%) და ა. შ.

მიზნების განხორციელებას თან ახლავს შინაგანი და გარეგანი ფაქტორები.

საგარეო ფაქტორები შეიძლება იყოს: საკანონმდებლო აქტები, ინფლაცია, კონკურენტების ქცევა, ეკონომიკური კონიუნქტურისა და მოსახლეობის შემოსავლების მდგომარეობა და სხვა. შინაგანი ფაქტორები: ფირმის მუშაობის პრინციპები, დანახარჯების დონე, საწარმო სიმძლავრეები, მარკეტინგისა და სამმართველო პოტენციალის მდგომარეობა, სხვადასხვა დისპროპორციები და სხვა.

## ლიტერატურა Literature

1. . . . . " " 1997.
2. . . . . " ", 2007.
3. . . . . : . . . . . 2003.
4. . . . . - . . . . . - 89. 2006.

## რ ე ზ ი უ მ ე

### ბიზნესის წარმატების ინსტრუმენტები

#### მაია თეთრუაშვილი

საქართველოში, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში, მოხდა დადებითი ცვლილებები ბიზნესის თეორიასა და პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ბიზნესის დაგეგმვისას ხდება არასწორი ინტერპრეტაცია კითხვების, რომლებიც განსაზღვრავენ ბიზნესის მისიას და მიზანს. ბიზნესის მისიისა და მიზნების აღრევა, მათი მაქსიმალური მოგების მიღებასთან გაიგივება განვითარებული საბაზრო ურთიერთობებისათვის მიუღებელია. ასეთ შემთხვევაში ფირმასა და მისი საქონლის (მომსახურების) მომხმარებელს შორის ჩნდება დაპირისპირება. თუ მოგების მიღება ფირმის მიზანია და მისთვის ეს სასარგებლოა, იგი ცდილობს ყველა შესაძლო ღონისძიება გაატაროს, რათა ააზაროს მისი



სიდიდე. სამაგიეროდ, მომხმარებელს სულაც არ აინტერესებს ფირმის მოგება. მისი მიზანია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება - იყიდოს საჭირო რაოდენობისა და ხარისხის საქონელი რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით. ამით იგი უპირისპირდება ფირმის მიზანს.

## S U M M A R Y

### TOOLS OF SUCCESS OF BUSINESS

#### MAIA TETRUASHVILI

Several positive movements took place in the business theory and practice in the past period of the formation of market economical relations in Georgia. However, there are cases when incorrect interpretation is given to the business mission and business aims' key issues in planning the business (especially elaborating the business plans). Mixing up the business mission and the aims and their identification with maximum profit is unacceptable for the developed market relations. In this case there takes place opposition between the firm and the consumers of its goods (service). If the profit is the only aim of the firm it tries to take all measures to make it large. But the consumer is not interested in the profit of the firm. His/Her aim is to satisfy the demands - to buy goods (service) of proper quantity and quality with fewer expenses. This objects the aim of the firm.

# ფინანსური ანალიზის მეთოდებისა და მიზნების მიხედვით კლასიფიკაციის არსი და მნიშვნელობა მართვის სისტემაში

## ციური ღურჭლი

### ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ბორის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ფინანსური ანალიზის მონაცემები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კომპანიის არსებული საფინანსო მდგომარეობის შესწავლისა და ამ თვალსაზრისით პერსპექტივების პროგნოზირებისათვის.

დასავლურ ფინანსურ მართვაში ფინანსური ანალიზის ქვეშ იგულისხმება ფინანსური ანალიზის ერთ-ერთი სახე – ფინანსური კოეფიციენტების გამოანგარიშება, ფინანსური ანგარიშგების ქვეშ კი – ბუღალტრული ანგარიშგება, კორექტირებული ფინანსური ანალიზის გაკეთების მიზნით. ფინანსური ანალიზის ქვეშ ასევე იგულისხმება ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზი, ანალიზის სხვადასხვა სახეების გამოყენებით. ფინანსური ანალიზის სახეების კლასიფიკაცია ხდება *მეთოდებისა და მიზნების* მიხედვით.

*მეთოდების მიხედვით* განასხვავებენ ფინანსური ანალიზის შემდეგ სახეებს:

- დროითი (ჰორიზონტალური და ტრენდული);
- ვერტიკალური (სტრუქტურული);
- შედარებითი (სივრცითი);
- ფაქტორული;
- ფინანსური კოეფიციენტების გამოანგარიშება.

*დროითი* ანალიზის ქვეშ იგულისხმება დროის მაჩვენებლების ცვლილებების ანალიზი. გამოსაკვლევად შერჩეული დროის პერიოდების ან მომენტების რაოდენობების მიხედვით ანსხვავებენ *ჰორიზონტალურ* და *ტრენდულ ანალიზს*.

*ჰორიზონტალური (დროითი)* ანალიზის ქვეშ იგულისხმება ბუღალტრული ანგარიშგების ცალკეული მაჩვენებლების შედარება გასული პერიოდის მაჩვენებლებთან. ჰორიზონტალური ანალიზი მდგომარეობს საანგარიშგებო პერიოდის წინა პერიოდის ანგარიშგების ცალკეული მუხლების მნიშვნელობების შედარებაში საანგარიშგებო პერიოდებთან მკვეთრი ცვლილებების გამოვლენის მიზნით.

*ტრენდული (დროითი)* ანალიზის ქვეშ იგულისხმება დროის მაჩვენებლების ცვლილებების ანალიზი, ე.ი. მათი დინამიკის ანალიზი. ტრენდული ანალიზის საფუძველს წარმოადგენს დინამიური მწკრივების აგება (დინამიური ან დროითი მწკრივების). *დინამიური მწკრივების* ქვეშ იგულისხმება სტატისტიკური მაჩვენებლების რიცხვითი მნიშვნელობები, განლაგებული ქრონოლოგიური თანამიმდევრობისა და დროში მომხდარი მოვლენების ცვლილების მიხედვით. დინამიური მწკრივების ასაგებად აუცილებელია ორი ელემენტი:

- მწკრივის დონეები, რომელთა ქვეშაც იგულისხმება მაჩვენებლები, რომელთა კონკრეტული მნიშვნელობაც შეადგენს დინამიურ მწკრივს;
- დროის მომენტები ან პერიოდები, რომელთაც ეკუთვნის დონეები.

დინამიური მწკრივის დონეები შეიძლება წარმოდგენილი იყოს აბსოლუტური, საშუალო ან შედარებითი სიდიდეებით.

დინამიური მწკრივების აგება და ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და გაიზომოს სხვადასხვა მოვლენების დროში განვითარების კანონზომიერებანი. აღსანიშნავია, რომ კანონზომიერება არ გამოვლინდება ყოველ კონკრეტულ უბანზე, არამედ მხოლოდ საკმაოდ ხანგრძლივ დინამიკაში – ტენდენციებში, ამასთან დინამიკის ძირითადი კანონზომიერება ედება საფუძვლად სხვა, მაგალითად სეზონურ ან შემთხვევით მოვლენებს. ამის გამო დინამიური მწკრივების ანალიზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დონეების ცვლილებებში ძირითადი ტენდენციების გამოვლენა, რაც იწოდება ტრენდად.

დინამიურ მწკრივებს დროის მიხედვით ყოფენ **მომენტალურ** და **ინტერვალურ დინამიურ** მწკრივებად.

**მომენტალური დინამიური მწკრივის** ქვეშ იგულისხმება მწკრივი, რომლის დონეები ახასიათებენ განსაზღვრული თარიღის (დროის მომენტის) მოვლენის მდგომარეობას.

**ინტერვალური დინამიური მწკრივის** ქვეშ იგულისხმება მწკრივი, რომლის დონეები ახასიათებენ კონკრეტული პერიოდის მოვლენას.

ინტერვალური მწკრივის მნიშვნელობა, განსხვავებით მომენტალური მწკრივის დონისაგან, არ შედის წინა და მომდევნო მაჩვენებლებში, რაც საშუალებას იძლევა შეაჯამონ და მიიღონ დინამიური მწკრივი უფრო გამსხვილებული პერიოდისათვის – მწკრივი ზრდადი ჯამით.

**ვერტიკალური (სტრუქტურული)** ანალიზის ქვეშ იგულისხმება ჯამურ მაჩვენებელში ბალანსის ან განაყოფის ცალკეული მუხლების კუთრი წონის განსაზღვრა წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

**შედარებითი (სივრცითი)** ანალიზის ქვეშ იგულისხმება მაჩვენებლების შედარება, რომლებიც მიიღება საანგარიშგებო პერიოდის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის ჩატარების შედეგად მიღებული მაჩვენებლების შედარებით წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების გამოვლენის მიზნით.

**ფაქტორული ანალიზის** ქვეშ იგულისხმება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების მაჩვენებლებზე ცალკეული ფაქტორების (მიზეზების) გავლენის ანალიზი. ფაქტორული ანალიზი ხორციელდება დეტერმინირებული ან სტოქასტური მეთოდებით.

განასხვავებენ ფაქტორული ანალიზის შემდეგ სახეებს:

- **პირდაპირ ფაქტორულ ანალიზს** (კერძოდ ანალიზი), რომლის დროსაც გამოიკვლევა არა შედეგობრივი მაჩვენებელი, არამედ მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილები;
- **შებრუნებულ ფაქტორულ ანალიზს** (სინთეზი), რომლის დროსაც ანალიზის მიზნით ცალკეული მაჩვენებლები უერთდება საერთო შედეგობრივ მაჩვენებელს.

**ფინანსური კოეფიციენტის** ქვეშ იგულისხმება ფინანსური ანგარიშგების ცალკეული მაჩვენებლების თანაფარდობა (ბალანსის აქტივის და პასივის, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების) – დამახასიათებელი საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა.

გამოყოფენ ფინანსური კოეფიციენტების შემდეგ ჯგუფებს:

- **ლიკვიდურობის;**
- **გაღამხდელუნარიანობის;**

- **საქმიანი აქტივობის(ბრუნვადობის);**

- **რენტაბელობის;**

- **საბაზრო აქტივობის.**

*მიზნების მიხედვით* ანსხვავებენ ფინანსური ანალიზის შემდეგ სახეებს:

- **ექსპრეს-ანალიზის;**

- **ღრმა ანალიზის.**

**ექსპრეს-ანალიზი** ტარდება რამდენიმე ეტაპად. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა ხორციელდება დაინტერესების ზრდის მიხედვით. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ექსპრეს-ანალიზის ძირითად ეტაპებია:

- აუდიტორული შემოწმების შედეგების გაცნობა;

- ბუღალტრული ანგარიშგების გაცნობა და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი (ლიკვიდურობის; გადამხდელუნარიანობის; საქმიანი აქტივობის (ბრუნვადობის); რენტაბელობის; საბაზრო აქტივობის).

- საწარმოს საშუალებათა წყაროების, მიმართულებების და მათი გამოყენების ეფექტურობის ანალიზი.

**პირველ ეტაპზე** ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, როგორც ასეთი არ მიმდინარეობს, ხდება მხოლოდ აუდიტორული დასკვნის გაცნობა. აუდიტორული დასკვნა დგება დამოუკიდებელი ბუღალტერ-რევიზორის მიერ საწარმოს წლიური ბუღალტრული ანგარიშგების შემოწმების ჩატარების შედეგად. ანსხვავებენ აუდიტორული დასკვნის სამ სახეს:

- **სტანდარტულ დასკვნას**, მათ შორის:

- დადებითი;

- დადებითი შენიშვნებით;

- უარყოფითი;

- **არასტანდარტულ დასკვნას**, რომელიც წარმოადგენს უარს დასკვნის შედგენაზე. განიხილება **დადებითი დასკვნა** და **დადებითი დასკვნა შენიშვნებით**.

აუდიტორული დასკვნის გაცნობის შედეგებიდან გამომდინარე მიიღება ანალიზის ჩატარების გადაწყვეტილება.

ექსპრეს-ანალიზის **მეორე ეტაპი** მოიცავს უშუალოდ ბუღალტრული და ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების მოკლედ გაცნობას.

ექსპრეს-ანალიზის **მესამე ეტაპი** ითვალისწინებს საწარმოს საშუალებების, მათი წარმოქმნის წყაროების და გამოყენების ეფექტურობის სტრუქტურისა და მოცულობის უფრო დეტალურ გაცნობას.

აქტივების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს მათი სტრუქტურის ოპტიმალურობა, რაც გავლენას ახდენს საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე. აქტივების ანალიზი მოიცავს: აქტივების ცალკეული მუხლების მოცულობის და საერთო ჯამში კუთრი წონის ანალიზს და ძირითადი საშუალებების ანალიზს მათი ცვეთის, განახლებისა და გასვლის კოეფიციენტების გამოანგარიშების საფუძველზე.

საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების (პასივის) ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს მოცულობა და თანაფარდობა საკუთარი და მოზიდული კაპიტალისა და, მაშასადამე, საწარმოს დამოკიდებულების დონე მის გარე დაფინანსების წყაროებზე, ასევე გამოვლინდეს ბუღალტრული ანგარიშგების არაკეთილსასურველი მუხლები. კაპიტალისა და ვალდებულებების ანალიზი მოიცავს:

- საკუთარი კაპიტალის და საშუალებების წარმოქმნის წყაროებში (პასივში) მისი წილის მოცულობისა და სტრუქტურის ანალიზი;
  - გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების მოცულობისა და სტრუქტურის, აგრეთვე საშუალებების წარმოქმნის წყაროებში (პასივში) მათი წილის ანალიზი.
  - აქტივების და საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების მოცულობისა და სტრუქტურის გაცნობა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ბუღალტრული ანგარიშგების არაკეთილსასურველი მუხლები, რომლებიც მიზანშეწონილია გაეყოს ორ ჯგუფად:
  - მუხლები, დამახასიათებელი წინა პერიოდში საწარმოს არადამაკმაყოფილებელი სამუშაოსთვის (მაგალითად, გასული წლების დაუფარავი ზარალი);
  - მუხლები, დამახასიათებელი საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს არადამაკმაყოფილებელი სამუშაოსთვის (მაგალითად, ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება, ვადაგადაცილებული სესხები და სხვ. ღრმა ფინანსური ანალიზის მიზნებს მიეკუთვნება);
  - საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასება;
  - საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ცვლილებების შეფასება;
  - საწარმოს უახლესი პერსპექტივის ფინანსური მდგომარეობის პროგნოზი. ბუღალტრული ანგარიშგების **ღრმა ანალიზი** საშუალებას იძლევა შეფასდეს საწარმოს რეალური ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრული თარიღისათვის, ცვლილებები ფინანსურ მდგომარეობაში და საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგები საანგარიშგებო პერიოდისთვის.
- ამდენად, ფინანსური ანალიზის სახეების აღნიშნული კლასიფიკაციის გამოყენებით კომპანიის მენეჯერებს შეუძლიათ მიიღონ საკმაოდ ზუსტი სურათი მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც უნდა გახდეს შემდეგი ანალიზისა და განსჯის საგანი.

## ლიტერატურა Literature

1. გრძელიძე ბ., ფინანსური ანალიზის საფუძვლები – გორი, “ფარნავაზი” 2009.
2. ვან ჰორნ ჯ. კ., ფინანსური მართვის საფუძვლები – მ.: ფინანსები და სტატისტიკა, 1996.
3. შენგელია თ., ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები – თბილისი, “ახალი საქართველო”, 2008.
4. . . . . - : “ . . . . . ”, 2005.

## რ ე ზ ი უ მ ე

### ფინანსური ანალიზის მეთოდებისა და მიზნების მიხედვით კლასიფიკაციის არსი და მნიშვნელობა მართვის სისტემაში

#### ციური ღურული

ფინანსური ანალიზის ქვეშ ძირითადად იგულისხმება ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზი, ანალიზის სხვადასხვა სახეების გამოყენებით.

ფინანსური ანალიზის სახეების კლასიფიკაცია ხდება მეთოდებისა და მიზნების მიხედვით. მეთოდების მიხედვით განასხვავებენ ფინანსური ანალიზის შემდეგ სახეებს: დროითი (ჰორიზონტალური და ტრენდული); ვერტიკალური (სტრუქტურული); შედარებითი (სივრცითი); ფაქტორული; ფინანსური კოეფიციენტების გამოანგარიშება. დროითი ანალიზის ქვეშ იგულისხმება დროის მანქვებლების ცვლილებების ანალიზი. გამოსაკვლე-ვად შერჩეული დროის პერიოდების ან მომენტების რაოდენობების მიხედვით ანსხვავებენ ჰორიზონტალურ და ტრენდულ ანალიზს. ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზის ქვეშ იგულისხმება ჯამურ მანქვებელში ბალანსის ან განაყოფის ცალკეული მუხლების კუთრი წონის განსაზღვრა წინა პერიოდის ანალოგიურ მანქვებლებთან შედარებით. შედარებითი (სივრცითი) ანალიზის ქვეშ იგულისხმება მანქვებლების შედარება, რომლებიც მიიღება საანგარიშგებო პერიოდის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის ჩატარების შედეგად მიღებული მანქვებლების შედარებით წინა პერიოდის ანალოგიურ მანქვებლებთან, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების გამოვლენის მიზნით. ფაქტორული ანალიზის ქვეშ იგულისხმება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების მანქვებლებზე ცალკეული ფაქტორების (მიზეზების) გავლენის ანალიზი. ფაქტორული ანალიზი ხორციელდება დეტერმინირებული ან სტოქასტური მეთოდებით. ფინანსური კოეფიციენტის ქვეშ იგულისხმება ფინანსური ანგარიშგების ცალკეული მანქვებლების თანაფარდობა – დამახასიათებელი საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა.

მიზნების მიხედვით ანსხვავებენ ფინანსური ანალიზის შემდეგ სახეებს: ექსპრეს-ანალიზსა და ღრმა ანალიზს. ექსპრეს-ანალიზი ტარდება ეტაპებად და მიზნად ისახავს ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას, ხოლო ღრმა ანალიზის ჩატარება საწარმოს საქმიანობის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური მდგრადობის და ძირითადი ფინანსური შედეგების შეფასების საშუალებას იძლევა.

## S U M M A R Y

### ESSENCE AND MEANING OF THE FINANCIAL ANALYSIS CLASSIFICATION ACCORDING TO METHODS AND PURPOSES IN MANAGEMENT

#### TSIURI DURULI

In the theory and practice of financial management, financial analysis is understood as the analysis of accounting including various kinds of the analysis. The classification of kinds of the financial analysis is spent on methods and on the purposes.



**კადრების მართვის თანამედროვე ტენდენციები  
საბაზრო ეკონომიკის პირობებში**

**ბურამ კელვატრიშვილი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მაგისტრანტი**

XX საუკუნის 50-იან წლებამდე ცნება კადრების მენეჯმენტი მმართველობით პრაქტიკაში არ არსებობდა. სინამდვილეში, ყველა საწარმოს მართვის სისტემას ჰქონდა კადრების მართვის ფუნქციონალური და პერსონალის სოციალური განვითარების ქვესისტემები, მაგრამ სამუშაოს მოცულობის დიდ ნაწილს კადრების მართვაში ასრულებდნენ საზოგადოებრივი მმართველები.

კადრების მართვის ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფები ჯერჯერობით ასრულებენ კადრების განყოფილების ფუნქციებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ ან გაანთავისუფლონ პერსონალი, აგრეთვე ორგანიზება გაუწიონ მათ გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. ხშირად ამ ფუნქციების შესასრულებლად იქმნება კადრების გადამზადებისა და ტექნიკური სწავლების განყოფილებები.

კადრების განყოფილებები არ იყო არც მეთოდური, ინფორმაციული და არც მაკოორდინირებელი ცენტრები. ისინი იყვნენ სტრუქტურულად დაყოფილი სხვადასხვა განყოფილებად: შრომის ორგანიზაცია და სახელფასო განყოფილება, შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება, იურიდიული განყოფილება და სხვა განყოფილებები რომლებიც ასრულებდნენ პერსონალის მართვის ფუნქციებს. ორგანიზაციებში სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად იქმნებოდა სოციალური კვლევითი სამსახურები.

კადრების მართვის სამსახურს ჰქონდა დაბალი ორგანიზაციული სტატუსი, პროფესიული კუთხით მოისუსტებდა. ამის გამო ისინი არ ასრულებდნენ პერსონალის მართვის და მისი მუშაობის ნორმატიული პირობების უზრუნველყოფის მთელ რიგ ამოცანებს.

თუ აღრე, „გუნდურ-ადმინისტრაციული“ სისტემის პირობებში ეს ამოცანები განიხილებოდა როგორც მეორეხარისხოვანი, ამჟამად საბაზრო პირობებში გადასვლისას ის გახდა პირველხარისხოვანი და მის გადაწყვეტაში დაინტერესებულია ყველა ორგანიზაცია.

პერსონალის მართვის ახალი სამსახურები, როგორც წესი, იქმნება ტრადიციული სამსახურების ბაზაზე: კადრების განყოფილების, შრომის ორგანიზაციის და სახელფასო განყოფილების, ტექნიკის უსაფრთხოების და შრომის დაცვის. ახალი სამსახურების ამოცანები მდგომარეობს ორგანიზაციაში შრომითი რესურსების მართვაში და საკადრო პოლიტიკის რეალიზაციაში. ამასთან დაკავშირებით ისინი იწყებენ თავიანთი ფუნქციების გაფართოებას და სუფთა საკადრო საკითხებიდან გადადიან შრომითი მოდერნიზაციის სტიმულირების სისტემის შემუშავებაში, პროფესიულ მართვაში, კონფლიქტების აღმოფხვრაში, შრომითი რესურსების ბაზრის შესწავლაში.

ორგანიზაციის პერსონალის მართვის საფუძვლებს ამჟამად შეადგენენ: კადრების პიროვნული მზარდი როლი, მისი სამოტივაციო დავალებების



ცოდნა, ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისად მათი ფორმირებისა და მმართველობის ცოდნა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიმდინარეობს ნელი გადასვლა იერარქიული მართვიდან საბაზო ურთიერთობისაკენ, ამიტომ აუცილებელია სრულიად ახალი მიდგომების შემუშავება ფასეულობების პრიორიტეტისადმი. ორგანიზაციის შიგნით მთავარია კადრები, ხოლო მის ფარგლებს გარეთ – პროდუქციის მომხმარებელი. აუცილებელია შემოვატრიალოთ კადრის ცნობიერება მომხმარებლისაკენ, და არა ხელმძღვანელისაკენ და მოგებისაკენ.

სახლგარეეთის კომპანიების გამოცდილების განზოგადება საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ პერსონალის მართვის სისტემის მთავარი ამოცანები: კადრებით უზრუნველყოფა, მათი ეფექტური გამოყენება, პროფესიული და სოციალური განვითარების ორგანიზება.

განვიხილოთ პერსონალის მართვის კონცეფცია, რომელიც ეფუძნება წარმოდგენას, თუ რა როლი აქვს ადამიანს ორგანიზაციაში. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ასპექტი:

– ეკონომიკური – ამ კონცეფციამ სათავე დაუდო შრომითი რესურსების გამოყენებას.

წამყვანი ადგილი დაეთმო ტექნოლოგიებს:

- ხელმძღვანელობის ერთიანობა;
- მკაცრი იერარქია;
- დისციპლინა;
- ინდივიდუალურის საერთოსთან დამორჩილება;
- ბალანსი ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

– ორგანიზაციული – შედგება ორი კონცეფციისგან (ორგანიზაციის პერსონალის მართვა და ადამიანური რესურსების მართვა) – მოთხოვნილებები, მოტივაციები, ასევე გაგება, რომ ორგანიზაცია, ეს არის ყველა დანაყოფის ერთობლიობა, შეერთებული მართვის ხაზით კონტროლის სახით.

– ჰუმანური – ორგანიზაცია, როგორც ჰუმანური ცენტრი მისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული კულტურით.

ორგანიზაციული კულტურა – ეს არის წარმოდგენა ფასეულობებზე, რომელიც დამახასიათებელია ამ ორგანიზაციისათვის, პერსონალის და ადმინისტრატორების ქცევის სპეციფიკაზე, ჩვენი საცხოვრებელი გარემოს რეაგირების მეთოდებზე.

პერსონალის მართვის ძირითადი ამოცანებია:

- დახმარება, კომპანიის მიზნის მიღწევაში;
- კომპანიის უზრუნველყოფა კვალიფიციური და მოტივირებული კადრებით;
- პერსონალის ოსტატობის და უნარების ეფექტური გამოყენება;
- მოტივაციის სისტემების სრულყოფა;
- შრომით კმაყოფილების დონის ამაღლება;
- კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- ხელსაყრელი კლიმატის შენარჩუნება;
- კარიერის დაგეგმვა, ე.ი. სამსახურში წინსვლა, როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად;

- პერსონალის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება;
- პერსონალის მოღვაწეობის შეფასების მეთოდების სრულყოფა;
- შრომის პირობების მაღალი დონის და მთლიანობაში ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა.

პერსონალის მართვის სამი ძირითადი ამოცანაა:

- კადრებით უზრუნველყოფა;
- კადრების ეფექტური გამოყენება;
- კადრების პროფესიული და სოციალური განვითარება.

პერსონალის მართვის ყველა სამსახური ამ მიზნებიდან გამომდინარე ფორმირდება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას საჭიროა ადამიანებზე ზემოქმედების მეთოდების ცვლილება. პერსონალის მართვის თავისებურებაა – კადრების სულ უფრო მზარდი როლი. შედეგად, აუცილებელია შევიმუშაოთ პერსონალის მართვის ახალი მიდგომები. ეს მიდგომა მდგომარეობს შემდეგში:

- პერსონალის მართვის ფილოსოფიის შექმნა;
- პერსონალის მართვის სრულყოფილი სამსახურების შექმნა;
- პერსონალის მართვაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;
- საერთო ფასეულობების, სოციალური ნორმების, ქცევის წესების შექმნა და გამომუშავება, რომელიც ახდენს ცალკეული პიროვნების ქცევის რეგლამენტირებას.

პერსონალის მართვის ფილოსოფია – ეს ცალკეული მუშაკების ქცევის ფორმირებაა წარმოების განვითარების მიზნების გათვალისწინებით.

საწარმოში პერსონალის მართვას აწარმოებს კადრების სამსახური. კადრების სამსახური არის სპეციალიზირებული სტრუქტურების, ქვედანაყოფების ერთიანობა მასში ჩართული თანამდებობის პირებით, მიმართული პერსონალის მართვისკენ, არჩეული საკადრო პოლიტიკის ფარგლებში.

ამგვარად საკადრო სამსახური წარმოადგენს კადრების მართვაში კომპანიის ძირითად სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელზედაც დაკისრებულია კადრების მიღების და გათავისუფლების ფუნქციები, ასევე მათი სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ორგანიზაცია. პერსონალის მართვის ამოცანების განსახდერის პირობით გამოიყოფა ძირითადი და დამატებითი ამოცანები. ძირითად ამოცანებში შეიძლება გამოვეყოთ სოციალურ-ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა, ჯგუფური და პიროვნებებს შორის ურთიერთობების, ხელმძღვანელის და ხელქვეითების ურთიერთობების ანალიზი და რეგულირება, საწარმოო და სოციალური კონფლიქტების სტრესების მართვა; კადრების მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა; ვაკანტურ ადგილებზე კანდიდატების შერჩევა და შეფასება; პერსონალში საკადრო პოტენციალის და მოთხოვნილების ანალიზი; კადრების მარკეტინგი; საქმიანი კარიერის დაგეგმვა და კონტროლი; კადრების პროფესიული და სოციალურ ფსიქოლოგიური ადაპტაცია. დამატებით შეიძლება მივაკუთვნოთ ამოცანები, რომლებიც შეიძლება შესრულდეს ძირითადთან ერთად, მაგრამ როგორც წესი, მათზე მმართველ განკარგულებას ახორციელებენ გარეგანი (პერსონალის სამსახურთან შედარებით) ქვედანაყოფები. ასეთ ტიპის ამოცანებს ეკუთვნის:

- შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა;
- ხელფასის დაანგარიშება და გადახდა;



## რ ე ზ ი უ მ ე

### კაღრების მართვის თანამედროვე ტენდენციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

#### გურამ კელეპტრიშვილი

განხილულია კადრების მართვის თანამედროვე ტენდენციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. დასაბუთებულია, რომ თანამედროვე კონკურენტული ბიზნესგარემოსათვის მნიშვნელოვანია პერსონალის მართვას მიენიჭოს განსაკუთრებული, განსხვავებული ფუნქციები, რომლებიც განსაზღვრავენ კომპანიის მიერ შექმნილი პროდუქტისა და მომსახურების მაღალ ხარისხს. სტატიაში განხილულია ის ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის ეფექტური კადრებით დაკომპლექტებას, გადამზადებას და ფორმირებას.

## S U M M A R Y

### MODERN TENDENCIES IN THE FIELD OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN THE CONDITIONS OF MARKET ECONOMY

#### GURAM KELEPTRISHVILI

It is considered the modern methods of human resource management in the conditions of market economy. It is proved that for modern competitive business environment is important to appropriate special, distinctive functions to HR management, which defines high quality of the products and services created by the company. The article deals with the problems, which provide a company acquisition, retraining and development of effective personnels.

# აუდიტორის რწმუნება პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაზე

## დავით ბიბინაშვილი

### ბორის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვამ გამოიწვია აუდიტორულ საქმიანობაში სერიოზული და საფუძვლიანი ცვლილებები, გაიზარდა აუდიტორთა პასუხისმგებლობა, დაიხვეწა აუდიტის ჩატარების წესები და მეთოდები, საგრძნობლად ამაღლდა ჩატარებული აუდიტის ხარისხი, გაჩნდა მომსახურების ახალი სახეები, გამოიკვეთა მსხვილი აუდიტორული ფირმების ჩამოყალიბების ტენდენცია, აშკარაა აუდიტორული ინდუსტრიის ფორმების ყველა ნიშანი. დღეს საქართველოში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ინსტიტუტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური აზროვნების ახალი წესი. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი როგორც ინდივიდუალური, ისე აუდიტორული ფირმისათვის უკვე განვლილია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაციის აუცილებელი ეტაპი და იგი თანდათანობით სტანდარტების პოტენციალის რეალიზაციას ახდენს. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ საქართველოში აუდიტორული სისტემის ტრანსფორმაცია მიმდინარეობს იმ კონცეპტუალური პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი-№810-ის მიხედვით „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია არის ფინანსური ინფორმაცია, რომელიც დაფუძნებულია პირობით დაშვებებზე მომავალში მოსახდენი მოვლენებისა და სამეურნეო სუბიექტის შესაძლო ქმედებების შესახებ”.

აუდიტორის რწმუნება პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაზე უკავშირდება მოვლენებსა და მოქმედებებს, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა და შეიძლება არც მოხდეს. მტკიცებებს, რომლებიც ადასტურებს დაშვებებს, რასაც ემყარება პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია, შეიძლება ჰქონდეს ადგილი მაგრამ ეს მტკიცებები ორიენტირებულია სამომავლოდ და ამიტომ ბუნებით წარმოსახვითია იმ მტკიცებებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ემყარება განვლილი პერიოდის ფინანსური ინფორმაცია. ანუ, იგი თავის ბუნებით თეორიული ხასიათისა. ამიტომ აუდიტორს არა აქვს უფლება გამოხატოს თავისი შეხედულება იმის შესახებ, მიიღწევა თუ არა პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაში ნაჩვენები შედეგები.

სანამ აუდიტორი დათანხმდება პერსპექტიული ინფორმაციის შემოწმებაზე გარიგებას, აუდიტორმა სხვა გარემოებასთან ერთად ყურადღება უნდა მიაქციოს ზოგიერთ საკითხს, მათ შორის:

- რა მიზნით აპირებს დამკვეთი ამ ინფორმაციის გამოყენებას;
- ინფორმაციის დანიშნულება – შეზღუდული თუ შეუზღუდავი სარგებლობისათვის;
- გამოყენებული დაშვებების ხასიათი – ოპტიმალური თუ პიპოთეზური;
- პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემადგენლობა (ჩართული ელემენტები);

- დროის მონაკვეთი, რაზედაც ვრცელდება პროგნოზი (ინფორმაცია). გარიგების წერილამდე, აუდიტორის და დამკვეთის ინტერესებშია წინასწარ შეთანხმდნენ შემოწმების პირობებზე, ამიტომ სასურველია დამკვეთმა აუდიტორს გაუგზავნოს ოფერტა (წერილი გარიგების შეთავაზებაზე ყველა აუცილებელი პირობების მითითებით), სადაც გამოკვეთილი იქნება აუდიტორისა და დამკვეთის პასუხისმგებლობა, რაც უზრუნველყოფს ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან აცილებას. აუდიტორმა არ უნდა მიიღოს (უნდა უარყოს) გარიგებაზე შემოთავაზება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სერიოზული ეჭვი მიღებული დაშვებების გამოუსადეგარობაზე, ან თუ თვლის, რომ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია არ შეესაბამება იმ მიზნებს, რისთვისაც იგი განკუთვნილია. გარიგების წერილში აუცილებელია განისაზღვროს ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა აუდიტორისათვის მთელი შესაბამისი ინფორმაციისა და პირველადი დოკუმენტაციის მიწოდებაზე, რომელიც გამოიყენება დაშვებების შემუშავებისათვის.

აუდიტორი საკმარისად უნდა იცნობდეს ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობას. ამ მიზნით აუდიტორმა უნდა მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია ეკონომიკური სუბიექტის შესახებ, იმისთვის რომ შეძლოს განსაზღვროს გამოყენებულია თუ არა ყველა არსებითი დაშვება, რაც აუცილებელია პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შესადგენად. აუდიტორი ასევე უნდა გაეცნოს ეკონომიკური სუბიექტის მიერ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესებს, შემდეგი მომენტების გათვალისწინებით:

- პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის მომზადების სისტემის შიდა კონტროლი, იმ პირობა კომპეტენცია და გამოცდილება, რომლებმაც მოამზადეს პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია;

- დოკუმენტაციის ხასიათი, რომელიც მომზადებულია ორგანიზაციაში ანუ ხელმძღვანელობის დაშვების დასასაბუთებლად მომზადებული დოკუმენტაცია;

- სტატისტიკური, მათემატიკური და კომპიუტერული მეთოდების გამოყენების დონე;

- დაშვების შემუშავებისათვის გამოყენებული მეთოდები;

- სიზუსტე, რომელიც მომზადდა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის წინა პერიოდში და წინა პერიოდის მონაცემებისა და პერსპექტიულ ინფორმაციას შორის არსებითი განსხვავების მიზეზები.

აუდიტორმა უნდა განსაზღვროს თუ რამდენად შეუძლია დაეყრდნოს წინა პერიოდის ფინანსურ ინფორმაციას. ამასთანავე უნდა იცნობდეს მას და შეაფასოს, მომზადებულია თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის წინა პერიოდის ფინანსური ინფორმაცია თანმიმდევრულად.

თუ არსებობს აუდიტორული დასკვნა წინა პერიოდების ფინანსური ინფორმაციის შესახებ ან ორგანიზაციას ახალი დაწყობილი აქვს საქმიანობა, აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს გარემომცველი ფაქტები და მათი გავლენა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის განხილვისას.

აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ის პერიოდი, რომელზეც ვრცელდება პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ პერიოდის გაზრდისას დაშვებები ხდება უფრო წარმოსახვითი, მაშინ ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა გააკეთოს დასკვნები შეფასების საუკეთესო მეთოდების გამოყენებით მცირდება ანუ თანდათანობით თეორიული ხდება და კლებულობს ოპტიმალური გათვლების

უნარი. პერიოდი არ შეძლება გაგრძელდეს იმ ზღვარს იქით, როცა ხელმძღვანელობისათვის არ იქნება გონივრული დაშვების მიღება.

პერსპექტიული ფინანსური შემოწმების პროცედურების განხორციელებისას ძირითადი ყურადღება ექცევა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ აუდიტორულ პროცედურებს და თვით აუდიტორის პროფესიულ გამოცდილებას და მის საფუძველზე განისაზღვრება შემოწმების ხასიათი, ვადები და მოცულობა. იმ ფაქტორების რიცხვში, რომელიც გავლენას ახდენს აუდიტორული პროცედურების ხასიათსა და მოცულობაზე, შედის: პროგნოზის არსებული დამახინჯებების ალბათობა (ანუ აუდიტორული რისკი) და ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის ცოდნა. აუდიტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმ მაჩვენებლებს, რომლის დამახინჯებასაც შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს პერსპექტიული ინფორმაციის შედეგებზე. გაანგარიშებაში არსებითი დამახინჯებების გამოვლენისას აუდიტორმა უნდა შეაფასოს მათი გავლენა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შედეგების სისწორეზე. ამასთანავე უნდა გაითვალისწინოს პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის ცალკეული მაჩვენებლების ურთიერთკავშირი. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ინფორმაცია მოყვანილია როგორც ინფორმაციის ნაწილი, აუდიტორმა პროფესიულ აზრზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს, როგორ შეამოწმოს ფაქტობრივი ინფორმაცია და რა პროცედურები უნდა ჩატარდეს მის მიმართ.

აუდიტორმა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციისა და დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და მის საფუძველზე უნდა შეაფასოს იმ მტკიცებათა წყარო, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულია ოპტიმალური მიახლოებით დაშვებების დამადასტურებლად. ამასთან ერთად, ინფორმაციის მომზადების პროცესების თავისებურებების შესწავლისას, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ მიღებული დაშვებები პასუხობენ მოზადებული ფინანსური ინფორმაციის მიზნებს და აქედან გამომდინარე, მისი პოტენციალური მომხმარებლის მოთხოვნებს.

აუცილებელია აუდიტორმა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის საიმედოობის შემოწმებისას იცოდეს რა მიზნით იქნება გამოყენებული მოცემული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში აუდიტორი იძულებულია ენდოს ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობის განცხადებას. ასეთი განცხადება საჭიროა გაფორმდეს წერილობით, სადაც განმარტებული იქნება პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის მიზნები და დაშვებების გამოყენების საფუძველი. ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობის განმარტებებმა უნდა დაადასტუროს ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შინაარსზე.

პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმების შედეგად შედგენილ დასკვნაში შესაძლებელია ჩაერთოს მოსაზრება ეკონომიკური სუბიექტის მიერ განხორციელებული მიზნების გამოყენების შესაძლებლობებზე, აგრეთვე რეკომენდაციები (დაშვებების დასადასტურებელი მტკიცებულებების შემოწმების საფუძველზე) მის შეზღუდულ გამოყენებასა და გავრცელებაზე. შესაძლებელია დასკვნაში ჩართული იქნეს სხვა ინფორმაციაც რომელსაც კავშირი აქვს აუდიტორის მიერ ჩატარებულ სამუშაოსთან ანუ დასკვნაში მითითებული უნდა იქნეს ყველაფერი, რამაც მიიქცია ყურადღება და აიძულა იგი მისულიყო დასკვნამდე, რომ დაშვებები არ შეიძლება ჩაითვალოს საფუძველად პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციისათვის.

თუ აუდიტორი დარწმუნებულია, რომ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის წარდგენა და შესაბამისი ახსნა განმარტებები არაადეკვატურია, მან უნდა გასცეს პირობითი ან უარყოფითი დასკვნა პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებაზე გავლენას ახდენს ისეთი პირობა, რომელიც ხელს უშლის მოცემული სიტაციისათვის ერთი ან მეტი აუცილებელი პროცედურების გამოყენებას, აუდიტორი უნდა გამოვიდეს გარიგებიდან ან უარი უნდა განაცხადოს დასკვნის გაცემაზე და აღწეროს სამუშაოს შეზღუდვების მასშტაბები თავის დასკვნაში.

ეკონომიკური სუბიექტის პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაზე დასკვნის წარდგენა ერთ-ერთი აუცილებელი და საპასუხისმგებლოა აუდიტორისათვის, რადგან მისთვის ეს არის ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანა ფსიქოლოგიურ ასპექტში, ჯერ ერთი, ეჭვი ორგანიზაციის შემდგომი ფუნქციონირების შესაძლებლობისა, რომელიც გამოხატულია აუდიტორულ დასკვნაში, როგორც წესი, იწვევს საგადასახადო ორგანოების სათანადო რეაქციას, გარდა ამისა, ფერხდება ნედლეულის კრედიტში გაშვება, რადგან დამკვეთებს ეჭვი შეაქვთ ვალდებულებების შესრულებაში და ამცირებენ შეკვეთების მოცულობას ან საერთოდ უარს ამბობენ მათ შესრულებაზე, ბანკები წყვეტენ კრედიტების გაცემას და მოითხოვენ არსებული დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვას, ხოლო დამატებითი ინფორმაციები მცირდება ან საერთოდ წყდება. ასეთ დასკვნას (ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობებზე) აუდიტორს ავალდებულებს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რადგან აუდიტორი ის სუბიექტია, რომელსაც შეუძლია ეს გააკეთოს ოფიციალურად, პროფესიონალურად და დიდი პასუხისმგებლობით. აუდიტორს უნდა ახსოვდეს, რომ ასე დასკვნის გაცემით იგი აცნობებს (აფრთხილებს) იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ვისაც აქვს ფინანსური ურთიერთობა, რისკის არსებობას, სიფრთხილის აუცილებლობას, ისეთი დამატებითი გარანტიებისა და პირობების აუცილებელ გათვალისწინებას, რომელიც აცილებს დანაკარგებს და ზოგად შემთხვევაში გაუგებრობებს.

ჩვენი აზრით, ასეთი ანალიზი აუცილებელია დაიყოს ორ ძირითად ეტაპად:

- შესამოწმებელი საწარმოს შესაძლო გაკოტრებაზე ანალიტიკური შეფასება;
- ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის რეალურად გაუმჯობესების შესაძლებლობის ანალიზი და წარმოქმნილი სირთულეების გადალახვა, იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც იწვევს ეჭვს შემდგომში მისი ფუნქციონირების შესაძლებლობის თაობაზე.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ერწყმის ძალიან მუდმივად გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა, რომლის გაუმჯობესებაც რეალურად შეუძლებელია ახლო მომავალში, შეიძლება დავასკვნათ, რომ შემდგომში აუდიტირებული ორგანიზაციის მუშაობის გაგრძელება და მისი მოვალეობების შესრულება ეჭვის ქვეშ დადგება. უნდა აღვნიშნოთ, რომ დასკვნა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ აუდიტის დასრულების შემდეგ და გრძელდება არა უმეტეს ერთი წლისა.



**ლიტერატურა**  
**Literature**

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 28.10.94წ. 577; უწყებები №21-22, მუხლი 455;
2. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, 07.02.95წ. 623-ის, უწყებები №23-26, 496 მუხლი;
3. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, 22.12.2004წ., 692-რს, სსმ №12, მუხლი 62.
4. I ჩ-„აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები“ (ასს) I და II წიგნი, თბილისი, 1999წ.
5. რ. მონტგომერი „აუდიტ მონტგომერი“, თბ., გამომცემლ. „ფინანსები“, 1998წ.
6. ნ. ქებაძე „აუდიტის საფუძვლები“, თბ., გამომცემლობა „INOVATION“, 2005წ.
7. ა. ცირამუა „აუდიტი“, თბილისი, 2006წ.
8. ბ. ალავერდაშვილი „აუდიტის პრაქტიკული კურსი“, თბილისი, 2001 წ.

**რ ე ზ ი უ მ ე**

**აუდიტორის რწმუნება პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაზე**

**დავით ბიძინაშვილი**

აუდიტორის რწმუნება პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაზე უკავშირდება მოვლენებსა და მოქმედებებს, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა და შეიძლება არც მოხდეს. მტკიცებებს, რომლებიც ადასტურებს დაშვებებს, რასაც ემყარება პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია, შეიძლება ჰქონდეს ადგილი მაგრამ ეს მტკიცებები ორიენტირებულია სამომავლოდ და ამიტომ ბუნებით წარმოსახვითია იმ მტკიცებებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ემყარება განვლილი პერიოდის ფინანსური ინფორმაცია. ანუ, იგი თავის ბუნებით თეორიული ხასიათისა. ამიტომ აუდიტორს არა აქვს უფლება გამოხატოს თავისი შეხედულება იმის შესახებ, მიიღწევა თუ არა პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაში ნაჩვენები შედეგები.

## S U M M A R Y

### AUDIT'S CERTIFICATION ON THE PERSPECTIVE FINANCIAL INFORMACION

**DAVID BIDZINASHVILI**

Nowadays, when the country is developing marketing relations the suitable measures for creating competitive surrounding are held. Auditory affair supports the demand of every field of economic and that is the reason of developing of this field of affair in Georgia. It is true that the market of auditory service is not fully formed but the demand on this service is visible. The role and importance of an auditory service is an objective regularity of life. But it is vivid that this sphere needs fulfillment. For this reason in the competitive conditions the auditory firm has to reach high rating and this is possible by means of fulfilling controlling functions and obligations honestly.

# კლიენტზე ორიენტირებული მენეჯმენტის ძირითადი ელემენტები

## ელბუჯა ბუაჩიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის I კურსის მამბისტრანტი

## ღალი ხუნწარია

ტექნიკურ მენეჯმენტზე კანდიდატი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

*„კლიენტი ყოველთვის მართალია“  
წარმატებული გამყიდველის სიბრძნე*

ელექტროსისტემებში განვითარებული კონკურენცია, მომსახურების სფეროს კონიუქტურის არსებული ცვლილებები სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გარე სფეროს თანამედროვე ფაქტორები არიან.

რას აკეთებს ორგანიზაცია ბაზარზე წარმატებისთვის მისაღწევად? პირველ რიგში - მომხმარებელზე ორიენტაცია, ორგანიზაციის მართვის მარკეტინგული მიდგომა და აგრეთვე მომხმარებელთა მონაცემების კარგი ორგანიზება, მათთან მჭიდრო კონტაქტები და მომსახურების მაღალი ხარისხი. ეს ყოველივე გაყიდვების გაზრდაზე ადეკვატურად აისახება.

ბევრი კომპანიის ქვეგანყოფილება წარმატებით მუშაობს გარე სამყაროსთან, თუმცა ხშირად გაყიდვები დაკავშირებულია მხოლოდ ცალკეული მენეჯერების გაყიდვის უნართან, მაშინ როცა გაყიდვები ეს არის მხოლოდ აისბერგის მწვერვალი, რომლის დასაპყრობად თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპანიის მართვა უნდა განხორციელდეს კლიენტზე ორიენტაციით, ეფექტური კავშირით კომპანიასა და მომხმარებელს შორის, გაყიდვების პროცესის კონტროლით, გაყიდვის შემდგომი მომსახურებითა და თანამშრომელთა ეფექტური საქმიანობით, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აქვთ მომხმარებლებთან.

ამოცანა, რომლის გადაწყვეტას ცდილობს მსოფლიოს ბიზნეს დაჯგუფების ყველა სუბიექტი, არის კლიენტის ინტეგრირება კომპანიაში, რათა მიეწოდოს მას რეალური ინდივიდუალური მომსახურება. ამ ამოცანის ჩარჩოში დაიბადა სტრატეგია, რომელიც მიმართულია ბიზნესის გაძლიერებისაკენ. სტრატეგია მეტყველებს შემდეგზე:

- ახალი კლიენტის მიზიდვაზე კომპანია უნდა ხარჯავდეს 5-ჯერ მეტს ვიდრე არსებულის შენარჩუნებაზე
- მომხმარებელთა რაოდენობის 5%-ით შენარჩუნება, მოიტანს კომპანიის შემოსავლების გაზრდას 25-100%-ით და ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე.
- კომპანიაში არსებულ მომხმარებელთა 50%-ს არ მოაქვს შემოსავალი მათთან ცუდი ურთიერთობის გამო.

- კომპანიათა დიდი ნაწილი ყოველწლიურად კარგავს მომხმარებელთა არანაკლებ 10%-ს.
- ყველა მომხმარებელს აქვს ყიდვის განსაზღვრული ვადა და ამიტომაც, თუ კლიენტი წავიდა არსებული ვადის გასვლამდე, ამ შემთხვევაში კომპანია ზარალდება.
- კლიენტი, რომელიც ყიდულობს პროდუქტს, გარკვეული ინოვაციის შემდეგ, 80%-ით აკეთებს ამას იმ მომხმარებლის ზეგავლენის ქვეშ, რომელსაც უკვე შექმნილი აქვს არსებული პროდუქტი და მხოლოდ 20% ყიდულობს პროდუქტს რეკლამებისა და სხვადასხვა აქციების ზეგავლენის ქვეშ. კმაყოფილი მომხმარებელი მიაწვდის ინფორმაციას 5 სხვადასხვა ადამიანს და არაკმაყოფილი როგორც მინიმუმ 10-ს.

ეფექტური სისტემის შექმნის ერთ-ერთი მიდგომა ეს არის კლიენტებთან ურთიერთობის მართვის კონცეფცია, (მომხმარებლებთან ურთიერთობების მენეჯმენტი, CRM). ეს კონცეფცია განსაკუთრებულად პოპულარული გახდა ბოლო 10 წლის განმავლობაში.

დღესდღეობით ინფორმაციული ტექნოლოგიები უფლებას გვაძლევენ შედარებით მცირე დანახარჯებით შენარჩუნდეს, დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას მომხმარებელთან ურთიერთობისას ესა თუ ის ინფორმაცია. საინფორმაციო ტექნოლოგიები ოპერატორებს საშუალებას აძლევენ, რომ შეიქმნას კორპორაციული ქსელები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის დაცვა და მონაცემების მიზნობრივად გამოყენება. ამ ქსელებში მომხმარებელზე ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. აგრეთვე ერთადერთი წინაპირობაა მონიტორინგის კავშირის დანერგვა, რათა წარმოადგინოს ორგანიზაციის მოღვაწეობის ჩვენებების სისტემატიური მეთვალყურეობა, მათი ანალიზი და შესაბამისი მართვითი ზეგავლენის გამომუშავება, მონიტორინგს აქვს რამოდენიმე მიმართულება მნიშვნელოვანი CRM სისტემის რეალიზაციისათვის.

- ეკონომიური მონიტორინგი, ეკონომიურ-ფინანსური ჩვენებების საქმიანობა, ოგანიზაციის მართვის დონე, ბიზნეს პროცესების და კონტროლის ოპერატიულობის მიხედვით, გულისხმობს კონტროლს და ანალიზს.
- საბაზრო სფეროს მონიტორინგი გულისხმობს ბაზრის ტევადობის, მომსახურების კონკურენტუნარიანობის, ბაზრის კონიუქტურის ჩვენებებს, საკომუნიკაციო საქმიანობის კონტროლს და ანალიზს.
- საწარმო მონიტორინგი გულისხმობს ტრაფიკის, მიმდინარე მომსახურების ხარჯების, სახსრების ტექნიკური მდგომარეობის და საერთაშორისო ქსელების კონტროლს და ანალიზს.

მომხმარებელთან ურთიერთობები საბოლოო ჯამში ფორმირდება სამი მნიშვნელოვანი ინფორმაციულ ბლოკზე: “მომხმარებელი”, “თანამშრომელი” და “მომსახურება”.

რადგან გარე სამყაროს აქვს დიდი ცვლილებების უნარი, კომპანიისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო მოსალოდნელი ცვლილებების შეგნება, არამედ მათი კონტროლიც. მომხმარებლების ქცევა შეიძლება განხილულ იქნას როგორც მართვითი პროცესი, ამ ქცევის გაგება – არის მეტად რთული ამოცანა, რომელიც საზღვრავს კომპანიის საბაზრო პოლიტიკის წარმატებას. მათ შორის კომპანიის მომსახურების ზონა არის განსაზღვრული შესაბამისი

გეოგრაფიული საზღვრებით. ეს პირველადი არჩევანი უკვე კარნახობს კომპანიას თუ როგორ მომხმარებლებს მოემსახურება იგი, განსაზღვრავს კონკურენტებს, და წარმატების ძირითად ფაქტორებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს.

სტრუქტურის და CRM სტრატეგიის შინაარსის დამუშავების დროს ტოპ-მენეჯმენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგს:

- უფლებამოსილების დელეგირება რეგიონალურ დონეზე და კლიენტებთან ჰორიზონტალური კავშირების გაძლიერება სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისთვის.
- შედეგიანობის ჩვენებების ძირითადი დამუშავება, კლიენტთა მომსახურების და გაყიდვების, მარკეტინგის მენეჯერთა და ქვეგანყოფილებების რეგიონალური საქმიანობის ეფექტურობის და ხარისხის შეფასებისათვის.
- რეგიონალური ფრონტ-ოფისური ქვეგანყოფილებების კონტროლი კომპანიის მხრიდან უნდა განხორციელდეს ისეთი ჩვენებების და მონაცემების საფუძველზე, რომელიც მიიღებული იქნება CRMM სისტემიდან.
- თანამშრომელთა სისტემის სრულყოფისათვის საჭიროა პრემიების გაცემის სისტემა დაუკავშირდეს კლიენტების შენარჩუნებისა და მოზიდვისათვის გაწეული სამუშაოების შედეგებს.
- ვიპ-კლიენტების ცნების შეყვანა და კლიენტთა სეგმენტაცია, რისთვისაც აუცილებელია მათი მომსახურებისათვის შექმნილი იქნას სპეციალური ქვეგანყოფილებები.
- კლიენტთა მომსახურების ადგილობრივი და რეგიონალური მაშტაბების სტანდარტიზირება.
- მოქმედებების კოორდინირება ახალი მომსახურების შემუშავებისათვის, ბაზრის გამოკვლევისათვის, სარეკლამო და მარკეტინგული აქტივების ჩატარებისათვის, კლიენტზე ორიენტაციის გათვალისწინებით.
- პროცესული სისტემის მართვის და ხარისხის კომპლექსური მოდელის მართვის დანერგვა, რომელიც მიმართულია ოფისების ქვეგანყოფილებებში პროცესების გაუმჯობესებისათვის.
- ბიზნეს პროცესების ეფექტურობის გაზრდა ქვეგანყოფილებებში, რომლებიც მუშაობენ კლიენტებთან საინფორმაციო სისტემების ბაზაზე ტიპიური ბიზნეს პროცესების უნიფიკაციის და დამუშავების გზით, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ეკონომიური და ფინანსური შედეგები.

ამგვარად, CRM სისტემა შეიძლება გახდეს საწარმოში არსებული რესურსების დაგეგმვის სისტემის განვითარების ახალი ეტაპი, ანუ სისტემის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აღრიცხვა, ორგანიზაციის რესურსების სწორად გადანაწილება და კონტროლი, ხარჯების შემცირება, გაყიდვების მოცულობის გაზრდა, ბაზრის გაფართოება და შესაბამისად კომპანიის იმიჯის გაძლიერება.

ლიტერატურა  
Literature

1. „...“ - 2005
2. „...“ : , 1997 .

რეზიუმე

მენეჯმენტის ძირითადი ელემენტები კლიენტზე ორიენტაციით

ელგუჯა ბუაჩიძე, ლალი ხუნტსარია

თანამედროვე მენეჯმენტი, გლობალური კონკურენციის პირობებში, კლიენტზე ორიენტირებულ მენეჯმენტად არის აღიარებული. თითოეული ორგანიზაცია, ბაზარზე წარმატების მისაღწევად მართვის მარკეტინგულ მიდგომას ირჩევს და შესაბამისად იყენებს არა ერთ შემუშავებულ მეთოდსა და სტრატეგიას. მართვის ეფექტური სისტემის შექმნის ერთ-ერთი მიდგომა კლიენტებთან ურთიერთობის მართვის კონცეფციაში (CRM) მდგომარეობს, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ სისტემის რეალიზაციისათვის კომპანიები ანხორციელებენ ეკონომიურ, საბაზრო სფეროს და საწარმოო მონიტორინგს, აგრეთვე კონტროლს და ანალიზს, აქტიურად მუშაობენ გარე სამყაროსთან მთავარი ამოცანის გადასაწყვეტად: განახორციელონ კლიენტის ინტეგრირება კომპანიაში და შესაბამისად კლიენტზე ორიენტირებული ეფექტური მენეჯმენტი.

SUMMARY

MANAGEMENT BASIC ELEMENTS WITH ORIENTATIONS TO THE CLIENT

ELGUJA BUACHIDZE, LALI KHUNTSARIA

The modern management in the conditions of total competition is a client-oriented management. Each organization to achieve a success on the market chooses a management marketing approach and correspondingly uses not one worked out method and strategy. One of approaches of effective management system creation consists in the customer relationship management concepts (CRM) that is popular during the last 10 years. For this system realization companies carry out the economical, market field and industrial monitoring and also control and analysis, they work actively with the external world for the main matter solution: performance of client integration in the companies and correspondingly effective client-oriented management.

(CRM),  
10 .

## საერთაშორისო ანგარიშსწორება და ბარანტიები

### ბორის ბითოლენდია

#### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აუცილებელი გახდა ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფოებრივი ატრიბუტის – დამოუკიდებელი საბანკო სისტემის ჩემოყალიბება. ამ პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ აირჩია ეკონომიკის განვითარების საბაზრო გზა, რამაც კიდევ უფრო გაართულა აღნიშნული ამოცანის განხორციელება.

გარდამავალ პერიოდში ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო საბაზრო ინფრასტრუქტურის შესაბამისი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, იმასთან დაკავშირებით რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ბანკები აბსოლუტურად განსხვავებული სისტემით მუშაობდნენ, რომელთაც, იმხანად მოქმედი ნორმატიული მითითებებისა და საქმიანობის სტილით, არ შეიძლებოდა ნორმალური საბანკო მომსახურება გაეწიათ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ფუნქციონირებადი სტრუქტურებისათვის, ქვეყნის წინაშე მდგომ სხვა აუცილებელ დონისძიებებს შორის, დღის წესრიგის გადაუდებელ ამოცანად იქცა, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელი - ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. სწორედ ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შევეცადედ წინამდებარე სტატიაში განგვეხილა და მოკლედ წარმოგვედგინა დღეისათვის საერთაშორისო ანგარიშსწორების კუთხით არსებული სურათი.

ცნობილია, რომ ბანკი ისტორიულად შუამავალი არის გადახდაში. იგი თავისი კლიენტის დავალებით ჩამოწერს და გადარიცხვას ფულს მითითებულ მისამართზე. ამით ფულის მფლობელი თავიდან იცილებს მისი გადატანის დროს მოსალოდნელ რისკს. საბანკო გადარიცხვა წარმოადგენს ერთი ბანკის დავალებას მეორისადმი, გადაუხადოს სახსრების მიმღებს განსაზღვრული თანხა. ის არის შუამავალი, რაც, თავისთავად, გულისხმობს ანგარიშსწორებაში სახელშეკრულებო პირობების ზუსტად განსაზღვრასა და ანგარიშსწორების მეთოდების და ფორმების სწორად შერჩევას.

ანგარიშსწორების მეთოდი, ეს არის საერთაშორისო პრაქტიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებული საგადახდო საბუთების გაფორმების, მათი გადაცემის, დამუშავებისა და გადახდათა განხორციელების ხერხების კონკრეტული მეთოდის პირობებისა და ფორმის არჩევა, რომლითაც სრულდება ანგარიშსწორება. საგარეო-სავაჭრო გრიფების მიხედვით, ყველაფერი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და ფიქსირდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საერთაშორისო ანგარიშსწორება რეგულირდება საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, ასევე საქმიანი ზრუნვის წესებითა და ჩვეულებებით. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორების პერიოდში მხარეები, მათთვის მისაღები გადახდის ფორმაზე, ხელშეკრულების დადებამდე შეთანხმდნენ. გადახდის ინსტრუმენტის სპეციფიკა და გამოყენების თავისებურებები უნდა



აკმაყოფილებდეს ორივე მხარის მოთხოვნებს. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მხარის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, პარტნიორის ადეკვატური საქმიანობა მოჰყვეს. მხარეთა შორის გაუგებრობების გამორიცხვის მიზნით, საბაზრო სისტებაში თანდათანობით ჩამოყალიბდა ანგარიშსწორების შედარებით საიმედო ფორმები, რომლებიც სამეურნეო პარტნიორების ინტერესების დაცვას და სანდო გარანტიების არსებობას ემსახურება;

საერთაშორისო ურთიერთობებში, სწორედ ბანკები ასრულებენ თავიანთ ერთ-ერთ ტრადიციულ ოპერაციებს ანუ გამოდიან ანგარიშსწორებაში შუამავლების როლში. ბანკები განმსაზღვრელ როლს თამაშობენ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას, გადახდის ფორმების განსაზღვრასა და მათ განხორციელებაში.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში არადოკუმენტურ გადახდას დიდი ხვედრითი წილი უჭირავს. უნადლო ანგარიშსწორებიდან აღსანიშნავია საგადასახადო მოთხოვნა, იგი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად მიმწოდებელი მეორე მხარის მყიდველისაგან მოითხოვს განადგებულ იქნეს ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ღირებულება. უნადლო ანგარიშსწორების ერთერთი გავრცელებული ფორმაა საანგარიშსწორებო ჩეკები. ჩეკი წარმოადგენს ფასიან ქაღალდებს, რომელიც გამოიყენება, როგორც გადახდის საშუალება. ჩეკით ანგარიშსწორების შემთხვევაში საჩეკო მიმოქცევის მონაწილე პირთა წრე მოიცავს ჩეკის გამცემს, ჩეკის მფლობელს და ჩეკის მიხედვით გადამხდელს, რომელშიც ბანკი გამოდის. ჩეკს იყენებენ როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები.

ანგარიშსწორების სათამასუქო ფორმა წარმოადგენს ანგარიშსწორებას მიმწოდებელსა და გადამხდელს შორის საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადახდის გადავალებით სპეციალური დოკუმენტის თამასუქის საფუძველზე. განსხვავებენ თამასუქის ორ ფორმას, მარტივსა და გადასაყვანს.

საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება გადახდის ისეთი ფორმები, როგორცაა: სააგანსო გადახდები, გადახდა საქონლის გაგზავნის შემდეგ, ვაჭრობა ღია ანგარიშით, აკრედიტივი, დოკუმენტური ინასკო, ჩეკი, საბანკო თამასუქი, საფოსტო ანგარიშსწორება და ა.შ. ანგარიშსწორების ყველაზე მოხერხებულ ფორმას წარმოადგენს აკრედიტივი. აკრედიტივის გამოყენებით ანგარიშსწორების ჯაჭვში შეიძლება მონაწილეობდნენ როგორც ბანკი კორესპონდენტები, ასევე ბანკი კონტრაგენტები. დღეისათვის პრაქტიკაში აკრედიტივის მრავალი ფორმა გამოიყენება რომელთაგანაც აღსანიშნავია: გამოთხოვადი და გამოუთხოვადი, დადასტურებული და დაუდასტურებელი, თავისუფლად ნეგოტირებადი აკრედიტივი.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია საბანკო გარანტიის ქონა. ამ მიზნით საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება შუამდგომლობა და საბანკო გარანტია. გარანტია წარმოადგენს წერილობით ცალმხრივ ვალდებულებას ბანკი-გარანტიის მხრიდან, რომელიც გამოიყენება რომელიმე პირის მიმართ სხვა პირის დავალებით. გარანტიის რეალიზაცია წარმოებს იმ მომენტში, როდესაც ბანკი გარანტი ასრულებს თავის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომში წარმოდგენილი საკვლევი პრობლემა აქტუალურია ვინაიდან, თითოეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის

ძირითადი მიზანია ისეთი საერთაშორისო პირობების შექმნა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენებული ანგარიშსწორების თანამედროვე ფორმების და მეთოდების დანერგვა, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში უზრუნველყოფს ქვეყნის მოქალაქეებისათვის მყარ უსაფრთხოებას. ამ მიზნის განხორციელებლად საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და მისი გარანტიების არსებული საშუალებების და ზოგადი მდგომარეობის განხილვა საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია.

გარდამავალ პერიოდში ქვეყნისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს საბაზრო ინფრასტრუქტურის შესაბამისი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენებული ანგარიშსწორების თანამედროვე ფორმების და მეთოდების დანერგვა და ათვისება, ეს თავის მხრივ იძლევა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირების საშუალებას, რაც საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა, მის გადასატარებლად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ამ ნაშრომის მიზანი და ამოცანები იყო საერთაშორისო ანგარიშსწორების კუთხით განგვეხილა თანამედროვე საბანკო სექტორში არსებული ვითარება. მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორების მეთოდების, გარანტიების და წესების განხილვის საფუძველზე, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნა, რომ ამ ეკონომიკური ურთიერთობების სიღრმისეული გაანალიზებას და სამომავლო პერსპექტივაში პრიორიტეტების დასახვას, საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და მისი გარანტიების შესწავლის კუთხით, ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისათვის და ასევე საქართველოსა და თანამედროვე სამყაროს ურთიერთთანამშრომლობის თვალსაზრისით უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

## ლიტერატურა Literature

1. გ. ცაავა ფინანსები და ფულის მიმოქცევა;
2. გ. ცაავა, საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი. ტომი პირველი
3. მ. გოგოხია, „რისკის მართვა კომერციული ბანკის საქმიანობაში“ სოციალური ეკონომიკა” №2, 2003 გვ 125-132;
4. . . . . / . . . . .  
. – . . . . ., 2002
5. / . . . . . , . . . . . – . . . . ., 2002
6. . . . . . . . . . ., 1996
7. . . . . . – . . . . ., 1997
8. ( . . . . . ) / . . . . .  
. – . . . . ., 2003
9. . . . . . – . . . . ., 1998

## რ ე ზ ი უ მ ე

### საერთაშორისო ანგარიშსწორება და გარანტიები

#### ბორის გიტოლენდია

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ანგარიშსწორების არსი, ძირითადი მეთოდები და სახეები. ამ პუბლიკაციის ამოსავალი მიზანია საერთაშორისო ანგარიშსწორების მეთოდების, გარანტიების და წესების განხილვის საფუძველზე, საერთაშორისო ანგარიშსწორების კუთხით, თანამედროვე საბანკო სექტორში არსებული ვითარების სისტემური შესწავლა.

## S U M M A R Y

### INTERNATIONAL CALCULATION AND GUARANTEES

#### BORIS GITOLENDIA

International calculation essence, principal methods and kinds are discussed in the work. The main aim of this publication is to learn condition system presented in the main bank sector by means of a discussion of International publication methods, guarantees and rules.

# ISO 9001 – ჩარჩო კონვენცია ბიზნეს-სამყაროში კომერციული მიზნების ეფექტურად მიღწევისათვის

## ბუნო ელბაძიკე

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მამბისტრანტი

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამდე ბიზნესში წარმატების მისაღწევად საკმარისი იყო მოთხოვნადი პროდუქციის წარმოება და არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ხარისხის კონტროლი. ბოლო ათეული წლის განმავლობაში კონკურენციის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა და ურთიერთობები ქართულ ბაზარზეც თანდათან უახლოვდება ცივილურ საბაზრო ურთიერთობებს. დღეს, პროდუქციის ან მომსახურების მიწოდებლები მომხმარებლის მოსახიდად, ვალდებული ხდებიან გაითვალისწინონ მსოფლიოში მიღებული განსაზღვრული კანონები და მათ შორის ერთ-ერთი მთავარი – პროდუქციის დამზადების პროცესის მუდმივი მონიტორინგი, ხარისხის შენარჩუნების კუთხით.

სტაბილური ხარისხი – ესაა რეალური გზა პროდუქციისადმი ნდობის შენარჩუნებისთვის. რადგანაც, თანამედროვე პირობებში ხარისხის მცნება არ შემოსაზღვრება მხოლოდ პროდუქტის პარამეტრებით – ეს ეფექტური კონკურენციისთვის უკვე აღარაა საკმარისი. ტერმინმა “ხარისხი” მიიღო უფრო ფართო მნიშვნელობა: დღეს ხარისხი – ესაა მომხმარებლის კმაყოფილების ის დონე, რომელსაც ის იღებს პროდუქციის მოსალოდნელი მახასიათებლების სტაბილური ნაკრებიდან: მომსახურების დონით საქონლის მიწოდებამდე და მიწოდების შემდეგ; საშუალებით, მოახდინოს გავლენა პროდუქციის მახასიათებლებზე და მომხმარებელსა და მწარმოებელ კომპანიას შორის ურთიერთობაზე.

დღევანდელ დღეს ორგანიზაციის ძირითადი მიზანი ხდება მომხმარებლის მოთხოვნებისა და მოლოდინის დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა. სწორედ ამიტომ, აქტუალური გახდა ხარისხზე დაფუძნებული მართვის სისტემის შემუშავება. 80-იანი წლების ბოლო აღინიშნა ხარისხის ტოტალური მართვის (Total Quality Management — TQM) მეთოდოლოგიის ფორმირებით, რომლის მთავარ აზრს წარმოადგენდა საწარმოს ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხზე, არამედ მთლიანად, საწარმოს ფუნქციონირების ხარისხზე.

ამკარაა, რომ აუცილებელია არა მხოლოდ სისტემის შექმნა, რომელსაც შეეძლება ხარისხის ეფექტურად მართვა, არამედ, ისეთი პირობების შექმნა, როცა ეს ხარისხი იქნება საწარმოო პროცესების მმართველი. საწარმოო პროცესების ხარისხი იძენს უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას და მათი მუდმივი დახვეწა და გაუმჯობესება იძლევა განსაზღვრულ უპირატესობას საწარმოო რესურსების დანახარჯების კუთხით, კონკურენტთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ხარისხი აღარ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმიჯის ფაქტორად, ის ერთმნიშვნელოვნად გადაიქცა გამძაფრებულ კონკურენტულ გარემოში გადარჩენის საკითხად. ბაზრის სწორედ ამ მოთხოვნებმა განაპირობეს მართვის სფეროში საყოველთაო სტანდარტების საჭიროება,

რომლებიც დაარეგულირებდა ყველა მოთხოვნასა და პროცედურას. 1946 წელს 25 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა ლონდონში და დააფუძნა ახალი ორგანიზაცია (International Organization for Standardization, ISO), რომლის მიზანიც იყო საწარმოო სტანდარტების შემუშავება კოორდინირებისა და უნიფიცირებისთვის. TQM-ის მიმართულებით პირველი ნაბიჯი გახდა სტანდარტი ISO 9001-ის გამოჩენა და მისი ფართო დანერგვა პრაქტიკაში. ის შემუშავებულ იქნა ISO-ს ტექნიკური კომიტეტის ISO/TC 176 მიერ.

1987 წელს ორგანიზაციამ მიიღო მენეჯმენტის ხარისხის სისტემის უნივერსალური სტანდარტის ISO 9000-ის პირველი ვარიანტი, რითაც მაშინვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება. მის საფუძველად აღებული იქნა ხარისხის სისტემის სტანდარტი BS-5750, რომელიც 1979 წელს შეიმუშავა ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ინსტიტუტმა (British Standards Institution, BSI).

შემდეგი ვერსია ორგანიზაციამ შეიმუშავა 1994 წელს, რომელიც ძირითადად იმეორებდა 1987 წლის სტანდარტის სტრუქტურას და აზუსტებდა და შიფრავდა ბუნდოვან დეტალებს. თუმცა, ეს მოთხოვნები საყოველთაოდ პოპულარული გახდა, როცა 2000 წლის 15 დეკემბერს ISO-მ გამოაქვეყნა ISO 9000-ის ბოლოსწინა ვერსია.

საერთაშორისო სტანდარტების ოჯახი სერიიდან ISO 9000:2000 მოიცავს:

- ISO 9000:2000 – ძირითადი კონცეფცია, დებულება და ლექსიკონი.
- ISO 9001:2000 – მოთხოვნები აუდიტისა და სერთიფიცირებისთვის.
- ISO 9004:2000 – მეთოდური მითითებები მენეჯმენტის ხარისხის სისტემის მუდმივი სრულყოფისთვის.

სტანდარტების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი განსაზღვრავენ მოთხოვნებს არა პირდაპირ პროდუქციის ხარისხისთვის, არამედ საწარმოს მართვის სისტემის ორგანიზებისთვის, რომელიც მიმართულია პროდუქციის ხარისხის ნავარეუდვეი და სტაბილური დონის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, ამ სტანდარტების საფუძველს წარმოადგენს “მენეჯმენტის ხარისხის სისტემა” (QMS).

ISO 9001:2000 სტანდარტის თანახმად *მენეჯმენტის ხარისხის სისტემა* – ესაა კომპანიის საქმიანობის იმ ასპექტების მართვის სისტემა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს ხარისხზე. მენეჯმენტის ხარისხის სისტემა, რომელიც პასუხობს ISO 9001-ის მოთხოვნებს – ყველაზე უფრო ცნობილი, გავრცელებული, ლოგიკურად და რაციონალურად დოკუმენტირებულია.

რას მოითხოვს სტანდარტი მენეჯერისგან? კლიენტის მოთხოვნების დაწვრილებით შესწავლას, საკუთარი მუშაობის დაგეგმვას, პროექტების შესრულების მონიტორინგს, შესასრულებელი სამუშაოს წერილობით აღწერას, პერსონალისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მათი მოთხოვნების ანალიზსა და შეფასებას – ანუ, ისეთს არაფერს, რასაც ნებისმიერი ორგანიზაცია არ ისურვებდა. ISO განსაზღვრავს შემდეგ მომენტს – დაწერე რას აკეთებ და მომავალშიც ისე გააკეთე, როგორც დაწერე. მთავარია სტანდარტებიდან არ ამოვარდე.

მაგრამ, მთავარი პლიუსი მდგომარეობს იმაში, რომ აუდიტის შედეგად გამოვლინდება ის ნაკლოვანებები, რომელიც აქვს მართვის არსებულ სისტემას და მათი აღმოფხვრის მცდელობა – უკვე უპირატესობაა. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარეობს სისტემის მუდმივი გაუმჯობესება და დახვეწა.

მსოფლიო ეკონომიკის ყველა სექტორის წამყვანი კომპანია ბიზნესსურთიერთობის დასამყარებლად ირჩევს ISO სერთიფიკატის მქონე ორგანიზაციას.

რაც მის კონკურენტულ უპირატესობაში აისახება. ISO 9000 სერიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სტანდარტები წარმოადგენს ჩარჩო კონვენციას თანამდროვე ბიზნეს-სამყაროში კომერციული მიზნების ეფექტურად მიღწევისათვის. მენეჯმენტის ხარისხის სისტემა მოითხოვს მუდმივ სრულყოფას. შერთიფიცირება კი ერთ-ერთი პირველი ეტაპია ამის მისაღწევად.

ხარისხის სისტემის დანერგვა და სერთიფიცირება იძლევა ორგანიზაციაში არსებული სუსტი რგოლების გამოვლენის, რესურსების ეფექტურად გამოყენების, სამუშაოს გაორების თავიდან აცილების, საწარმოო ოპერაციების დოკუმენტირების, სტრუქტურის დახვეწისა და პასუხისმგებლობების განაწილების საშუალებას.

მაგალითად, შპს “საქართველოს ტელეკომი” 2007 წელს იყო პირველი კომპანია ქართულ სატელეკომუნიკაციო სფეროში, რომელმაც დანერგა მართვის ხარისხის სისტემა საერთაშორისო სტანდარტ ISO 9001:2000 მოთხოვნების შესაბამისად “სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეთავაზება საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და ადგილობრივი კავშირგაბმულობის” დარგში და მიიღო შესაბამისი სერთიფიკატი № შ 518132. რის შედეგადაც ის ითვლება სანდო პარტნიორად, როგორც ინვესტორებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის, პარტნიორებისთვის, კონკურენტებისთვის და რაც მთავარია, მომხმარებლისთვის.

მას შემდეგ, რაც 2008 წლის ბოლოს, გამოქვეყნებულ იქნა ახალი რედაქცია ISO 9001:2008 სახით, გაჩნდა საჭიროება ახალ სტანდარტთან ადაპტირების. ISO-მ და აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმმა (IAF) გამოაქვეყნა რიგი რეკომენდაციებისა, დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ISO 9001:2008 არ შეიცავს რაიმე არსებითად განსხვავებულ ახალ მოთხოვნას. ორივე ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ახალი რედაქცია მხოლოდ და მხოლოდ აზუსტებს მოთხოვნებს, რომლებიც ფორმირებულ იქნა 8 წლის წინ.

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს სტანდარტ ISO 9001-ის შემმუშავებელსა და გამავრცელებელს, თავად არ ახდენს აუდიტსა და სერთიფიცირებას. ამ მომსახურებას ახორციელებენ კერძო ორგანიზაციები მისგან აბსოლიტურად დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია არ აკონტროლებს ამ ფირმებს. მან მხოლოდ შეიმუშავა სპეციალური საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც არეგულირებს მსგავსი ორგანოების მუშაობას ყველას მიერ აღიარებული წესების მიხედვით. მაგალითად, საერთაშორისო სტანდარტი ISO/IEC 17021:2006 უყენებს მოთხოვნებს ორგანიზაციებს, რომლებიც ატარებენ მენეჯმენტის სისტემის აუდიტსა და სერთიფიცირებას.

თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა კონკურენცია, ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს ხარისხიანი პროდუქციის ან მომსახურების წარმოება და მისი მიწოდება მომხმარებლისათვის. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების მმართველმა რგოლმა ეფექტურად უნდა დანერგოს ხარისხის მართვის სისტემები, შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებულთან და გამუდმებით იზრუნოს ორგანიზაციის უწყვეტ განვითარებაზე. ნებისმიერ ორგანიზაციას, მისი ზომების და საქმიანობის სფეროს მიუხედავად, შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია საკუთარ მომავალში მენეჯმენტის ხარისხის სისტემის დანერგვის საშუალებით ISO 9001 მოთხოვნების შესაბამისად.

ლიტერატურა  
Literature

- 1) Jay J. Schlickman, ISO 9001:2000 Quality Management System Design - Artech, 2003
- 2) R. Tricker and B. Sherring-Lucas, ISO 9001:2000 in Brief – Elsevier, 2005
- 3) , - - , 2007
- 4) <http://www.iso-centr.ru>
- 5) <http://www.iso.org>

რეზიუმე

**ISO 9001 – ჩარჩო კონვენცია ბიზნეს-სამყაროში  
კომერციული მიზნების ეფექტურად მიღწევისათვის**

**ბესო ელბაკიძე**

სტატია განიხილავს საერთაშორისო გამოცდილებას მენეჯმენტის ხარისხის სისტემის, საერთაშორისო სტანდარტ ISO 9001 მოთხოვნების შესაბამისად, სერთიფიცირების სფეროში და აანალიზებს მის უპირატესობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

**SUMMARY**

**ISO 9001 – THE FRAMEWORK CONVENTION FOR THE EFFECTIVE  
ACHIEVEMENT OF COMMERCIAL GOALS IN THE BUSINESS-WORLD**

**BESO ELBAKIDZE**

This article is devoted to the international experience in the field of certification of quality management systems according to requirements of international standard ISO 9001 and analyses its advantage for the market economy.

**ISO 9001 –**

-

9001

ISO

## ქართული ოქროს ისტორიიდან

### ზურაბ ოქროსცვარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და  
მეტალურგიის ფაკულტეტის სრული პროფესორი

### ლევან ჩხიკვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და  
მეტალურგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

### იზოლდა კახნიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და  
მეტალურგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

### ნოდარ ვაჩიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და  
მეტალურგიის ფაკულტეტის ლაბორატორიის გამგე


როგორც ცნობილია [1,2] ლითონური მადნების ძირითადი საბადოების ფორმირების შემდეგ, მათი ცალკეული უბნები, რომლებიც დედამიწის ქერქის ზედაპირულ ზონაშია განლაგებული, გამოფიტვას ანუ რღვევას განიცდის ისეთი ფაქტორების ზეგავლენით, როგორცაა სადღეღამისო და წლიური ტემპერატურების ცვალებადობა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომლებიც შეიცავს ქანგბადსა და სხვა ნივთიერებებს. დამწვლელ ზეგავლენას ახდენს ქარი და აგრეთვე პროცესები, რომლებიც მიკროორგანიზმებთან არის დაკავშირებული.

გამოფიტვის პროცესში არა მარტო მადნის სხეულისა და მასში შემავალი ქანების მექანიკური რღვევა ხდება, არამედ გამოფიტვას თან ახლავს ქანებში შემავალი მრავალი მინერალის ქიმიური გარდაქმნაც. ქანების მონატეხები, კვარცის მარცვლები და სხვა მდგრადი მინერალები – მათ შორის ოქროც – ატმოსფერული წყლითა და წყლის ნაკადებით რელიეფის ქვედა უბნებში ჩაიტანება. მასალის ჩატანის პროცესში მისი დახარისხება ხდება მარცვლების სიმკვრივის, ფორმისა და სიმტკიცის მიხედვით (უმთავრესად, სიმკვრივის მიხედვით). უფრო მძიმე მინერალები – მათ შორის ოქროც – ნელა გადაადგილდება და ამიტომ მათი თავმოყრა, ძირითადად, დედისეული, ძირეული საბადოს მახლობლად ხდება. თავმოყრილი მასის მთის კალთებზე ან მდინარის ხეობის ძირზე თანდათანობით გადაადგილებით იგი ქვეითკენ ეშვება. ასე წარმოიქმნება ქვიშრობული ტიპის საბადოები (ქვიშრობები). სწორედ ასეთი ტიპის საბადოსთან გვაქვს საქმე დაბა კაზრეთის რაიონში მიკვლეული (აღმოჩენილი) ძველი დროის მადაროსთან (ე.წ. საყდრის ოქროს საბადოსთან), რომელიც გერმანელი ისტორიკოს-არქეოლოგების მიერ დათარიღებულია, რომ საბადო ფუნქციონირებდა 3-4 ათასი წლის უკან და თავის დროზე ამ საბადოდან ამოღებული იქნა რამდენიმე ათასი ტონა ოქროს მადანი [3].

როგორც აჩვენა ამ მადნების სტრუქტურულმა ანალიზმა, იგი წარმოადგენს განსაკუთრებული ტიპის მადანს, ანუ ისევე, როგორც



ოქროსშემცველ კონგლომერატებს, სადაც კონგლომერატები შედგებიან ერთმანეთთან დაცემენტებული კვარცის მარცვლებისაგან (ზომით 80-150 მკმ), სადაც ჩაწინწკლულია ოქროს ძალზე მცირე ზომის მარცვლები (ზომებით 0,15-0,25მკმ), იხ. სურ. 1 ა) და ბ)



ბ


სურ. 1. კვარცის მარცვლებს შორის ცემენტირებულ შრეში ჩაწინწკლული ოქროს სტრუქტურის სქემა ა) და სტრუქტურა ბ) და გ) X2000.

- 1 – კვარცის მარცვალში გამოყოფილი ოქროს ნაწილაკი.
- 2 – კვარცის მარცვალი.
- 3 – ცემენტირებულ შრეში გამოყოფილი წვრილი ოქროს ნაწილაკები.

ასეთი საბადოს წარმოშობის შესახებ მეცნიერებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ნაწილი თვლის, რომ ოქრო ურანთან ერთად ჰიდროთერმული ხსნარებითაა შეტანილი კონგლომერატში, რომელიც უფრო ადრინდელ გეოლოგიურ სტადიაზე წარმოიქმნა. მეცნიერების მეორე ნაწილი კი ვარაუდობს, რომ ოქროსშემცველი კონგლომერატი წარმოადგენს ადრინდელ ქვიშრობს, რომელმაც მეტამორფიზმი განიცადა. კონგლომერატები ტექნოლოგიურობის მიხედვით ძირეული (სამადნო) ტიპის მადნებს განეკუთვნება.

ასევე არსებობს მოსაზრება, რომ როცა ჰიდროთერმული ხსნარები მოძრაობს სხვადასხვა სახის ბზარებში და როგორც შედეგი წარმოიქმნება დაბალი წნევა და იგი თანდათანობით ცივდება, ქანებთან რთული ურთიერთქმედების შედეგად ჰიდროთერმული ხსნარებისაგან ოქრო და სხვა მინერალები (უფრო ხშირად – პირიტზე, არსენოპირიტზე და კვარცზე) ილექება. გამოლექვის პროცესში ოქრო როგორც მინერალების ზედაპირზე, ასევე მათ შიგნითაც შეიძლება გამოიყოს.

სურ. 2 მოცემულია კვარცის მარცვლების შიგნით გამოყოფილი ოქროს ნაწილაკები, რომლებიც ზომით უფრო დიდია, ვიდრე საზღვარს შორის ჩაწინწკლული ოქროს ნაწილაკები (მათი ზომა დაახლოებით 3,0 მკმ-ს შეადგენს).



X 2000

სურ. 2. კვარცის მარცვალის შიგნით გამოყოფილი ოქროს ნაწილაკი

ასეთი დიდი ზომის ოქროს ნაწილაკების მიკრორენტგენო-სპექტრალურ-მა ანალიზმა აჩვენა, რომ მათი ქიმიური შემადგენლობაა Au=80%, Cu=6% და Ag=14%.

ამჟამად ასეთი შემადგენლობის სამკომპონენტო სისტემის Au-Cu-Ag მდგომარეობის დიაგრამა კარგად არის შესწავლილი და დადგენილია მისი დნობის ტემპერატურა, რომელიც 900-950°C დიაპაზონში მერყეობს [4,5] ამიტომ იმ პერიოდში საკმაოდ მარტივი იქნებოდა მოცემული ქიმიური შემადგენლობის ოქროს ნაწილაკების გადადნობაც.

ასეთი მადნებიდან ოქრო ამოიღება, მარტივი და მაღალმწარმოებლური გრავიტაციული ხერხით – ქვიშის წყალში გარეცხვით. ქვიშრობის საბადოებიდან მადნის მოპოვება და დამუშავება ათჯერ უფრო მარტივია და იაფი ჯდება, ვიდრე ძირეული მადნების გადამუშავება. ამიტომ ქვიშრობის საბადოების დამუშავება იმ შემთხვევაშიც გამართლებულია, როცა მადანში ოქროს რაოდენობა ძალზე მცირეა (0,1 გ/ტ).

დღევანდელ პირობებში არსებულ ტექნოლოგიურ დონეზე ძირეულ მადნებში ოქროს მინიმალური შემცველობა, რომელიც საბადოს რენტაბელურ დამუშავებას უზრუნველყოფს, ჩვეულებრივ 1-4 გ/ტ ფარგლებშია.

ის, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე (ათასობით წლის განმავლობაში) ქვიშრობი საბადოები ოქროს ძირითად სანედლეულო წყაროს წარმოადგენდა, ასეთი ტიპის მადნებიდან ოქროს ამოღების ძალზე მარტივი ტექნოლოგიური პროცესით აიხსნება. უძველეს დროში ქვიშრობის ოქრო საკმაოდ დიდ მასშტაბებში მოიპოვებოდა აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, ჩინეთში, ევროპაში (ესპანეთის ახლანდელ ტერიტორიაზე) და დედამიწის სხვა ნაწილებში და ამ მხრივ არც საქართველოს ტერიტორია ყოფილა გამონაკლისი.

და ბოლოს:

ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგები, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე გერმანიის სამთო მუზეუმისა და ბოხუმის რურის უნივერსიტეტთან ერთად ამ სენსაციურ ფაქტს ალბათ შესაბამის ადგილს მიუჩენენ მსოფლიო ისტორიაში.

მანამდე კი იბადება კითხვა, რომლის პასუხიც ჯერ-ჯერობით ვერ გამოიძებნა. ვის დასჭირდა ქართული ოქრო? და სად წავიდა ამ ძველი საბადოდან გამოტანილი ოქროს საკმაოდ დიდი რაოდენობის მადანი.

## ლიტერატურა Literature

1. Biswas A.K. and W.G.Davenpon \_ Extractive Metallurgy of Copper, Pergamon, New York, 1976.
2. Dennis W.H \_ Metallurgy of the nonferrous metals, Pitmal, New York, 1961
3. დ. ჯავაროძე. „სად არის საყდრისის ოქრო?“, ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო“, 4(28), 2005წ., გვ.16.
4. . . . . „ . . . . . „, 1984 .
5. . . . . « . . . . . » . . . . ., 1946 .

## რ ე ზ ი შ მ ე

### ქართული ოქროს ისტორიიდან

ზურაბ ოქროსცვარიძე, ლევან ჩხიკვაძე,  
იზოლდა კახნიაშვილი, ნოდარ ვაჩეიშვილი

ჩატარებულია დაბა კაზრეთის რაიონში აღმოჩენილი ძველი ოქროს საბადოს (ე.წ. საყდრისის საბადოს) მადნების მიკროსკოპული და მიკრორენტგენოსპექტრალური ანალიზები. მიკროსკოპულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს მადნები წარმოადგენენ კვარციტულ ოქროსშემცველ კონგლომერატებს, რომლებიც შედგებიან 80-150 მკმ ზომის ერთმანეთთან დაცემენტებული კვარცის მარგვლებისაგან, რომელშიც ჩაწინწკულია ოქროს ძალზე მცირე ნაწილაკები – ზომით 0,15-0,25 მკმ. მცირე რაოდენობით, მაგრამ საკმაოდ დიდი ზომის (5 მკმ) ოქროს ნაწილაკები შეინიშნება კვარცის მარცვლების მოცულობაში (გულში).

ასეთი ნაწილაკების მიკრორენტგენოსპექტრალური ანალიზით დადგინდა, რომ იგი წარმოადგენს სამკომპონენტიან სისტემას უ-გ-ჩუ შემდეგი ქიმიური შემადგენლობით: უ-80%, გ-14%, ჩუ-6%, ხოლო დნობის ტემპერატურა მერყეობს 900-950<sup>0</sup>ჩ ფარგლებში.

## S U M M A R Y

### FROM THE HISTOY OF GEORGIAN GOLD

ZURAB OKROSCVARIDZE, LEVAN CHIKVADZE,  
IZOLDA KAKHNIASHVILI, NODAR VACHEISHVILI

Implemented were microscopic and microrentgenospectral analyses of gold ore observed at an old deposit ore of gpld in the Kazreti area (so-called Sakdriss deposit) Microscopic analysis showed that these ores represent gold-bearing quartzitic conglomerates comprising cemented quartzit grains of 80-150 mkm size with tiny particles of gold – 0,15-0,25 mkm disseminated into it. In small quantities, but of rather large size (5 mkm) particles of gold are observed in quartzit grains core.

There was determined through microrentgenospectral analysis, that thes particles represent a ternary system Au-Ag-Cu, the chemical composition of which are as follows: Au-80%, Ag-14%, Cu-6%, while hte melting temperature is within the range of 900-950<sup>0</sup>C.

, ,  
( . . , ). , ,  
80-150 , ,  
- 0,15-0,25 . ,  
(5 ) ,  
Au-Ag-Cu, Au-  
80%, Ag-14%, Cu-6%, 900-950°C.

# მეგალითური ხუროთმოძღვრებით ველურთა კულტურა

## ჯუმბერ მაღალურაძე

### არქიტექტურის დოქტორი

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

წარმოდგენილი სტატია იძლევა მონოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილის შედეგების მოკლე ინფორმაციას. თვით მონოგრაფია კი აშუქებს დედამიწის, სიცოცხლის, ადამიანის წარმოშობა-განვითარების ისტორიის სისტემურ ანალიზს, კანონზომიერებებს და იძლევა თანამედროვე საქართველოს გაუსაძლისის ახსნას.

მეგალითური ხუროთმოძღვრების ნაწილი კი მონოგრაფიის ის შედეგია, რომელიც სრულიად ახალ კონცეფციად წარმოდგა, საერთაშორისოდ მიღებული, არქიტექტურის ისტორიის ამ საკითხებზე არსებული ვარაუდებისაგან განსხვავებით.

არსებული მეცნიერული კონცეფციით ბევრი რამ გაურკვეველია მენჭირების, მენჭირთა ხეივნების, დოღმენების, დახურული დერეფნებისა თუ კრომლეხების შესახებ. უმეტესად მიაჩნიათ, რომ 20 მ-ის სიმაღლისა და 300 ტონიანი მენჭირიც გამოიყენებოდა „საფლავის ძეგლებად ან მონუმენტებად,... დოღმენები ყველაზე ხშირად გამოიყენებოდნენ დასაკრძალავ საფლავებად“ (პ.1, გვ. 7).

პროფ. ი. ციციშვილი და პროფ. ნ. ჯანბერიძე თვლიან, რომ „ჭეშმარიტებასთან უფრო მიგვაახლოვებს კვლევის ისეთი მეთოდი, რომელიც გაითვალისწინებს მათი შემქმნელი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს, ...არსებითაა ნაგებობის დანიშნულება, მისი შენარჩუნება განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებით“ (პ. 2, გვ. 13).

უპირველესად, ჩემი კვლევებით ვცდილობ დავამტკიცო, თუ რა მასალით და მეთოდებით აშენებდნენ მეგალითურ ძეგლებს. მათ აგებდნენ არა გაქვავებული ქანების მოხლეჩვა-დამუშავება გადატანით, თუნდაც რკინის ხანაში – ძვ.წ. 1500 წლების პერიოდში), არამედ თანამედროვე ბეტონის მსგავსი, ადვილად გაქვავებადი, ბლანტი, ნალექური ან გაცივებადი ვულკანური წარმოშობის მასალებისაგან.

ასეთი მტკიცების საფუძველს იძლევა ის, რომ ჯერ კიდევ მღვიმეებში მაცხოვრებელი ველურები მიხვდებოდნენ, თუ როგორ ქვავდებოდა მღვიმეში გამონაჟონი სითხე და როგორ შეწეპდებოდა სითხე მრავალგვარი ფორმის სტალაგმიტებად. იგივე ეტაპზევე მიხვდებოდა, რომ ყველაფრის გადამზავი და წამლეკავი ვულკანური ლავა. თანდათანობით გაცივებით გამაგრდებოდა გრანიტად, ტუფად და ა.შ. ან სხვადასხვაგვარად ნალექების ლავი გაშრებოდა და შეწეპდებოდა ქვის ქანებად. განყინვარებათა პირობებში სითბოს მაძიებელი ველური იმასაც მიხვდებოდა, რომ ახლადგამყარებული ლავის ქვეშ არსებობდა თბილი ფენები, რომელთა სითბო ამოდიოდა დედამიწის ზედაპირზე ისევე, როგორც დედამიწის გულში მილიარდობით წელია 4000-5000°C ლავა მძვინვარებს და 600-700°C-მდე აცხელებს ქანებს, დედამიწის ზედაპირიდან 70 კმ-ის სირღმეზე.

ვლ. გლაზიჩევის ცნობით, ვულკანური ლავა, პირველად 1750000 წლის წინათ გამოუყენებიათ აფრიკაში, ოლდუვანის ხეობაში მცხოვრებთ, ბრტყელი მოედნისათვის (პ. 3, გვ. 5).

ასეთი გამოცდილების შემდეგ გასაგებია ის, რომ უკვე ძვ. წ. 10000-8000 წლებში შეძლო ვულკანს ან დანალექებს კი არ დალოდებოდა, არამედ ხელოვნურად დაემზადებინა ალიზის აგურები, გამომწვარი კერამიკული ჭურჭელი და ველურობიდან ბარბაროსებად ჩამოყალიბებულიყო.

ბლანტი მასალის ბუნებრივად გაქვავების უტყუარი ფაქტი. ქქუთაისთან მდებარე სათაფლიას ნაკრძალში მიკვლეული დინოზავრის 200-მდე ნაკვალევი. ანუ 137 000 000-67 000 000 წლის წინანდელი ნაკვალევი ისე გაქვავდა, რომ ის ვერ დაშალა ბუნების ცვალებადობამ. პირიქით – დრომ უფრო და უფრო გააკაჟა.

რატომ ალიზით, ან გამომწვარი აგურით, ან კირის გამოყენებით არ ააგო უკვე ასეთი კულტურის დონეზე მყოფმა ცივილიზებულმა (დამწერლობაც მკვიდრდებოდა) ადამიანმა და რატომ გამოიყენა გაქვავებადი ბლანტი ქანები???

ამ კითხვაზე პასუხობს კაცობრიობის განვითარების მუდმივმოქმედი ის კანონზომიერება, რომ ადამიანი მუდმივად ცდილობს მინიმალური შრომით მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. ამ კანონზომიერების გამოა, რომ ყველაზე მჭიდროდ დასახლდა დედამიწის სუბტროპიკული სარტყელები, ქალაქის ცენტრალური რაიონები, გზის პირები და არა სუბპოლარული სარტყელი, ან მაღალმთიანეთი... სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ სწორედ ამავე კანონზომიერებით უარყოფდა შემოქმედი ადამიანი ალიზის ხელოვნურად დამზადების პროცესსაც (ნამჯარეული თიხის მოხელას, მის ფორმებად დალაგებას და მზეზე გამოშრობას), უარყოფდა ქვების მოხლეჩვა-გათლით ქვების დამზადება-მშენებლობაში გამოყენებასაც იმ ხელსაყრელ პირობებში, როცა იოლად მოიპოვებდა ბუნებრივად არსებულ, ბლანტ, იოლად გაქვავებად, ნებისმიერი ფორმის ასაშენებლად ვარგის მასალას.

შემდეგი ჩემი სიახლეები პასუხობს კითხვებს, თუ თავდაპირველად როდის, სად და რატომ ააშენებდა, მაინც საკმაოდ შრომატევად ნაგებობებს, ძალზე რაციონალისტი შემოქმედი ადამიანი???


ჩემი კონცეფციით მენჭირებიც, დოლმენებიც, კრომლეხებიც, მენჭირების ხეივანიც თავდაპირველად ააგეს მინიმუმ 80000 წლით ადრე, ვიდრე დღეს მიკვლეული ძეგლებია. ისინი ააგეს ადამიანის პირველ სამშობლოში – აფრიკაში და იქიდან გავრცელდა დედამიწაზე, ადამიანის განსახლების მიმართულებათა შესაბამისად. ისინი გავრცელდებოდნენ როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაგებობები – როგორც ადამიანთა **ჯგუფების ერთობლივად** ნადირობისას გარანტირებული თავდაცვა – საფარისა, როგორც მამონტის, მარტორქის, დათვის., მისადუნად ორიენტირისა, როგორც ცხოველების ცოცხლად დაჭერის ხაფანგებად გამოყენებისა და ჭარბი მალფუჭებადი საკვების საიმედოდ შენახვისათვის, ზოგჯერ საცხოვრებლადაც.

შემდგომში ანალოგიური ნაგებობები შესაძლოა გამოეყენებინათ სხვა დანიშნულებითაც ისევე, როგორც მარცვლეულისა თუ ღვინის შესანახი ქვევრები, შემდგომში ადამიანთა დასამარხდაც გამოიყენებოდა, ხოლო ქვის უძველესი მშრალი წყობა მიწურების გასამაგრებლად, დღესაც კი ფართოდაა გამოყენებული მთის მაცხოვრებელთა მიერ, მაგრამ ღობეების მშენებლობისას.

უფრო გასაგები რომ იყოს ჩემი კონცეფცია ორიოდე წინადადებებით განვმარტავთ.

არქეოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ჯერ კიდევ მუსტიეს კულტურის ეტაპზე (100 000-33 000 წლების წინათ), ანუ როცა ჯერ კიდევ არ მიეგნოთ შუბისათვისაც კი, მშვილდ-ისარზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ველურები ახერხებდნენ მოეკლათ 3 მეტრის სიმაღლისა, 7 ტონიანი და სპილოს ეშვებიანი მამონტიც კი და მისი ძვლებისა და ბეწვიანი ტყავისაგან აეგოთ თავშესაფარი კარვებიც.

მიმაჩნია, რომ ამას ისინი შეძლებდნენ, თუ მენჰირს ააგებდნენ როგორც ორიენტირის მამონტის გამომდენათვის, ხოლო საფარს – ხელცულებითა და ლოდებით მონადირეთა დასამალავად (ნახ. 1). მრავალტონიან მენჰირს მამონტიც კი ვერ გადააბრუნებდა, მასზე საიმედოდ მიაყრდნობდნენ ტოტებიან ხეს, ტოტებზე შემომსხდარი ველურები ზემოდან დააყრიდნენ ლოდებს მოულოდნელად მამონტს, მარტორქას, დათვს,... და მიწაზე დაცემულს იოლად მოუღებდნენ ბოლოს.



ნახ. 1. მენჰირთან მიდენილ მამონტზე დოლებით ნადირობის ავტორისეული ჩანახატი



ქაილოპიან




სოფ. ეშერასთან

ნახ. 2. ეშერას დოლმენის სახურავის ფილის წონა 22500 კგ-ია. ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო და II ათასწლეულის დასაწყისი

**დოლმენს** ააგებდნენ ორი უმთავრესი დანიშნულებით – ერთი ცხოველთა მონადირეების, ან ცოცხლად დაჭერისა და, მეორე, ჭარბი საკვების საიმედოდ შესანახად, მის საიმედოდ დასაცავად 40°C სიცხის ზემოქმედებისაგანაც და მტაცებელთა, თუ მოძალადე კაციჭამიათა ჯგუფის შემოტევისაგანაც (ნახ. 2). დოლმენის მასიურობა აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ 7000 კგ წონის მამონტსაც ვერ დაეზვია 22500 კგ-იანი სახურავის ფილიანი დოლმენი. მითუმეტეს ამას ვერ შეძლებდა ვერც 700 კგ-იანი დათვი და ვერც 112 კაციანი ველურების თემი თავდასხმისას, თუნდაც თითოეულ მათგანს შეძლებოდა 200 კგ-იანი ტვირთის აწევა. დოლმენის 18-25 მ-იანი პერიმეტრის ირგვლივ ვერ დაეცეოდა 50 კაცზე მეტი, ანუ თითოეულს უნდა შეძლებოდა 22500 კგ. : 50=450 კგ-ის აწევა იმისათვის, რომ როგორმე დოლმენის სახურავი გადაეცოცებინათ და ერთობლივი ძალისხმევით მოეხიზებინათ კარბი

საკვების მიტაცება. დოლმენის ერთადერთ ხვრელში თავის შეყოფით მიტაცება კი, თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

მასიური სახურავი აუცილებელი იყო ცხოველის თავზე ჩამოცმული ორკაპის ჩასატყვად. ასევე კედლების მასიურობაც, ამ ორკაპის შიგნიდან ძელზე ჩასამაგრებლად ან შიგნიდან ხვრელში თავშეყოფილის გასატყვად ჩასაფრებული ველურის ძელით (ნახ. 3).



ნახ. 3. დოლმენის ვიწრო ხვრელში თავშეყოფილის ქვებით მონადირების ავტორისეული ჩანახატი

ძაღლმაც კი იცის ჭარბი საკვების მიწაში ჩაფლვით შენახვა, და, მით უფრო, მღვიმე-გამოქვაბულებში საუკუნეობით ნაცხოვრებ, უკვე დიდ შემოქმედ ველურებსაც უკეთ ეცოდინებოდათ, მასიური კედლებითა და ხვრელებს მოკლებულ სათავსებში ჭარბი საკვების შენახვის საიმედოობა, განსაკუთრებით კი აფრიკის 40°C ჰაერის პირობებში. დოლმენის ვიწრო ხვრელიან შესასვლელში შესვლაც თვითმკვლელობის ტოლფასი იყო და გამოსვლაც, როცა დოლმენი ალყაშემორტყმული იქნებოდა. მაშინ შიგმყოფთა ერთობლივად დაღუპვაც გარანტირებული უნდა ყოფილიყო და არქეოლოგების მიერ მიკვლეული და აუხსნელი უწესრიგოდ გაფანტული ჩონჩხებიც ახსნადი ხდება. მოშიმშილე ჯგუფის სხვადასხვა წევრი განსხვავებულად გარდაიცვლებოდა.


**კრომლეხების** თავდაპირველი ფუნქციაც იქნებოდა არა რელიგიური რიტუალი, არამედ სწრაფად მორბენალი, კრომლეხთან მიდენილი ცხოველების სიჩქარის შენელება, მოულოდნელობით დაბნეულობა-შეჩერება და ჩასაფრებულ ველურთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

აფხაზეთში მიკვლეული ორი კრომლეხი, რომლებიც ერთმანეთის გვერდითაა აგებული, წრეებზე განლაგებული 100 სმ-მდე სიმაღლის ქვებისაგან, ანდა საფრანგეთის კარნაკში მწკრივებად განლაგებული ქვების ხეივანიც, წარმომადგენია როგორც სწრაფად მორბენალი კურდღლის, შველის, ირმის, ღორის,... მოსანადირებელი ნაგებობები ველურთა თემის ერთობლივი ძალისხმევით.

ქვების უკან ჩასაფრებული ბავშვები, ან მოზარდები, თავისი მოულოდნელი გამოჩენით, ან ქვის სროლით გეზს შეაცვლევინებდნენ, ან წამით შეჩერებდნენ, თავშესაფრის მაძიებარ, ან ხმაურით მათკენ გამოდევნილ დამფრთხალ ცხოველებს. შეჩერებულ ცხოველს კი იოლა




მათივე თემის მონადირეები. ქვების ერთი წრე იქნებოდა ერთი თემისათვის, ხოლო მის გვერდით აგებული კი – მეზობელი თემისათვის.



I

ინგლისში სთოუნჰენჯის კრომლექის შიგნით შედენილი ნებისმიერი ცხოველი იოლად მოსანადირებელი იქნებოდა ლოდებითაც, ზღუდარებზე შემოწოლილთა მიერ, შუბისა და მშვილდ-ისრის გარეშეც, ხოლო ასეთი იარაღების ფართოდ გავრცელება-გამოყენების შემდეგ კი – ნადირობას პიროვნულადც შეძლებდნენ, შორი მანძილიდან, მაშინ მეგალითური ძეგლები შეიძენდნენ ისეთ ახალ ფუნქციებს, რომელსაც თანამედროვე მეცნიერთა უმრავლესობა ვარაუდობს – მემორიალები, საკულტო რიტუალები, დასაკრძალავები.



III



II

ნახ. 4. კრომლექების ხედები: I – აფხაზეთისა; II – საფრანგეთის კარნაკისა; III – ინგლისში – სთოუნჰენჯისა.

ნახ. 5-ის ავტორისეული II ვარიანტი დოლმენის ხაფანგად გამოყენებისა, ბილიკად დაყრილი საკვებით მიტყუებული ცხოველების ცოცხლად დაჭერისა. დათვს ხუთჯერ უფრო განვითარებული ყნოსვა აქვს ვიდრე ძაღლს.



მეწიროებსაც, დოლმენებსაც, კრომლექებსაც, ყველა შემთხვევაში ააგებდნენ, თემის დასახლებიდან საკმაოდ მოშორებულ და იოლად მისადგომ ადგილას. ეს აუცილებელი იქნებოდა თაცშესაფარ-კარვების გადარჩენა-შენარჩუნებისათვის, ნადირობის დროს მათი მოსალოდნელი ნგრევა-დაშლისაგან. გინდ მამონტს, დათვს, მარტორქას, ხარს

გაკვრით შექმნილი მათი დანგრევა. ამიტომ ამ დროსაც კი ჩაისახებოდა დასახლების ტერიტორიათა ზონირების ის მეთოდები, რომლებიც ფართოდაა გამოყენებული თანამედროვე ქალაქდაგეგმარებაში.


რატომ არ არის აღმოჩენილი მინიმუმ 80 000 წლის წინანდელი მეგალითური ნაგებობები, მაშინ როცა აღმოჩენილია 2 000 000 წლის წინანდელი ველურის ჩონჩხი???

ყველაზე პირვანდელი მეგალითური ძეგლი უნდა შექმნილიყო გაადამიანების ერთ-ერთ უძველეს სამშობლოში – აფრიკაში. სწორედ აფრიკაში იპოვეს ადამიანის უძველესი წინაპრის (2 000 000 წლის წინანდელი) ჩონჩხი ტანზანიაში, კენიაში, საჰარაში. სწორედ საჰარაში მდებარეობს კატარის ღრმული, რომელიც ზღვის დონეზე 133 მ-ით დაბლა მდებარეობს, ხოლო საჰარის უდაბნოს ზედაპირთან შედარებით კი – 433 მ-ით დაბლაა. ამ ღრმულს, ყოველწლიურად, 50 დღის განმავლობაში, საჰარიდან უბერავს ქვიშიანი ცხელი ქარი – ხამსინი. არ დაიმარხებოდნენ მეგალითური ძეგლები??? ასევე აქ ნალექები არ მოდის რამდენიმე წელიწადს, მაგრამ უეცრად წამოსული თავსხმა აუდებში იწვევს წყალმოვარდნას, მთაში – სელს.

ასეთი ძეგლების გაუჩინარება აიხსნება მათი დასახლებებიდან დაშორებით აგების აუცილებლობითაც. ასეთი დაშორებების აუცილებლობა დადასტურდა ინგლისელი არქეოლოგების მიერ ეხლახან აღმოჩენილი ნამოსახლარით, სოლუნჰენჯის პრომლეხიდან 3 კმ-ის დაშორებით.

რაზე „მდერის“ მეგალითური ხუროთმოძღვრება, თანამედროვე საქართველოს გაუსაძლისის ახსნის თვალსაზრისით???

უპირველეს ყოვლისა სადაო არ უნდა იყოს ის, რომ ისინი **ხელოვნურად** შექმნეს ჯერ კიდევ ველურებმა. მიუხედავად იმისა, რომ კაპადოკიაში არსებობს უამრავი ბუნების მიერ შექმნილი, უზარმაზარი და სხვადასხვა ფორმის ქვის საოცრებები (ნახ. 6) დოლმენის და კრომლეხის ხელოვნურად შექმნა და მისი საერთო (არა პიროვნული) მნიშვნელობა უდავოა. ანუ პიროვნების ბრძოლა არსებობისათვის წარმოუდგენელი იყო ერთობლივი ძალისხმევის, ურთიერთ დახმარების გარეშე. ლომებიც კი ერთობლივად ნადირობენ კამეჩებზე და ა.შ.



ნახ. 6. კაპადოკიის ბუნებრივ საოცნებათა ხედები.

კაცობრიობის განვითარების ყოველი მომდევნო ეტაპი, წარმოადგენდა, უსაზღვრო შემოქმედებით უნარზე დაფუძნებულ, **ხელოვნურობით გაადამიანების უწყვეტ და მუდმივ კანონზომიერებას**. ეს კანონზომიერება მოიცავს პიროვნულსაც და საერთოსაც, პიროვნებათა გაერთიანების აუცილებლობას

ოჯახებად, გვარებად, ტომებად, ერებად, თუ ერთაშორისო კავშირებად ისეთი საარსებო პრობლემების გადასაწყვეტად, რომელსაც ვერცერთი ცალკეული პიროვნება ვერ გადაწყვეტდა და დღესაც ვერ წყვეტს. მინიმუმ 80 000 წლის წინათ ველურთა ასეთ პრობლემად იყო მამონტებზე, მარტორქებზე, დათვებზე... ნადირობით საკვების მოპოვებაც და ანალოგიური ველურებისაგან თავდაცვაც.

გაადამიანების **ხელოვნური გზები** მუდმივად უპირისპიდებოდა ვინ ვის მოერევას **ცხოველურ გზებს**. ეს დღესაც გრძელდება. კაცობრიობა იგივე კანონზომიერებებით ვითარდება.

გაადამიანების **გზებით შენიღბულმა** თანამედროვე უცხოელებმა **ცხოველური გზებით** დაგვანგრევინეს (თავისით კი არ დაინგრა) ჩვენი საარსებო ეკონომიკა, უცხოელები დააპატრონეს არა მარტო თანამედროვე დოღმენებს – ქარხნებს, ენერგეტიკას, პორტებს... არამედ წყალსაც... ტერიტორიებსაც, ანუ იმასაც, რისი დაცვაც ყოველმა ცხოველმაც კი იცის და მათხოვრებად ხელგაშვერილებს „მეგობრულად გვეხმარებიან“.

უფრო ფართოდ დაინტერესებულებს – მონოგრაფიით ახლო მომავალში.

## ლიტერატურა Literature

1. . . . . „ . . . . . », 1978.
2. . . . . „ . . . . . », 1976.
3. . . . . „ . . . . . », 1986.
4. ქართული საბჭოთა ენციკლიპედია, ირ. აბაშიძის მთ. რედაქტორობით, 1÷11 ტომი, 1965-1987.

## რ ე ზ ი უ მ ე

### მეგალითური ხურთიმოკვრებით ველურთა კულტურა

#### ჯუმბერ მაღალურაძე

წარმოდგენილია ახალი კონცეფციის უმთავრესი შედეგები, მეგალითური ნაგებობების სამშენებლო მასალის, აგების მეთოდის, ფუნქციების, თავდაპირველთა შექმნის ადგილისა და მიახლოებითი თარიღის დაზუსტებისათვის. ამ კონცეფციით ხაზგასმულია კაცობრიობის განვითარების კანონზომიერებები და ახსნილია საქართველოს თანამედროვე გაუსაძლისი მდგომარეობა.

## **S U M M A R Y**

### **CULTURE OF SAVAGES BY MECASLITHOS ARCHITECTURE**

#### **JUMBER MALAGURADZE**

There is presented the principal findings of new conception, about the building material, method of erecting, a function, place of the creation of the earliest and approximate chronicles of the megaliths architecture. By this conception underlines the headed natural developments of the humanity and Georgia's unbearable conditions.

## „პრიცკერი“-ს პრემია და თანამედროვე არქიტექტურა

### ენა პოტაკოვა

#### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი

„არქიტექტურის ნობელის პრემიად“ მიჩნეული, 1979 წელს პრიცკერების ოჯახის ინიციატივით ჰაიატის ფონდის მიერ დაარსებული პრიცკერების არქიტექტურული პრემია წარმოადგენს ყველაზე პრესტიჟულ ყოველწლიურ ჯილდოს არქიტექტურაში.

ამ პრემიის მიზანია დაანახონ საზოგადოების თანამედროვე არქიტექტურის მნიშვნელობა ცვალებად სამყაროში. იგი ხელს უწყობს არა მარტო საზოგადოების მხრიდან არქიტექტორის, როგორც ოსტატის, აღიარებისა და ნაღვაწის უკეთ აღქმას, არამედ მათი შემოქმედების შემდგომ სტიმულირებას, მისი ნიჭის, გამორჩეული მხატვრული ხედვისა და საქმისადმი თავდადებას გამოვლინების საერთო – საკაცობრიო კულტურასა და გარემოს განვითარება-სრულყოფაში.

თავდაპირველად ლაურეატი ჰენრი მურის ქანდაკების ასლის მფლობელი ხდებოდა, ხოლო 1987 წლიდან სერტიფიკატთან და ჯილდოსთან (100.000\$) ერთად გადაეცემათ ცნობილი ჩიკაგოელი არქიტექტორის ლუის სალივენის დიზაინით დამზადებული ბრინჯაოს მედალი, რომლის ერთ მხარეს ამოტვიფრულია პრემიის სახელწოდება, ხოლო მეორე მხარეს კი ჰენრი ვოტონის ცნობილი ტრაქტატიდან „არქიტექტურის შემადგენელი ელემენტები“ (1624 წ.) ნასესხები სამი პირობა – „სიმყარე, მოხერხებულობა, აღმაფრენა“. პრიცკერის პრემიის გადაცემის ოფიციალური ცერემონიები ტარდება არქიტექტურული ღირსებებით გამორჩეულ შენობებში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, არამედ კულტურების თავისებურებებიც. ნომინაციაში მონაწილეობენ 5000-მდე ნომინანტი 45 ქვეყნიდან. საბოლოო არჩევანს წყვეტს ჟიური ფარული კენჭისყრით. ნომინაციების წარდგენის პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად, წლიდან წლამდე, მაგრამ მიუხედავად მისი სტაბილურობისა და წესების სიმრავლისა პრიცკერის პრემია მერყევი სტრუქტურა გახლავთ. ამას ადასტურებენ შემდეგი საინტერესო ფაქტები: 1988 და 2001 წლებში, როდესაც ჟიურიმ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ერთი კანდიდატურის შესახებ და პრემია ერთდროულ ორ ხუროთმოძღვარს მიანიჭა. [1]

1988 წელს ჟიურიმ პრემია მიანიჭა გორდონ ბანშაფტსა და ოსკარ ნიმიერს, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად მოღვაწეობდნენ. არაა გამორიცხული წესების ასეთი მიმართულებით შეცვლის დაკავშირება პრიცკერის პრემიის არსებობის 10 წლისთავის ფაქტთან.

ჟიურიმ აღნიშნა გორდონ ბანშაფტის თითოეული შენობა როგორც შედეგრი. მისი არტისტული არქიტექტურა ირეკლავს ბრაზილიური კულტურის გამოსახულებას. ბანშაფტის მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი საკაცობრიო კულტურაში არქიტექტურის, როგორც „ხელოვნების ფუძემდებლის“, წყალობით – არის მსოფლიო უდიდესი ღირშესანიშნაობა. [1,2]

ხოლო ოსკარ ნიმეიერი გამოხატავს ორიგინალურ მხატვრულ ენას თავისი პროექტების წყალობით, რომელიც არ იცვლება დროის გავლენის მიუხედავად. მისი არქიტექტურა მსხვილი და ლაკონურია, უპირატესობას ანიჭებს მარტივ გეომეტრიულ ფორმებს და ერიდება სტანდარტულობას. მან შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მასალებით უნიკალური არქიტექტურის შექმნა, რომელიც დღევანდელი ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად იქცა.

პლასტიური სიმრუდე და ზუსტი გეომეტრია ახასიათებს მათ განსხვავებულ არქიტექტურულ ხედვას და მიდგომას პროექტირებისადმი. ორივე ხუროთმოძღვარი წარმოადგენს მოდერნიზმის ფილოსოფიის ოსტატურად, თუმცა სხვადასხვა გზით, აღქმის მაგალითს. [1,2]

2002 წელს აღნიშნული პრემიის ლაურეატები გახდნენ შვეიცარელი არქიტექტორები ჟაკ ჰერცოგი და პიერ დე მეირონი. მათი არქიტექტურა წარმოადგენს ერთმანეთის ნიჭის და შემოქმედებითი უნარის შევსების ერთიანობას.

ჟაკ ჰერცოგს და პიერ დე მეირონს არ აქვთ ერთი კონკრეტული სტილი: ყოველ პროექტში ცდილობენ სიახლის შეტანას: გამოიყენონ და გააცოცხლონ საყოველთაოდ მიღებული ფორმები და ნორმები. მთავარი კონცეფცია მდგომარეობს ადგილობრივი კონტექსტის სიახლეების ათვისებაში. მოჩვენებითი ქაოსი სინამდვილეში გააზრებულად დაპროექტებული და ათვისებული სივრცეა, რაც მათი შემოქმედების სტრატეგია გახლავთ. ძნელია გაიხსენო სხვა არქიტექტორები რომლების შემოქმედება იქნებოდა ამდენად ვირტუოზული და წარმოსახვითი. ეს არქიტექტორები ახერხებენ პროფესიული ხელობის კომბინირებას ტექნოლოგიების ნოვაციებთან. მათი ნამუშევრები წარმოადგენენ ევროპული ტრადიციების მიმდინარე ტექნოლოგიებთან შერწყმის მაგალითებს, რომლებიც განხორციელებულია უჩვეულო და თვალწარმტაც ნაგებობებში. ამ ორი არქიტექტორის შემოქმედება წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე. ხოლო მუშაობის ასეთი გზით ისინი ავსებენ ერთმანეთის ნიჭს, წარმოსახვას, ეფექტური სივრცეების შექმნის უნარს, რითაც ახდენენ ამ ფაქტორების სრულყოფას.

ახალი მეთოდების შესწავლის გზით, მასალების და შენობის ზედაპირის გარდაქმნის საშუალებით მიაღწიეს იმ უმაღლეს დონეს და ხარისხს, რომელიც დაკავშირებულია შვეიცარული სკოლის უმაღლეს არქიტექტურასთან: კონცეპტუალური და ფორმალური სიზუსტე, რესურსების რაციონალური გამოყენება. ჰერცოგმა და მეირონმა განაახლეს მოდერნიზმი ელემენტების სიმარტივით, გაასწრეს დროს და შექმნეს მომავლის არქიტექტურა. სწორად ამ ნაგებობებით მსოფლიო არქიტექტურამ შემოაბიჯა ახალ XXI საუკუნეში.

მიუხედავად იმისა რომ ეს პრემია ენიჭება არქიტექტორს რამდენიმე რეალიზებული პროექტის მიხედვით, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საკაცობრიო კულტურაში, 2003 წელს იორნ უტზონმა პრემია მოიპოვა მხოლოდ ერთი პროექტის – სიდნეის ოპერის წყალობით, რომელიც გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობა მსოფლიოში, დაამკვიდრა პლასტიკის მნიშვნელობა და ესთეტიკა თანამედროვე არქიტექტურაში. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პროექტმა მოუტანა არქიტექტორს აღიარება და გახდა პრიცკერის პრემიის მოპოვების მთავარი მიზეზი. მსოფლიო თანამედროვე არქიტექტურისათვის სიდნეის ოპერა წარმოადგენს ავსტრალიის სიმბოლოს. იგი გახლავთ XXI ს-ის არქიტექტურის სილამაზის, ალამაზობის.

სიმდიდრის და ამავედროულად ტექნოლოგიური ნოვაციების მაქსიმალური გამოყენების მაგალითი. [1,2]

უნიკალური ხედვის და შეუდარებელი წარმოსახვის წყალობით თავის შემოქმედებაში უტზონი ყოველთვის ასწრებდა დროს. სიდნეის ოპერის თვალწარმტაცი შენობის მაგალითიდან გამომდინარეობს, რომ მოჩვენებითი სირთულე დამოკიდებულია არქიტექტორის ნიჭზე და თანამედროვე შესაძლებლობებზე. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნოვანი პროექტის ბოლო ეტაპზე უტზონს ჩამოართვეს ყველანაირი უფლებები და პროექტის დამთავრება გადასცეს ერთ-ერთ ავსტრიულ არქიტექტურულ ჯგუფს, რომელმაც კორდინალურად შეცვალა ოპერის ინტერიერი, სიდნეის ოპერა ყოველთვის გამოიწვევს ასოციაციას მხოლოდ ერთ სახელთან – იორნ უტზონთან.

ასევე ერთი პროექტი – პომპიდუს ცენტრი გახდა რენცო პიანოს და რიჩარდ როჯერსის დაჯილდოვების მთავარი მიზეზი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათი დაჯილდოვება მოხდა ცალცალკე 8 წლის ინტერვალით. რენცო პიანოს (1998) შემოქმედებითი გზა არის უწყვეტი კვლევა, როგორც კულტურის და ისტორიის, ასევე ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის სფეროებში. იგი მკაფიო ხაზს უსვამს სტილს და ფუნქციურობას. არქიტექტორი გატაცებულია მსუბუქი ელემენტებით, შენობის გამჭვირვალობით და ბუნებრივი სინათლის გამოყენებით. პიანოსთვის მთავარია გარემოს ხასიათი და პროექტის აღქმა, როგორც ემოციური ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ცდილობს ახალი ტექნოლოგიების შესწავლას და გამოყენებას.

შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს რიჩარდ როჯერსის მნიშვნელოვანი როლი XXI საუკუნის არქიტექტურაში. როჯერსი ცდილობს მაქსიმალურად გაუსვას ხაზი შენობის ისეთ თვისებებს რომლებიც მანქანასთან აკავშირებენ მას: ჩარჩო რომელზეც “მაგრდება” კედლები, ასევე კომუნიკაცია, მოძრავი ელემენტები, ესკალატორები, ჟალუზები და ა.შ., ამასთანავე თავის შემოქმედებაში არქიტექტორი დიდ ყურადღებას აქცევს თანამედროვე ქალაქის სივრცის პრობლემებს და შენობის, როგორც ურბანული გარემოს ელემენტის, მნიშვნელობას.

რიჩარდ როჯერსის მოღვაწეობის აღიარება მოხდა შედარებით გვიან (2007 წ.). ეს დაკავშირებული იყო საზოგადოების მოუშხადებლობასთან მიედო მისი იდეოლოგია და ხედვა, რაც წარმოადგენს მოდერნიზმის მთავარი იდეის მაჩვენებელს – “შენობა როგორც მანქანა”. მაგრამ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება საზოგადოების მოთხოვნილებებიც, კომფორტული და დახვეწილი სივრცეების შექმნისათვის ძალზე მნიშვნელოვანი გახდა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. 2003 წელს მსოფლიომ აღიარა რიჩარდ როჯერსის ნიჭი – ტექნოლოგიების, მასალების და ფორმების შესწავლა, გამოყენება და შერწყმა. [1,2]

ამდენად პრიცკერის პრემიის მთავარი ამოცანაა არქიტექტურაში ამა თუ იმ მიმდინარეობის, სტილს, კონცეფციის, ტენდენციის აღმოჩენა და მათი ადგილის განსაზღვრა თანამედროვე ურბანიზებულ, ქაოტურ სამყაროში.

პრიცკერის პრემია მსოფლიო არქიტექტურის ენციკლოპედიაა, სადაც ასახულია თანამედროვე არქიტექტორების მიერ გადაჭრილი უამრავი პრობლემები. ვინაიდან დღეს, გლობალიზაციის პირობებში ერთი არქიტექტორის მიღწევა არ იფარგლება ერთი ქვეყნის საკუთრებად, არამედ ის მსოფლიო საკუთრებაა.

მსოფლიო უახლესი არქიტექტურა ახალი პრიორიტეტებისა და ფასეულობების ძიებაშია. ძალზე აქტუალური გახდა დაპირისპირებები: გლობალური – ლაკონური, ქაოსი – წესრიგი, წარსული – მომავალი. თანამედროვე არქიტექტურა არ არის არსებული სტილების ბრმად განმეორება, ეს არის “დამოუკიდებელი მიმართულება”. არქიტექტორი ვერ იქნება ერთდროულად კომპეტენტური ყველა პრობლემის და ტექნოლოგიის სიმრავლის მიმართ, მაგრამ უნდა ფლობდეს ამ პრობლემების ლოგიკურად და მაქსიმალურად გამართლებულად გადაჭრის უნარით. იმისათვის რომ სათანადოდ შეაფასო არქიტექტორი, საჭიროა არა ერთი კონკრეტული შენობის, არამედ ხუროთმოძღვრის შემოქმედების, იდეოლოგიის, ურბანული გარემოს და თანამედროვე არქიტექტურის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა. მხოლოდ ამ თვისებებისა თუ კრიტერიუმების შესწავლის შემდეგ შეიძლება აზრის გამოტანა. მით უმეტეს რომ თანამედროვე არქიტექტურაში ძნელია დაახასიათო ხუროთმოძღვრის შემოქმედება ერთ სტილზე დაყრდნობით, რადგან დღესდღეობით მოხდა სტილების არევა.

სამყაროს განვითარების პროცესს თვალყური არამარტო არქიტექტურის სფეროში მოღვაწე პიროვნებებმა უნდა ადევნონ, არამედ მთელმა საზოგადოებამ, რომელიც არ უნდა იყოს გარემომცველი სამყაროსადმი გულგრილი. რადგან ხუროთმოძღვრის ნამუშევარი არის ხელოვნების ყველა დარგის რთული სინთეზი, რომელიც აყალიბებს უნიკალურ გარემოს, რომელსაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთ.

## ლიტერატურა Literature

1. [www.pritzkerprize.com](http://www.pritzkerprize.com)
2. [www.archi.ru](http://www.archi.ru)

## რეზიუმე

### „პრიცკერი“-ს პრემია და თანამედროვე არქიტექტურა

#### ინა პოტაპოვა

ნაშრომში წარმოდგენილია პრიცკერის არქიტექტურული პრემიის მინიჭების წესები, თავისებურებები და გამონაკლისები. კერძოდ განხილული არის წესებიდან გადახვევის ხუთი შემთხვევა, როდესაც უიური ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ წლის თანამედროვე არქიტექტურის სამყაროში ცვლილებებითა და მოთხოვნილებებით. სტატიაში განხილულია პრიცკერის პრემიის მნიშვნელობა არქიტექტურისათვის, მსოფლიო უახლესი არქიტექტურის ახალი პრიორიტეტებისა და ფასეულობების მთელ რიგზე დაყრდნობით, და მისი ზეგავლენა საკაცობრიო კულტურაზე. ნაშრომის მიზანია საზოგადოების დაინტერესება გარემომცველი სამყაროსადმი, რომელიც იქნება არქიტექტურის მეშვეობით, წარმოდგენილს როგორც ხელოვნების ყველა დარგის რთული სინთეზი.



## S U M M A R Y

### «THE PRITZKER PRIZE» AND MODERN ARCHITECTURE

NINA POTAPOVA

In this article are discussed rules, features and exceptions of the Pritzker architectural prize award. In particular, it is considered five cases of deviation from rules, in which juries at prize award was guided by changes of requirements to the modern architectural world in this or that year. In this article is considered value of Pritzker awards in architecture, on the basis of new priorities variety and values in high world architecture, and its influence on world culture. The work purpose - to cause interest of the public environment the presented architecture which is synthesis of directions of all arts.

«

»

# ეკოლოგიური პრობლემები და მსოფლიო ეკონომიკა

## ქეთევან აბაშიძე

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის II კურსის მახისტრანტი

ეკოლოგიურ პრობლემას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი განსაკუთრებით გამწვავდა 19-ე საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ პერიოდში, რაც პლანეტის ინდუსტრიალიზაციასთან არის დაკავშირებული. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში განადგურებულია მსოფლიოში დამუშავებაში მყოფი მიწების და პლანეტის ტყეთა 2/3. ყოველ ათწლეულში მსოფლიოში იკარგება ნაყოფიერი ნიადაგის მქონე მიწების 7%. პრობლემამ კრიზისული ხასიათი შეიძინა 60-იანი წლების დასაწყისში.

მოახლოებული კატასტროფის მასშტაბებზე მეტყველებს რამოდენიმე მონაცემი. ყოველ 2 წელიწადში 12 მლნ ჰა-ით მატულობს გამოფიტული მიწების ფართობი; ხორციელდება ტყეების მასიური ამოძირკვის ინტენსიფიკაცია. ყოველ წამში მათი ფართობი კლებულობს ნახევარი ჰა-ით, ხოლო 2 წელიწადში ვეარგავთ ფინეთის ტოლ ფართობს. თუ ეს პროცესი ამგვარი ტემპით გაგრძელდა, მაშინ წარმოებიდან მიწების გამოთიშვას არ დასჭირდება 50 წელიც კი, ხოლო დარჩენილი ტყეები სრულიად განადგურდება 10 წელიწადში. ეკოლოგიური კრიზისი გვიტევს მაღალი ტემპებით ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე.

თანამედროვე საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთობის მაშტაბები იმდენად დიდია, რომ წარმოიშვა მათ შორის გაცვლის დაბალანსებულობის დარღვევის რეალური საშიშროება, ამ ურთიერთობაში შედის სერიოზული ცვლილებები ადამიანისა და მსოფლიო განვითარებისათვის არასასურველი შედეგებით.

საყოველთაო უსაფრთხოების საშიშროება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის შედეგად, ისევე რეალური და ისევე სერიოზულია, როგორც ბირთვული საშიშროება. ადამიანის მზარდი ინტენსივობით ზემოქმედება გარემოსა და პლანეტის სიცოცხლის უზრუნველყოფელ სტრუქტურაზე წარმოშობს ისეთ რისკს, რომელიც საბოლოო ჯამში უფრო საშიში და აღმოსაფხვრელად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ბირთვული ომი. გარემოს დარღვევა ატარებს ყოველმომცველ ხასიათს და მისი შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ მიღებული ღონისძიებებით, სანამ ეს მდგომარეობა არ მიიღებს შეუქცევად ხასიათს.

ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება აყალიბებს თვისებრივად ახალ ურთიერთობებს მოსახლეობასა და ადამიანთა დაუღვეარი საქმიანობის შედეგად გადარიბებულ გარემო ბუნებას შორის.

ამჟამად დედამიწის მოსახლეობა 5.6 მლრდ კაცს შეადგენს, ხოლო 2025 წლისათვის იგი პროგნოზის მიხედვით მიაღწევს 9-10 მლრდ-ს. ნიშანდობლივია, რომ 1950 წელთან შედარებით დედამიწის მოსახლეობა გაორმაგდა. მოსახლეობის მატება იმაზე მეტყველებს, რომ აუცილებელია მათი დაკმაყოფილებისათვის სამრეწველო წარმოებისა და ზოგადი ეკონომიკური

განვითარების ზრდა. მსოფლიოს სამრეწველო წარმოების მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული იქნება ახალი სანედლეულო რესურსები იმ მოცულობით, რომელიც 3-4 ჯერ აღემატება მათ მთლიან მოხმარებას, ადამიანთა ცივილიზაციის მანამდე არსებული მთელი ისტორიის მანძილზე. მაგალითად, აშშ-ს ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა დარგი აღმოჩნდა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ ამა თუ იმ ზომით აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა ბუნების დაცვის რეგულირების მკაცრი ნორმებისა და ენერგორესურსების შეზღუდულობის პირობებში. ენერგეტიკული მეურნეობა კი იმყოფება თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემის ცენტრში და მის წილად მარტო აშშ-ში მოდის გოგირდის მუავით ჰაერის გატუჩყიანების 75 და აზოტის მუავით - 50%.

ამჟამად ჩვენი პლანეტის სამრეწველო გეოგრაფიაში შეიმჩნევა ღრმა ცვლილებები. მიმდინარეობს სამრეწველო სიმძლავრეების არსებითი გადანაწილების პროცესი. განვითარებადი ქვეყნები ახორციელებენ ინდუსტრიალიზაციას და იძენენ უნარს აწარმოონ და მსოფლიოს ბაზარზე გაყიდონ მრავალი კონკურენტუნარიანი საქონელი.

განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო ზრდა წარმოშობს იმ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომელნიც ადრე მხოლოდ მდიდარი ქვეყნების ავადმყოფობად ითვლებოდა. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და მწვავე ეკოლოგიური პრობლემის - ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურება - სიმძიმის ცენტრი გადაადგილდა სამხრეთისაკენ. დღეს მრავალი რაიონი, რომელიც ყველაზე დაბინძურებულად ითვლება, განეკუთვნება განვითარებად ქვეყნებს.

საზღვრები, რომელშიც შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება და განვითარება, დგინდება გარემოს საზღვრებით. ამრიგად, გარემო და ეკონომიკური განვითარება აუცილებელ მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და ჩვენი მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად გავითვალისწინებთ ამ კავშირებს.

კავშირები ეკონომიკასა და გარემოს შორის ვლინდება მრავალი მიმართულებით. შიმშილობა აფრიკულ ქვეყნებში უპირატესად გამოწვეული იყო ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით, ვიდრე მხოლოდ გვალვით, რომელიც აუცილებლად მოგვევლინება უბედურების კატალიზატორის როლში. გაგვიჩნია ერთობ სარწმუნო ცნობები, რომ მსოფლიო თანამეგობრობას ემუქრება სერიოზული საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია კლიმატის შეცვლასა და ოზონის ფენის გათხელებასთან. კლიმატის შეცვლამ ატმოსფეროში ნახშირორჟანგისა და სხვა სათბური გაზების (მეთანი და სხვა.) დაგროვების შედეგად შეიძლება მიაღწიოს ყველაზე დიდ ზღვარს დედამიწაზე ადამიანის არსებობიდან მოყოლებული, საშუალო ტემპერატურამ დედამიწაზე შეიძლება მოიმატოს 2050 წლისათვის, სპეციალისტთა შეფასებით 1.5-4.5 გრადუსით, ამის ერთ-ერთი შედეგი იქნება მსოფლიოს ოკეანის დონის აწევა, რამაც 2010 წლისათვის შეიძლება შეადგინოს 14-დან 2.2 მეტრამდე. სპეციალურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ნახშირორჟანგის გაზის შემცველობა ატმოსფეროში 1860 წელთან შედარებით გაიზარდა 30%-ით. ნახშირორჟანგის გაზის დაგროვების ძირითადი წყაროა: ენერგეტიკა, ნავთობის, ქვანახშირის, ხე-ტყის წვა და ა.შ.

დიდ შემოფოტებას იწვევს ოზონის ფენის მდგომარეობა ატმოსფეროში, სადაც დარეგისტრირებულია მისი შემცველობის 2%-იანი შემცირება, ხოლო ანტარქტიდის თავზე ოზონის "ხვრელის" ფართობი უკვე 2-ჯერ

აღმატება აშშ-ის ტერიტორიის ოდენობას, ბუნებრივი სტრუქტურები, რომლებიც შექმნილია ადამიანის მიერ, რომლებზედაც არის დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი, არიან გლობალურნი. ნებისმიერი შემთხვევა, რომელიმე ნაწილში გამოიწვევს ცვლილებებს მის მთელ ერთობლიობაში.

უცილებელია, შემუშავდეს მდგრადი განვითარების კონცეფცია. მდგრადი, დაბალანსებული და კონტროლირებადი განვითარების დროსაა მხოლოდ გარანტირებული გადასვლა მსოფლიოსათვის აუცილებელი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების ახალ ერაში. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების დროს და მისი განხორციელების პროცესში ეკონომიკური ცხოვრების ყველა სექტორში აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას ჰარმონიული თანხმობა ეკონომიკასა და გარემოს შორის.

ტრადიციულად გამოიყოფა ეკოლოგიური კრიზისის გამწვავების შემდეგი ძირითადი მიმართულებანი:

1. მიწათსარგებლობიდან კულტივირებული მიწების მზარდი მოცულობით გამოთიშვა. ამის მიზიზი მიწების მიმართ ქიმიური საშუალების უზომოდ გამოყენებაა, ნიადაგის დამარილიანება და გამჟავიანება, ქარისა და წყლით მიყენებული ეროზია და ა.შ.

2. სულ უფრო მეტი ქიმიური ზემოქმედება მიწათმოქმედებასა მეცხოველეობის პრიდუქტებზე, წყალზე, ნიადაგზე, ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე, ტყეების განადგურება და ა.შ. ყველა ეს საბოლოო ანგარიშში ზემოქმედებს ადამიანის ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ბუნებრივი გარემოს კვლავწარმოების უნარის პირდაპირი განადგურების შესახებ.

3. ატმოსფეროში გასული დამაბინძურებელი ნივთიერებების მზარდი მოცულობა (ასობით ათასი ტონა ნახშირბადის ჟანგი, ნახშირწყალბადები და სხვა). ისინი უკვე დღეს ყველაფერ სხვასთან ერთად იწვევენ დედამიწის ატმოსფეროს გარშემო ოზონის დამცავი ფენის თანდათანობით ლიკვიდაციას გაუთვალისწინებელი შედეგებით.

4. ნარჩენების სწრაფი ზრდა, მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწის ფართობის გადაქცევა სხვა სამრეწველო კონცენტრაციის ადგილად. ამის შედეგად მცირდება მიწის სასარგებლო ფართობები და ფართოვდება ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მოცემული საფრთხის შემცველი ტერიტორიული კერები.

5. ატომური ელექტრო სადგურების რაოდენობის ზრდა. კაცობრიობამ გამოსცადა მათი შესაძლო ზემოქმედების „დაახლოებითი“ სურათი ჩერნობილის ტრაგედიის სახით: ადამიანთა დაღუპვა, ქალაქების, მიწების, ტყეების, წყლის გამკვდარება, განსაკუთრებით საშიში რადიაციული მტკვრის ასობით კილომეტრზე გავრცელება ქარის მეშვეობით და მათი ნალექების სახით მოსვლა ქალაქებისა და სოფლების თავზე.

ეკოლოგიური კრიზისი დაახქარა ე.წ „ლოკალურმა“ ომებმა: ვიეტნამში, კამბოჯაში, ავღანეთში, აფრიკაში და სხვა, მაგრამ არამარტო უშუალოდ საომარი მოქმედებები ანადგურებენ ბუნებას. ათასობით სამხედრო გემი ატარებს წვრთნას მსოფლიო ოკეანეებში, მიაჩნიათ რა იგი ერთგვარ “აბსოლუტურ გარემოდ”, სადაც შესაძლებელია როგორც უნდათ ისე განახორციელონ ექსპერიმენტები. წყალში იღვრება მილიონობით ტონა ნავთობ პროდუქტები.

ატმოსფეროს გარსს არღვევენ რაკეტები. ჩვენ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით მათ შესახებ, აგრეთვე შეიარაღების ზრდა თავდაცვის მრეწველობაში. ლითონების, ქიმიური პროდუქტების, ენერჯის, წყლის ჩართვის მასშტაბების ზრდა და ა.შ. სულ უფრო ნაკლები რესურსები რჩება საკუთრივ თვითონ ადამიანის საჭიროებისათვის. ცივილიზაციისათვის ტრაგედიაა ის გარემო რომ ქვეყნების მთავრობებს არ შეუძლიათ გააცნობიერონ თანამედროვე იარაღის წარმოების გაფართოების და მათზე უზარმაზარი სახსრების წარმართვის რაციონალური ზომის აუცილებლობა. მაშინ, როდესაც ეს სახსრები შეიძლება მოხმარდეს მშვიდობიანი განვითარების ამოცანების გადაწყვეტას, ახალი ტექნიკური ცივილიზაციების შექმნას ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმოების საფუძველზე.

ეკოლოგიური უსაფრთხოება მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. აუცილებელია მეტი დინამიზმი შეიძინოს არსებულმა და ახლად შექმნილმა საერთაშორისო ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა. ამასთან, ცხადია, რომ მათ უნდა გააჩნდეთ სათანადო ფინანსური ბაზა და აღიჭურვონ განსაზღვრული ზეეროვნული უფლებებით გარემოს დაცვის პროცესების რეგულირების საქმეში.

ჯერ-ჯერობით ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების “ეკოლოგიური ბიუჯეტები” მწირია, არაადექვატურია გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბების მიმართ, თუმცა, შეიმჩნევა ამ ფინანსური რესურსების ზრდა.

1970 წელს ბუნებათდაცვით ღონისძიებებზე კაცობრიობამ დახარჯა 40 მლრდ დოლარი, 1980 წელს - 75 მლრდ დოლარამდე, 1990 წელს დაახლოებით 150 მლრდ, 200 წლისათვის დაახლოებით 250 მლრდ დოლარამდე, ეს დანახარჯები კი იზრდება, მაგრამ ეს არაადექვატურია მოახლოებული ეკოლოგიური კრიზისის მიმართ და არ შეესაბამება მსოფლიო თანამეგობრობის ერთობლივ თავდაცვით ბიუჯეტს, რომლის წლიური მოცულობა პირდაპირ და უშუალოდ მოქმედებს დედამიწის სიცოცხლის შენარჩუნების საწინააღმდეგოდ. ამ თანაფარდობებმა ეკოლოგიურ და თავდაცვით ბიუჯეტებს შორის უახლოეს მომავალში ადგილი უნდა გაცვალოს.

გარემოს ხარისხის გაუარესების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა ეკოლოგიური უსაფრთხოების კრიტერიუმების დამუშავება და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვა. აქ ისე, როგორც არსად აუცილებელია ყველაზე მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მოითხოვს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა არსებული ფორმების გამოყენებას. ესენია: სამრეწველო-საწარმოო და სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობა. თანამშრომლობა ნედლეულის, სათბობისა და ენერგეტიკული რესურსების მოპოვების, განაწილებისა და მოხმარების სფეროში, სავალუტო-საფინანსო თანამშრომლობა და სხვა.

ეკოლოგიური თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს უნივერსალურ პრინციპებს. მან უნდა ასახოს თვით პრობლემის რეალობა. ავიღოთ მსოფლიო ოკეანის პრობლემა, აქ არ არის პრაქტიკული საზღვრები. ოკეანე არ ემორჩილება მსოფლმხედველობრივ წინამძღვრებას, ქარები, მდინარეები, ყოველივე ეს წარმოადგენენ ერთიანი ბუნების ნაწილს და მოქმედებენ თავიანთი კანონებით. ცხადია, რომ კაცობრიობამ უნდა გააერთიანოს თავისი ძალისხმევა იმისათვის, რათა ჯერ ერთი, შეანგლოს ამ ბუნების

რღვევა და მეორე, უნდა აღადგინოს ის, რისი აღდგენაც არის შესაძლებელი ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის. ამიტომ, აუცილებელია ყველა ქვეყნის ინტერესთა შერწყმა, იმ საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების ძალისხმევის გაერთიანება, რომლებიც იკვლევენ და თვალყურს ადევნებენ მსოფლიო ოკეანეს, მართავენ სამხედრო-სტრატეგიულ პოლიტიკას, საერთო გლობალური ეკოლოგიური ამოცანების გადასაწყვეტად.

მხედველობაშია მისაღები, რომ ევროპა წარმოადგენს ეკოლოგიური თვალსაზრისით შედარებით კრიზისულ კონტინენტს, რომელსაც აშშ-სა და ირლანდიასთან ერთად ყველაზე დიდი “წვლილი” შეაქვს გარემოს დაბინძურების საქმეში. ამიტომ, წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობა ამ კონტინენტზე შეიძლება გადაიქცეს მნიშვნელოვან გარღვევად ამ გლობალური პრობლემის გადაწყვეტის გზაზე.

საერთაშორისო ძალისხმევა სასურველ ეფექტს მოიტანს იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეფუძნება თითოეული ქვეყნის ინტერესებებს. ყოველი ახალი ტექნიკური გამოგონება, ახალი ტექნოლოგიები, ნაკეთობები, საქმიანობა დედამიწაზე, დაკავშირებული წყლის ბასეინებთან, მდინარეებთან და ა.შ. – ყველა ეს თავმოყრილი უნდა იყოს ერთიან მოთხოვნათა სისტემაში. ამ სისტემის ცენტრალურ რგოლად უნდა მივიჩნიოთ ეკოლოგიური უსაფრთხოება. მხოლოდ ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი მიღწეული იქნას ეფექტიანობა საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობის სფეროში, აუცილებელ საფინანსო ბაზაზე დაყრდნობა და ეკოლოგიური აზროვნება.

ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის ეფექტიანი გზების ძიებას მიეძღვნა გაეროს კონფერენცია, რომელიც გაიმართა რიო-დე-ჟანეიროში. მის შემდეგ აუცილებელია გაგრძელდეს აქტიური მუშაობა კონფერენციის დეკლარაციის საფუძველზე “დედამიწის ქარტიის” მისაღებად. უნდა გადაიდგას უფრო გადამჭრელი ნაბიჯები კონვენციის იმ დებულებათა გასაფართოებლად, რომელნიც ატმოსფეროში ნახშირმჟავის გაზების გაბნევის შემცირებას ეხება. იმისათვის, რომ რეალურად გამახვილდეს ყურადღება ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ეკოლოგიური კატასტროფებისგან თავის დაღწევაზე, სასიცოცხლოდ აუცილებელია:

- პრობლემის მასშტაბების, სირთულის და სიღრმის ადეკვატური გაგება, მისი გადაწყვეტის აბსოლუტური პრიორიტეტულობის აღიარება;
- ეკოლოგიური პრობლემის სამართლებრივი, საკანონმდებლო, საფინანსო, ტექნიკური და პროფესიული უზრუნველყოფა;
- ეკონომიკის საწარმო-დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა მისი რესურსდამზოგ ტექნოლოგიებზე ორიენტაციის მიმართულებით;
- ნებისმიერი ბუნებათმოსარგებლის პასუხისმგებლობა ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის და საშიში შედეგებისათვის;
- ფუნდამენტალური კვლევის პროგრამის განხორციელება ბიოსფეროს შესწავლის და ბუნებათდაცვითი საქმიანობის მეცნიერული უზრუნველყოფის სფეროში;
- სოციალურად დასაცავი ბიოსფერული ფონდის შექმნა, რომლის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ბიოსფერული (ბუნების) - ნაკრძალი ფონდი;
- კომპლექსური ბიოსფერული მონიტორინგის სისტემის გამართვა ბიოსფერული კადასტრის, ეფექტიანი კონტროლის სამსახურის და სხვა ჩათვლით;

- პროექტირებადი, მშენებარე და მოქმედი ობიექტები, რომლებიც მომეტებული საფრთხის წყაროებს წარმოადგენენ, აუცილებელია დამოუკიდებელი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება;
- გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მსოფლიო თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოს ეფექტიანი ბუნებათდაცვითი თანამშრომლობის სისტემის მეშვეობით;
- ბიოსფერულ-ეკოლოგიური და ბუნებათდაცვითი აღზრდისა და განათლების ყოველმხრივი განვითარება, პროფესიული კადრების მომზადება საქმიანობის ამ სფეროში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია, აუცილებელი დაბანდებები ეროვნულ და საერთაშორისო ეკოლოგიურ პროგრამებში საიმედო ბარიერს შეუქმნის გაუნათლებლობას, უპასუხისმგებლობას და თვითნებობას. ამით იგი აგვაცილებს ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროებას, რომელიც რეალურად ემუქრება მთელ პლანეტას.

## ლიტერატურა Literature

1. დავით ძნელაძე, მსოფლიო ეკონომიკა, თბილისი, 1998.
2. გურამ ჯელია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი 1997.
3. . . . . , 1998
4. -II . . . . , 1995
5. , , 2002.
6. - , , 2005.

## რ ე ზ ი უ მ ე

### ეკოლოგიური პრობლემები და მსოფლიო ეკონომიკა

#### ქეთევან აბაშიძე

მოსახლეობისა და მატერიალური წარმოების ზრდასთან ერთად საზოგადოება აძლიერებს თავის ზეგავლენას ბუნებაზე რის შედეგადაც წარმოიქმნება გლობალური ანუ პლანეტარული ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც იწვევენ ბიოსფეროს თვისებების ფუნდამენტალურ ცვლილებებს.

ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის ღრმა მიზიზები დაფუძნებულია დადგენილ ფასეულობებზე, რომელთანაც ბუნება გამოდის ეკონომიკური მიზნების მიღწევის წყარო.

## S U M M A R Y

### ECOLOGICAL PROBLEMS AND WORLD ECONOMICS

**KETEVAN ABASHIDZE**

Together with the process of population and physical growth society strengthens its influence over the nature which makes Global, in other words planetary ecological problems and cause fundamental changes of biosphere condition.

Profound reasons of environment degradation are based on the established value to which the nature is the source to achieve economic goals.



**თანამედროვე ბანათლებისა და მენეჯერების  
ინფორმაციოლოგიური საფუძვლების შესავალი**

**პირველი ასატიანი**

**ფიზიკის და მათემატიკის აპლიკაციური დოქტორი**

**➤ განათლებისა და მეცნიერების განვითარების სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები**

XXI საუკუნე კაცობრიობაში შევიდა ცივილიზაციის განვითარების ახალ ფაზაში – ინფორმაციულ საზოგადოებაში. ამის შედეგად საზოგადოების ძირითადი რესურსი, პროდუქტი და საქონელი, გახდა ინფორმაცია.

ინფორმაციის შენონისეული თეორიამ ბიძგი მისცა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, ე.წ. ინფორმაციოლოგიურ რევოლუციას [2].

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება თავისთავად მოითხოვს ინფორმაციის ბუნების შესწავლას: თუ დღემდე მეცნიერება იკვლევდა ინფორმაციის გამოვლინებებს, როგორცაა შუქი, სითბო და ა.შ., ამჟამად, მეცნიერების ყურადღება გადავიდა ინფორმაციის ბუნების შესწავლაზე (informatio – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შიდა ფორმას, ფორმაციას), ინფორმაციოლოგიაზე – ინფორმაციის ბუნების შემსწავლელ მეცნიერებაზე. რომლის ძირითადი კითხვაა თუ რას წარმოადგენს ინფორმაცია.

ინფორმაცია დღევანდელი ხედვით, ზემოაღნიშნული გაეროს დოქტრინით, მისი შიდა სტრუქტურის ბუნება წარმოადგენს ფუნდამენტური ურთიერთობების (ნაწილაკი-ნაწილაკი, ობიექტი-დამკვირვებელი, სხეული-სხეული და ა.შ.) სისტემას [9]. ამის შედეგად ზიგნევი ბჟეზინსკის, მის „დიდ საჭადრაკო დაფაში“ ინფორმაციული სისტემები განიხილება, როგორც თანამედროვე ძველამოსილების ფორმა, ახალი ტექნოლოგიების, მისი გეოპოლიტიკური იმპერატივების სახით და ახალი ინფორმაციული კულტურით.

**➤ ინფორმაციული განათლების ეკონომიკური საფუძვლები**

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში [10, გვ. 14] დსთ-ს ქვეყნების ჩათვლით მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული ტესტირების მონაცემებით ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები ჩამორჩებიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებისაგან ინფორმაციასთან მუშაობისა და საპრობლემო ამოცანების გადაწყვეტის უნარებში – ინფორმაციულ წიგნიერებაში. მსგავსი საექსპერტო ანალიზი ჩატარდა საქართველოს მთავრობის დავალებით და ამ ანალიზმა დაადგინა აბსოლუტური თანხვედრა მსოფლიო ბანკის მონაცემებთან: ინფორმაციული განათლება საქართველოში, სასამართლო სისტემის ჩათვლით, არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც გვიჩვენა ინფორმაციული სამართლის ნაწილში ჩვენს ხელთ არსებული სამივე სასამართლო ინსტანციის სასამართლო საქმეების ექსპერტულმა ანალიზმა. ასეთი გარემოება მოითხოვს

გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების, მეცნიერების, პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას ინფორმაციულ განათლებაში, რაც დაემთხვა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობის და ჩვენს ერთობლივ აზრს (საქართველოს ხელისუფლების ადმინისტრაციული აქტი №152/20 23.08.2004წ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინფორმაციოლოგია ანუ ინფორმაციის შესახებ მოძღვრება გაეროს დოქტრინის გათვალისწინებით მოიაზრება როგორც თანამედროვე განათლების საბაზო საგანი და მიმართულება [2].

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან. აქედან გამომდინარე ჩვენ შემოვთავაზეთ პირველად საქართველოს ინფორმაციოლოგიის სწავლების პროგრამა, რომელიც აპრობირებული იყო წარმატებით საქართველოს წამყვან ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში; მოვამზადეთ ინფორმაციის ოფიცრების და სპეციალისტების პირველი ნაკადები, რაც მოითხოვს სისტემურ განვითარებას ქვეყანაში მსოფლიო ბანკის, გაეროს დოქტრინის და საქართველოს მთავრობის დასკვნის გათვალისწინებით.

ამასთან მსოფლიო ბანკის დასკვნით ინფორმაციული განათლება მოიაზრება როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება [10, გვ. 32]. ამდენად, ინფორმაციული განათლება იძენს ასევე ძალზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ, ეკონომიკურ დატვირთვას.

➤ *თანამედროვე მეცნიერების ინფორმაციოლოგიური საფუძვლები*

კვლევები თანამედროვე მეცნიერებაში, როგორც ცნობილია [3,4], ნივთიერებიდან ურთიერთობების – ურთიერთქმედების – ინფორმაციის ბუნების შესწავლაზე. ასეთ სამეცნიერო ვითარებაში ინფორმაცია განისაზღვრება, როგორც ურთიერთობების სისტემის პროდუქტი [9]. ამ გარემოების საფუძველზე კვლევები მიმდინარეობს ინფორმაციის როგორც ურთიერთობების სისტემის მოდელირების მიმართულებით. ამ მოდელირების პროცესში ძალზე პროდუქტიული აღმოჩნდა კონდენსირებული გარემოს ფიზიკის გამოყენება [5, 6].

ჩვენი მრავალი წლის კვლევები მეცნიერების ისტორიაში და ინფორმაციაში (1968-1998წწ.) დაიწყო ე. ანდრონიკაშვილის – პ. კაპიცას – ლ. ლანდაუს საერთაშორისო სამეცნიერო სკოლაში და მიემდინა კერძოდ, კონდენსირებული გარემოს ფიზიკის ისტორიას, ზედენადობის ფიზიკის ფუნდამენტური იდეების დამკვიდრებას და ამ იდეების ექსტრაპოლაციას ინტერდისციპლინარულ სფეროში და ზოგადად ინფორმაციულ სისტემებში.

ამ ინფორმაციული სისტემების მოდელირება კონდენსირებული გარემოს ფიზიკის მათემატიკური აპარატის ტრანსფორმაციით მიგვიყვანა [3,4] ინფორმაციული სისტემის ორსითხიან ზედენად მოდელამდე [6,5,11].

ნობელის პრემიის ლაურეატის ი. პრიგოჟინის კვლევების მიხედვით [3,4] თანამედროვე მეცნიერების აქცენტი, როგორც აღვნიშნეთ, გადაინაცვლა ნივთიერებიდან ურთიერთობებზე – ინფორმაციის ბუნების კვლევაზე. პრიგოჟინი ამ კვლევების თანახმად სამყაროს ევოლუციის პროცესი არის ფუნდამენტური ურთიერთობა წესრიგისა და ქაოსის მდგომარეობებს შორის, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ენტროპიას. ასეთი ფუნდამენტური გააზირო

ინფორმაციასა და ენტროპიას შორის, რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ ლ. ბრილუენის შრომებში. ამ ენტროპიის და ინფორმაციის კორელაციის საფუძველზე ზედენალობის ფიზიკაში ჩვენ შევისწავლეთ უკვე ექსპერიმენტულად დადასტურებული წესრიგის და უწესრიგობის კვანტური სუპერპოზიცია, როგორც ნულოვანი და არანულოვანი ენტროპიების მქონე მდგომარეობები ზედენად სითხეებში. ამ კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა ბოზე-ეინშტეინის სითხეების კვანტური ჰიდროდინამიკის განზოგადებისა ორსითხიანი მათემატიკური განტოლებების გამოყენებით წესრიგის – ქაოსის [3] ურთიერთობების მოდელირებისათვის ინფორმაციულ სისტემებში და წესრიგის – ქაოსის ურთიერთობის მოდელირებისა ინფორმაციულ სისტემებთან მიმართებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ შევიმუშავეთ განზოგადებული ინფორმაციული სისტემის ზედენადი ორსითხიანი მოდელი: წესრიგის და უწესრიგობის (შესაბამისად ზედანადი სითხის ზედენადი და ნორმალური კომპონენტის სახით) მდგომარეობების სუპერპოზიცია ზედენად სითხეებში, როგორც ექსპერიმენტულად დაკვირვებადი ურთიერთობები მოწესრიგებულ და ქაოსურ მდგომარეობებს შორის.

ძლიერი ექსპერიმენტული არგუმენტები ინფორმაციული სისტემის ორსითხიანი ზედენადი მოდელის სასარგებლოდ მოგვცა რელიქტურმა ჰელიუმმა.

უახლესი ასტრონომიული, თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა რელიქტური ჰელიუმის ისტორიული-სტრუქტურული ფაქტორი სამყარო მთელ ისტორიაში. ამ ფაქტორის საფუძველზე აგებულია სამყაროს განვითარების ისტორიის მოდელი ბოზე-ეინშტეინის მაკროსკოპული კვანტური სისტემის სახით. ამ მოდელში ფლუქტუაციური ფაზური გადასვლა [12] კვანტურ ვაკუუმში განვითარების ადრინდელ სტადიაზე, შესაძლო დიდი გარღვევის არეში მოიაზრება როგორც აღნიშნულ ინფორმაციულ სისტემაში ფაზური გადასვლა; როგორც წერტილების გენერალიზაციურ ურთიერთ ბათა სივრციდან (ნობელის პრემიის ლაურეატის ა. პროხოროვის იდეით), ანუ იდეალური ბოზე-ეინშტეინის გაზიდან კვანტურ ვაკუუმში – მატერიალურ სამყაროში – ბოზე-ეინშტეინის რეალურ გაზში ფლუქტუაციური ფაზური გადასვლის პროცესი.

➤ *მეცნიერების ისტორიის ინფორმაციოლოგიის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთობლიობის საწყისები*

ილია პრიგოჟინის შრომების საფუძველზე მეცნიერების ისტორიაში შემოვიდა ფიზიკური სისტემის შიდა დროის სისტემა [4, გვ. 119] და ამასთან ერთად შემოვიდა ისტორიული განზომილება ფიზიკაში და ტექნოლოგიაში როგორც ფიზიკური მდგომარეობის შიდა პარამეტრი (სივრცის და დროის განზომილებასთან ერთად). შესაბამისად, პრიგოჟინის მიერ შემოყვანილია ისტორიული განზომილების მათემატიკური ოპერატორი. ამ გარემოებამ მოგვცა ამ ოპერატორის განზოგადების საშუალება, რის შედეგად ჩვენ მივედით ინფორმაციის ოპერატორამდე, რასაც ჩვენ განვიხილავთ ცალკე შრომაში. ინფორმაციის ოპერატორმა მოგვცა საშუალება მეცნიერების ისტორიის ინფორმაციოლოგიის და შესაბამისი დარგის (მაგალითად, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) ერთობლიობის სახით განხილვას, როგორც ერთიანი ფიზიკური სისტემისა. ერთიანი ინფორმაციული სისტემის იდეა სხვა

ფორმით იყო ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ ნილს ბორის „ცოდნის ერთიანობაში“ [8]. მაგრამ სამწუხაროდ, ნილს ბორის ამ შრომამ გაუსწრო დროს და დღეს ძალზე აქტუალური გახდა ერთიან ინფორმაციულ სისტემებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალმა ინფორმაციოლოგიურმა ტექნოლოგიამ მოითხოვს ინფორმაციულად წიგნიერი კადრების მომზადება-გადამზადებას. ამდენად, ინფორმაციულ საზოგადოებაში დაიწყო ახალი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ადამიანთა „ძველი პედაგოგიკის“ გადასართველად ახალ „ინფორმაციულ პედაგოგიკაზე“. ამავ დროს არავინ არ იცოდა დაეხლაც არ იცის, თუ როგორ ახერხებს მომხამრებელი მრავალი სახის სტრუქტურისა და შინაარსის ინფორმაციის გადამუშავებასა და ისეთი გადაწყვეტილებების, ქმედებათა სისტემის შექმნას, რომლებმაც განაპირობეს თანამედროვე ცივილიზაციის – ინფორმაციული საზოგადოების შექმნა, რაც გულისხმობს ახალი ინფორმაციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდოლოგიის განვითარებას თანამედროვე ლინგვისტიკის, ლოგიკისა და მათემატიკის ერთობლივი გამოყენების. „მანქანური ინტელექტის“ მეთოდებიც უკვე არაა საკმარისი ყველა სახის მეცნიერების, ტექნოლოგიების და მარკეტინგული ოპერაციების უზრუნველსაყოფად, რადგან იგი მოითხოვს თვისობრივად ახალი, თითქმის „ადამიანური“ ან „მანქანური“ ცოდნის შენახვასა და გადამუშავებას. ამასტან, მსოფლიოს სჭირდება საზოგადოების სრული ინფორმატიზაციის გეგმების რეალიზება. მხოლოდ არსებული სტრუქტურები ამ ამოცანას ვერ შეასრულებენ, თუ არ მოხდა მათი ინსტიტუციური გარდაქმნა, თუ არ შეიქმნება ახალი მოდულები, მეთოდები, მანქანა-ხელსაწყოები (მაგალითად, მეხუთე თაობის კომპიუტერის დონეზე), რომლებიც ადამიანს დაეხმარებიან ინფორმაციის სწრაფ, ეფექტიან და ეკონომიკურ გადამუშავებაში, და, რაც მთავარია, სწორი გადაწყვეტილების მიღება-შესრულებაში.

გამოდის, რომ მარტო ეგმ-ები და პროგრამული სისტემები ვერ უზრუნველყოფენ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების, ახალი სოციალური მოთხოვნების ეპოქაში ადამიანის ნორმალურ ყოფასა და განვითარებას, მის ადაპტაციას ისეთ ახალ სოციალურ გარემოში, როგორცაა ინფორმაციული საზოგადოება – თავისი სოციოლოგიურ-ეკონომიკურ-კულტურული ამოცანებით მეცნიერებაში და განათლებაში პროდუქტიული აზროვნების სფეროში, საზოგადოების, როგორც ერთიანი ორგანიზმიც ეფექტიანი განვითარება. პრინციპულად ახალი აზროვნების სისტემის ჩამოყალიბების გარეშე ეს შეუძლებელია. ე.ი. საზოგადოებას, და კერძოდ მეცნიერებას ესაჭიროება ასე ვთქვათ, ფილოსოფიური ხასიათის თეორია ინფორმაციულ მეცნიერებათა დედააზრის, მათიკონცეფციისა და ახალი მეთოდების აღსაქმნელად – რასაკვირველია, ახალი აპარატურის, ახალი პროგრამული სისტემების, მაგრამ თვისობრივად ახალი კონცეფციებისა და ახალი ანალიტიკური ტექნოლოგიებით აღჭურვილი კადრების მომზადება-გადამზადების გზით.

ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ იმ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ კვლევა-ძიებას, რომელიც პირდაპირ მოემსახურება ინფორმაციული დარგის მეცნიერებს და პროფესორ-მასწავლებლებს, როგორც საკუთარი სპეციალობის გათავისების მიზნით, ასევე ისეთი ახალი მიმართულებების შექმნას, როგორცაა, საზოგადოების და სახელმწიფოს

სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციული სისტემები, ძველამოსილების ახალი ფორმები.

## ლიტერატურა Literature

1. Seith Lloyd, Y. Jack Ng, Singular Computer. Scientific American, February 2005 (in Russian), pp. 33-42; Special Report from Scientific American. May, 2004.
2. UNO Doctrine of Informatiology Development of Mankind in XXI century, NY, 2001 (in Russian).
3. I. Prigogine. Order out of Chaos (Man's New Dialogue with Nature), Heinemann London, 1984 (in Russian, 1986).
4. I. Prigogine. From Being to Becoming (Time and Complexity in the Physical Processes), San-Francisco, 1980 (in Russian, 1985).
5. P. Asatiani. Formation of Fundamental Ideas of Superfluidity Studies. Ph.D. Dissertation. Thesis 1977, Tbilisi, Georgia.
6. F. London. Superfluids. N.Y.J.W @ Sons, vol. I, 1950, vol. II, 1954.
7. Biophysical Aspects of EEG and MEG Generation in: Encephalography. Basic Principles, Clinical Applications and Related Fields, E. Niedermeyer et al. Baltimora-Munich, 1982.
8. Niels Bohr. Book "The Unity of Knowledge" (N. Bohr's lecture delivered to the author in Tbilisi, Georgia, 1961), NY, 1955, pp. 17-62.
9. . . . , 2000 .
10. . . . : . . . , 2000 .
11. პ. ასათიანი. ინფორმაციული მეცნიერების მაკროკვანტური კანონზომიერებების კვლევა მისი ერთიანი (უნიფიცირებული) მეთოდოლოგიის შემუშავების კონტექსტში, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №10-12, 2005წ.
12. . . . . , 1975 .

რ ე ზ ი უ მ ე

თანამედროვე განათლებისა და მეცნიერების  
ინფორმაციოლოგიური საფუძვლების შესავალი

პავლე ასათიანი

პოლიტიკური, სოციოლოგიური და ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე განიხილება თანამედროვე მეცნიერებისა და განათლების ფუნდამენტური საწყისები.

ზედენადი კონდენსირებული მდგომარეობის ფიზიკის ისტორია შემოთავაზებულია როგორც ინფორმაციული სისტემის ორსითხიანი მოდელი.

**S U M M A R Y**

**INTRODUCTION TO THE INFORMATIOLOGY FUNDAMENTALS  
OF MODERN SCIENCE AND EDUCATION**

**PAVLE ASATIANI**

On the basis of political, social, economic analysis the informatiology fundamentals of modern science and education are discussed.

The history of condensed superfluid state physics as the two-fluid model of information system is developed.

# ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიები ბიზნესში

## ნინო ორჯონიძე

ეკონომიკურ მენეჯმენტის დოქტორი  
ბორის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

## თამარ მაკასარაშვილი

ეკონომიკურ მენეჯმენტის დოქტორი  
ბორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ლია ნაღიჩაძე

ბორის უნივერსიტეტის მასწავლებელი

თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალურია ბიზნესში ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველო. პრაქტიკულად შეუძლებელია თანამედროვე ბიზნესის წარმოება ქსელური ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. წარმატებული კომპანიები სტრატეგიულ უპირატესობას აღწევენ ქსელურ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე აგებული ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის წყალობით.

ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიები ქმნის ბიზნესის წარმოების აქამდე არარსებულ შესაძლებლობებს. ინტერნეტის პოტენციალის სრული და ხარისხიანი გამოყენებით შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება.

დღეისათვის უკვე მრავალი კომპანია აქტიურად იყენებს ქსელურ ტექნოლოგიებს ოპერატიული კავშირის საშუალებების როლში როგორც ერთი კორპორაციის შიგნით, სხვადასხვა სამსახურებსა და განყოფილებებს შორის ინფორმაციის გაცვლისთვის, ასევე სხვადასხვა ისეთ ფირმებს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან პარტნიორული ურთიერთობებით და გამოდიან დამკვეთებისა და მომწოდებლების როლში. საკომუნიკაციო ქსელების ასეთი გამოყენება უზრუნველყოფს ინფორმაციული ნაკადების ოპტიმიზაციას და ბიზნესის წარმართვის პროცესის დაჩქარებასა და ხარისხის ამაღლებას.

ქსელური ბიზნესის მეორე აქტიურად რეალიზებადი მოდელი დაკავშირებულია მის გამოყენებასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფორმით ფირმის, მის მიერ წარმოებული საქონლის და მომსახურების შესახებ ცნობების გავრცელებისათვის, რეკლამირებისთვის და ასევე მარკეტინგული კვლევების ინსტრუმენტის როლში.

ბიზნესში ქსელური ტექნოლოგიების გამოყენების დონე სხვადასხვა ქვეყნებში მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ქვეყნების ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურისა და კომპიუტერიზაციის საერთო დონესთან. ამდენად, ელექტრონული ბიზნესის განვითარების მიხედვით პირველ ადგილზე აშშ

რჩება და უკვე შემდეგ მოდიან ევროპის ქვეყნებიდან ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი. ასევე აქტიურად ვითარდება აზიური ბაზარიც და სულ უფრო კონკურენტუნარიანი ხდება იაპონური, ჩინური და ინდური ელექტრონული ბიზნესი.

შემოსავლების ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად ელექტრონული კომერციის ბაზარი არ არის მდგრადი. ზოგიერთი კომპანიის გიგანტური მოგების მიღების ფონზე სხვები იძულებული ხდებიან შეცვალონ ბიზნეს-გეგმები მინიმალური მოგების შენარჩუნების მიზნით. ამდენად, ახალი ელექტრონული ბაზრის ფუნქციონირების შემთხვევაში საჭიროა ბიზნესის ყველა კონკრეტული სეგმენტისათვის ბიზნეს-სტრატეგიის სწორი აგება.

ელექტრონულ ბაზარზე დამკვიდრების ერთ-ერთი შედარებით საიმედო გზაა უკვე არსებულ, წარმატებულ კომპანიებში ბიზნესის ახალი მიმართულების განვითარება, ბაზრის გაფართოება დაშორებული მომხმარებლის, ასევე ელექტრონულ მაღაზიებში სრული ავტომატიზაციით შეკვეთების მიღებისა და დამუშავების პროცესის დანახარჯების შემცირების ხარჯზე. ითვლება, რომ ქსელური ტექნოლოგიების გამოყენებით ტრადიციულ კომპანიებს შეუძლიათ შეამცირონ დანახარჯები 5 - 10%-ით, რაც მოგების 50 - 100%-ით გაზრდას ნიშნავს.

ელექტრონულ ბაზარზე დამკვიდრებისათვის ასევე შესაძლებელია ბიზნესის აგების პრინციპულად განსხვავებული სქემა. ექსპერტები თვლიან, რომ on-line რეჟიმში პროდუქციისა და მომსახურების მარკეტინგის ინტერნეტ-ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს წარმოებისა და რეალიზაციის ფუნქციების განაწილებას სხვადასხვა კომპანიებს შორის. უკვე დღეისათვის მწარმოებლები კონტრაქტებს აფორმებენ პროდუქციის მიწოდებაზე ისეთ კომპანიებთან, რომლებიც იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს და დაკავებული არიან მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციით ელექტრონული და ინტერნეტ-მაღაზიების მეშვეობით.

ელექტრონულ ბაზარზე შეინიშნება ასევე კომპანიების გაერთიანებისა და ერთმანეთის გადაფარვის ტენდენციები. შედარებით წარმატებული კომპანიები თანდათან იერთებენ კონკურენტებს და ახალ სიმაღლეებს იპყრობენ. ამასთან, მცირე ფირმების რესურსები ამ დროს კი არ ქრება, არამედ მოდიფიცირდება და უფრო წარმატებულ მოდელად ინტეგრირდება.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია ელექტრონული ბიზნესით დაშორებული მომხმარებლის დაინტერესება და მოზიდვა. ზოგადად რეალიზაციის შემცირების ფონზე იზრდება ქსელში ზოგიერთი კატეგორიის საქონელზე მოთხოვნილება. On-line რეჟიმში ავტომობილების, კოსმეტიკისა და ჰიგიენური საშუალებების, წიგნების, მუსიკალური და ვიდეო ფირების, სათამაშოების გაყიდვის ტემპის ზრდა საშიშროებას უქმნის ამავე საქონლის ტრადიციული ბაზრების არსებობას. ინტერნეტ-მაღაზიების, ბირჟების, აუქციონების, რეკლამების, საბანკო და ტურისტული მომსახურების პარალელურად აქტიურად ვითარდება მობილური კომერცია. მობილური კომერცია ბიზნესის საკმაოდ სწრაფად განვითარებადი სახეობაა მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.

სხვადასხვა ინტერნეტ-პროექტების მიმართ მომხმარებლის ინტერესს აქვს რეგიონალური სპეციფიკა. მაგალითად, ევროპაში, ბრაზილიაში და სამხრეთ აფრიკაში სწრაფი ტემპით ვითარდება ონლაინ-ბანკები, ლათინური ამერიკის მოსახლეობა ყველაზე ხშირად ქსელში ეძებს მუსიკას. ყველაზე შემოსავლიანად ითვლება აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის



ტურისტული მოგზაურობის და საფინანსო მომსახურების კატეგორიის საქონელი. ასევე განსხვავებულია ინტერნეტ-პროექტების მიმართ ქალების და მამაკაცების ინტერესი.

ინტერნეტ-პროექტებისა და ელექტრონული ბიზნესის წარმატებული რეალიზაციისათვის კომპანიებმა აუცილებელია გაითვალისწინონ: მომხმარებლის რეგიონალური, დემოგრაფიული და სოციალური კატეგორიების ინტერესები; მომხმარებლის ფსიქოლოგია; მომხმარებელს შესთავაზონ მაქსიმალურად დაცული და უსაფრთხო მომსახურება.

ამრიგად, ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის გაფართოებისა და განვითარებისათვის. წარმატებული ბიზნესის გარანტი მომავლის ტექნოლოგიების პოტენციალის სრული და ხარისხიანი გამოყენებაა.

## ლიტერატურა Literature

1. . . . „ „, 2006
2. . . . „ „, 2006
3. . . . „ „, 2007
4. . . . „ „, 2008
5. . . . „ „, 2007

## რ ე ზ ი უ მ ე

### ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიები ბიზნესში

#### ენო ორჯონიძემ, თამარ მაკასარაშვილი, ლია ნადირაძე

ბიზნესში ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში. წარმატებული კომპანიები სტრატეგიულ უპირატესობას აღწევენ ქსელურ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე აგებული ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის წყალობით.

ელექტრონულ ბაზარზე დამკვიდრებისათვის მიზანშეწონილია შემდეგი ძირითადი მიმართულებების არსებობა: განვითარებულ კომპანიებში ელექტრონული კომერციის ელემენტების დანერგვა ან პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ფუნქციების გადანაწილება სხვადასხვა კომპანიებს შორის, ასევე კომპანიების გაერთიანება.

ელექტრონული ბიზნესის წარმატებისათვის აუცილებელია მომხმარებლის რეგიონალური, დემოგრაფიული, სოციალური, ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება და მომავლის ტექნოლოგიების შესაძლებლობების სრული გამოყენება.

## S U M M A R Y

### THE NET COMPUTER TECHNOLOGIES IN BUSINESS

**NINO ORJONIKIDZE, TAMAR MAKASARASHVILI, LIA NADIRADZE**

To use the net computer technologies in business is very actual in modern world. The successful companies achieve a success in net computer technologies which is built with electrical commerce and electrical system.

To observe in electrical market there are main directions: to introduce electrical and commerce elements in development companies or production and realization among the different companies, also to unite the companies.

For success of electrical business is important users regional, demographical, Social, Psychological habituals, and also possibilities to use the future technologies.





ლიტერატურა  
Literature

1. . . . . , 1982. – 172 .
2. . . . . , 1982. – 299 .
3. . . . . – ( : 1980; .82-83)
4. . . . . ; , 1980 . 270.
5. . . . . – ( 1990. .16)

რეზიუმე

ექსპერიმენტის ტექნოლოგიური ციკლის კვლევის სპეციფიკის ანალიზი, როგორც ავტომატიზაციის ობიექტი

თინათინ ტატულაშვილი, ნინო ორჯონიძე, თეა ხორბუაშვილი

ნაშრომში - „ექსპერიმენტის ტექნოლოგიური ციკლის კვლევის სპეციფიკის ანალიზი, როგორც ავტომატიზაციის ობიექტი“ - განხილულია ტექნოლოგიური ციკლის ექსპერიმენტული კვლევის სპეციფიკის ანალიზი, როგორც ავტომატიზაციის ობიექტი.

სამეცნიერო კვლევაში ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ექსპერიმენტის ანალიზი საგნობრივ სივრცესთან მიმართებაში და ექსპერიმენტის ტიპი, რომელიც განსაზღვრავს ექსპერიმენტი სპეციფიკას.

ექსპერიმენტალური კვლევისას მიზანშეწოლილია გამოვიყენოთ მათემატიკური მეთოდების კლასები და ქვეკლასები: ექსპერიმენტების დაგეგმვა, მათემატიკური ანალიზის მეთოდები, სტატისტიკური მეთოდები, რეგრესიული ანალიზის მეთოდები, დისპერსიული ანალიზი და სხვა მათემატიკური მეთოდები. ამოცანების კლასიფიკაციისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი გადაწყვეტის საშუალებები და მეთოდები.

ამოცანებს, რომლებსაც სჭირდებათ სპეციალური გამოთვლები პირობითად დაყოფილია ოთხ კლასად.

საგნობრივი სივრცის სისტემური ანალიზის მიდგომით შესაძლებელია განხილული ამოცანების კლასიფიკაცია დონის მიხედვით და გამოყოფილია შვიდი დონე.

მოცემული სქემის კლასიფიკაციის ანალიზმა გვიჩვენა პრობლემურ-ორიენტირებული კომპლექსის რაციონალური სტრუქტურის რეალიზაცია მახასიათებლის (პრიზნაკების) მიხედვით: მეთოდური უზრუნველყოფა მისი პროგრამული მხარდაჭერა; პროგრამული უზრუნველყოფა ინფორმაციული უზრუნველყოფა და ა.შ. უნდა ხდებოდეს, როგორც დასახულია ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება, ისე მისი შემადგენელი კომპონენტებისა.

მოთხოვნების სპეციფიკური განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ექსპერიმენტის ჩატარებას. სტატიაში განხილული საკითხები საშუალება გვაძლევს გავუკეთოთ ანალიზი სამეცნიერო კვლევის რაციონალურ ორგანიზაციასა და საინფორმაციო მხარდაჭერას, რომელის მეშვეობითაც ხდება ავტომატიზაციის მაჩვენებლების რეალიზაცია.

## SUMMARY

### THE ANALYSIS OF RESEARCH OF TECHNOLOGICAL CYCLE IN EXPERIMENT AS THE OBJECTS OF AUTOMATIZATION

TINATIN TATULASHVILI, NINO ORJONIKIDZE, TEA KHORGUASHVILI

In the work “The analysis of research of technological cycle in experiment as the objects of automatization” is discussed the analysis of research of technological cycle as the object of automatization.

One of the main problem is the analysis towards the subjective space and the type of the experiment which defines the specificity of experiment.

During the research we should use classes and subclasses of mathematical methods: planning experiment, mathematical methods, statistic methods, method of regressive analysis, dispersive analysis and so on. During the classification we must foresee the means and methods of their decision.

The problem which needs special calculation, are divided into four classes.

According to systematic analysis of the subjective space are chosen seven levels.

Discussed questions give us the opportunity to analyze the rational organization of research and the informational supporting. It helps in realization of showing of automatization.

The analysis of classification of given scheme has showed the realization of rational structure with problematical constitution. According to their cha

methodical guaranteeing and supporting of the program; Guaranteeing of the program and informational guaranteeing and so on.

The problem itself and its components must be done independently.

## ჯ. დისტინტის თეორია და ერთფაზა ტრანსფორმატორი

### თენგიზ მუსელიანი

ტიქნის მცნობიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### ალექს კოტაკოვი


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დოქტორანტი

### გიორგი ჯყონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დოქტორანტი

ცნობილია, რომ ტრანსფორმატორი წარმოადგენს ინდუქციურად დაკავშირებულ წრედს, რომლის მათემატიკური მოდელის შესახებ გამოქვეყნებულია მრავალი სამეცნიერო სტატია როგორც რესპუბლიკურ, ასევე ყოფილ საკავშირო ელექტროტექნიკური ჟურნალების ფურცლებზე [1, 2, 3]. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ მიძღვნილია მონოგრაფია [4], სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ერთსახელა მომჭერების მონიშვნაზე და მაინდუქცირებულ და დაინდუქცირებულ დენებს შორის მაგნიტური კავშირის უარყოფით ხასიათზე და ერთფაზა ორგრაგნილა ტრანსფორმატორის მათემატიკური მოდელი ნახ. 1-ზე მოცემული წრედისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$\begin{cases} e = i_1 r_1 + L_1 \frac{di_1}{dt} - M \frac{di_2}{dt}; \\ 0 = i_2 r_2 + L_2 \frac{di_2}{dt} - M \frac{di_1}{dt}. \end{cases}$$




(1)

ნახ. 1

ნაშრომებში [5, 6] ერთფაზა ორგრაგნილა ტრანსფორმატორის მათემატიკური მოდელები ნახ. 2-ზე ნაჩვენებია სქემისათვის მოცემულია შემდეგნაირად:



$$\begin{cases} u_1 = i_1 r_1 + L_1 \frac{di_1}{dt} - M \frac{di_2}{dt}; \\ 0 = i_2 r_2 + L_2 \frac{di_2}{dt} - M \frac{di_1}{dt} + u_2. \end{cases} \quad (2)$$



ნახ. 2

სოლო ნაშრომში [7] ინდუქციურად დაკავშირებული წრედების მათემატიკური მოდელის შესაქმნელად [4] ნაშრომის მსგავსად ნახვენებია, რომ აუცილებელია ერთსახელა მომჭერების მონიშვნა, მაგრამ გარდა მაინდუქციურებელ და დაინდუქციურებულ დენებს შორის არსებული უარყოფითი კავშირისა აუცილებელია განტოლებათა სისტემის ჩაწერა ერთიან ათვლის სისტემაში. აქვე გამოყენებულია ერთსახელა მომჭერების თვისებები, რომ: ინდუქციურად დაკავშირებულ წრედებში ერთსახელა მომჭერებს გააჩნიათ განსაკუთრებული თვისება, რომ თუ ერთი მათგანის ერთსახელა მომჭერში შედის მზარდი დენი, მაშინ ეს დენი იწვევს მეორე ერთსახელა მომჭერის პოტენციალის გაზრდას [6], რაც ამავე ნაშრომში დამტკიცებულია ექსპერიმენტით და ნახ. 2-ზე წარმოდგენილი სქემისათვის [7] ნაშრომიდან გამომდინარე ერთფაზა ორგრაგნილა ტრანსფორმატორის მათემატიკური მოდელი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით:

$$\begin{cases} u_1 = i_1 r_1 + L_1 \frac{di_1}{dt} - M \frac{di_2}{dt}; \\ u_2 = -i_2 r_2 - L_2 \frac{di_2}{dt} + M \frac{di_1}{dt}. \end{cases} \quad (3)$$

2003 წელს ინტერნეტსაიტზე რუბრიკით “ელექტრომაგნიტური ფიზიკის მსოფლიო ლიდერი” გამოქვეყნებულია ამერიკელი ფიზიკოსის ჯ. დისტინტის სტატია სათაურით “კლასიკური ნაკადის ანომალია” [8], სადაც მოცემულია, რომ ფარადეის კანონი  $e = -N \frac{d\Phi}{dt}$  არის კლასიკური მამოძრავებელი ელექტრული კანონის მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევა.

თუ ფარადეის კანონში  $\frac{d\Phi}{dt}$  განმარტებულია, როგორც ნაკადის ცვლილების სიჩქარე კონტურში, მაშინ დადებითი  $\frac{d\Phi}{dt}$  მიუთითებს, რომ ნაკადი შედის კონტურში. ამ დაკვირვების შედეგად ფარადეის კანონი შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$e = -N \frac{d\Phi}{dt} \quad (\text{შემსვლელი ნაკადისათვის}) = N \frac{d\Phi}{dt} \quad (\text{გამომსვლელი ნაკადისათვის})$$

აქედან გამომდინარეობს, რომ კონტურში ფარადეის კანონი წარმოქმნის უარყოფით ემძ-ს შემსვლელი ნაკადისათვის და დადებით ემძ-ს გამომსვლელი ნაკადისათვის.


შევადგინოთ ერთფაზა ორგრაგნილა ტრანსფორმატორის მათემატიკური მოდელი ჯ. დისტინტის თეორიაზე დაყრდნობით ნახ. 3-ზე მოცემული სქემისათვის.

ერთფაზა ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილი მიერთებულია ენერგიის წყაროსთან და პირველადი გრაგნილის ერთსახელა მომჭერში შემაგალი ცვლადი  $i_1$  დენი ქმნის ცვლად მაგნიტურ ნაკადს  $\Phi_1$ , რომელიც  $i_1$  დენთან დაკავშირებულია მარჯვენა ბურღის წესით. ნახ. 3-ზე მოცემული გრაგნილების დახვევის შემთხვევაში  $\Phi_1$  ნაკადს აქვს პირველადი გრაგნილის გულარაში ერთსახელა მომჭერის მხრიდან შემაგალი მიმართულება და პირველად გრაგნილში აღძრავს თვითინდუქციის ემძ-ს:

$$e_{1L} = -L_1 \frac{di_1}{dt}. \quad (4)$$

ლენცის წესის თანახმად, ნიშანი (-) მიუთითებს იმაზე, რომ ამ ემძ-ს აქვს  $i_1$  დენის საწინააღმდეგო მიმართულება, რაც ნაჩვენებია ნახ. 3-ზე. ხოლო მეორეული გრაგნილის გულარაში  $\Phi_1$  ნაკადს ერთსახელა მომჭერის მხრიდან აქვს გამომავალი მიმართულება და აღძრავს მასში ურთიერთინდუქციის ემძ-ს.

$$e_{1M} = M \frac{di_1}{dt}. \quad (5)$$



ნახ. 3

$\Phi_2$  ნაკადის ცვლილებით მეორეულ გრაგნილში აღძრული  $e_{2M}$  ემძ კი არ ეწინააღმდეგება  $i_2$  დენი, არამედ ემთხვევა ამ დენის მიმართულებას. ანალოგიურად ხდება  $i_2$  დენის შემთხვევაშიც, კერძოდ,  $i_2$  დენის მიერ შექმნილი ნაკადი  $\Phi_2$  მეორეულ გრაგნილში აღძრავს.


$$e_{2L} = -L_2 \frac{di_2}{dt}. \quad (6)$$

თვითინდუქციის ემმ, რომლის მიმართულება ნახ 3-ზე იქნება  $i_2$  დენის საწინააღმდეგო მიმართულების, ხოლო პირველად გრაგნილში აღძრული ურთიერთინდუქციის ემმ

$$e_{1M} = M \frac{di_2}{dt}. \quad (7)$$

მიმართულებით დაემთხვევა  $i_2$  დენს.

ნახ. 4-ზე მოცემულია (4) ერთფაზა ორგრაგნილა ტრანსფორმატორის ეკვივალენტური ჩანაცვლების სქემა.



ნახ. 4

ნახ. 4-ზე მიღებული ჩანაცვლების სქემისათვის კირხჰოფის II კანონის საფუძველზე ( $\sum e = \sum u$ ) ვწერთ განტოლებათა სისტემას (შემოვლის მიმართულება ემთხვევა დენის მიმართულებას)

